საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

www.geworld.ge

№5 (192)

13 – 19 თებერვალი, 2013

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი

gazeti@inbox.ru

# რა ღირს კეზერაშვილის ქოხი ლონდონში და რამ შეაყვარა ორბანს ადეიშვილი

7






«გაირკვა, რომ კეზერაშვილს 2009-2012 წლებში ახლო ნათესავებთან და მეგობრებთან ერთად მხოლოდ კონტრაბანდისტული საქმიანობით 7 მილიონ 570 ათასი დოლარი მიუთვისებია»



# ტროას ომი თუ ოპერაცია «ალასანიას ტრესტი»?

3

რა უფრო აახლოებს ირაკლი ალასანიას დასახულ მიზანთან ამ ეტაპზე — კონფრონტაცია ბიძინა ივანიშვილთან თუ თანამშრომლობა მასთან?



ნოდარ ხადური:

# ამნისტია, რომელსაც პრეზიდენტი სთავაზობს საქართველოს, არის კორუფციული გზით მიღებული შემოსავლების დაკანონება!

10

«ფინანსთა სამინისტროში მუშაობს 280 ადამიანი, ხოლო დასუფთავების სამსახურის პიარსამსახურში მუშაობდა 570 «თანამშრომელი»

# ზონდერმერი

13

სად არის მეგის ქარდავა, ვისი მეშვეობით ჩანერგეს ივანიშვილის გარემოცვაში «ნაციონალების» აგენტურა, სად გაქრა ერთი კილო ჰეროინი და რა ვიდეოკადრებს ფლობს კუდის ყოფილი მაღალჩინოსანი «ოცნების» ლიდერებზე?

8

კრიტიკულ მომენტში ნატო და ამერიკა ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებასაც ისევე დატოვებენ რუსეთთან პირისპირ, როგორც ავანტიურისტი სააკაშვილი მიატოვეს. შეცდომებისა და დანაშაულისთვის კი ისევ ქართველი ხალხი ზღავს

12

შოთა აფხაიძე:

## «ნაციონალები» ცდილობენ, ცნობილი ჯალათები ქვეყნიდან «ვირთხის ბილიკებით» სასწრაფოდ გაიყვანონ

9

16

# ახია, ღირსნი არიან!

„ადამიანმა სისხლი არ მოიწმინდა, საგანგებოდ, შეგნებულად არ მოიწმინდა. სამაგიეროდ, იცით, რა გააკეთა? „იმედის“ ჟურნალისტს ჩაარტყა და თავის კამერიანად ძირს დააგდო“

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**რით სჯობია ჩიორა თაქთაქიშვილის სისხლი, მაგალითად, ნიკა კვინტრაძის სისხლს? გირგვლიანისას? როგაქიძისას? სია გრძელია... ან რატომ თავდება მავანის თავისუფლება იქ, სადაც ჩიორას ცხვირი იწყება? და რატომ არ დამთავრდა სააკაშვილის მუშტის მოქნევის თავისუფლება იქ, სადაც, მაგალითად, პრემიერ-მინისტრ გეგა მგალობლიშვილის ცხვირი იწყებოდა?**

# ხორუმი დანაღმულ ველზე

**2008 წელს დიდგორობისთვის დაგეგმილი „ძლევაი საკვირველი“ სააკაშვილმა სამარცხვინოდ მოიმკო. ახლა 8 თებერვალი, წმინდა დავით მეფის ხსენების დღე, არშემდგარმა აღმაშენებელმა ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ატეხილი მუშტი-კრივით აღნიშნა. რამდენიც უნდა ილაპარაკონ უგულავამ და სხვა დიდ-პატარა „ნაციონალებმა“, რომ მათ „ბრბო“ გაუსწორდა, აქციის მონაწილეთა პროვოცირება სწორედ მათი მხრიდან მოხდა. დიდი მიხვედრა არ უნდა იმას, რომ 9-წლიანი ტერორის შემდეგ მხოლოდ მათი დანახვაც კი გამოიყვანს წყობიდან გუშინდელ პატიმარს, არამცთუ აშკარა გამოწვევა, ხელების ქნევა და გინება!**

11 თებერვალს სააკაშვილმა, როგორც სჩვევია, ცეცხლზე ნავთი დაასხა. პარლამენტის თავმჯდომარესთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე მან „ბრბო“ დააწინაურა და „კრიმინალურ ბანდად“ შერაცხა: **„უკიდურესად შეშფოთებული ვარ, რაც მოხდა ეროვნული ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორაზე, როცა ადგილი ჰქონდა მასობრივ ეგზეკუციას ციხიდან გამოსულ კრიმინალთა ბანდის მიერ და არა ხალხის მიერ ოპოზიციის მიმართ. ჩვენ ყველანი დაინტერესებულნი ვართ, რომ ეს აღარ განმეორდეს. ჩვენ დაინტერესებულნი ვართ, რომ დისკუსიამ გადაინაცვლოს პარლამენტის კედლებში და არა ქუჩებში. ქუჩებში ჩხუბიდან ბევრად უფრო კატასტროფულ მოვლენებამდე ნახევარი ნაბიჯია და ჩვენ აღარასდროს უნდა მივიდეთ ასეთ ზღვარზე, სადაც საქართველო 90-იან წლებში იყო. ეს იყო ჩვენი პრინციპული მოსაზრება და ბატონი დავითი იზიარებს ჩვენს შეშფოთებას“,** – აღნიშნა პრეზიდენტმა.

ეს უტიფარი ჩვევა, სხვას მიაწერო შენთვის სასურველი შეფასება, სააკაშვილს იმდენჯერ გაუვიდა, რომ ამჯერადაც „სიტუაციის ბატონ-პატრონობას“ ეცადა, თუმცა სრულიად მოულოდნელად დავით უსუფაშვილმა იქვე ცივი წყალი გადაასხა: **„ჩვენ არ გვისაუბრია იმაზე, რაზეც პრეზიდენტმა დასაწყისში ისაუბრა – ჩვენ ამაზე არ ვთანხმდებით და ვერ შევთანხმდებით. იმ აქტით, რომელსაც ხელი მოვაწერე, თავისუფლება მიიღეს სწორედ პოლიტიკურმა პატიმრება და დევნილებმა. საჯარო ბიბლიოთეკასთან კრიმინალთა ბრბო არ დამინახავს. იქ იყო შეკრებული ხალხი, რომელიც პროტესტს გამოხატავდა და ამ დროს ადგილი ჰქონდა კანონდარღვევას. ჩვენ განვაცხადეთ, რომ ყველა კანონდამრღვევი უნდა დაისაჯოს. რაზეც ვთანხმდებით, არის ის, რომ მსგავსი მოვლენები ქვეყანას არ წაადგება, ვისი მიზეზითაც არ უნდა იყოს ის დაგეგმილი, პროვოცირებული, თუ ბოლომდე ყურადღება ვერმიქცეული. ამიტომ სწორია პოლიტიკური პროცესის სწორედ პარლამენტში გადატანა“.**

კიდევ ერთ შეკამათება მაშინ მოხდა, როცა ჟურნალისტის შეკითხვაზე საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ პრეზიდენტმა უმცირესობის წევრი დეპუტატებისთვის ხელების გადაგრეხვის პოლიტიკაზე დაიწყო საუბარი. პარლამენტის თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ მიუთითა სააკაშვილს, რომ ჟურნალისტის შეკითხვისთვის გაეცა პასუხი.

**„ტელედებატებში ვართ?“** — იკითხა პარლამენტის თავმჯდომარემ. **„დიახ, ტელედებატებში ვართ“,** — უპასუხა მიხეილ სააკაშვილმა. და ისევ დაუძლეველი სურვილი, ხაზი გაუსვას საკუთარ პირველკაცობას, ასეთ ვერბალურ კონსტრუქციაში თავსდება: **„მე არ ვარ მხოლოდ ოპოზიციის ლიდერი, მე, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, საქართველოს პრეზიდენტი ვარ“.** შემდეგ — დაჟინება, რომ იგი მხოლოდ იმ პარლამენტში გამოვა სიტყვით, რომელიც ქუთაისშია.

და ისევ — უსუფაშვილის პასუხი ისეთ ტონში, როგორითაც თავგასულ ბავშვს მიმართავენ: **„რა თქმა უნდა, ბატონო პრეზიდენტო, თქვენ ქუთაისის პარლამენტში მოგიწევთ გამოსვლა. რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვაპირებთ თქვენს მოსმენას ნოემბერში ან დეკემბერში, როცა აღარ იქნებით პრეზიდენტი და როცა პარლამენტი შეიძლება იყოს სხვაგან. თბილისში პარლამენტის შენობა იმდენად მიანგრ-მოანგრიეთ, რომ მის ჭკუაზე მოყვანას 6 თვე მაინც სჭირდება“!**

შემდეგი რაუნდი სააკაშვილმა ისევ ეროვნულ ბიბლიოთეკასთან მომხდარს მიუძღვნა: **„დღეს მოვისმინე განმარტება, რომ თურმე სახელმწიფო დაცვის სამსახურს უნდა განეხორციელებინა ქუჩაში წესრიგის დაცვა. მსოფლიოს ერთი ქვეყანა მაინც დამისახელეთ, რომელშიც სახელმწიფო დაცვის სამსახური ქუჩაში ამყარებს წესრიგს“! პარლამენტის თავმჯდომარემ მას სიტყვა შეაწყვეტინა და შემდეგი შეკითხვით მიმართა: „ბატონო მიხეილ, ამისთვის შევიკრიბეთ აქ?!“**

**მიხეილ სააკაშვილი:**

**„ბოდიში, ბოდიში. მაგრამ პრემიერ-მინისტრი ვალდებულია, რომ ასეთ საგანგებო სიტუაციაში მოვიდეს პრეზიდენტთან შეხვედრებზე“.**

**დავით უსუფაშვილი:**

**„თქვენ ბრძანებთ, რომ დღეს პრემიერ-მინისტრი უნდა მოსულიყო აქ?“**



**სააკაშვილ-უსუფაშვილის გაპაექრება ის იშვიათი შემთხვევა იყო, როცა რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარემ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას ნამდვილად აგრძნობინა საკუთარი ღირსება. მანამდე სააკაშვილი საკუთარი «ქურდული» სიტყვის დაგდებას ყოველთვის ახერხებდა**

**მიხეილ სააკაშვილი: „იმედია, რომ მომავალში მოვა“.**

**დავით უსუფაშვილი:**

**„კი, ბატონო, რა თქმა უნდა, მოვა“.**

როგორც უგულავა „იბარებს“ პროკურორებს საკუთარ კაბინეტში, ისევე „დაიბარა“ სააკაშვილმა ივანიშვილი. ეს ერთი ხელწერაა — აქ მე ვარ უფროსი და, როგორც მე ვიტყვი, ყველაფერი ისე იქნება! **სააკაშვილ-უსუფაშვილის გაპაექრება ის იშვიათი შემთხვევა იყო, როცა რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარემ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას ნამდვილად აგრძნობინა საკუთარი ღირსება. მანამდე სააკაშვილი საკუთარი „ქურდული“ სიტყვის დაგდებას ყოველთვის ახერხებდა.**

ძველი და ახალი ხელისუფლების ურთიერთობა სულ უფრო ემსგავსება ხორუმს დანაღმულ ველზე. მხოლოდ უსუფაშვილის ნათელი პოზიცია ვერ ამოავსებს იმ მშიერ უფსკრულს, რომელსაც უსამართლობის შეგრძნება ჰქვია.

უმოწყალოდ დახვრეტილი გენერალ კრიალაშვილის დედის კივილი სატელევიზიო ეთერშიც გარკვევით ისმოდა: „რატომ მომიკალით შვილი“? უგულავამ ქალს ხელი ჰკრა. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო გაწევ-გამოწევა.

**რით სჯობია ჩიორა თაქთაქიშვილის სისხლი, მაგალითად, ნიკა კვინტრაძის სისხლს? გირგვლიანისას? როგაქიძისას? სია გრძელია... ან რატომ თავდება მავანის თავისუფლება იქ, სადაც ჩიორას ცხვირი იწყება? და რატომ არ დამთავრდა სააკაშვილის მუშტის მოქნევის თავისუფლება იქ, სადაც, მაგალითად, პრემიერ-მინისტრ გეგა მგალობლიშვილის ცხვირი იწყებოდა?**

გოკა გაბაშვილმა ამას წინათ სატელევიზიო ეთერში საკუთარი თანაგუნდელების ცემის გამო ბევრი ივიშვიშა, თუმცა მისი ბავშვობის მეგობრის, პრემიერ-მინისტრ გეგა მგალობლიშვილის ცემაზე თავის დროზე სიტყვაც არ დასცდენია. მეტიც, გერმანიაში გაქცეულ გეგას სააკაშვილმა მთელი დელეგაცია გაუგზავნა, რათა იმის თქმაზე დაეყოლიებინა, რომ მათ შორის არაფერი მომხდარა და გერმანიაში სამკურნალოდ იყო წასული!

„ნაციონალებს“ ერთობ საინტერესო რეაქცია აქვთ, როცა საზოგადოება მათ ძველ ცოდვებს და დანაშაულებს შეახსენებს: – კი, ბატონო, ჩვენ ცუდად ვიქცეოდით, მაგრამ ეს თქვენ არ გაძლევთ უფლებას, რომ ასევე ცუდად მოიქცეთ! როგორც აქუბარდია იტყოდა, **„კაააი, კაცო“! შენ ცემის უფლებაც გაქვს, ციხეში ათასობით უდანაშაულო ადამიანის ჩაყრისაც, უსამართლო სასამართლოსიც, წამებისაც, სხვას კი იმის უფლებაც არა აქვს, რომ ეს ყველაფერი შეგახსენოს?**

სააკაშვილი მას შემდეგ გახდა „ვაჟკაცი“, რაც პრეზიდენტის სავარძელში ჩაბრძანდა და საკუთარი დაცვის იმედზე ხელებსაც და ფეხებსაც გასაქანი მისცა. რამდენიც უნდა იხუმროს იმაზე, რომ ტელევიზორის პულტის სროლა მოუგონეს (ასეთი გამოსვლაც ჰქონდა), მისი მოუზომავი ქცევა იმდენად თვალშისაცემია, რომ ეჭვი არავის ეპარება მის მიერ დღეს დაგმობილი ცემა-ტყეპის მიმართ მიდრეკილებაში.

**უსუფაშვილის მიერ პირწმინდად მოგებული სატელევიზიო შერკინება სააკაშვილს სულაც არ შეცვლის. საზოგადოდ, უტიფრობა „ნაციონალური“ გუნდის განუყოფელი თვისებაა. ისინი კვლავაც არაერთხელ ეცდებიან ახალი მთავრობის „წამოკიდებას“. მოვლენათა ესკალაცია სწორედ მათ აძლევს ხელს.** მთავრობის დათხოვნაზე მეოცნებენი არც სამოქალაქო დაპირისპირებაზე დაიხევენ უკან. ახლა თავს იკატუნებენ, რომ სააკაშვილისთვის მთავრობის ერთპიროვნულ დანიშვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ კონსტიტუციაში საქართველოს სამარადჟამო ევროატლანტიკურ ორიენტაციაზე ჩანაწერის გაკეთებას ითხოვენ.

კითხვაზე, რატომ არ ჩაწერეს კონსტიტუციაში ეს სისულელე, როცა პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა ჰყავდათ, პასუხი ასეთი აქვთ: **„ჩვენთვის ეს კურსი ეჭვქვეშ არასოდეს იდგა, ახლა კი ვშიშობთ, რომ ახალი ხელისუფლება კურსს შეცვლის“.** რაგინდ სასაცილოდ არ უნდა გეჩვენოთ, ამას ის გია ბარამიძე აცხადებს, რომელმაც 1993 წელს დსთ-ში შესვლას მისცა ხმა, ხოლო 2008 წელს დსთ-დან გამოსვლის შესახებ გააკეთა განცხადება, რასაც რუსეთის მხრიდან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება მოჰყვა! ვინმეს სჯერა, რომ თუნდაც ამ ერთი „ნაციონალის“ კურსი და პოზიცია ოდესმე ურყევი იყო? ლაპარაკიც არ ღირს იმ დეპუტატებზე, რომლებიც ვარდების რევოლუციად წოდებული სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ მსოფლიო რუკაზე ნატოს გულმოდგინედ ეძებდნენ.

უსუფაშვილ-სააკაშვილის დუელზე სტატისტის როლში მყოფი პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე დავით ბაქრაძე თითქმის ისეთივე გამომეტყველებით იდგა ტრიბუნასთან, როგორც 2008 წელს, როცა რუსის ჯართან დანაჩანგლით შერკინებისკენ მოგვიწოდებდა. ოპოზიციაში ყოფნა არც მას უნდა. იგი ამას არ არის ჩვეული. საინტერესოა, **ნატოს წევრი რომელიმე სახელმწიფოს პარლამენტის თავმჯდომარეს 10 ათასი რომ დაეხარჯა ბიუჯეტიდან კერძო საუბრებისთვის, მას ოპოზიციაში დატოვებას აკმარებდნენ?** ან **იმავე ნატოს წევრი რომელიმე სახელმწიფოს დედაქალაქის მერი რომ დაკითხვაზე დაებარებინათ და არ გამოცხადებულიყო, ამას „კოჰაბიტაციას“ დაარქმევდა ვინმე?**

ეს ხორუმი დანაღმულ ველზე სიკეთეს ნამდვილად არ მოიტანს. არც დასავლეთის შეშფოთება-აღშფოთება არის რაიმეს მომტანი დღევანდელ ვითარებაში. მმართველ ძალას უნდა ეყოს გამბედაობა, ხალხის სასიკეთოდ, ზოგჯერ ფაქტის წინაშეც დააყენოს შეშფოთებული მეგობრები. სხვაგვარად, ვიდრე ისინი აქაურ ამბებსა და პერსონალიებში ბოლომდე გაერკვევიან, შესაძლოა გვიანიც იყოს.

**P.S. შარშან ქართულ ინტერნეტში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ინფორმაციამ ფარაონ ტუტანჰამონის ქართული წარმომავლობის შესახებ. სინამდვილეში მკვლევარებმა გენეტიკური ანალიზის შემდეგ დაასკვნეს, რომ ძველი ეგვიპტის ფარაონი კავკასიურ რასას განეკუთვნება. უკანასკნელ ათწლეულებში თეორია რასების შესახებ შეიცვალა, ევროპეიდულ რასას აღარავინ ახსენებს, ეს ტერმინი „კავკასიურმა რასამ“ ჩაანაცვლა. „სამარადჟამო“ ევროპული ორიენტაციაც რაღაც დროის შემდეგ, შესაძლოა, შეიცვალოს, თუმცა გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ — კონსტიტუციაც არ არის „სამარადჟამო“ დოკუმენტი. ეს თავად მის თერძებს — „ნაციონალ“ დეპუტატებსაც კარგად მოეხსენებათ.**

**მაშ, რა საჭიროა ეს უსაგნო კამათი? ვის შეაშინებს ეს საკონსტიტუციო ჩანაწერი? რუსეთს? სულაც არა. რუსეთისთვის ის კი არ არის მნიშვნელოვანი, რომ საქართველს ევროპული არჩევანი აქვს, არამედ ის, რომ ეს არჩევანი ავტომატურად ანტირუსული არ გახდეს. თუ პრობლემა მხოლოდ ამ ჩანაწერშია, დაეთანხმეთ და ჩაწერეთ, ბატონებო, ოღონდ გახსოვდეთ, რომ სააკაშვილი არც ამით დამშვიდდება. იგი დანაღმულ ველზე გაცეკვებთ.**

**რა უფრო აახლოებს ირაკლი ალასანიას დასახულ მიზანთან ამ ეტაპზე — კონფრონტაცია ბიძინა ივანიშვილთან თუ თანამშრომლობა მასთან? თანამშრომლობამ მის გუნდს მთავრობაში შესაშური პოზიციები მოუტანა, რაც შეეხება კონფრონტაციას, მასთან დაკავშირებული სირთულეები საკუთარ თავზე, პრინციპში, არ გამოუცდია, თუმცა შეუძლია ნახოს, რა უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფება დღეს მიხეილ სააკაშვილი.**



**დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ტროას ომი თუ ოპერაცია «ალასანიას ტრესტი»?

**იმ სულიერ მდგომარეობას, რომელშიც დღეს „ნაცმოძრაობის“ წევრების უმრავლესობა იმყოფება, ყველაზე კარგად, ალბათ, მისი ერთ-ერთი აქტივისტის რეპლიკა გადმოსცემს: „ბიუჯეტი ვერ შეივსება, უნდა გითხრათ და ეხლა ჩემ მეგობარ პენსიონერებს ვეუბნები, რომ ძალიან მალე პენსიას ვერ მიიღებთ და ძალიან მიხარია“. ამ ფრაზას დარბაზში მყოფი მისი თანაპარტიელები მქუხარე ტაშით შეეგებნენ (11 თებერვლის შეხვედრა „ნაცმოძრაობის“ სათაო ოფისში).**



პენსიებს თავი დავანებოთ; თითქმის ყველა კრიმინალურ შემთხვევას ისინი სოციალურ ქსელებში ძალიან ცუდად შენიღბული სიხარულით ხვდებიან და ამის უამრავი მაგალითი არსებობს. „არ გინდოდათ სააკაშვილი?“ — ნიშნისმოგებით იმეორებენ ისინი, როდესაც ქვეყანაში რაიმე უსიამოვნო ხდება, თუნდაც ისეთი რამ, რაც მათი მმართველობის წლებში არაერთგზის მომხდარა და რისგანაც არც ერთი, თუნდაც ზე დალაგებული, ქვეყანა დაზღვეული არაა.

ძველი ოპოზიცია ანგელოზთა დასს ნამდვილად არ წარმოადგენდა, თუმცა მე ვერ ვიხსენებ შემთხვევას, როდესაც სააკაშვილის რომელიმე, თუნდაც ყველაზე რადიკალურ, ოპონენტს გახარებოდა, რომ პენსიონერებს (ან, ზოგადად, მძიმე სოციალურ პირობებში მყოფ პირებს) უჭირთ ან ახლო მომავალში შეიძლება ახალი პრობლემები შეექმნათ. ამისთვის, ალბათ, საჭიროა განსაკუთრებულ, ტრანსულ მდგომარეობაში შესვლა და სამშობლოს, თანამემამულეების და ზოგადად, კაცთა მოდგმის შეძულება; აბა, სხვანაირად, **როგორ უნდა მოგიბრუნდეს ენა, რომ მოხუც, გაჭირვებულ ადამიანს უთხრა: „პენსიას ვერ მიიღებ და ძალიან მიხარია“.** კლასიკური შიზოფრენია და თანამედროვე მიშიზმი ამ რეპლიკაში ერთმანეთს ძალიან მჭიდროდ ერწყმის.

როდესაც ისინი ტაშს უკრავდნენ ამ ფრაზას, ცხადი გახდა, რომ ჯერაც ვერ გაიგეს, თუ რატომ წააგეს არჩევნები და რატომ დაემსგავსა მათი რეიტინგი იერიქონის კედელს, რომელიც აღდგენას არ ექვემდებარება. ნაკლებად სავარაუდოა, ამ დამოკიდებულებამ ოდესმე არჩევნები მოაგებინოს, თუმცა ამ შემთხვევაში ყველაზე საინტერესო ფსიქოლოგიური მდგომარეობაა, რომლის ქვაკუთხედს იმის მუდმივი მოლოდინი წარმოადგენს, რომ მოხდება რაღაც ძალიან ცუდი და ამომრჩეველი პირს ისევ „ნაციონალებისკენ“ იბრუნებს.

**განსაკუთრებული მონდომებით ისინი ელოდებიან განხეთქილებას „ქართული ოცნების“ რიგებში, ივანიშვილი-ალასანიას უთანხმოებას ლამის მიკროსკოპით აკვირდებიან და „თეთრ ლაქებს“ საკუთარი ინტერპრეტაციებით ავსებენ. ეს ისტორია „ნაციონალებისთვის“ გამორჩეულად მნიშვნელოვანია, თუმცა ის არა მხოლოდ მათ აინტერესებთ.**

აქ საქმე მხოლოდ ის როდია, რომ აუდიტორიას სკანდალი მოსწყურდა; მას შესაძლებლობა მიეცა, თუნდაც ცალი თვალით შეიჭყიტოს მმართველი კოალიციის კულისებში, სადაც მისთვის ამოუცნობი, ხშირ შემთხვევაში, სრულიად გაუმჭვირვალე პროცესები ვითარდება. ამასთანავე, **დაინტერესებული საზოგადოება ცდილობს, განჭვრიტოს იმ სისტემის კონტურები, რომელსაც ივანიშვილი ქმნის და გაიგოს მეტი მართვის მისეულ სტილზე. არის კიდევ ერთი ფაქტორი: ბევრ ადამიანს მოზეზრდა სიუჟეტები (ამ სიტყვის დრამატურგიული და არა სატელევიზიო მნიშვნელობით), რომლებშიც ერთ-ერთ მთავარ მოქმედ პირად სააკაშვილი ან რომელიმე მისი თანაგუნდელი გვევლინება, თუნდაც იმიტომ, რომ „ნაცმოძრაობა“, მისი ჰიპერაქტიურობის მიუხედავად, მიმავალი ძალაა, რომელიც ქვეყნის მომავალთან არ ასოცირდება**. ადამიანებს კი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ შეუძლიათ ყურადღება მხოლოდ წარსულს მიაჯაჭვონ, ეს იგივე იქნებოდა, მხოლოდ ისტორიკოსების წიგნები რომ ეკითხათ და „ვიასატ ჰისტორისთვის“ ეყურებინათ; მათ მომავალი და ახალი გმირები (ისევ და ისევ დრამატურგიული და არა „ერთიანი ნაციონალური“ გაგებით) აინტერესებთ.

საგულისხმოა, რომ გასულ კვირას სააკაშვილმა სცადა „მიერთება“ საზოგადოებისთვის აქტუალურ ალასანია-ივანიშვილის სიუჟეტთან, ალბათ, უპირველესად, იმიტომ, რომ ასე მაინც მიეზიდა საზოგადოების ყურადღება და შეექმნა შთაბეჭდილება, რომ მას ამ პროცესებში რაღაც იდუმალი როლი აკისრია. მან შეურაცხმყოფელი ლექსიკა აირჩია, ეს ძველი, პრიმიტიული ხერხია, რომელიც გამოუვალ სიტუაციებში განცხადების რეზონანსულობის გაზრდისთვის გამოიყენება: **„მე მაქვს სამი გამოხატულება — პირველი, მე ვარ პოლიტიკოსი. მე, როგორც პოლიტიკოსს, პოლიტიკოსი ირაკლი ალასანია მაინცდამაინც არ მომწონს, ხშირად ძალიან არ მომწონს. მეორე — მე ვარ ამ ქვეყნის მოქალაქე და, როგორც მოქალაქეს, არ მომწონს, როცა მას თავზე გამუდმებით აწუწებენ. მას ჰქვია საქართველოს თავდაცვის მინისტრი და დილა ისე არ გავა, რომ არ გავიგოთ, რომ მას პიროვნული თუ სხვა შეურაცხყოფა არ მიაყენეს. არ არის სწორი, განსაკუთრებით, თავდაცვის მინისტრისთვის გამუდმებით თავზე ლაფისა და ტალახის დასხმა. როგორც მოქალაქისთვის, ეს ჩემთვის სრულიად მიუღებელია. მესამე — მიუხედავად იმისა, როგორი დამოკიდებულება მაქვს მე და მე მაქვს უარყოფითი დამოკიდებულება, საკადრო რყევები დღეს თავდაცვის სამინისტროში არის მიუღებელი... ამ სიტუაციაში თავდაცვის მინისტრის შეცვლას არ დავეთანხმები“** (სააგენტო „პირველი“).

თუ ფიგურანტის „სამ გამოხატულებას“ (კიდევ კარგი, „განსახიერება“ არ თქვა) და სხვა უმნიშვნელო დეტალებს ყურადღებას არ მივაქცევთ, ვნახავთ, რომ სააკაშვილმა აღწერა ალასანიას მდგომარეობა, როგორც უკიდურესად შეურაცხმყოფელი მისი ღირსებისთვის და მის შესაძლო გადაყენებაზე მიუთითა. იყო კიდევ ერთი ქვეტექსტი — შენიღბული მოწოდება სამხედროების მიმართ საკადრო იმედები ალასანიას (როგორც ჰაერში გამოკიდებულ მინისტრს) არ დაუკავშირონ, ხოლო მუნდირის ღირსება შელახულად ჩათვალონ.

გამორიცხული არაა, რომ, ამასთანავე, ალასანიას მოჩვენებითი გამოსარჩლებით (უხეში სტილის მიუხედავად, ამ განცხადებაში ეს უდავოდ იყო) **სააკაშვილმა სცადა, გაემყარებინა ვერსია იმის თაობაზე, რომ თავდაცვის მინისტრს „ნაციონალების“ და პირადად მის მიმართ ზედმეტად ლმობიერი დამოკიდებულებისთვის სჯიან** (გამორიცხული არაა, რომ იმასაც ვარაუდობდა, რომ ამით ივანიშვილის ეჭვებს გააღრმავებს). თავის უკიდურეს ვარიანტში ეს ვერსია იქამდეც კი მიდის, რომ თავდაცვის მინისტრი თითქოსდა შეიძლება „ნაციონალებს“ შეეკრას ან სულაც, უკვე შეეკრა. ამ ვერსიის მიმზიდველობა სააკაშვილისთვის, სავარაუდოდ, იმაში მდგომარეობს, რომ მის ფარგლებში ის (და მისი გუნდი) წარმოჩენილია ანგარიშგასაწევ ძალად, ერთ-ერთ პოლუსად, რომელსაც ალასანია თავის, შესაძლოა, უცხოელ პარტნიორებთან შეთანხმებულ გათვლებში ითვალისწინებს. საინტერესოა, რამდენად ლოგიკურია ეს ვერსია.

ბიძინა ივანიშვილისა და ირაკლი ალასანიას დაპირისპირების გაღრმავებისთვის, ერთი შეხედვით, არაერთი წინაპირობა არსებობს. **ალასანია არ (ან ვერ) მალავს, რომ ყოველთვის იქნება ორიენტირებული პირველკაცობაზე, თუნდაც მიზნის მისაღწევად გარკვეული დრო და მოთმინების გამოვლენა დასჭირდეს. პარტნიორები კოალიციაში და რიგი პოლიტიკოსებისა მის გარეთ მას საშიშ კონკურენტად აღიქვამენ და არასოდეს დაიშურებენ ძალისხმევას იმისთვის, რომ ივანიშვილთან ურთიერთობა გაუფუჭონ. ალასანიას აქვს სერიოზული კონტაქტები ამერიკელ პარტნიორებთან და გამორიცხული არაა, რომ მას არ სურს, რომ ეს კომუნიკაცია ივანიშვილის სრული კონტროლის ქვეშ მოექცეს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ივანიშვილი ვერ მიანიჭებს რომელიმე პარტნიორს „პოლიტიკური მემკვიდრის“ ან „მეორე კაცის“ განსაკუთრებულ სტატუსს, დღეს ამაზე საუბარი ნაადრევია და არასასურველ შედეგებს მოიტანს**. მაგრამ ალიანსი „ნაციონალებთან“ მაინც სრულ ნონსენსად გამოიყურება; „ოცნების“ ამომრჩევლების უმრავლესობისთვის ეს იგივეა, რაც ალიანსი გერმანელ ფაშისტებთან, თანაც ასე 1945 წლის მარტში, როდესაც მათ არანაირი პერსპექტივა აღარ ჰქონდათ. ეს ალასანიას ან კოალიციის სხვა წარმომადგენელს, 99%-იანი ალბათობით, არა მხოლოდ რეიტინგის განულებას, არამედ სამარადჟამო მინუსებში გადავარდნას მოუტანს. თუ კონსპიროლოგიაა, ბარემ სრულმასშტაბიანი კონსპიროლოგია იყოს — ამ ნიადაგზე შეიძლება აღმოცენდეს ვერსია, რომ **ალასანიას და სხვა მათი გავლენის ქვეშ მყოფ პოლიტიკოსებს (მნიშვნელობა არ აქვს, რომელ პარტიაში ირიცხებიან დღეს) ივანიშვილისთვის საპირწონეს შესაქმნელად ამერიკელი პარტნიორები იყენებენ, ხოლო ივანიშვილი, თავის მხრივ, პრევენციულ ზომებს იღებს.**

თუმცა შეიძლება გაჩნდეს კიდევ ერთი, არანაკლებ კონსპიროლოგიური ვერსია იმის თაობაზე, რომ **ივანიშვილისა და ალასანიას კონფლიქტი მოჩვენებითია და მის მიზანს, რუსების თქმის არ იყოს, „ლოვლია ნა ჟივცა“ წარმოადგენს.** ზოგიერთ ორგანიზაციაში ხელმძღვანელი ხანდახან აწყობს ხმაურიან სკანდალს, ლამის ტროას ომს ერთ-ერთ მოადგილესთან, ის განრისხებული გამოდის კაბინეტიდან, მასთან მირბის ყველა, ვისაც უფროსი გულზე არ ეხატება, ზოგი დაუყონებლივ, ზოგი კი მას შემდეგ, რაც ის „ოპოზიციის ლიდერი“ ხდება, ბოლოს კი ირკვევა, რომ ეს შოუ დირექტორმა და მოადგილემ არალოიალური თანამშრომლების გამოსავლენად დადგეს. ხანდახან ეს ძველისძველი კომბინაცია გარე ძალების გეგმების ჩასაშლელად გამოიყენება (ბიზნეს-კონკურენტების, „ნაციონალების“, ამერიკელების, პაპუასების... მნიშვნელობა არ აქვს). ირაკლი ალასანია უშიშროების მინისტრის მოადგილე იყო, იცის, რასაც ნიშნავს სიტყვები „ოპერაცია ტრესტი“ და მსგავსი ტიპის თამაშის დამაჯერებელი წარმოება, წესით, არ უნდა გაუჭირდეს.

ამდენი კონსპიროლოგიის გადამკიდე, ალბათ, სასურველია, ჩვეულებრივ ლოგიკას მოვუხმოთ. **რა უფრო აახლოებს ირაკლი ალასანიას დასახულ მიზანთან ამ ეტაპზე — კონფრონტაცია ბიძინა ივანიშვილთან თუ თანამშრომლობა მასთან?** თანამშრომლობამ მის გუნდს მთავრობაში შესაშური პოზიციები მოუტანა, რაც შეეხება კონფრონტაციას, მასთან დაკავშირებული სირთულეები საკუთარ თავზე, პრინციპში, არ გამოუცდია, თუმცა შეუძლია ნახოს, რა უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფება დღეს მიხეილ სააკაშვილი.

**რეალურია კონფლიქტი ივანიშვილსა და ალასანიას შორის თუ მოდელირებული?** (ამ სიტყვამ ქართულ ენაში „ნაციონალების“ პროპაგანდის გადამკიდე განსაკუთრებული ჟღერადობა შეიძინა). არის ერთი ფაქტორი, რომელმაც შეიძლება მეორე ვარაუდისკენ წაგვიყვანოს: ეს გაკეთებული განცხადებების ოდნავ გადაჭარბებული სიმკვეთრე და დემონსტრაციულობაა, ის, რომ კავშირი უთანხმოების დეკლარირებულ მიზეზს და დამდგარ შედეგს შორის (გავიხსენოთ ივანიშვილის შესაბამისი განცხადებები) ოდნავ არაბუნებრივი ჩანს. გამორიცხული არაა, რომ ეშმაკი სწორედ ამ დეტალებში იმალება. ფსიქოლოგიური გათვლა შეიძლება შემდეგ გარემოებას ეფუძნებოდეს: მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი, ხავსს ჩაჭიდებული „ნაციონალები“ (თუ ვინც იქნება, ახლა ან მომავალში; ეს მცირე შენიშვნა მნიშვნელოვანია), დიდი ალბათობით, ირაციონალური აღტკინებით დაიჯერებენ, რომ ალასანიასთან დაკავშირებით მოვლენები სწორედ ისე ვითარდება, როგორც მათ სურთ. ეს მათი და, უპირველეს ყოვლისა, მათი ბელადის საფირმო თვისებაა, დაინახონ ის, რაც უნდათ, და არა ის, რაც რეალურად არის; ამ შედეგის მისაღწევად შეიძლება თვალებიც კი დახუჭონ.

ისე, საინტერესო კია, **გამწარდებიან თუ არა ისინი, როდესაც გაიგებენ, რომ ბიუჯეტი შესრულდა და პენსიები დარიგდა? ატირდებიან თუ არა, როდესაც დარწმუნდებიან, რომ ივანიშვილი და ალასანია ერთ თამაშს თამაშობენ?** ალბათ, არა. ისინი, უბრალოდ, იტყვიან, რომ პენსიები სინამდვილეში არ დარიგებულა, ხოლო კოალიციის ლიდერებმა ერთმანეთი დახოცეს.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**8 თებერვალს სააკაშვილს თავის პოლიტიკურ ბიოგრაფიაში ერთ-ერთი ყველაზე სუსტი გამოსვლა ჰქონდა; მან, როგორც ჩანს, ნერვული სტრესის დაძლევა ვერ შეძლო. გამოსვლას, როგორც შინაარსობრივი, ისე ვიზუალური თვალსაზრისით, დამაჯერებლობა აკლდა და ის ყველაზე მეტად ჰგავდა იმ მძიმე მდგომარეობის თვალსაჩინო ილუსტრაციას, რომელშიც სააკაშვილი და მისი ჯგუფი იმყოფება.**



## უზულავას მოადგილემ თანამდებობა დატოვა

**გავრცელებული ინფორმაციით, თბილისის ვიცე-მერმა, ტარიელ ხიზანეიშვილმა, თანამდებობა დატოვა. აღნიშნული გადაწყვეტილება ხიზანეიშვილმა, სავარაუდოდ, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში მისი დაკითხვის შემდეგ მიიღო. ხიზანეიშვილი საგამოძიებო უწყებაში „თბილსერვის ჯგუფის“ საქმეზე დაკითხეს.** კულუარული ინფორმაციით, ტარიელ ხიზანეიშვილმა დაკითხვაზე დედაქალაქის მერის წინააღმდეგ ჩვენება მისცა.



## თემურ ჭყონია «კასტელ-საქართველოს» ყიდულობს

**„კომერსანტისთვის“ სარწმუნო წყაროდან ცნობილი ხდება ერთ-ერთი ბიზნესგარიგების შესახებ. ბიზნესმენი თემურ ჭყონია „კასტელ-საქართველოს“ შეძენასთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს აწარმოებს.**

ოფიციალურად ეს ინფორმაცია არ ხმაურდება. თავად თემურ ჭყონია commersant.ge-სთან აცხადებს, რომ ამგვარი გარიგების მცდელობაც არ ჰქონია.

„კასტელ საქართველოში“ ამ საკითხზე ინფორმაციას არ ფლობენ. „კასტელ საქართველო“ ქვეყანაში ლუდის და ლიმონათის ერთ-ერთი მსხვილი მწარმოებელია. მისი პროდუქცია არამხოლოდ ქართულ ბაზარზეა წარმოდგენილი, არამედ ექსპორტზე რამდენიმე ქვეყანაში გადის.

**საჭადრაკო პარტია ივანიშვილი-სააკაშვილი დასასრულს მიუახლოვდა. ის, რაც დაფაზე ხდება, უკვე არც ისე საინტერესოა — სააკაშვილის შიშველი მეფე, ორი ბლოკირებული ტურა და რამდენიმე გზააბნეული პაიკი წინააღმდეგობის გასაწევად საკმარისი არაა. ის ცუგცვანგშია, ნებისმიერი მომდევნო სვლა მის მდგომარეობას აუარესებს. გასულ კვირას გამოჩნდა პირველი ნიშნები იმისა, რომ სააკაშვილი მზადაა, მარცხი აღიაროს. მისი 8 თებერვლის გამოსვლის და ოპონენტის თანმდევი კომენტარების ანალიზმა შეიძლება მიგვიყვანოს დასკვნამდე, რომ თამაში მალე დასრულდება და ივანიშვილის გამარჯვება საბოლოოდ გაფორმდება.**

# სააკაშვილის კაპიტულაცია ახლოვდება?

## კიდევ რამდენჯერ უნდა მოვუსმინოთ?

„საქართველო და მსოფლიოს“ დღევანდელ ნომერში 8 თებერვლის ინციდენტს არაერთი საინტერესო პუბლიკაცია მიეძღვნა, ამიტომ ამ წერილში მხოლოდ მომდევნო მოვლენების პოლიტიკურ და საინფორმაციო-ფსიქოლოგიურ დატვირთვაზე ვისაუბრებთ. შეხლა-შემოხლამ ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ტელეეკრანებს ძალიან დიდი, ემოციურად დამუხტული აუდიტორია მიაჯაჭვა. პარადოქსულია, მაგრამ იმ საღამოს ბევრმა ისეთმა ადამიანმაც კი, ვინც მიხეილ სააკაშვილს დიდი ხანია აინუნშიც არ აგდებს, შესაძლოა, პირველად თვეების განმავლობაში მისი გამოსვლა ყურადღებით მოისმინა, რადგან მას ქუჩაში განვითარებულ მოვლენებთან ერთ კონტექსტში განიხილავდა. „ნაცმოძრაობის“ ბელადს ჰქონდა შანსი, ესარგებლა გაზრდილი ინტერესით, საკუთარი მიმართვა იმ დაძაბული დღის ნამდვილ კულმინაციად გადაექცია და გარკვეული ქულებიც დაეწერა, თუმცა მან ეს ვერ მოახერხა. **8 თებერვალს სააკაშვილს თავის პოლიტიკურ ბიოგრაფიაში ერთ-ერთი ყველაზე სუსტი გამოსვლა ჰქონდა; მან, როგორც ჩანს, ნერვული სტრესის დაძლევა ვერ შეძლო. გამოსვლას, როგორც შინაარსობრივი, ისე ვიზუალური თვალსაზრისით, დამაჯერებლობა აკლდა და ის ყველაზე მეტად ჰგავდა იმ მძიმე მდგომარეობის თვალსაჩინო ილუსტრაციას, რომელშიც სააკაშვილი და მისი ჯგუფი იმყოფება.**

ვიდრე მის მთავარ გზავნილზე გადავალთ, აუცილებლად უნდა შევეხოთ ერთ იურიდიულ ნიუანსს — **ფიგურანტის 8 თებერვლის გამოსვლა ვერანაირად ვერ ჩაანაცვლებს ყოველწლიურ მოხსენებას, რომლის წარდგენის ფორმა გაწერილია კანონმდებლობაში,** მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილის ადმინისტრაციისა და პარტიის წარმომადგენლების კომენტარებში ეს ორი გამოსვლა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში განიხილებოდა (პრაქტიკულად — როგორც „ერთი და იგივე“). კონსტიტუციის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, **„პრეზიდენტი უფლებამოსილია, მიმართოს ხალხს და პარლამენტს. წელიწადში ერთხელ იგი პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე“.** მოხსენების წარდგენის ფორმას პარლამენტის რეგლამენტის მე-200 მუხლი არეგულირებს: **„პარლამენტი, როგორც წესი, საგაზაფხულო სესიის პლენარული სხდომების პირველ დღეს, საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, ისმენს საქართველოს პრეზიდენტის ყოველწლიურ მოხსენებას ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე... შესვენების შემდეგ იმართება ფრაქციების თავმჯდომარეთა გამოსვლები, რომელთა ხანგრძლივობას ადგენს პარლამენტის ბიურო, ან შეიძლება გაიმართოს დებატები... დებატების შემდეგ შეიძლება მიღებულ იქნეს რეზოლუცია“.**

ვინაიდან არაფერი მსგავსი არ მომხდარა, სააკაშვილი კვლავინდებურად ვალდებულია წარუდგინოს მოხსენება პარლამენტს და ამაზე უარის თქმა, ფაქტობრივად, კონსტიტუციის წინააღმდეგ წასვლა იქნება. მართალია, ბევრმა შეიძლება ეს პრობლემა უმნიშვნელოდ ჩათვალოს, მას შემდეგ, რაც სააკაშვილის უფლებამოსილების ხელოვნურმა გახანგრძლივებამ კონსტიტუციის 70-ე მუხლში გაწერილი ნორმების დარღვევა გამოიწვია (თანამდებობაზე ყოფნის ხუთწლიან ვადასთან დაკავშირებით), მაგრამ მსჯელობა კონსტიტუციის დარღვევაზე კატეგორიებით „ცუდი და უარესი“ ან „დიდი და პატარა“ კარგს, ალბათ, არაფერს მოიტანს. ყოველივე მომხდარის შემდეგ, საზოგადოების დიდი ნაწილი, სავარაუდოდ, მივა დასკვნამდე, რომ **სააკაშვილის მიყვანა პარლამენტში, რათა იგივე ან დაახლოებით იგივე, კიდევ ერთხელ გაიმეოროს, სრული აბსურდია.** აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ სიტყვები „როგორც წესი“ პარლამენტის რეგლამენტის მე-200 მუხლში ორივე მხარეს შესაძლებლობას აძლევს, სიტუაცია ჩიხში შეიყვანონ და აშკარა კანონდარღვევის გარეშე მიაღწიონ იმას, რომ ამ მოხსენებას ადგილი საერთოდ არ ჰქონდეს (ალბათ, სასურველია, რომ მომავალში ეს მუხლი ვადებთან მიმართებაში უფრო მკაფიო გახდეს).



კვირას სააკაშვილმა განაცხადა: **„თანახმა ვარ, მივიდე პარლამენტში და იქიდან მივმართო საზოგადოებას სიტყვით, რაც თავიდანვე არ უნდა გაეუქმებინათ“.** სიზუსტისთვის, ალბათ, უნდა აღინიშნოს, რომ მისი გამოსვლა კი არ გაუუქმებიათ, არამედ გადადეს, თუმცა ყველაზე საინტერესო ტელემაყურებელთა ფართო მასებისთვის, ალბათ, ის იქნება, **მოუწყობენ თუ არა სააკაშვილს რადიკალური მოწინააღმდეგეები „სირცხვილის დერეფანს“ პარლამენტის შენობასთან (თუ მივა) და რა მოვლენები განვითარდება იქ.**

ნებისმიერ შემთხვევაში, **სააკაშვილის 8 თებერვლის „რეჩი“ არ წარმოადგენდა ყოველწლიურ მოხსენებას იურიდიული თვალსაზრისით და, კაცმა რომ თქვას, მას არც ფორმით და შინაარსით მოაგონებდა; ეს იყო არა სახელმწიფო მეთაურის** (მიუხედავად იმისა, აღიარებს თუ არა საზოგადოების უმრავლესობა ასეთად) **დაბალანსებული და თავდაჯერებული გამოსვლა, არამედ მხოლოდ ერთი, გასაჭირში ჩავარდნილი პოლიტიკური პარტიის ლიდერის მელოდრამატული მონოლოგი.**

ამ შთაბეჭდილებას ამყარებდა ის განცდა, რომ სააკაშვილს შეიძლება რამდენიმე წამში გული წაუვიდეს (ან ატირდეს), რაზეც სოციალურ ქსელებში ასობით ტელემაყურებელმა მიუთითა; ფიგურანტი მართლაც ძალიან ცუდად გამოიყურებოდა. გამორიცხული არაა, რომ **ამ სანახაობამ საბოლოოდ დაარწმუნა დარბაზში მყოფი უცხოელი დიპლომატები იმაში, რომ სააკაშვილი პოლიტიკური გვამია, რომელსაც ძველი რეჟიმის აღდგენა კი არა, საკუთარი თავის გაკონტროლება აღარ შეუძლია.**

სააკაშვილი შეძლებისდაგვარად ცდილობდა, თავი კოაბიტაციის სულისკვეთებით გამსჭვალული მამა აბრამის ბატკნად წარმოეჩინა. ყველაზე მეტად კი (ექსპერტების და რიგითი ტელემაყურებლების რეაქციის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ) აუდიტორია იმ მონაკვეთმა დააინტერესა, რომელშიც „ნაცმოძრაობის“ ბელადმა სცადა იმ მოსაზრების უარყოფა, რომ მთავრობის დათხოვნის უფლების გამოყენებას აპირებს: **„ძალიან კარგად მესმის პოლიტიკური დინამიკა და ძალიან კარგად ვიცი, რომ მთავრობის დათხოვნა, მით უფრო, ამ ეტაპზე, სამ, ოთხ, ხუთ თვეში დამანგრეველია, უპირველესად, მისთვის, ვინც ამას გააკეთებს; იმ პოლიტიკური ძალისთვის, ვინც ამის** ▶

მოკლედ

## კეთილი ინებოს პრემიერმა და...

**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მისსავე ადმინისტრაციაში უმრავლესობის ერთ-ერთ ლიდერ დავით უსუფაშვილთან შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებთან განაცხადა, რომ პრემიერ-მინისტრი ვალდებულია, „კეთილი ინებოს და პრეზიდენტის წინაშე წარსდგეს“.** ის ვალდებული იყო, მოსულიყო და იმედი მაქვს, რომ მომავალში მოვა“, — აცხადებს სააკაშვილი. როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, საფრანგეთის კონსტიტუციით პრემიერი კვირაში ერთხელ უნდა წარსდგეს პრეზიდენტთან. **„თქვენი პრემიერ-მინისტრი უნდა მოსულიყო აქ. დავით უსუფაშვილის ჩართულობას დიალოგში ჩვენ ვაფასებთ, მაგრამ პრემიერ-მინისტრი თავად უნდა ჩართულიყო ამ საკითხში“,** — დასძინა მიხეილ სააკაშვილმა.

## კანდელაკი, დედაქალაქის მერის მსგავსად, გამომძიებლებს თავისთან იბარებს

**კანდალიკი ფეისბუქის გვერდზე წერს, რომ ის და მისი კოლეგები სამართალდამცველებს პარტიის ოფისში ელიან.**

„თუ ორგანიზატორს ეძებენ, ჩვენი ჩვენება ამაში ვერ დაეხმარებათ, ხოლო თუ კიდევ რამდენიმე ასეული ლარის შეგროვება სურთ, ვითომ ობიექტური სურათის დასახატად, ამ ცირკში ჩვენ მონაწილეობას არ მივიღებთ“, — წერს კანდელაკი.

**ივანიშვილმა მიანიშნა, რომ შეუძლია ყოფილ მმართველებს გარკვეული გარანტიები მისცეს, თუმცა ის ყოვლისმომცველი ვერ იქნება: „მზად ვარ პრეზიდენტთან და მის პოლიტიკურ გუნდთან ურთიერთობისთვის კონსტიტუციისა და კანონის უზენაესობის პრინციპების განუხრელი დაცვით. ძალადობრივი დანაშაულის პატიების უფლება ჩემთვის არავის მოუცია. ყველა სხვა საკითხზე მზად ვარ გონივრული კომპრომისებისთვის ჩვენი საერთო სამშობლოს საკეთილდღეოდ“.**

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **ინიცირებას მოახდენს“.** მართალია, სააკაშვილის მოწინააღმდეგეებს მისი ერთი სიტყვისაც არ სჯერათ, თუმცა კონკრეტულად ეს სიტყვები რეალობისგან არც ისე შორია, **„ნაციონალებს“ არ აქვთ რესურსი „საკონსტიტუციო გადატრიალებისთვის“ და დღეს მათ წინაშე გაცილებით მოკრძალებული ამოცანები დგას, კერძოდ, საკუთარი თავის გადარჩენა და ქართულ პოლიტიკაში ლეგიტიმურ ოპოზიციურ ძალად დამკვიდრება, რაზეც ოპონენტების უმრავლესობა, ფაქტობრივად, უარს ეუბნება.** ცხადია, თქმული არ ნიშნავს, რომ სააკაშვილს ხსენებული უფლება არ უნდა ჩამოერთვას; პრევენციას თავი რომც დავანებოთ, მოქმედი წესი „როცა მინდა, დავითხოვ მთავრობას და ვისაც მინდა, დავნიშნავ“ არსებითად ანტიდემოკრატიულია.

სააკაშვილი 8 თებერვლის გამოსვლაში წარმოაჩენდა ამ ბერკეტს, როგორც რაღაც უმნიშვნელოს, რაზეც შეიძლება უარი თქვას, მაშინ, როდესაც ანგარიშგასაწევი პოლიტიკური ფიგურის სტატუსს დღეს მხოლოდ ის ანიჭებს. **სააკაშვილი როგორც კი მთავრობის დათხოვნის უფლებას დაკარგავს, ივანიშვილი, ძალიან დიდი ალბათობით, უბრალოდ დაივიწყებს მის არსებობს, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ იმავეს პროკურატურა და „ვარდოსანი რეჟიმის“ მიერ გაუბედურებული, გამწარებული ადამიანები გააკეთებენ.** მოვლენათა განვითარების ეს სცენარი ზედაპირზე დევს, თუმცა სააკაშვილმა მაინც დააფიქსირა მთავრობის დათხოვნის შესაძლებლობაზე უარის თქმის სურვილი, სხვა გამოსავალი მას, ჩანს, არ აქვს. ფაქტობრივად, ეს კაპიტულაციის პირობებზე მოლაპარაკების დაწყების ტოლფასი იყო. საინტერესოა, რამ მიიყვანა სააკაშვილი ამ მდგომარეობამდე?



## დანებდი, რადაც ფვალობ!

**რეალურად მიხეილ სააკაშვილს არჩევანი ჩათრევასა და ჩაყოლას შორის უნდა გაეკეთებინა. ის, სავარაუდოდ, მივიდა დასკვნამდე, რომ მალე „ოცნება“ საკმარისი რაოდენობის „ნაციონალ“ დეპუტატებს გადმოიბირებს და საკონსტიტუციო უმრავლესობას მოიპოვებს. ამასთანავე, მან, როგორც ჩანს, გააცნობიერა, რომ მთავრობის დათხოვნა მას და მის თანაპარტიელებს ფატალურ შედეგს მოუტანს, რომელთა ერთგვარი წინასახე გამოსვლამდე რამდენიმე საათით ადრე ეროვნულ ბიბლიოთეკასთან იხილა** (ცხადია, ტელევიზიით, თორემ იქ მისასვლელად საჭირო გამბედაობა სად ჰქონდა?).

ნუ დაგვავიწყდება, რომ მიხეილ სააკაშვილს წარმოსახვის განვითარებული უნარი ახასიათებს და ზოგიერთი ვიდეოჩანაწერი მასზე, სავარაუდოდ, განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს, იქნება ეს კადაფის სიცოცხლის ბოლო წუთები თუ მისი მომხრეების გასაჭირი ეროვნულ ბიბლიოთეკასთან. **8 თებერვალს „ნაციონალები“ პოლიციელებმა გადაარჩინეს, მაგრამ, თუ სააკაშვილი მთავრობას დაითხოვს, პოლიციას და ჯარსაც კი, სავარაუდოდ, ძალიან გაუჭირდება იმ განრისხებული მასის შეკავება, რომელიც სააკაშვილსა და მის თანაგუნდელებს საბოლოო ანგარიშსწორებისთვის მიადგება.** ვინაიდან „ნაცმოძრაობის“ ლიდერისთვის პირადი უსაფრთხოება ყოველთვის მთავარი პრიორიტეტი იყო, ვერ გამოვრიცხავთ, რომ 8 თებერვალს ის, სხვა ყველაფერთან ერთად, უბრალოდ შეშინდა. შესაძლოა, იყო კიდევ ერთი ფაქტორი: უცხოელი პარტნიორების რჩევა — **ნებაყოფლობით დათმოს ის უფლება, რომლის გამოყენების შესაძლებლობა ისედაც არ აქვს და ამით დესტაბილიზაციის თუნდაც თეორიული საფრთხე მოხსნას.** საბოლოოდ, სააკაშვილი, როგორც ჩანს, მივიდა დასკვნამდე, რომ ამ ბერკეტის დათმობა ნებისმიერ შემთხვევაში მოუწევს და შეეცადა, ის ვაჭრობის საგნად გადაექცია.

**თავის საპასუხო განცხადებაში ბიძინა ივანიშვილმა აჩვენა, რომ მშვენივრად შეუძლია საუბარი კოაბიტაციის ენაზე, რომელიც ასე მოსწონს დასავლელ პარტნიორებს და ასე სძულს სააკაშვილის „ძირძველ“ მოწინააღმდეგეებს, ფაქტობრივად კი, გამოთქვა მზადყოფნა ჩაიბაროს ოპონენტის კაპიტულაცია ისე, რომ მას სახის შენარჩუნების შესაძლებლობა მისცეს, ოღონდ ამისთვის სააკაშვილმა ის პირობები უნდა შეასრულოს, რომელთაც ივანიშვილი უკარნახებს.**

„ახლა საჭიროა სიტყვიდან საქმეზე გადასვლა, რათა გაჩნდეს ნდობა მისი ამ და სხვა სიტყვებისადმიც. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მისი პოლიტიკური გუნდი მზადაა, მხარი დაუჭიროს იმ კონსტიტუციურ ცვლილებებს, რომელთ მიხედვითაც პარლამენტის მონაწილეობის გარეშე ახალი მთავრობის შექმნა შეუძლებელი გახდება. შესაბამისად, ველით ამ განცხადების დადასტურებას საპარლამენტო უმცირესობის მხრიდან, რის შემდეგაც პარლამენტი უმოკლეს ხანში კენჭს უყრის ამ კანონპროექტს. პრეზიდენტმა ისაუბრა სხვა კონსტიტუციურ საკითხებზეც, რომლებიც განსახილველი კანონპროექტის საგანი არ არის და რომლებზეც მას ჩვენგან განსხვავებული მოსაზრებები აქვს. ჩვენ მზად ვართ, ზემოთ ნახსენები კანონპროექტის მიღების შემდეგ მისი მოსაზრებები ყურადღებით მოვისმინოთ და სათანადო კანონპროექტების განხილვის პროცესში საერთაშორისო და ქართველი ექსპერტების მონაწილეობით შევაჯეროთ პოზიციები“, — განაცხადა ივანიშვილმა. მარტივად რომ ვთქვათ, ეს იყო ძალიან მკაფიო და გასაგები, დაახლოებით ასეთი შინაარსის გზავნილი: „ჯერ ის ცვლილებები, რომლებიც მე მჭირდება, ყველაფერი დანარჩენი კი — შემდეგ“.

**ივანიშვილმა მიანიშნა, რომ შეუძლია ყოფილ მმართველებს გარკვეული გარანტიები მისცეს, თუმცა ის ყოვლისმომცველი ვერ იქნება: „მზად ვარ პრეზიდენტთან და მის პოლიტიკურ გუნდთან ურთიერთობისთვის კონსტიტუციისა და კანონის უზენაესობის პრინციპების განუხრელი დაცვით. ძალადობრივი დანაშაულის პატიების უფლება ჩემთვის არავის მოუცია. ყველა სხვა საკითხზე მზად ვარ გონივრული კომპრომისებისთვის ჩვენი საერთო სამშობლოს საკეთილდღეოდ“.**

კვირას სააკაშვილი (ოფიცილურ გვერდზე „ფეისბუკში“) ივანიშვილის განცხადებას მიესალმა: „შეგვიძლია უკვე ორშაბათს დავსხდეთ და ერთად განვიხილოთ მთელი რიგი საკანონმდებლო საკითხები, მათ შორის, საკონსტიტუციო ცვლილებები“. ამ განცხადებაში მან აქცენტების გადაადგილება სცადა და ივანიშვილმა მეტი სიცხადისთვის კიდევ ერთი განცხადება გაუგზავნა, რომელშიც პირველ პუნქტად ჩაწერა: **„პრეზიდენტისთვის პარლამენტის თანხმობის გარეშე ახალი მთავრობის შექმნის უფლების ჩამორთმევის თაობაზე კონსტიტუციურ ცვლილებებზე პარლამენტში კენჭისყრის პროცედურების დაწყება“.** ორშაბათს დავით უსუფაშვილმა სააკაშვილთან და ბაქრაძესთან მოლაპარაკების პირველი რაუნდი სწორედ ამ სულისკვეთებით წარმართა. რამდენად შედეგიანი იქნება ეს საუბრები, ძნელი სათქმელია, თუმცა სივრცე მანევრისთვის სააკაშვილს შეზღუდული აქვს — ან ივანიშვილის პირობებს უნდა დათანხმდეს, ან ქაოტური წინააღმდეგობა გააგრძელოს (მაგრამ რა ძალებით ან რა რესურსით?)

## ცენტი – შენ, ცენტი – მე, ცენტი – მამაშენს...

**„ქართული ოცნების“ არაერთი მხარდამჭერი თვლის, რომ მათი ლიდერი ქვეყნის ყოფილ მმართველებს მეტისმეტად ლიბერალურად ეპყრობა და ეს არ მოსწონთ. ისინი მიიჩნევენ, რომ ივანიშვილი მოქმედების ყველაზე მომგებიან ტაქტიკას არ ირჩევს და მცირე წარმატებებით კმაყოფილდება, რომ მან სააკაშვილთან კატათაგვობანას თამაში უნდა დაასრულოს, გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდეს და მაქსიმუმს მიაღწიოს, ასე ვთქვათ, ჯეკპოტი მოხსნას. იმისთვის, რომ უკეთ გავიგოთ, რა ტიპის თამაშს აწარმოებს ივანიშვილი (და სააკაშვილი), ალბათ, ურიგო არ იქნება, ერთი ძველი ისტორია გავიხსენოთ.**

როდესაც აშშ-ის მომავალი პრეზიდენტი უილიამ მაკ-კინლი პატარა იყო, ოჯახის სტუმრები ხშირად სთავაზობდნენ, ორი მონეტიდან ერთ-ერთი აერჩია: დიდი, მძიმე ერთცენტიანი ან პატარა, მაგრამ უფრო ღირებული სამცენტიანი. პატარა უილიამი მუდამ ერთცენტიანს ირჩევდა, რითაც სტუმრებს ახალისებდა. როდესაც მომდევნო წვეულებაზე იმავეს სთავაზობდნენ, ისევ ერთცენტიანს იღებდა და ასე შემდეგ... ბოლოს ეს თამაში მაკ-კინლის ოჯახში გამართული წვეულებების განუყოფელ შემადგენელ ნაწილად, ერთგვარ ტრადიციად იქცა. ერთხელაც, მომავალი პრეზიდენტის მამა გამწარდა და შვილს უთხრა: **ვილი, შენ ხომ ჭკვიანი ბიჭი ხარ, ნუთუ არ გესმის, რომელი მონეტაა უფრო ღირებული? — მესმის, — უპასუხა მომავალმა პრეზიდენტმა, — მაგრამ, თუ სამცენტიანს ავიღებ, ამის შემდეგ ვინღა მეთამაშება?**

ალბათ, ძნელი დასადგენი არაა, ვინ აგროვებს ბეჯითად ქართულ პოლიტიკაში ერთცენტიანებს, ხოლო ვინ ეპოტინება სამცენტიანებს და ღრიალით ხუთცენტიანებს მოითხოვს; ამ უკანასკნელს, დიდი ხანია, აღარავინ ეთამაშება. ალბათ, არც იმის განსაზღვრა გაგვიჭირდება, თუ ვინ აკონტროლებს თამაშს და მოთამაშეებს რეალურად. **პირდაპირი იერიში, თითქმის გარანტირებული გამარჯვებით, მაგრამ დიდი დანაკარგებით, საუკეთესო სამოქმედო ვარიანტი ყოველთვის როდია.** როგორც წესი, **გაცილებით გონივრულია, მოწინააღდეგეს ალყა შემოარტყა, ნელ-ნელა შეზღუდო, მისცე მას შესაძლებლობა, წინააღმდეგობის გაწევის უაზრობაში დარწმუნდეს და ნაბიჯ-ნაბიჯ მიიყვანო იმ მდგომარეობამდე, როდესაც არჩევანის გაკეთება მხოლოდ საპატიო და უპირობო კაპიტულაციას შორის შეეძლება.** გავითვალისწინოთ ისიც, რომ **ის, ვინც დღეს თანახმაა საპატიო კაპიტულაციაზე, ხვალ, ძალიან დიდი ალბათობით, ხელს უპირობოსაც მოაწერს.**

**დიმიტრი მონიავა**

## „ვადაგასულს“ ისევ „გადადექი“ სჯობს“

**სამწუხაროდ, „ვარდების რევოლუციიდან“ პირველივე წელს მივხვდი, როგორი შეცდომა დავუშვი, როცა ხელი შევუწყვე სააკაშვილის პოლიტიკურ წინსვლას, ამიტომ მეც დამნაშავედ ვგრძნობ თავს იმ ყველაფერში, რაც 9 წლის განმავლობაში საქართველოს დაუშავა.** ამის შესახებ ექსპრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ „ასავალ-დასავალთან“ ინტერვიუში განაცხადა. მისი თქმით, სააკაშვილმა პირველივე წელს დაიწყო მასობრივი რეპრესიები და დაჭერები და გამოამჟღავნა საკუთარი თავი.

„ჟვანიას მკვლელობა რომ გაიხსნება, საბოლოოდ ჩამოეხსნება ნიღაბი და ეს ძალიან მალე მოხდება. ჟვანიას მკვლელობა, პატიმრების წამება-გაუპატიურება — აი, სააკაშვილის 9-წლიანი მმართველობის მონაპოვარი. იმაზე უარესი რა უნდა დაგემართოს პრეზიდენტს, რომ შენი ხალხი ვადაგასულს გიწოდებს“, — აცხადებს newsplus.ge-ს იფნორმაციით, ექსპრეზიდენტი. მისივე თქმით, ჯობდა, „გადადექის“ რომ ეძახდნენ, მაშინ წასულიყო, რადგან „ვადაგასულს“ ისევ „გადადექი“ სჯობს.



## მიშა თავხელიძემ პატრიარქს შეუტია

**„ილია მეორე რომ გადადგეს...“ — „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე ექსპერტ მიშა თავხელიძის ამ მოსაზრებას ფეიბუქ-იუზერების სხვადასხვაგვარი რეაქცია მოჰყვა.** ზოგი აღშფოთებული კომენტარებს წერს, ზოგი კი აცხადებს, რომ უნდა გადადგეს. მიშა თავხელიძის სტატუსი, სავარაუდოდ, რომის პაპ ბენედიქტის განცხადებამ გამოიწვია.

შეგახსენებთ, რომ 85 წლის რომის პაპმა ბენედიქტ მე-16-მ გადადგომის შესახებ გამოაცხადა. გავრცელებული ინფორმაციით, პაპი 28 თებერვალს გადადგება. პაპმა საკუთარი გადაწყვეტილება მისი ასაკით ახსნა. წინა რომის პაპი, რომელიც 1415 წელს საკუთარი სურვილით გადადგა, გრეგორი მე-12 იყო.

## ხელისუფლებას ყოველთვის უნდა მოვთხოვოთ პასუხი ნებისმიერ შეცდომაზე!

**საზოგადოებამ დღევანდელ ხელისუფლებასაც ყველა შეცდომაზე პასუხი უნდა მოსთხოვოს, — ამის შესახებ ზურაბ ვაზაგაშვილის მამამ, იური ვაზაგაშვილმა, დღეს იუსტიციის სახლთან 2004-2012 წლებში პოლიტიკური რეჟიმის დროს გარდაცვლილთა მემორიალის გახსნაზე ჟურნალისტებს განუცხადა.**

„დღევანდელი დღე ძალიან მნიშვნელოვანია, რამდენადაც იუსტიციის სამინისტრომ და მინისტრმა სერიოზული საქმე გააკეთეს. ამ მემორიალის გახსნა ნიშნავს წინა რეჟიმის დასასრულს და იმედია, ამის შემდეგ საქართველოში მსგავსი რამ აღარასოდეს განმეორდება, რაც ხდებოდა წინა ხელისუფლების დროს“, — განმარტა იური ვაზაგაშვილმა.

მისივე თქმით, ეს მემორიალი ყველა იმ ადამიანის ხსოვნას ეძღვნება, რომელთა სიცოცხლეს წინა ხელისუფლების დროს დაუცველი აღმოჩნდა.

**„ვფიქრობ, ეს არის ის ნაბიჯი, რომ იმ რეჟიმიდან გადმოვდივართ ახალ ეტაპზე. საზოგადოება არ უნდა მოდუნდეს და ამ ხელისუფლებას ყოველთვის არანაკლები პასუხი უნდა მოვთხოვოთ ნებისმიერ შეცდომაზე. საზოგადოებამ ასევე უნდა მოითხოვოს, ვინც დამნაშავეა, მიხეილ სააკაშვილით დაწყებული, აბსოლუტურად ყველა უნდა დაისაჯოს. თუ ჩვენ ამას ვერ შევძლებთ, აი დღევანდელი ხელისუფლებაც დაუშვებს შეცდომებს“,** — განაცხადა იური ვაზაგაშვილმა.

პოლიტიკა
www.geweorld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ივანიშვილმა მკვეთრად შეამცირა არამარტო ქვეყნის გარე პიარის, არამედ ადგილობრივი მედიის დაფინანსებაც. გამარჯვების შემდეგ მას ეს საჭიროდ აღარ მიაჩნია. სამაგიეროდ, მიშამ კარგად იცის მედიის ფასი და მის დაფინანსებაზე სახსრებს ნამდვილად არ დაზოგავს. ასე რომ, უკიდურესად „დაბალანსებული“ „მაესტრო“, შესაძლოა, სულ მალე ივანიშვილის წინააღმდეგ ამუშავდეს**

# შოუ, სახელად «კოჰაბიტაცია»

**„მიდით, მიდით, აბა, დადგით შოუ“! — ეს სიტყვები გიგი უგულავას ეკუთვნის. შოუ მან ეროვნულ ბიბლიოთეკასთან მომხდარს უწოდა. არადა, ამ შოუს ავტორობას მას ნამდვილად ვერავინ შეეცილებოდა. გუშინდელი ოპოზიციური არხები მშვიდად ტრანსლირებენ მომხდარს ისე, რომ მის სცენარისტებსა და რეჟისორებს ვერ ხედავენ. არც ერთ ტელეკომპანიას არ უსარგებლია ნოშრევანის ამ შეძახილით და „ნაციონალური“ ხელისუფლების არც ერთი შოუ არ გაუხსენებია: განმუხურსა და მუხროვანში ერთბაშად „გაგულადებული“ სააკაშვილის შოუ, კაჩინსკიზე გადაფარებული მთავარსარდალი, რომელმაც ასეთი შოუს მეშვეობით გორში მიწაზე ფორთხვისა და ჰალსტუხის გაღეჭვის გადაფარვა მოინდომა, ხურჩაში დადგმული სროლების შოუ, რომლის დროსაც ქალი დაიჭრა, გურიაში ადგილობრივი თეატრის დასის მონაწილეობით დადგმული „კალანდობა“ — სანოვაგით საგანგებოდ ავსებულ ნალიაში, „დემოკრატობის“ შოუ სტრასბურგში, „კოაბიტაციის“ შოუ თითქმის ყოველდღე არჩევნების წაგების შემდეგ... პასუხი კი ამ შოუებზე არ არის.**





„ქართული ოცნება“ არჩევნების მოგების შემდეგ პიარს საჭიროდ აღარ მიიჩნევს, დამარცხებული სააკაშვილი კი ისევე აქტიურად იყენებს ამ ინსტრუმენტს, როგორც ხელისუფლებაში საკონსტიტუციო უმრავლესობით ყოფნისას. მას ახალი მოთამაშეები გამოჰყავს, რადგან, ნახსენები ტელეარხებისგან განსხვავებით, კარგად გრძნობს მის ძალას მასებზე ზემოქმედებაში. **შოუს, ოღონდ სტრიპტიზშოუს, მოყვარული თბილისის მერი ნამდვილად არ წარმოადგენს ქალაქის სიამაყეს. ეს და სხვა ნოშრევანები, ქალები თუ კაცები, 1 ოქტომბრის არჩევნების შედეგების მიუხედავად, კვლავაც ტელეეკრანებიდან გვმოძღვრავენ, — თითქოს არაფერი შეცვლილა, თითქოს ისევ ისინი და მათი პატრონები არიან ხელისუფლებაში!**

ყველაზე წარმატებულ შოუსაც კი დროდადრო განახლება სჭირდება და

ახალი სახეებიც გამოჩნდნენ; ისეთები, „არასოდეს ვყოფილვარ ნაციონალიო“ რომ აცხადებენ და შემდეგ გულმოდგინედ იწყებენ იმათი ნამოქმედარის „გაპრავებას“, ვინც, მათივე სიტყვებით, „არასოდეს ყოფილან“. **ერთი ასეთი ახალი სახე „ნაქირავები ბინისა და სკოჩით დამაგრებული სავარძლის“ პატრონი, პუბლიცისტი ნათია მეგრელიშვილია, რომელიც „სამჯერ გაუთავისუფლებიათ სამსახურიდან „ნაციონალებს“ და ხელფასისა და დაზღვევის გარეშე დაუტოვებიათ“.** ის კი კეთილშობილების მაგალითს გვაძლევს და ყოველმხრივ ამართლებს სააკაშვილს. ეს იმას ჰგავს, ნოდარ დუმბაძის ზურიკელას მისი ლექსის მოსმენის შემდეგ რომ ილიკომ უთხრა: **„თუ წვიმს, ქარია, თოვლი მოდის და ქვეყანა იქცევა, შენ რა გიხარია, შე უპატრონოო“!**

თუმცა ნათია მეგრელიშვილს ილიკო არ გამოუჩნდა და ისიც ვრცელი მონოლოგებით გვანებივრებს. მათი გადმოცემა სხვა ჟანრში პრაქტიკულად შეუძლებელია, ამიტომ მხოლოდ მცირე ამონარიდებით შემოვიფარგლოთ. ხელისუფლებას ჯერ ვერდაუფლებული „ოცნების“ დიქტატურაზე ლაპარაკი სასაცილოც კი იქნებოდა, რომ არა ამ თემის მრავლისმთქმელი განვითარება და ფინალი, რომელიც ფროიდისეულ „წამოცდენას“ ძალიან ჰგავს: **„ესე იგი სააკაშვილის დიქტატურა უნდა ვაღიაროთ და მისი მომხრეობა მოვინანიოთ?.. ოღონდ ეს „ჯალათი“ მოვიშოროთ, ფსიქიატრიულში დავაწვინოთ და კაცურად, ბოჰემურად, სნობურად, სვეცკად და გოიმურად დავცინოთ და სამაგიეროდ აპლოდისმენტებით მივიღოთ პუტინის დიქტატურა“.**

ამის დამწერს, შესაძლოა, ფსიქიატრის დახმარება მართლაც სჭირდებოდეს, მაგრამ ფსიქიატრიულში ვერც მას დააწვენ და ვერც მიშიკოს, იმ მარტივი მიზეზით, რომ მიშიკომ დასაწვენი ადგილი დაანგრია, ტერიტორია კი გაყიდა. ახლა ორივეს კერძო კლინიკაში მოუწევს მისვლა, სადაც მკურნალობა ძვირი დაუჯდებათ როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით.

**ფსიქიკურად დაუცველია ტელემაყურებელი, რომელიც ყოველდღე დიდი დოზით იღებს ამგვარ „მარგალიტებს“ ეკრანიდან.** დაუცველია მარადიული მედიაექსპერტებისგან, რომლებიც ეთერიდან ეთერში დაეხეტებიან და სტერილურ სენტენციებს სთავაზობენ „დემოკრატიული“ დიქტატურით გათანგულ ხალხს. სტერილიზაციაზე გამახსენდა: **კიდევ ერთი მიშას ფანექსპერტი ქეთუსია იგნატოვა „24 საათის“ ფურცლებიდან გვმოძღვრავს: „რა კოჰაბიტაცია?! როდესაც ქართულ საზოგადოებას ჯერ სტერილიზაცია აქვს გასაკეთებელი!“**

არც ამ ფრაზის ავტორს აქვს საქმე კარგად. სიტყვა „სტერილიზაცია“ თუ პირდაპირი მნიშვნელობით არის ნახმარი, მაშინ ქალბატონი ქეთუსია ქართული საზოგადოების პირდაპირ დაკოდვისკენ მოუწოდებს. მინდა მეგონოს, რომ მან მაინც „დასუფთავების“ მნიშვნელობით გამოიყენა ეს ტერმინი, **მაგრამ რა ვუყოთ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ არასრულწლოვანთა და ქალთა კოლონიებში სტერილიზაციას პირდაპირი მნიშვნელობით მიმართავდნენ „დემოკრატი“ სააკაშვილის რეჟიმისას?**

„დღეს ყველა მინისტრს ყველაზე ძლიერად თავისი წინამორბედი, მოადგილეებს წინამორბედი მოადგილეები, სძულს და პრინციპულად ყველაფრის გაკეთებას რადიკალურად მათ საპირისპიროდ ცდილობენ, მაგრამ, რაც კარგად კეთდებოდა, ის ძალიან ცუდად ან საერთოდ აღარ კეთდება. კარგი ფუჭდება და ცუდი სწორდება. დეპუტატებს დეპუტატი კოლეგები სძულთ; კრიმინალებს — პოლიტპატიმრები; პოლიტპატიმრებს კი — თვითმარქვია კრიმინალები და ნარკომანები; გამგებლებს — გამგებლები, პოლიციის უფროსებს — წინა უფროსები; დანიშნულებს — დასანიშნები; უმუშევრებს — ხელფასის მქონე დასაქმებულები“...

ამ ტექსტის ავტორი ჯერ ასლან აბაშიძის მიერ დასაქმებული და მსუყედ ნაკვები, მისი განდევნის შემდეგ კი საკუთარი დამსაქმებლის მკაცრი კრიტიკოსი ქეთუსია იგნატოვაა, რომლის პრინციპებს (უფრო



სწორად, მათ სრულ უქონლობას) ქართული საზოგადოება კარგად იცნობს. მისი ტექსტი ყურადღებით გადაიკითხეთ და **გაიხსენეთ, როგორი „ქრისტესმიერი“ სიყვარულით აპატიმრებდნენ და აწამებდნენ მიშას ხელისუფლების წარმომადგენლები წინამორბედებს. მხოლოდ სულხან მოლაშვილის მაგალითია საკმარისი იგნატოვას ფარისევლობის დასტურად.**

**კიდევ ერთი „პრინციპული“ პატრიოტი, რომლის მრისხანე ტირადებითაც გუშინდელი ოპოზიციური ტელეარხები გვანებივრებენ, მაია ორჯონიკიძეა.** მან ფარულ „მიშისტობას“ თავი ანება და იერიშზე გადავიდა. რატომ გვაყურებინებენ და გვასმენინებენ ამ „მუმიებს“ (მათი ბელადის ტერმინია!), სრულიად გაუგებარია; მათი მოსაზრებები (ფრაგმენტულ აზრებს თუ მოსაზრება ჰქვია) ხომ საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი. ისინი ახალს ვერაფერს იტყვიან. ნუთუ მოლაპარაკე ადამიანები ასე ძნელად საპოვნი არიან? თუ ესეც ერთგვარი „სატელევიზიო კოჰაბიტაციაა“?

**ეროვნულ ბიბლიოთეკასთან შემთხვევით შემოლახული გიგა ნასარიძე გაოცებულია იმის გამო, რომ „ფეიბუქზე“ გახსნილ გვერდზე „50 ნაციონალი, რომელიც უნდა ცემო, სანამ ცოცხალი ხარ“ პირველ ადგილზეა.** აცხადებს, რომ არასოდეს ყოფილა „ნაციონალური“ მთავრობის წევრი და ვერ გაუგია, როგორ აღმოჩნდა ამ სიაში პირველ ადგილზე. „მეორე ლოყა მიუშვირეო“, — ურჩიეს „ფეისბუქში“ და ორი წლის წინ გუბაზ სანიკიძის ცემის შემდეგ გაკეთებული ცინიკური განცხადება შეახსენეს: **„გუბაზა გაგვილახენ, ხელით შეეხენ გუბაზას! დღესვე დავამთავროთ ეს ხელისუფლება! ლოზუნგი მოგიგონეთ ამასობაში“!** — წერდა 2010 წელს გიგა ნასარიძე, რომელიც ახლა დამნაშავეების დასჯას და თანაგრძნობას ელის.

**„სატელევიზიო კოაბიტაცია“ სულ უფრო საეჭვო სახეს იღებს; იმის გათვალისწინებით, რომ „მაესტროს“ შეფს — მამუკა ღლონტს ფული ისევე** უყვარს, როგორც შალვა რამიშვილს, რთული წარმოსადგენი არ არის, რას გააკეთებს უფულობისას. **ივანიშვილმა მკვეთრად შეამცირა არამარტო ქვეყნის გარე პიარის, არამედ ადგილობრივი მედიის დაფინანსებაც. გამარჯვების შემდეგ მას ეს საჭიროდ აღარ მიაჩნია. სამაგიეროდ, მიშამ კარგად იცის მედიის ფასი და მის დაფინანსებაზე სახსრებს ნამდვილად არ დაზოგავს. ასე რომ, უკიდურესად „დაბალანსებული“ „მაესტრო“, შესაძლოა, სულ მალე ივანიშვილის წინააღმდეგ ამუშავდეს** (პრინციპში, აშკარა პროფესიული უმოქმედობა ასეთად უკვე შეიძლება ჩაითვალოს).

რა ბალანსი აგიტყდათ? ქეთუსია იგნატოვასი არ იყოს, რა კოაბიტაცია? რის ბალანსი? გაისტუმრეთ უკვე მიშა? სამართალი აღადგინეთ? დამნაშავეები დასაჯეთ? ძებნილები დააკავეთ? მშიერი დააპურეთ? ავადმყოფი განკურნეთ?

ეს შეკითხვები ტელეკომპანიებს არ ეკუთვნის. მათზე პასუხი ახალმა მთავრობამ უნდა გასცეს. თუმცა ეს პასუხები „დაბალანსებულ“ ტელეეთერებში იკარგება, სამაგიეროდ, უხვად ისმის შეძახილები „წარსულში დაბრუნების“, „დემოკრატიის დასამარების“ და „ივანიშვილის დიქტატურის“ შესახებ.

**თქვე პატიოსანო ტელელიპუცებო! თუ პროფესიონალები არ გყავთ — მოძებნეთ; თუ გამოცდილება არ გაქვთ – ისწავლეთ; თუ თვალსაწიერი ვიწრო გაქვთ — ქეთუსია იგნატოვას და ნათია მეგრელიშვილის ოპუსები მაინც იკითხეთ; სწავლით ვერაფერს ისწავლით, მაგრამ გაბრაზდებით მაინც. გაბრაზებულ ხალხს უკეთ გაუგებთ.**

**როცა თქვენს ეთერებში უსინდისოდ ცრუობენ და ზღაპრებს გვიყვებიან 9 წლის განმავლობაში საქართველოში გაბრწყინებულ „დემოკრატიის შუქურაზე“, მორცხვად კი ნუ დაუხრით თავს, ან სიმართლე უთხარით, ან ისეთ რესპონდენტებს დაუძახეთ, რომელთაც ამის თავი აქვთ.** კოაბიტაცია პოლიტიკოსებს მოსთხოვეს და არა ტელეჟურნალისტებს; თქვენ სულაც არ ხართ ვალდებული, იმავე სახეებთან „იკოჰაბიტიროთ“, რომლებიც წლების განმავლობაში ბოიკოტს უცხადებდნენ თქვენს თოქშოუებს“!

**ბოლოსდაბოლოს, ეს თავმოყვარეობის საკითხია!**

**პროფესიული თავმოყვარეობის!**

მანამდე კი მე და სხვა გაბრაზებული ტელემაყურებლები ისევ „რუსთავი 2“-ს მივუბრუნდებით. ისიც ძალიან გვაბრაზებს, მაგრამ ფორუმში „ერორად“ წოდებული არხის ლოგოს რომ ვუყურებთ, ვმშვიდდებით — მისგან სხვას არც არაფერს ველით.

თქვენგან განსხვავებით.

**მორჩით ამ ტელეშოუს, სახელად „კოჰაბიტაცია“!**

**თამარ დავითულიანი**

**უნგრეთში ადეიშვილს პირადად პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი პატრონობს. ეს ის ორბანია, რომელიც ღიად ჩაერია საქართველოს საშინაო საქმეებში.**

ნაც-ძარცვა
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დავითი და გოლიათი

## რა ღირს კეზერაშვილის ქოხი ლონდონში და რამ შეაყვარა ორბანს ადეიშვილი

**საქართველოს ჰყავს თავდაცვის ორი გაქცეული მინისტრი — შაშკინი და კეზერაშვილი. არც ერთი იყო მხოლოდ საქართველოს მოქალაქე და არც მეორე. რაც არ შეიძლოებოდა ივანიშვილისთვის, შესაძლებელი აღმოჩნდა ამ ორი მინისტრისთვის. ერთს ამერიკული პასპორტი ედო ჯიბეში, მეორეს — ისრაელის. რა დააშავა ამ ქვეყანამ, რომლის დაცვა ევალებოდა პირებს, რომელთაც ამ ქვეყნის მოქალაქეობაც კი არ უნდოდათ? შაშკინზე, რომელმაც მშობლიურ ამერიკას შეაფარა თავი, სხვა დროს ვისაუბროთ, ახლა კი კეზერაშვილის არაჩვეულებრივ თავგადასავალს მივყვეთ.**


£8,000,000
5 bedroom flat for sale
North Row, London W1K
Listed on 16th Oct 2012
A imaculately presented fifth floor lateral apartment (2, 831 Sq. Ft) within a 24 hour portered building with westerly and southerly views.
Full details and 23 photos | Save to favourites | Arrange viewing | Contact agent
Marketed by Wetherell & Co Mayfair Ltd, W1K. Call 020 3641 4736 (local rate)

£6,295,000
3 bedroom property for sale
Hereford House, North Row, London W1K
Listed on 26th Aug 2012
This beautiful and Luxury apartment is available to Let in a highly desired area of Central London. The Large apartment boasts 3 Double Bedrooms, 3 Bathrooms, 2 Reception Rooms, Wooden Flooring and Top Of The Range Furniture and Décor.
Full details and 13 photos | Save to favourites | Arrange viewing | Contact agent
Marketed by Cromwell Estate Agency, SW7. Call 020 3318 6685 (local rate)

£6,500,000
4 bedroom flat for sale
Hereford House, North Row, Mayfair, London W1K
Listed on 6th Jul 2012
Situated in an excellent portered building in the heart of Mayfair, this 4 bedroom, 4 bathroom apartment boasts spacious and well proportioned living space, bright interiors and a wonderful position just moments from Hyde Park. The apartment extends ...
Full details and 15 photos | Save to favourites | Arrange viewing | Contact agent
Marketed by Messila Residential, W1K. Call 020 3544 2535 (local rate)

£6,500,000
4 bedroom flat for sale
Hereford House, North Row, Mayfair W1K
Listed on 26th Apr 2012
Situated in an excellent portered building in the heart of Mayfair, this 4 bedroom, 4 bathroom apartment boasts spacious and well proportioned living space, bright interiors and a wonderful position just moments from Hyde Park. The apartment extends ...

ლონდონში, „კეზერას უბანში“ გასაყიდი ბინების ფასი






**გაირკვა, რომ კეზერაშვილს 2009-2012 წლებში ახლო ნათესავებთან და მეგობრებთან ერთად მხოლოდ კონტრაბანდისტული საქმიანობით 7 მილიონ 570 ათასი დოლარი მიუთვისებია**

თავდაცვის ყოფილი მინისტრი კეზერაშვილი ერთბაშად რომ გამდიდრდა და გამაგნატდა, საქართველოს მოსახლეობამ კარგად იცის. „საქართველოს ლატარია“, „გალფი“, „რუსთავი 2“ და სხვა არაერთი კომპანიის მფლობელს ბოლოს „(იტალიური) ოპერის მოყვარულთა კლუბიც“ ჩააბარეს და კეზერა „კოლომბო თეთრ გეტრად“ საბოლოოდ ჩამოყალიბდა. ოპერის ამ მოყვარულს ერთხელ ჟურნალისტმა ჰკითხა, „ნაბუკო“ რა არისო და ბრინჯივით დაიბნა. არადა, გაბიზნესმენებულ პოლიტიკოსს, ოპერა სულაც რომ არ უყვარდეს, საწვავის სიყვარულით, გრანდიოზული მილსადენის სახელი მაინც უნდა სცოდნოდა. იმაზე აღარაფერს ვიტყვით, რომ „ნაბუკოში“ ტყვეობაში მყოფი და სიკვდილის მომლოდინე იუდეველი მონების სულისშემძვრელი ქორო კეზერაშვილს ეროვნულ ძარღვსაც არ უტოკებს!

**გამოხდა ხანი და ახალმა ხელისუფლებამ კეზერას ძველი ცოდვები ამოუქექა: გაირკვა, რომ მხოლოდ 2009-2012 წლებში მას ახლო ნათესავებთან და მეგობრებთან ერთად მხოლოდ კონტრაბანდისტული საქმიანობით 7 მილიონ 570 ათასი დოლარი მიუთვისებია. საერთო ჯამში, კეზერაშვილს, როგორც მოხელეს, ქრთამის სახით 4 მილიონ 670 ათას ლარამდე ჩაუჯიბავს, ხოლო როგორც დანაშაულებრივი ჯგუფის ხელმძღვანელს, 7 მილიონ 664 ათასი დოლარი მიუღია. ამ თანხებს კეზერაშვილი საკუთარი დის ქმრის მეირი ჯანაშვილის შუამავლობით იღებდა.**

კოლომბო აორთქლდა. ხალხი ლაპარაკობს, რომ მას, როგორც ისრაელის მოქალაქეს, ქართულ მხარეს არავინ გადმოსცემს. ისედაც დუნედ მოქმედი ახალი ხელისუფლებაც დიდ ძალისხმევას არ ამჟღავნებს. რაკი ჩვენმა გადატვირთულმა პროკურატურამ კეზერას პოვნას თავი ვერ მოაბა, მოვახსენებთ, რომ თანამედროვე საქართველოს ახალი კოლომბო დავით კეზერაშვილი ინტენსიურად მოძრაობს ისრაელსა და ბრიტანეთში. ლონდონში, ყველაზე პრესტიჟულ უბანში შეძენილი აქვს ბინა. მისი მისამართია: Hereford house, 66 N Row, London. საოცარი დამთხვევაა, მაგრამ ბინა კეზერაშვილის დის ქმარზე — მეირი ჯანაშვილზეა გაფორმებული! ამ უბანში ბინების ფასი შვიდნიშნა ციფრს არ ჩამოსცდენია, საშუალოდ კი 6-დან 8 მილიონ ფუნტამდე მერყეობს. თქვენ კი კითხულობდით, სად მიჰქონდა მილიონებიო!

ახლა დავითიდან „გოლიათზე“ გადავიდეთ. კიდევ ერთი გაქცეული პერსონაჟი, ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნილი ყოფილი იუსტიციის მინისტრი ზურაბ ადეიშვილი, როგორც სააკაშვილი გვიმტკიცებს, უნგრეთში იმყოფება და ისე უჭირს, რომ ტრამვაით გადაადგილდება. ჩვენ იუსტიციის სხვა მინისტრიც გვახსოვს, სამსახურში მეტროთი რომ დადიოდა, დაბოლოს ორი თვითმფრინავი იყიდა, მაგრამ ამჯერად სულ სხვა თემაა საინტერესო: ჩვენი წყაროს ინფორმაციით, **უნგრეთში ადეიშვილს პირადად პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი პატრონობს. ეს ის ორბანია, რომელიც ღიად ჩაერია საქართველოს საშინაო საქმეებში.** არჩევნებამდე სამი დღით ადრე მან ქართველი ამომრჩეველი დამოძღვრა: „ეს თქვენი არჩევნებია, არავინ მიიღებს გადაწყვეტილებას თქვენ ნაცვლად. მე უნგრელი მეგობარი ვარ და გეუბნებით, ნუ მიბრუნდებით უკან, ირწმუნეთ თქვენი ხელმძღვანელობის. მინდა დაგარწმუნოთ, რომ უნგრელი ხალხი თქვენ გვერდითაა“!

საბოლოოდ „უნგრელი ხალხი“ საქართველოს ნაცვლად ზურაბ ადეიშვილის გვერდით აღმოჩნდა. ევროპის სახალხო პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, როგორც გვატყობინებენ, ცივ ნიავს არ აკარებს იუსტიციის ყოფილ მინისტრს, რომლის სახელთან უამრავი დანაშაული დაკავშირებული. რაკი სიტყვამ მოიტანა, ურიგო არ იქნებოდა, შს მინისტრი ღარიბაშვილი დაინტერესებულიყო, თუ რა უძრავი ქონება შეიძინა მისმა უწყებამ ბუდაპეშტში.

საქართველო უნიკალური ქვეყანაა — სწორედ იგი ხდებოდა მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი მოვლენების წამომწყები ან დეტონატორი. ამჯერადაც ნათლად იკვეთება, რომ საერთაშორისო კორუფციის არაერთ ფაქტს სწორედ საქართველოდან უნდა აეხადოს ფარდა. ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნილის შეფარება არაფერია იმასთან შედარებით, თუ რა მოურიდებლად გვაძლევენ მითითებებს დასავლეთიდან და დემოკრატია აქ არაფერ შუაშია. საქმე ისაა, რომ სააკაშვილის ხელისუფლება მსუყედ კვებავდა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს და ისინიც „ფართოდ ხუჭავდნენ თვალებს“ საქართველოში დემოკრატიის სახელით დამყარებულ ავტორიტარიზმზე.

თუ მთავარი პროკურატურა მოვალეობას შეასრულებს, ძებნილებსაც მიაგნებს და მათთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფ ქართველებსა თუ უცხოელებს, თავისუფალ ჟურნალისტთა კლუბი „VI კორპუსი“ კვლავაც მოგაწოდებთ საკუთარი ჟურნალისტური გამოძიების მასალებს.

**დავით კეზერაშვილი ინტენსიურად მოძრაობს ისრაელსა და ბრიტანეთში. ლონდონში, ყველაზე პრესტიჟულ უბანში შეძენილი აქვს ბინა. მისი მისამართია: Hereford house, 66 N Row, London**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სად არის მეგის ქარდავა, ვისი მეშვეობით ჩანერგეს ივანიშვილის გარემოცვაში „ნაციონალების“ აგენტურა, სად გაქრა ერთი კილო ჰეროინი და რა ვიდეოკადრებს ფლობს კუდის ყოფილი მაღალჩინოსანი „ოცნების“ ლიდერებზე?**

# ლაშა ამირეჯიბი: იქნებ იკითხოს ბიძინა ივანიშვილმა, მათ რიგებში საეჭვო ადამიანები ხვედელიძისა და ხუხაშვილის რეკომენდაციით ხომ არ აღმოჩნდნენ?!

**წინასაარჩევნო პერიოდში, საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ „ნაცმოძრაობას“ „ოცნების“ წევრებზე კომპრომატები ჰქონდა, დიდი მოლოდინიც იყო, რომ გამოქვეყნდებოდა, მაგრამ ამაოდ. არსებობს თუ არა სინამდვილეში აღნიშნული მასალა და წარმოადგენს თუ არა მმართველი გუნდისთვის საშიშროებას?! — ამ და სხვა მეტად საგულისხმო საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ სახალხო კრების ერთ-ერთ ლიდერი ლაშა ამირეჯიბი ესაუბრა.**



**— ლაშა, კუდის ყოფილი უფროსის, ვაჟა ლილუაშვილის, პატიმრობიდან გათავისუფლების შესახებ მედიით არაერთი და თანაც ძალზე შემაშფოთებელი განცხადება გააკეთეთ. მართლა ასე საშიშია ეს პიროვნება?**

— ლილუაშვილის მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის 3 მუხლით აღიძრა საქმე, მაგრამ ბოლოს ერთადერთი 333-ე მუხლით გაგრძელდა ძიება, მას ბრალად თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტება წაუყენეს და ამ მუხლსაც ამნისტია შეეხო. **ციხიდან გაათავისუფლეს დათა ახალაიას მოადგილე, რომელსაც მასთან ერთად უამრავი უბედურება აქვს ბოლო წლების განმავლობაში დატრიალებული. მან ბევრი ოჯახი გააუბედურა. ლილუაშვილის გარეთ ყოფნა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე გელა ხვედელიძესა და გია ხუხაშვილს აძლევთ ხელს. შეკითხვაზე თუ რატომ ათავისუფლებდნენ ლილუაშვილს?! — ხვედელიძემ უპასუხა: — ლილუაშვილის ციხიდან გამოსვლა ქვეყნის ინტერესებშიაო.**

საქმე ისაა, რომ 1 ოქტომბრის შემდეგ ბიზნესი სახელმწიფო წნეხისგან გათავისუფლდა, ბიზნესმენები ხელისუფლებისგან შეწერილ ფულს აღარ იხდიან. **ხუხაშვილსა და ხვედელიძეს კი ლილუაშვილი სწორედ ბიზნესიდან ფულის ამოსაქაჩად სჭირდებათ.** მან ზეპირად იცის თბილისში, კახეთსა და ქვემო ქართლში რომელი ბიზნესმენი რით სუნთქავს, ვინ რისი შემძლე და რა თანხის გადამხდელია, ცხადია, ისიც იცის, „ნაციონალებს“ ვინ რამდენს უხდიდა. მის ხელთ არსებული კომპრომატების საშუალებით ლილუაშვილი ბიზნესმენებს აიძულებს, ფული გადაიხადონ.

**დღეს რომ ჩივიან, „ქართულ ოცნებაში“ „ნაციონალების“ უამრავი აგენტია ჩანერგილიო, იქნებ იკითხოს ბიძინა ივანიშვილმა, მათ რიგებში საეჭვო ადამიანები ხვედელიძისა და ხუხაშვილის რეკომენდაციით ხომ არ აღმოჩნდნენ?!** გელა ხვედელიძე „ქართული ოცნების“ რეგიონული სამსახურის უფროსი იყო, ხოლო გია ხუხაშვილი ივანიშვილის პირველი ვეზირი. „ქართულ ოცნებაში“ რაც ხდება და მოხდება, სწორედ ამ ორი ადამიანის სინდისზეა, რადგან ივანიშვილის კარზე საკადრო პოლიტიკას მთლიანად ხვედელიძე-ხუხაშვილი განაგებდნენ. ლილუაშვილის საქმეში მთავარ ფიგურად ხუხაშვილი გვევლინება, მაგრამ ხვედელიძეც მასთან ერთად არის. ამ რამდენიმე ხნის წინ ხუხაშვილმა განაცხადა: — ჩემთან ბიზნესმენები მოდიან და თავიანთ გასაჭირზე მოყვებიანო. დაზუსტებით ვიცი, მასთან მართლა იყვნენ ისეთი ბიზნესმენები, რომელთაც „კრიშის“ გარეშე მუშაობა არ შეუძლიათ. ხუხაშვილი მათ მფარველობას დაჰპირდა. სწორედ ასეთ ბიზნესმენებს ლილუაშვილი გააკონტროლებს. მოკლედ, ამ ადამიანს ორმაგი ფუნქცია ექნება: — მორჩილი ბიზნესის გაკონტროლება და ურჩი ბიზნესმენებისგან ფულის „ვიშიბალურად“ ამოღება. კომპრომატები, რომლებიც ლილუაშვილს გააჩნია, კუდის არქივში აღარ არის, რადგან მან თვითონვე წამოიღო — რა იცი, რაში გამომადგესო.

**ერთი სიტყვით, იქ, სადაც ვერ გამოჩნდებიან ხვედელიძე და ხუხაშვილი, ლილუაშვილი იმუშავებს და რადგანაც მას თანამდებობაზე ვერ დანიშნავენ, შესაძლოა, ვაკეში, „პიქსელის“ შენობაში ხუხაშვილმა თავისთან დაისვას.**

კუდის ერთ-ერთი თანამშრომელი ლილუაშვილთან დაკავშირებით ასეთ ფაქტს იხსენებს: — დაზუსტებული და გადამოწმებული ინფორმაცია გვქონდა, რომ კონკრეტულ დროს სატვირთო მანქანას საზღვარი უნდა გადმოეკვეთა, რომელიც სხვადასხვა საქონლით იქნებოდა დატვირთული, მაგრამ მანქანის საიდუმლო სამალავში 1 კილოგრამი ჰეროინი ინახებოდა. ვიცოდით მანქანის ნომერიც. მართლაც, დათქმულ დროს სატვირთომ საზღვარი გადმოკვეთა. მანქანა დავაკავეთ, დავლუქეთ და მძღოლი „მოდულის“ შენობაში წავიყვანეთ. ნაცვლად იმისა, რომ მოსულიყო ბრძანება, რომ მანქანა დაგვეშალა და ჰეროინი ამოგვეღო, 3 საათში ვაჟა ლილუაშვილმა დაგვირეკა და გვიბრძანა მანქანისთვის ხელი არ გვეხლო, მძღოლი კი თავადვე გაუშვაო.

ლილუაშვილი საფრთხეს წარმოდგენს არა მარტო ბიზნესისთვის, მას ბევრი საშინელების ჩადენა შეუძლია და, ხელისუფლებამ თუ დროზე არ მიხედა ამ კაცს, სანანებელი გაუხდება.

**«ქართული ოცნების» პოლიტიკურ და პარტიულ ლიდერებსა და მათი ოჯახის წევრებზე კომპრომატები სწორედ ვაჟა ლილუაშვილს აქვს»**

**— კიდევ რა უბედურების დატრიალება შეუძლია ვაჟა ლილუაშვილს? მას ხომ ის ბერკეტები აღარ გააჩნია, რომელთა საშუალებითაც ბევრი თავის დროზე გაამწარა?**

— ბევრს ეგრე ჰგონია, მაგრამ საქმე სხვაგვარად არის. თუ გახსოვთ, ბიძინა ივანიშვილმა თავის ბოლო პრესკონფერენციაზე განაცხადა: — არჩევნებამდე ჩემი თანაგუნდელები მოვიდნენ და მითხრეს, რომ ჩვენი და ჩვენი ოჯახის წევრების შესახებ ფარულად გადაღებული კადრები არსებობსო, მაგრამ მე დავამშვიდე ეს ხალხი და ვუთხარი, რომ სხვების პირად და ოჯახურ ცხოვრებაში არ ვერევითქო. **„ქართული ოცნების“ პოლიტიკურ და პარტიულ ლიდერებსა და მათი ოჯახის წევრებზე კომპრომატები სწორედ ვაჟა ლილუაშვილს აქვს.**

აღნიშნული მასალები მან კუდიდან წამოიღო, სავარაუდოდ, პირად არქივში ინახავს. მასალების ტელევიზიებით გაშვებას „ნაციონალები“ საპარლამენტო არჩევნების დროს აპირებდნენ, მაგრამ „ციხის კადრებმა“ ისინი შოკში ჩააგდო, კუდის მიერ მოგროვებული კომპრომატების გამოქვეყნება აზრს და ეფექტს კარგავდა, ამიტომაც საჭირო დროს ელოდებოდნენ.

**— და ახლა დადგა კადრების გავრცელების დრო?**

— ყველაფერს დეტალურად მოგიყვებით. ვაჟა ლილუაშვილი მრავალჯერადი გამოყენების, ნელი მოქმედების ნაღმია. ლილუაშვილი ხელმძღვანელობდა იმ ოპერაციას, რომლის შედეგადაც ბიძინა ივანიშვილის დაცვის წევრი, ბესო სურმავა, გადაიბირა კუდმა. სურმავას კომპრომატები დაუდეს და ამით აიძულეს კუდთან თანამშრომლობა. წარმოიდგინეთ, პოლიტიკოსებზე რა კომპრომატები ექნება.

**ვაჟა ლილუაშვილი რამდენიმე რეგიონს კურირებდა, მათ შორის, ქვემო ქართლს. ამ რეგიონში დასახლებული ეთნიკური აზერბაიჯანელები, შეიძლება ითქვას, „დავერბოვკებული“ ჰყავს. ამ კაცს აქვს სერიოზული ბერკეტები და აგენტურა ჰყავს ქვემო ქართლში.** თუ „ნაციონალურ“ მოძრაობას“ ქვეყანაში სიტუაციის არევა დასჭირდა, ქვემო ქართლში ყველაფერს ლილუაშვილი მოაგვარებს. მას უმოკლეს დროში შეუძლია რეგიონის აბუნტება. ლილუაშვილს მჭიდრო კავშირი აქვს რეგიონში მცხოვრებ იმ აზერბაიჯანელებთან, რომლებიც სეპარატისტულ იდეებს გულში ინახავენ და ჯერ არ ახმოვანებენ. ციხიდან გამოსვლის შემდეგ ის მთავარ სეპარატისტებს ფარულად შეხვდა.

მკითხველის ყურადღება კიდევ ერთ სკანდალურ ინფორმაციაზე მინდა შევაჩერო. **ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სადისტი, მეგის ქარდავა, მოგეხსენებათ, ძებნილია. ქარდავა სამეგრელოს ტყეებში იმალება. მაქვს ინფორმაცია, რომ ქარდავას აქვს დიდძალი იარაღი და მასთან ერთად არიან „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერები...**

**— ის ადამიანები ხომ არ არიან, არჩევნების წინ სამეგრელოს ტყეებში სამხედრო ბანაკები რომ ჰქონდათ და მაშინდელი ხელისუფლება რეზერვისტებად ასაღებდა? ამ თემაზე ირაკლი ალასანიას განცხადების პასუხად, გიგა ბოკერიამ სიაც გამოაქვეყნა. მათი უმრავლესობა, როგორც ბოკერია ამტკიცებდა, ძალოვანი უწყებების თანამშრომლები არიან და სარეზერვო მომზადებას გადიანო.**

— ამ სიაში ნახსენები ადამიანები არჩევნების შემდეგ ტყიდან სამსახურებში დაბრუნდნენ, მაგრამ, თუ დასჭირდათ, მათ ისევ გაიყვანენ ტყეში, მეგის ქარდავასთან კი ამჟამად „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერები არიან. რამდენიმე დღის წინ ლევან ქარდავაც გამოუშვეს ციხიდან და „ბუკეტიც“ შეიკრა.

**— „ბუკეტში“ ლევან და მეგის ქარდავებს გულისხმობთ?**

— ძმებ ქარდავებსა და თენგიზ გუნავას. სააკაშვილს გუნავა სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორად შემთხვევით არ დაუნიშნავს. ის ხომ იმავე რეგიონის პოლიციის უფროსი იყო, მასაც ქარდავების მსგავსად უამრავი აგენტურა ჰყავს. სააკაშვილს ძმები ახალაიები ჩამოაშორეს, მაგრამ აღნიშნული „ბუკეტით“ დიდ უბედურებას გვიმზადებს.

**— მაინც რას გვიმზადებს?**

— სამოქალაქო ომსაც არ მოერიდება. მეგის ქარდავას ტყეში რამდენიმე მსუბუქად შეიარაღებული კაცი კი არ ჰყავს, სერიოზული შეირაღება და სამხედრო ტექნიკა აქვთ და ბევრნიც არიან. მხარდამჭრებს ტყის გარეთაც იპოვიან. გაიხსენეთ ვითომ შემთხვევით აგორებული თემა, სააკაშვილი ზუგდიდის რეზიდენციაში უნდა გადავიდესო. ეს ყველაფერი ერთ მიზანს ემსახურება — სამოქალაქო დაპირისპირების პროვოცირებას, რაც, დიდი შანსია, სამოქალაქო ომშიც კი გადაიზარდოს. სააკაშვილი ამაზეც წავა, თუ მას ძალაუფლების გახანგრძლივების საშუალებად გამოადგება. სამოქალაქო დაპირისპირების პროვოცირება სააკაშვილს მხოლოდ 2 რეგიონში შეუძლია — ქვემო ქართლსა და სამეგრელოში. ყველასთვის ცნობილია, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ ყველაზე მეტად სწორედ ამ რეგიონებში ჰქონდა ფესვები გადგმული, ხალხი ყველაზე მეტად სწორედ ქვემო ქართლსა და სამეგრელოში ჰყავდა დაბეჩავებული და ვანო მერაბიშვილის უწყება განსაკუთრებით ამ რეგიონებში მუშაობდა.

**— კუდის მიერ გადაღებული კადრების გამომზეურებას როდის აპირებენ „ნაციონალები“?**

— ხალხის ასაბუნტებლად სწორედ იმ კადრებს გამოიყენებენ.

**— იმ კადრებში რა არის ისეთი, რომ ხალხი აბუნტდეს?**

— დანამდვილებით ვიცი, რომ „ქართული ოცნების“ საპარლამენტო და სამთავრობო ლიდერების, მათი ოჯახის წევრების შესახებ, რბილად რომ ვთქვათ, ძალზე პიკანტური კადრებია გადაღებული. ეს ლილუაშვილისა და კუდის „შემოქმედებაა“. აღნიშნულ კადრებს „ნაციონალები“ ფონად და საბაბად გამოიყენებენ, პიარი და ხალხის მოტყუება კარგად იციან. ქუჩაში გამოიყვანენ მომხრეებს და შეეცდებიან, სიტუაცია უმართავი გახადონ. მესმის, რასაც ვამბობ, მაგრამ ასეა — **სააკაშვილი სამოქალაქო ომზე წამსვლელია.**

**— რაც თქვენ მითხარით, ამის შესახებ მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა არაფერი იცის და „ნაციონალთა“ შესაძლო ქმედებების პრევენციაზე არ მუშაობს?**

— **ირაკლი ღარიბაშვილმა ბევრი რამ იცის, მაგრამ მისთვის ინფორმაციის მთავარი მიმწოდებელი გელა ხვედელიძეა. არ დაგავიწყდეთ, რომ ხვედელიძე მისი მოადგილეა უშიშროების განხრით. როგორ ფიქრობთ, ხვედელიძე ლილუაშვილზე რეალურ ინფორმაციას მიაწვდის მინისტრს?** ეს კადრები ხომ ლილუაშვილის ხელთაა?

**— გელა ხვედელიძე ბიძინა ივანიშვილის თანაგუნდელია და ამ ხელისუფლებაში ერთ-ერთი საკვანძო პოსტი უჭირავს, ქვეყნის მთელი უშიშროების სამსახურები მას ემორჩილებიან.**

— ხვედელიძე ვისი თანაგუნდელია თავადაც არ იცის. იმაში კი გეთანხმებით, რომ ძალიან მაღალი პოსტი უკავია და გავლენაც პოსტის შესაფერისი აქვს. **რახანია ვამბობ, რომ ხვედელიძე არ არის ივანიშვილის ერთგული ადამიანი და სხვის თამაშს თამაშობს-მეთქი, მაგრამ არ მიჯერებენ.**

**წარმოიდგინეთ, კოალიცია „ქართული ოცნება“ დაიშალა და ივანიშვილთან ის ხალხი დარჩა, ვისზეც კომპრომატები არსებობს, ფაქტია, რომ ის, ვის ხელშიც ეს კომპრომატებია, სიტუაციის უპირობო მმართველი ხდება. გელა ხვედელიძე მეტად საეჭვო პიროვნებაა და ეს არაერთხელ მითქვამს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დათა ახალაიას მარჯვენა ხელი, ვაჟა ლილუაშვილის მრავალი წლის მეგობარი და ახლა პატრონი, შეუძლებელია, ივანიშვილისა და ღარიბაშვილის ერთგული იყოს.**

ესაუბრა
**ლევან ჯავახიშვილი**

**„მე პირადად მივეცი ჩვენება დავით გულიას და ზაზა კირცხალიას წინააღმდეგ. ისინი უნდა დაიჭირონ და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცენ. თუ ეს პირები ციხეში მოხვდებიან, სააკაშვილმა კარგად იცის, რომ ისინი დავით ჭაკუას, გაგა მკურნალიძის და ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ ჩვენებებს მისცემენ, რაც კიდევ უფრო დაამძიმებს მათ პასუხისმგებლობას და, რაც მთავარია, კვალი აუცილებლად მივა ადეიშვილამდე, მერაბიშვილამდე და სააკაშვილამდე.“**

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# შოთა აფხაიძე: «ნაციონალები» ცდილობენ, ცნობილი ჯალათები როგორმე ქვეყნიდან გაიყვანონ

**პოლიტპატიმარი შოთა აფხაიძე „საქართველო და მსოფლიოს“ მოსალოდნელი საფრთხის შესახებ აწვდის ინფორმაციას და აცხადებს, რომ, თუ ახალი ხელისუფლება დაგეგმილ საბოტაჟს ვერ აიცილებს, სამოქალაქო ომის საფრთხე გარდაუვალია. ამ მიზნით „ნაციონალური მოძრაობა“ სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურაში „ჩანერგილ“ ადამიანებს უკვე ამზადებს.**



**— ვინ არიან ეს ადამიანები, ისინი დღესაც სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობენ?**

— „ნაციონალურმა მოძრაობამ“ თავისი მხარდამჭერების, პარტიის აქტივისტების, ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომლებისა და ზონდერ-დაჯგუფებების გადანაწილება დაიწყო მათ მიერ დღემდე კონტროლირებადი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, სახელმწიფო შპს-ებში, რომლებიც დღემდე ხელისუფლებას ექვემდებარებიან. ამ ადამიანებს ინახავენ, რათა მოახდინონ ამ ორგანოების დისკრედიტაცია და საბოტაჟი, მოამზადონ არეულობა. ამ ადამიანების მთავარი თავშესაფარი თბილისია, ვინაიდან ქალაქის მერიას დღემდე გიგი უგულავა ხელმძღვანელობს და მას თავის უწყებაში წამოყვანილი ჰყავს შს სამინისტროში შოთა ხიზანიშვილის დაქვემდებარებაში მყოფი 30-მდე თანამშრომელი, რომლებიც დაკავებულნი იყვნენ ადამიანების თვალთვალით, მიყურადებითა და დეზინფორმაციის გავრცელებით. მას ასევე ყავლაშვილის სამმართველოს დაქვემდებარებიდან ჰყავს ოციოდე ადამიანი, კრიმინალურ პოლიციაში ირაკლი ყიფშიძის, ქადაგიძის, ფირცხალავების დაქვემდებარებაში მყოფი 200-მდე პირი და ახალაიების, ოლეგ მელნიკოვისა და დგებუაძის ახლო გარემოცვა კუდიდან. ასევე აქ არიან სოდის თანამშრომლები, რომლებიც იყვნენ ირაკლი კოდუას დაქვემდებარებაში. **გამოდის, რომ 400-მდე პირი მხოლოდ ქალაქის მერიაში ჰყავს გიგი უგულავას შეფარებული და ხელფასს, ფაქტობრივად, არაფერში უხდის. 1 000-1 200 ლარს ამ ადამიანებს უსაქმურობაში უხდიან, უბრალოდ, ინახავენ, რათა საჭიროების შემთხვევაში გამოიყენონ.**

თბილისის სატრანსპორტო კომპანია, ფაქტობრივად, „ნაციონალური მოძრაობის“, ბასიშვილის, უდესიანისა და დილარ ხაბულიანის ზონდერჯგუფების თავშესაფრად იქცა. მათ რიცხვში არიან ვარძელაშვილისა და კირკიტაძის ზონდერები, რომლებიც ყოფილი სპორტსმენები და ფიზიკურად საკმაოდ კარგად მომზადებულები არიან. 160 კაცია გადანაწილებული თბილის მეტროპოლიტენში, რომელსაც მფარველობს თბილისის სატრანსპორტო სამსახურის უფროსი ლევან კოპლატაძე, მისი მოადგილე მიხეილ ჭელიძე და სატრანსპორტო კომპანიის თანამშრომელი ზაალ გუგუშვილი. ეს ადამიანები გენერალური ინსპექციის მეოთხე სართულზე სხედან, სადაც მათ სპეციალურად გამოუყვეს ოთახები. ამას გარდა, უნდა ითქვას, რომ საქართველოს ფოსტაში დღემდე რჩებიან „ნაციონალების“ სიის წევრები, ასევე ვინმე დოლიძე, რომელიც არჩევნების დროს უბნებს არბევდა და ხელკეტებით უსწორდებოდა ოპოზიციონერებს.

გვაქვს ინფორმაცია, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში ძალიან ცუდი პროცესები წარიმართება. მზადდება ე. წ. კპძყმნთჭ იპრათ (რომლითაც ფაშისტური გერმანიის დამნაშავე რეჟიმის წარმომადგენლების ქვეყნიდან მალულად გაყვანა ხდებოდა) სასჯელაღსრულების თანამშრომლებისთვის, რათა მათ არ მისცენ შემდგომში ჩვენებები და არ გაამჟღავნონ ის დავალებები, რომელთაც ბაჩო ახალაიას, გაგა მკურნალიძისა და დავით ჭაკუასგან უშუალოდ იღებდნენ.

ეს ის პირები არიან, რომლებიც არამარტო ციხეში უსწორდებოდნენ ადამიანებს, არამედ მიტინგებზეც. **26 მაისის დარბევაში მონაწილეობდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობა და კონკრეტული ციხეებისა და კოლონიების თანამშრომლები, სპეცდანიშნულების ბატალიონი: რეჟიმის სამსახურის უფროსი ალექსანდრე თოლორდავა, ქსნის №15 სასჯელაღსრულების დაწესებულების უფროსი შოთა თოლორდავა, მისი მოადგილე ბაჩო გულორდავა, რიგითი თანამშრომელი ლევან ლეჟავა, უსაფრთხოების უფროსი ვინმე დურმიშხანი. უსაფრთხოების თანამშრომლები: დიმა ჩხეიძე, კობა ადეიშვილი, ასევე რეჟიმისა და უსაფრთხოების ოფიცრები, რომლებიც წამებაში მონაწილეობდნენ, თითქმის ყველა ოფიცერი. ამიტომ მინდა ყველა მათგანი ჩამოვთვალო, რათა საზოგადოებამ, ხელისუფლებამ იცოდეს ამ ადამიანების ვინაობა, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ დღეს ზოგიერთი მათგანი გათავისუფლებულია სამსახურიდან, ზოგიერთი კვლავ თანამდებობაზე რჩება.**

**სწორედ გლდანის ციხის თანამშრომლები: ვიქტორ ყაჭეიშვილი, ოლეგ ფაცაცია, იგორ მამაია, გია კვარაცხელია, სისაური და სხვები მონაწილეობდნენ 26 მაისის აქციის დარბევაში.** ეკიპირებაც კი ჰქონდათ, შავ უნიფორმაში იყვნენ გამოწყობილები და ყველაზე სასტიკად ისინი უსწორდებოდნენ კინოთეატრში შეფარებულ ადამიანებს — ქალებს წიხლებით თელავდნენ და ხელკეტებით სცემდნენ.

**სასჯელაღსრულებს №12 დაწესებულება თბილისში თითქოსდა ყველაზე მშვიდი დაწესებულება იყო, სინამდვილეში კი ყველაზე მეტი ჭაკუასთან დაახლოებული ჯალათი აქ აფარებდა თავს. თავისი დაუნდობლობით გამოირჩეოდნენ რეჟიმის უფროსი დავით გულია, ციხის უფროსი გედეონ გაბელია, მისი მოადგილე ანზორ ბარძიმაშვილი, რეჟიმის ოფიცრები: ზაზა კირცხაია და დავით ტურავა, კოკა ძარჩავა და ირაკლი ანთია. ისინი სასტიკად უსწორდებოდნენ ახალ პატიმრებს, მათ სასტიკად სცემდნენ და თან ამ ყველაფერს კამერით იღებდნენ, წამებას პირადად ესწრებოდა გაგა მკურნალიძე. შემდეგ მიჰქონდათ სასჯელაღსრულების დეპარტამენტში ეს ვიდეოკადრები და ამ ყველაფერს ციხის უფროსის კაბინეტში უყურებდნენ. სააკაშვილსაც აწვდიდნენ ინფორმაციას, თუ როგორ ერთგულად ემსახურებოდნენ რეჟიმს.**

**რუსთავის კოლონიას რაც შეეხება, იქ იყვნენ ვინმე „ნინძა“ და ლაშა ბრეგაძე, რომლებიც სასტიკად ექცეოდნენ ხალხს, ისინი დღესაც საქართველოში არიან, ხოლო ე.წ. კრიტის თანამშრომლები და დირექტორი მარგებაძე, რომელსაც რამდენიმე ადამიანი ჰყავს მოკლული, დღემდე იმალება.**

მე პირადად მივეცი ჩვენება **დავით გულიას** და **ზაზა კირცხალიას** წინააღმდეგ. ისინი უნდა დაიჭირონ და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცენ. თუ ეს პირები ციხეში მოხვდებიან, სააკაშვილმა კარგად იცის, რომ ისინი დავით ჭაკუას, გაგა მკურნალიძის და ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ ჩვენებებს მისცემენ, რაც კიდევ უფრო დაამძიმებს მათ პასუხისმგებლობას და რაც მთავარია, კვალი აუცილებლად მივა ადეიშვილამდე, მერაბიშვილამდე და სააკაშვილამდე. **ამიტომ ეშინიათ და ცდილობენ, ცნობილი ჯალათები როგორმე ქვეყნიდან გაიყვანონ. ამ ყველაფერს ხელმძღვანელობს გიგა ბოკერია და აკაკი მინაშვილი.** მინაშვილი პირადად ადგენს ამ პირთა სიას და მათი ლობისტი არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით აკეთებს მათთვის მიწვევებს უცხოეთის ქვეყნებში. ძირითადად, მათი გადინება ხდება ბალტიისპირეთის ქვეყნების, ლატვიის, პოლონეთის საელჩოების მეშვეობით. მაგალითად, გულიას და კირცხალიას გაყვანას აპირებენ ქვეყნიდან გერმანიის საელჩოს მეშვეობით.

პირი, რომელიც ხელმძღვანელობდა სპეცდანიშნულების ბატალიონს და იყო შს ყოფილი მინისტრის, ვანო მერაბიშვილის, მოადგილე **შალვა ჯანაშვილი,** დღემდე რჩება სამსახურში და ირაკლი ღარიბაშვილის მრჩეველია. ასევე დღემდე თანამდებობაზე რჩება ყველაზე დაუნდობელი სპეცდანიშნულების ბატალიონის ხელმძღვანელი **შაინიძე. ის პირები, რომლებიც ხელკეტებით გვისწორდებოდნენ, დღემდე სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობენ.**

„ყვითელი ავტობუსები“ და მიკროავტობუსები დღემდე რჩებიან თბილისის მერიის, უშუალოდ კი ხვიჩა მაქაცარიას დაქვემდებარებაში, რომელიც სააკაშვილის კარის ბიზნესმენი და ახალაიებთან და შარანგიებთან დაახლოებული პირი გახლავთ. ის არეკეტებდა სამარშრუტო ხაზების მფლობელებს და მოახდინა ამ სამსახურის სრული მონოპოლიზაცია. საყურადღებოა, რომ ის დღემდე ჩვეულ რეჟიმში აგრძელებდა მოქმედებას, სანამ მიკროავტობუსების მძღოლები არ აუჯანყდნენ. **ხვიჩა მაქაცარიამ უზარმაზარი ქონება ჩაიგდო ხელში.** მის საცხოვრებელ სახლში, საირმის გორაზე, ახალაიას მიჰყავდა ბიზნესმენები, რომლებსაც ფიზიკურად უსწორდებოდნენ. ამ ცოტა ხნის წინ მე და ლევან ჩიტაძე ვიმყოფებოდით მის სახლთან და ვიღებდით ყველა პირს. დიდი გადაადგილება მიმდინარეობს მათ დაქვემდებარებაში მყოფი, ჩემ მიერ ზემოჩამოთვლილი ზონდერჯგუფების. მაქაცარიას 20 კაცი თავის დაცვაში ჰყავს გაფორმებული, დაახლოებით 80-მდე კაცი — სამარშრუტო ხაზებში. Mმის ეზოში გარკვეული მზადება უკვე მიმდინარეობს. ხვიჩა მაქაცარია გაღიზიანდა, როცა დაინახა, მის სახლს ვიღებდით, გამოგვივარდა გარეთ და ლევან ჩიტაძის ცემას აპირებდა. ჩვენ პოლიცია გამოვიძახეთ და მის წინააღმდეგ საქმე აღიძრა. როგორც აღმოჩნდა, რამდენიმე დღის წინ ხვიჩა მაქაცარია გაიქცა საქართველოდან, თუმცა ეს პირები კვლავ რჩებიან მის ოფისში.

**— ეს მზადება მხოლოდ თბილისში მიმდინარეობს თუ საქართველოს რეგიონებშიც?**

**— არამხოლოდ თბილისში, 600-მდე შეიარაღებული პირია სამეგრელოში მობილიზებული. დასავლეთ საქართველოში ზაზა გოროზიას, დავით ჭაკუას, მისი ძმისა და ძმებ ქარდავების მიერ მოწყობილ მეურნეობებში. შეიარაღებული პირების მობილიზება მიმდინარეობს ჩხოროწყუსა და ხობის რაიონის სოფლებში, სოფელ ლიაში, სოფელ ჯვარში... შენახული აქვთ იარაღიც, რომელიც ოჯახებშია გადანაწილებული. აუცილებელია, შს სამინისტრომ გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები და ეს იარაღი სასწრაფოდ ამოიღოს.**

**— რისთვის ემზადებიან და რას ელოდებიან „ნაციონალები“?**

— „ნაციონალები“ ელოდებიან ექვსთვიანი ვადის გასვლას, როდესაც პრეზიდენტს უფლება ექნება, დაითხოვოს მთავრობა. დაიწყება საბოტაჟი, გაითიშება მეტრო, ფოსტა, ამავე დროს მოხდება დღემდე სააკაშვილის კარის ბანკების — „საქართველოს ბანკის“, „ლიბერთი ბანკის“ და სხვა დანარჩენების საფინანსო მიმოქცევის შეწყვეტა, რათა მოხდეს სახელმწიფო ბიუჯეტის პარალიზება. ერთიანად უნდა მოხდეს სახელმწიფო კრიზისი. მირკოავტობუსებითა და ავტობუსებით მოხდება ვითომ მშვიდობიანი მანიფესტანტების, სააკაშვილის მხარდამჭერების წამოყვანა დასავლეთიდან, სინამდვილეში ესენი იქნებიან შეირაღებილ პირები — 600-მდე კაცი. მოხდება კონფრონტაცია ივანიშვილსა და სააკაშვილის მხარდამჭერებს შორის და საჭიროების შემთხვევაში, სწორედ მაშინ ეცდებიან რეგიონებშიც და ცენტრშიც მოხდეს შეიარაღებული დაპირისპირება. სწორედ ამისთვის ემზადებიან.

**— ახალი ხელისუფლება რატომ ვერ აკონტოლებს ამ ე.წ. ჩანერგილ ადამიანებს?**

— ხელისუფლებას არ შეუძლია ამ ადამიანების დათხოვნა, მაგალითად, მეტროპოლიტენიდან, რადგან ის დღესაც გიგი უგულავას ექვემდებარება. რაც შეეხება სხვა სახელმწიფო სტრუქტურებს, დიდი მუშაობაა საჭირო ამ ადამიანების გამოსავლენად. **ხელისუფლება ვერ შეიჭრება სპეცრაზმით მერიასა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, სხვა კერძო სტრუქტურებში „ჩანერგილი“ ადამიანების დასაპატიმრებლად, თუმცა საჭიროა საბოტაჟის პრევენცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამოქალაქო ომი დაიწყება.**

**— გაქვთ თუ არა შესაბამისი მტკიცებულებები და თუ აპირებთ ოფიციალურ ორგანოებს მიმართოთ?**

— ჩვენი ინტერვიუს მიზანიც სწორედ ეს არის, დავეხმაროთ ხელისუფლებას. მინდა მივმართო შს მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს და სასჯელაღსრულების მინისტრ სოზარ სუბარს: მზად ვარ, ვითანამშრომლო მათთან, დავჯდე სამინისტროში და თავაუღებლად ვიმუშაო და გამოვავლინო ეს პირები და შევადგინო სია. ჩვენ შეგვიძლია წარვუდგინოთ ხელისუფლებას ფოტომასალა, დოკუმენტები. მივიდეთ ჩემ მიერ ჩამოთვლილ ორგანიზაციებში და გადავამოწმოთ აღნიშნული ინფორმაცია. მაგალითად, ძალიან საინტერესოა, მერიის, ფოსტის, მეტროპოლიტენის შტატების საკითხი. საინტერესოა, რატომ აღმოჩნდა ასშტატიან ორგანიაციაში უცებ 500 კაცი? ან კვალიფიკაციის მიხედვით, რატომ არ ასაქმებენ ადამანებს? რატომ მუშაობს კუდის თანამშრომელი მერიის საინფორმაციო სამსახურში ან რა უნდათ პარკის დაცვაში, ყოფილი თავდაცვის სამინისტროს სპეცდანიშნულების სამსახურის თანამშრომლებს? რატომ ხდება მეტროპოლიტენის ან სამაშველო სამსახურისა და დასუფთავების სამსახურების ბიუჯეტის გაზრდა? ეს არის ძალიან საეჭვო ფაქტი, რომელიც კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა გამოიძიონ.

ზემოთ ჩამოთვლილი ადამიანების წინააღმდეგ უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე, ჩვენ მივცემთ ჩვენებებს. მათ პასუხი უნდა აგონ. პასუხი უნდა აგოს **ზაზა გოგავამაც,** ვინაიდან მან პირველად მოახდინა ქართველი სამხედროს მარგინალიზაცია, როცა 2007 წელს, აქციის დასარბევად თავდაცვის სამინისტროს სპეცდანიშნულების ბატალიონი გამოიყვანა. ეს უდიდესი სირცხვილი იყო.

მინდა მივმართო შს სამინისტროსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს: სასწრაფოდ დაინტერესდნენ ჩემ მიერ ჩამოთვლილი გვარებით, ისინი ძალიან მნიშვნელოვანი მოწმეები არიან და ქვეყნიდან გაქცევა ვერ უნდა მოახერხონ.

ესაუბრა **შორენა ციჭქარაშვილი**

საქართველო და მსოფლიო
ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„როდესაც ყველას ეცოდინება, რომ ხელისუფლება არ აფათურებს ხელს ბიზნესში, ძალიან ბევრი ინვესტორი ჩამოვა და ბევრი სამუშაო ადგილიც შეიქმნება, ცხოვრების დონეც ამაღლდება და ბევრი სოციალური პროექტიც განხორციელდება, ეს უკვე დაწყებულია ... გარწმუნებთ, ყველა დაპირება, რომლებიც „ქართულმა ოცნებამ“ გასცა, შესრულდება“!**

# ნოდარ ხადური: ამნისტია, რომელსაც პრეზიდენტი სთავაზობს საქართველოს, არის კორუფციული გზით მიღებული შემოსავლების დაკანონება!

**„საქართველო და მსოფლიო“ გთავაზობთ ინტერვიუს ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურთან, რომლის უწყების სრულფასოვან მუშაობაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა. სრული პროფესორი, ფიანანსთა მინისტრი ცოტა ხნის წინ ოფიციალური ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებში ბრძანდებოდა და, როგორც აცხადებს, საკმაოდ ნაყოფიერი შეხვედრებიც გამართა. ჩვენ მას სწორედ ამ და საქართველოში მიმდინარე სხვა მოვლენებზე ვესაუბრეთ.**



**— ბატონო ნოდარ, კმაყოფილი ხართ თუ არა ამერიკის შეერთებულ შტატებში თქვენი ვიზიტით?**

— მინისტრის რანგში ამერიკის შეერთებულ შტატებში ეს ჩემი პირველი ოფიციალური ვიზიტი გახლდათ. შევხვდით საერთაშორისო სავალუტო ფონდს, ჩვენს მისიას, სსფ-ის მმართველი დირექტორის მოადგილე მინ ჟუს, ძალიან საინტერესო და თბილი შეხვედრა იყო. პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი სრულად გვიჭერს მხარს, საქართველოს მთავრობას და იმ ნაბიჯებს, რომელსაც ახალი მთავრობა დგამს. წინა წლებისგან განსხვავებით, ხაზგასმით ვამბობ, ჩვენ არ ველოდებით ფინანსურ დახმარებას...

**— მსოფლიო ბანკისგან? დეპუტატმა ზურაბ ჯაფარიძემ განაცხადა, მთავრობა მსოფლიო ბანკის იმედად აპირებს ბიუჯეტის შევსებასო...**

— არასერიოზულ განცხადებებზე სხვა ფორმატის გადაცემებში აჯობებს პასუხის გაცემა. არსებობს მხარდაჭერა მსოფლიო ბანკისგანაც და სხვა საფინანსო ორგანიზაციებისგანაც და ეს მხარდაჭერა არ არის იმდენად ფინანსური, რამდენადაც მორალური. ძალიან მნიშვნელოვანია, მსოფლიო ბანკისა და სავალუტო ფონდის მხარდაჭერა იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყანა უცხოელი ინვესტორებისთვის მიმზიდველი გახდეს.

**— ბოლო დროს თქვენი ოპონენტები იმის გამოც გაკრიტიკებენ, რომ ბიუჯეტი ვერ სრულდება და ამ მიმართულებით ქვეყანაში სერიოზული პრობლემები არსებობსო...**

— ამ წუთში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზე რვაასი მილიონი ლარია და ეს საკმარისია იმისთვის, რომ ათი თვე უპრობლემოდ გავცე პენსია. იმასაც გეტყვით, რომ წელს იანვარში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში მეტი ფული შემოვიდა, ვიდრე გასული წლის იანვარში.

**— რა რესურსით? ერთი შეხედვით ისე ჩანს, რომ არავითარი მასშტაბური ეკონომიკური პროექტი არ ხორციელდება და არც მნიშვნელოვანი ინვესტიცია შემოსულა ბოლო დროს ჩვენს ქვეყანაში. ეს რეალობაა, თუ თქვენი მთავრობა, წინამორბედებისგან განსხვავებით, პიარს ნაკლებ ყურადღებას უთმობს?**

— მუშაობს ეკონომიკა, მცირე ბიზნესი და არა პიარი. ეს დრო ჩაბარდა წარსულს, პიარით გაკეთებული საქმეები ვნახეთ, როდესაც მხოლოდ ფასადი იყო შეღებილი. ჩვენთვის მთვარია, რომ სისტემა ჩამოვაყალიბოთ და ეს სისტემა მუშაობს. მცირე და საშუალო ბიზნესის ბრუნვბია ქვეყანაში გაზრდილი. გასული წლის იანვართან შედარებით წელს ორჯერ არის მცირე და საშუალო ბიზნესში აქტიურობა გაზრდილი, იმიტომ, რომ ხალხს მიეცა მუშაობის საშუალება და აღარ ეშინია, იმიტომ, რომ მონოპოლიების ძალაუფლებაა ქვეყანაში შემცირებული, ფასების კლება დაიწყო, შესაძლოა, ეს არ არის ძალიან დიდი მაჩვენებლით შემცირება, მაგრამ გაიაფდა საწვავი, წამლები, შაქარი, ტარიფი შემცირდა ელექტროენერგიაზე... ამ ყველაფერს დანახვა უნდა. თუ ვინმეს უნდა, რომ თავისი გადმოსახედიდან ილაპარაკოს და მოსახლეობას თვალში ნაცარი შეაყაროს, არ გამოუვა. ცხრა წელი გვაყრიდნენ თვალში ნაცარს, თურმე მაგარ ქვეყანაში გვაცხოვრებდნენ და ახლაც იმავეს აგრძელებენ — გვატყუებენ, რომ ყველაფერი დაინგრა და მათ გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია, ძალიან ბევრს იღებენ საკუთარ თავზე. მოსახლეობა ამას კარგად ხედავს და იმასაც ყველა კარგად აანალიზებს, რომ პრობლემები ერთ დღეში არ გვარდება, მაგრამ ის, რაც მათ ვერ გააკეთეს, ჩვენ უკვე გავაკეთეთ. მაგალითად, **სოფლის მეურნეობაში რვა წლის განმავლობაში დახარჯეს 450 მილიონი ლარი, ხოლო ჩვენ მარტო წელს დავხარჯავთ თითქმის მილიარდს.** სოფლის მეურნეობა ძალიან მძიმე მდგომარეობაშია, 2003 წელთან შედარებით ჩვენ გვაქვს შემცირებული სახნავი ფართობები, შემცირებულია პირუტყვის სულადობაც, წარმოების მოცულობაც. ეს არის ის რეალობა, რომელიც ჩვენ დაგვხვდა. ბაზრები არის მონოპოლიზებული, გადანაწილებული და ისინი არ აძლევდნენ საშუალებას მცირე და საშუალო ბიზნესს, რომ განვითარებულიყო, თქვენ შეგიძლიათ გაიაროთ და ნახოთ, რომ თბილისში გამოჩნდა ბენზინგასამართი სადგურები, სადაც ბენზინი ღირს 1,90 თეთრი, მანამადე მათ უფლება არ ჰქონდათ, ჩამოეტანათ ბენზინი და გაეყიდათ, იმიტომ, რომ მანამდე იყო ერთი პიროვნების ხელში...

**— ვინ არის ეს ერთი „პიროვნება“?**

— გვარს და სახელს არ დავასახელებ...

**— ამბობენ, რომ ნავთობპროდუქტების ბიზნესს პრეზიდენტის ოჯახი აკონტროლებს...**

— უფრო კომპეტენტურ პასუხს ამ შეკითხვაზე სხვა შესაბამისი სამსახურები გაგცემენ. ძალიან აქტიურად მუშაობს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ყველა საინტერესო საკითხზე და შეიძლება ითქვას, დღეს საქართველოში თუ ვინმე აქტიურად მუშაობს, ეს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურია, ძალიან აქტიურია და ბევრ თემასაცაა შეჭიდებული.

**— თქვენი ოპონენტები ხშირად იმის გამოც გაკრიტიკებენ, რომ საგამოძიებო სამსახური პოლიტიკური ნიშნით არჩევს გამოსაძიებელ საქმეებს...**

— როგორ გგონიათ, ადამიანი, რომელმაც ბიუჯეტიდან შეჭამა მილიონობით ლარი...

**— კეზერაშვილს გულისხმობთ?**

— გვარებს არ აქვს მნიშვნელობა! მაგალითად, ბატონ X-ს, არ აქვს მნიშვნელობა რომელი პოლიტიკური პარტიის წევრია, თუ მოპარული აქვს ათეულობით მილიონი, იმის გამო, რომ ის სხვა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრია არ დავიბაროთ და არ ვკითხოთ, რატომ მოიპარა ბიუჯეტიდან მილიონები?! ფინანსთა სამინისტროში მუშაობს 280 ადამიანი, ხოლო დასუფთავების სამსახურის პიარსამსახურში მუშაობდა 570, არ ვიკითხოთ რატომ?! იმათ ხომ ფულს ჩვენ ვუხდით, მე და თქვენ და არცთუ ისე ცოტას. ამ საქმეზე კითხვებს რომ დავსვამთ ეს პოლიტიკური დევნაა?! ჩვენ არ ვაპირებთ ისევე მოვიქცეთ, როგორც წინა მთავრობა, ყველაფერს ერთი ადამიანი რომ წყვეტდა....

**— სამართლიანობის აღდგენა იყო ერთ-ერთი მთავარი დაკვეთა თქვენი ხელისუფლებისადმი, მაგრამ ბევრს არ მოსწონს ის ფაქტი, რომ გირაოს სანაცვლოდ წინა მთავრობის არაერთი წარმომადგენელი გათავისუფლდა...**

— სასამართლო დამოუკიდებელი უნდა იყოს და ჩვენ არასდროს ჩავერევით სასამართლოს გადაწყვეტილებებში, აი, ესაა საზოგადოების დაკვეთა.

**— რამდენიმე დღის წინ შეხვედრა გამართეთ საბანკო სექტორის წარმომადგენლებთან, თქვენი გუნდის ერთ-ერთი დაპირება იყო იაფი კრედიტები, რას გვეტყვით: არის რეალური შანსი იმისა, რომ საპროცენტო განაკვეთი გაიაფდეს?**

— ეს ძალიან ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის სისტემურ ცვლილებებზე, თუ მიაქციეთ ყურადღება, ოქტომბრის შემდეგ პროცენტმა დაიწყო დაწევა, იმიტომ, რომ იმიტომ...

**— მაინც რატომ დაიწია პროცენტმა, ხელისუფლება ჩაერია ამ საკითხში?**

— არა, ამ საკითხში ხელისუფლება ვერ ჩაერეოდა. პირიქით, მას შემდეგ, რაც ხელისუფლება აღარ ერევა ასეთ საკითხებში, ბანკებმა დაიწყეს ჯანსაღი კონკურენციის პროცესი. როცა მათ ჰქონდათ ხარჯები, რომელთაც არ ითვალისწინებდა მათი საქმიანობა, პირობითად რომელიმე მომღერლის ჩამოყვანა და სხვა მრავალი, ეს რით უნდა დაფინანსდეს? უნდა გაიზარდოს პროცენტი, რათა ბანკმა შეძლოს ამ ხარჯების დაფარვა. მთავარი ისაა, რომ ბანკები და ზოგადად ბიზნესი გათავისუფლდეს ამგვარი დამატებითი ხარჯებისგან, მაშინ ბანკები თავისთავად იფიქრებენ იმაზე, რომ, როდესაც ერთი კონკრეტული ბანკი დაბლა წევს ტარიფს და საზოგადოების დიდი ნაწილი მიდის იმ ერთ ბანკში, სხვაც იძულებული ხდება, დაწიოს ტარიფი, ეს არის ჯანსაღი კონკურენციის პროცესი, საბაზრო ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა, თორემ მთავრობის ზარებით ეკონომიკის მართვა აბსოლუტურად წარმოუდგენელია.

**— როგორია თქვენი დამოკიდებულება ფინანსური ამნისტიისადმი, რომელიც პრეზიდენტის მიერაა ინიცირებული?**

— აღნიშნულ ინიციატივაში არის საკითხი, რომელიც გადასახადების დაწევას შეეხება. ასი დღეა, ხელისუფლებაში ვართ და ყოველ დღე ვმუშაობთ იმაზე, რომ შევისწავლოთ თითოეული გადამხდელის მიერ დაგროვილი გადასახადი, რითია ის გამოწვეული. დავების საბჭო არსებობს ფინანსთა სამინისტროში, რომელმაც ძალიან ბევრი საქმე განიხილა და ძალიან ბევრ ადამიანს, რომელთაც არასწორად ჰქონდა დარიცხული გადასახადი, შეუმცირა ეს გადასახადები. ჩვენ ყოველდღე არ ვაკეთებთ იმაზე აქცენტებს, რომელ კომპანიებთან მიმართებაში აღვადგინეთ ამ თვალსაზრისით სამართლიანობა. რაც შეეხება ეგრეთ წოდებულ ამნისტიას, რომელსაც პრეზიდენტი სთავაზობს საქართველოს, არის კორუფციული გზით მიღებული შემოსავლების დაკანონება! ის ითვალისწინებს დეკლარაციების განადგურებას... როგორ გგონიათ, ვიღაცამ ბიუჯეტიდან მოიპარა ათეულობით მილიონი, არ გადაიხადა საშემოსავლო გადასახადი, არ გადაიხადა დღგ, არ გადაიხადა სხვა გადასახადები და ახლა მიღებული ქონება უნდა „გავუპრავოთ“?! არავის და არავითარ შემთხვევაში არ ვეტყვით, რომ, რაც მოიპარე, შენია და არავინ ახლა ხმას აღარ გაგცემს, მერე რა, რომ ცხრა წელიწადი გვძარცვავდი, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს მოპარული მილიონებიო. ეს გამორიცხულია! შევისწავლით ყველაფერს დეტალურად და არავის ნაძარცვ ქონებას არ დავუკანონებთ.

პრეზიდენტის ინიციატივაში ასევე წერია, რომ ეს არ ეხება იარაღით და პროსტიტუციით ნაშოვნ ფულს, ბიუჯეტიდან მოპარულ ფულს რატომ უნდა შეეხოს?! ეს ძალიან სერიოზული თემაა! თქვენ შეგიძლიათ გაიხსენოთ, რას ლაპარაკობდა მთავრობა ხუთი-ექვსი წლის წინ ფინანსურ ამნისტიაზე, როცა „ნაციონალები“ იყვნენ ხელისუფლებაში. მათ ეგონათ, სულ თვითონ იქნებოდნენ და ამკაცრებდნენ კანონებს, ლიმონივით გამოწურეს ქვეყნის ეკონომიკა. ახლა თურმე ძალიან კეთილები გახდნენ, ზრუნავენ ადამიანებზე.

**— ხაზგასმით ამბობთ, რომ პრეზიდენტის მიერ ინიცირებულ ფინანსურ ამინისტიას მხარს არ დაუჭერთ?**

— ჩვენი გუნდი, რომელსაც ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი მოწადინებულია, რომ ბიზნესგარემო გაუმჯობესდეს ქვეყანაში, მოწადინებულია, რომ გადასახადის გადამხდელებს, რომელთაც დარიცხული აქვთ უკანონო გადასახადები, მიეცეთ გარკვეული შეღავათები და აღდგეს სამართლიანობა, მაგრამ გუნდი, რომელიც 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებით მოვიდა ხელისუფლებაში, არ დაუშვებს ბიუჯეტიდან მოპარული ფული ვინმემ დაიკანონოს, გამორიცხულია, უკანონოდ ნაშოვნი მილიონები ვინმეს შევარჩინოთ...

**— ბატონო ნოდარ, საუბრის დასაწყისში ბრძანეთ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ძალიან საინტერესო შეხვედრები გქონდათ და მათ შორის ინვესტორებთან, აქვე გკითხავთ: არსებობს ისევ ინტერესი საქართველოსადმი?**

— რას ნიშნავს ისევ? იყო ოდესმე საქართველოსადმი ინტერესი? იქნებ მითხრათ, რომელი იყო ყველაზე ცნობილი ინვესტიცია ბოლო ცხრა წლის განმავლობაში?! გეტყვით, რომ ბოლო 20 წლის განმავლობაში საქართველოში ყველაზე მსხვილი ინვესტიცია იყო ნავთობსადენებისა და გაზსადენების მშენებლობა, რეალურად კი განხორციელდა მცირე ინვესტიციები, მაგრამ ნახეთ რუსთაველზე იმელის შენობა დანგრეული, ასევე სოფლის მეურნეობის ყოფილი სამინისტროს შენობა არის გამოშიგნული, არანაირი სერიოზული დაინტერესება ინვსტორების მხრიდან საქართველოთი არ ყოფილა, იმიტომ, რომ საქართველოში არ იყო დაცული საკუთრების უფლება, როცა ყოფილი პრემიერ-მინისტრი დაპატიჟებს ინვესტორებს და მერე იმ ბიზნესმენებს დაპატიჟებულზე დაიჭერენ და ამას საერთაშორისო სკანდალი მოჰყვება, რომელი ინვესტორების შემოსავალზეა ლაპარაკი?! **დღეს არის რეალური შანსი იმისა, რომ საქართველოში ინვესტიციები განხორციელდეს. ერთსაც გეტყვით, ნახეთ სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები, 2011 წელს 2003 წელთან შედარებით 150 ათასზე ნაკლები ადამიანი მუშაობს, ეს არის ინვესტორების ინტერესი?! როდესაც ყველას ეცოდინება, რომ ხელისუფლება არ აფათურებს ხელს ბიზნესში, ძალიან ბევრი ინვესტორი ჩამოვა და ბევრი სამუშაო ადგილიც შეიქმნება, ცხოვრების დონეც გაიზრდება და ბევრი სოციალური პროექტიც განხორციელდება, ეს უკვე დაწყებულია.** იცით, რომ პენსიები იზრდება, დაზღვეული იქნება ყველა მოქალაქე... **გარწმუნებთ, ყველა დაპირება, რომლებიც „ქართულმა ოცნებამ“ გასცა, შესრულდება!**

**«ფინანსთა სამინისტროში მუშაობს 280 ადამიანი, ხოლო დასუფთავების სამსახურის პიარსამსახურში მუშაობდა 570 «თანამშრომელი»**

ესაუბრა
**ლილი მიროტაძე**



**მეცოცხე სააკაშვილის 9-წლიან ფაშისტურ რეჟიმს რა ნამუსით ეძახდით დემოკრატიის შუქურას?! ნუთუ არ გესმით, რომ ნაცების, მათი ვადაგასული პრეზიდენტის მიმართ გამოხატული აგრესია სწორედ იმ რეჟიმის გამოძახილია და რომ კაცისმკვლელ სადისტებთან კოაბიტაციის იძულება ქართველი საზოგადოების მორიგი შეურაცხყოფაა?!**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სად იწყება ჩიორა თაქთაქიშვილის ცხვირი?!

**პირადად ჩემთვის მიხეილ სააკაშვილი დიდი ხანია „ჩემი პრეზიდენტი“ აღარ არის და მითუმეტეს იურიდიულადაც ვადაგასულს პრეზიდენტად არ და ვერ მოვიხსენიებ. აქედან გამომდინარე, ის, რაც 8 თებერვალს საჯარო ბიბლიოთეკასთან მოხდა, პირველ რიგში, პარლამენტის ალოგიკური ქმედებების ბრალია. ერთის მხრივ, პარლამენტში ვერ ბედავენ მიხეილ ვადაგასულის იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებას, რისი ლეგიტიმური უფლებაც 21 იანვრიდან, ანუ დემოკრატიის ანა-ბანადან (აღარაფერს ვამბობ „მილიონშჩემტო“ ხელმოწერებზე, რასაც, წესით, მეტი გამბედაობა უნდა შეემატებინა მათთვის) გამომდინარე ჰქონდათ, მაინც რას იტყვის ევროპა და ამერიკა, დასავლეთი კარგად ვერ გაგვიგებსო... მხდალი პოზიცია არჩიეს, მაგრამ, მეორე მხრივ, პრეზიდენტს პარლამენტში სიტყვით გამოსვლაზე უარი რომ უთხრეს, ამას გაგებით მოეკიდებოდა დასავლეთი?**



**იქნებ ვინმემ დამისახელოს სხვა ქვეყანა, სადაც ამერიკის ელჩები არა თუ მიტინგებზე დადიან, გაძლიერებული დაცვის გარეშე ცხვირის გამოყოფას ბედავენ საელჩოების ტერიტორიებიდან**

**აკი ვერც მოეკიდა და საჯარო ბიბლიოთეკასთან განვითარებული მოვლენების შემდეგ ბოლო დროს ამერიკა-ევროპიდან თითქმის შემწყდარმა კრიტიკამ ახალი ძალით იფეთქა და „მეოცნებეთა“ ხელისუფლების კრიტიკას ვინღა დაეძებს, ქართველი ხალხის მიმართ შეურაცხმყოფელი ჭკუის სწავლების ნიაღვარი წამოვიდა!**

ამერიკის ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა განაცხადა, — ბიბლიოთეკასთან მომხდარი დემოკრატია არ იყოო და სახლებში წასვლისკენ მოუწოდა ავლაბრის რეზიდენციასთან შეკრებილ პროტესტანტებს.

იქნებ ვინმემ დამისახელოს სხვა ქვეყანა, სადაც ამერიკის ელჩები არა თუ მიტინგებზე დადიან, არამედ გაძლიერებული დაცვის გარეშე ცხვირის გამოყოფას ბედავენ საელჩოების ტერიტორიებიდან. ბატონო ნორლანდ, მართალია, თქვენს წინამორბედ ჯონ ბასთან შედარებით ფრთიანი ანგელოზი ჩანხართ (ჯერჯერობით ასეა) და იქნებ არც ჩვენი დღევანდელი დემოკრატიაა სანიმუშო, **მაგრამ მეცოცხე სააკაშვილის 9 წლიან ფაშისტურ რეჟიმს რა ნამუსით ეძახდით დემოკრატიის შუქურას?! ნუთუ არ გესმით, რომ ნაცების, მათი ვადაგასული პრეზიდენტის მიმართ გამოხატული აგრესია სწორედ იმ რეჟიმის გამოძახილია და რომ კაცისმკვლელ სადისტებთან კოაბიტაციის იძულება ქართველი საზოგადოების მორიგი შეურაცხყოფაა?!**

არც ევროკავშირიდან დაგვამადლეს მსგავსი კომენტარები ქეთრინ ეშტონმა და შტეფან ფულემ „ხელისუფლების გადანაწილების პროცესში წარმოქმნილი სირთულეების გამო“. ამერიკელების არ იყოს, ეს ის ქალბატონ-ვაჟბატონები ბრძანდებიან, რომლებსაც პროტესტის გრძნობა ვერც 7 ნოემბერის აქციის სასტიკმა დარბევამ, ვერც 26 მაისის სასაკლაომ გაუჩინა და უფრო მეტიც, 9 წლის მანძილზე საქართველოში დემოკრატიის წინსვლაზე საუბრობდნენ ნიადაგ და შესაშური ოპერატიულობით, მხოლოდ მათი იმბეცილი ფავორიტის მიერ გამწარებული ხალხის მსუბუქი აგრესიის გამო შფოთავენ!

მეთიუ ბრაიზა? — მიშნაცების დიდი ხნის „ძმა და პირის ზიარება“, ჩვენ რომ საბოლოოდ მოშორებული გვეგონა, ამერიკიდან სპეციალური ვრცელი განცხადებით გამოეხმაურა მიხეილ ვადაგასულის „უსამართლოდ დაჩაგვრას“. განცხადებით, საიდანაც „ვარდების რევოლუციის“ ჭირის სასიკეთოდ წარმოჩენის პასაჟებს გამოვტოვებ და მხოლოდ ბოლო ციტატას მოვიყვან — „ამერიკელებისთვის იმის გაფიქრება, რომ ჩვენი პრეზიდენტის მიმართვა, შესაძლოა, კონგრესის მიერ ყოფილიყო დაბლოკილი, წარმოუდგენელია“...

**ვაა, „საღოლ გითხარი, იუზგარ“ — ამერიკელებისთვის როგორი წარმოსადგენია იმის გაფიქრება, რომ მათმა პრეზიდენტმა 10 თვით კი არა, თუნდაც ათი წუთით მეტი დაჰყოს თეთრ სახლში?**

ეს, რაც შეეხება წერილის თემის, თუ შეიძლება ასე თქმა, საერთაშორისო ასპექტებს და ახლა საშინაოსაც მივხედოთ...

ნაცებისთვის და განსაკუთრებით მათი ევროპელ-ამერიკელი მფარველებისთვის, მოულოდნელად „გაოპოზიციონერებულ“ ნაცებს, თავდაცვის ერთი მზაკვრული თეზა აქვთ მომარჯვებული — როდესაც წარსულ დანაშაულებს შეახსენებ, კარგი, ჩვენ შეცდომები თუ გვქონდა, თქვენ, ახალი ხელისუფლება მოიქეცით უკეთესადო. გაუდით. დააკვირდით, არავითარ შემთხვევაში — დანაშაულის აღიარება! მხოლოდ საკუთარ შეცდომებზე ეფემერული საუბრის მოწყალების ღირსად გვთვლიან ქართველ საზოგადოებას თავად ნაცები და „მონაცმაცუნე“ „ექსპერტ-პოლიტოლოგები“. ეს ცინიზმია, რომ გვაგიჟებს!

არა და, როგორი მოსასმენია ამ მეცოცხე ნაძირლებისგან, როგორც წესი, აბსოლუტურად უსაფუძვლო წუწუნი შერჩევით სამართალზე, პოლიტიკური ნიშნით დევნაზე, განსხვავებული აზრის მიუღებლობაზე, ტელე თუ ბეჭდურ მედიაზე ზეწოლა-კონტროლზე, უკანონო სატელეფონო მოსმენებზე თუ ვიდეოგადაღებებზე და ა. შ. რომელი ერთი ჩამოვთვალო იქიდან, რასაც თავადვე აკეთებდნენ, თანაც დაუსჯელობის აბსოლუტური განცდით და რის გამოც წლების მანძილზე ქუჩებში ხვრეტდნენ ახალგაზრდებს, სასტიკად დაარბიეს 7 ნოემბრის და განსაკუთრებით 26 მაისის აქციები, როდესაც მათივე ნაწამებ-მოკლულები სახურავზე შეყარეს, ნულოვანი ტოლერანტობით გაავსეს ციხეები, სადაც უკანალში ცოცხებგაჩრილი პატიმრები ადამიანებზე უფრო ზოოპარკის ვოლიერებში დამწყვდეულ ეგზოტიკურ ფარშევანგებს ჰგავდნენ?

აღარაფერს ვამბობ 6 მაისის გიორგობას პლასტიკური ტყვიებით დახვრეტილ და თვალებდათხრილ ხალხზე...

**ამიტომ იყო, რომ ამას წინათ ამავე გაზეთში გამოქვეყნებულ წერილში მოვუწოდე მათ, ვისაც ხშირად უწევთ ტელე თუ საპარლამენტო დებატებში მონაწილეობა, რომ მსგავს ცინიზმს, რასაც „გაღმა შეედავე“ ან, გნებავთ, „კენჭების ჩვენს ბოსტანში სროლა ჰქვია“, მხოლოდ ერთი სიტყვით — „ცოცხი“, უნდა უპასუხო, რადგანაც უტიფარ ნაცებთან სერიოზულ პოლემიკაში შესვლა შეურაცხმყოფელი მგონია, მაგრამ, როგორც იტყვიან, ვინ დაგიჯერა, რო?**

ეს ისე, მცირე ლირიული გადახვევა...

ამ დავითობის შემდეგ, „რუსთავი 2“-ის ცნობილმა პროფესიონალმა პასკვილანტმა და ნატოს ოფისის „დვარნიაშკა“ თენგიზ გოგოტიშვილმა კვირის P.S.-ში 8 თებერვლის მსუბუქი ექსცესი, როგორც სისხლიანი მოვლენები, ასე დააანონსა!

რატომ მხოლოდ ჩიორა თაქთაქიშვილის გახეთქილი ცხვირის თუ ტუჩის გამო, ვინც დემონსტრატიულად, დიდი ხნის განმავლობაში არ მოიწმინდა ორიოდე წვეთი სისხლი?

**კოკი იოთანაშვილს მინდა ვკითხო, რომელმაც ჩიორაზე ხელგადახვეულმა აგვიჩუყა გული — ამას წინათ გმირთა მოედანზე ვეტერანების აქცია რომ დაარბიეს და ერთ ქალბატონს, დარბეული ვეტერანი ქმრის თვალწინ, კუდის თანამშრომელმა სახეში მუშტი რომ გლიჯა, მაშინ სად იყავი კოკი, რატომ არ გააპროტესტე?**

რა თქმა უნდა, მანდილოსნის, თუნდაც უტიფარი დედაკაცის, ხელით შეხება დასაგმობი და მიუღებელი საქციელია მამაკაცისთვის...

მაგრამ, როდესაც ეს მანდილოსანი პირს გააღებს და უგონოდ წიკვინს იწყებს, იმ მანდილიდან თითქმის აღარაფერი რჩება და ჩიორას ცხვირიც ამ ოპერიდან არის — ვიმეორებ, ამას ჩიორას სისხლის გასამართლებლად კი არა, ამ სამწუხარო ფაქტის ხაზგასასმელად ვამბობ...

ახლა ბევრს ლაპარაკობენ, საჯარო ბიბლიოთეკასთან მომხდარი წინასწარ დაგეგმილი პროვოკაცია იყო თუ სპონტანურად მოხდა. და თუ მაინც დაგეგმილი იყო, ვის მიერ? მე, როგორც უშუალო თვითმხილველი და მონაწილე იმ აქციისა, დარწმუნებული ვარ წინასწარ დაგეგმილ პროვოკაციაში, რომლის ავტორი მიხეილ ვადაგასული მგონია, ხოლო შემსრულებელი აქტიორები — გიგი უგულავას თამადობით მოსული ნაცბანდის წევრები!

**ჯერ იყო და 8 თებერვალს, მაინცდამაინც დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, პარლამენტში გამოსვლის სურვილი უკვე პროვოკაცია იყო, რადგანაც ცნობილი ამბავია, რომ ვადაგასული მიხეილი არა მხოლოდ სიზმარში უტოლებს თავს უვადოდ აღიარებულ უდიდეს მეფეს საქართველოსას, არამედ ცხადშიც არაერთხელ უწოდებია მიშასთვის აღმაშენებელი, მის ჯიბის მეუფე კალისტრატეს და ხომ წარმოგიდგენიათ, როგორი აპლომბით შეაბიჯებდა პარლამენტის დარბაზში გელათმოვლილი, დავითის საფლავზე კიდევ ერთხელ „ფიცდადებული“ მიშა, სადაც სტუმართა ლოჟაში პატრიარქი არა, მაგრამ კალისტრატე უეჭველად იქნებოდა?**

პარლამენტის უარის შემდეგ, რომ მისთვის დაეთმოთ სატრაბახოდ ტრიბუნა, კიდევ ერთხელ დაინახა ვადაგასულმა საკუთარი უსუსურობა და ბიბლიოთეკის ვარიანტი მიხეილ მაღალის და მისი ნაცბანდის ზიზღის გამოხატვა იყო ქართველი საზოგადოების მიმართ, საზოგადოების, რომელსაც არანაკლებად ეზიზღება სადისტი მეცოცხეები!

ვინც მიხეილ ვადაგასულის გამოსვლას უყურა ავლაბრის რეზიდენციაში, დამეთანხმება, რომ აშკარად ნერვიულობის ფონზე, იქამდეც კი, რომ სიტყვებიც „ეყლაპებოდა“, მიუხედავად ვითომდა შემრიგებლური რიტორიკისა, აშკარად უციმციმებდა თვალებში ზიზღის ეშმაკუნები — რომ შეეძლოს, მთელ საქართველოს გადაბუგავდა ეს არაკაცი!

რაც შეეხება ქალაქის მერს, ისიც ყველამ ვნახეთ, თუ როგორ აშკარად იწვევდა საზოგადოებას, როგორ ილტვოდნენ ფიზიკური შეხლა-შემოხლისკენ, რასაც მიაღწიეს კიდეც და დასავლეთის თვალში წამებულ-დევნილთა მანტიაც მოირგეს!

ახლა კი ურცხვად აცხადებს ჩვენი ტანადი — „როგორც ჩანს, თქვენ შოუ გინდათო“, სიტყვა-სიტყვით ასე „დაპოსტა“ „ფეისბუკში“ ამ უნამუსომ — არა, გიგი, შენ იქვე „გეთაყვაც“ დაამატე და ნუ თავმდაბლობ, შეკაცო...

ასე იყო თუ ისე, იმავე დღეს დააკავეს ყოფილი პოლიტპატიმრები: მელორ ვაჩნაძე და მიშა მესხი, რომლებიც მეორე დღეს 100 ლარით დააჯარიმეს, ხოლო გელა მამალაძეს, რომელიც ჩიორას, სერგო რატიანის და გიგა ნას(რ)არიძის ცემაშია ეჭვმიტანილი (ბოლო ორის გამო, რომ იტყვიან, შეგრჩეს მარჯვენა) გუშინ გამოუტანეს ვერდიქტი — 2000 ლარი გადაახდევინეს!

დაკითხვაზე მისვლას არ აპირებენ დეპუტატები თუ ქალაქის მერი და საკუთარ კაბინეტებში ეპატიჟებიან გამომძიებლებს — ასეა, ბატონო, როდესაც ამას წინათ გამონაკლისი დაუშვით და გიგი უგულავას კაბინეტში ეახელით, ეს „გამონაკლისი“ წესად აქციეს და გაეცით ახლა პასუხი, ბატონო მინისტრებო!

მესხი-ვაჩნაძის სასამართლოს შემდეგ „ფეისბუქში“ პარალელი გავავლე შარშან, 17 მაისს რუსთაველზე გეიპარადის ჩაშლასთან, რომლის ერთ-ერთი ფიგურანტები მე და სოსო მანჯავიძე გახლდით. მაშინ წინააღმდეგობის მოძრაობის ლიდერი და დღეს პოლიტიკური პარტია, საქართველოს პატრიოტთა ალიანსის (სპა) გენერალური მდივანი, პედერასტისთვის გაწნული „მამაშვილური“ ალიყურისთვის, 100 ლარით დააჯარიმეს — რა პედერასტი და რა მათი მფარველი ნაცები-მეთქი, რატიანის და ბლანჟეცანცარა ნასარიძის „დაზარალება“ მქონდა მხედველობაში და იქვე დავამატე — თუ არ მოისვენებენ ნაცები, მზად ვარ, ოჯახის ბიუჯეტი 100 ლარით მეც დავაზარალო-მეთქი...

მაგრამ პლაგიატებს რა გამოლევს და ნაცების ახალმა დეპუტატმა ზურაბ ჯაფარიძემ, როგორც ჩანს, ჩემგან გადაიწერა იმ პოსტის პირველი ნაწილი და მცირედი პერიფრაზით განაცხადა:

„როგორც ჩანს, დეპუტატების ცემა 100 ლარი ღირს და სწორედ ეს სასჯელი დაავალა სასამართლოს ბიძინა ივანიშვილმაო“!..

**აკი ზემოთ ვთქვი, რომ ამათ ნაგლობა-ცინიზმს საზღვარი არ აქვს-მეთქი. იქნებ ისიც გვითხრას ბატონმა ჯაფარიძემ, ვინ დაავალა სასამართლოს ის, რომ მკვლელების, მკვლელობაში მონაწილეების მიმართაც კი არ იყენებენ წინასწარ პატიმრობას და გირაოთი ათავისუფლებენ ყველას?**

აგერ ახლა, ბუტა რობაქიძის მკვლელობის მიჩქმალვაში, თეატრალიზებულ დადგმაში ეჭვმიტანილი გურგენა დონაძე 25 ათასის, დანარჩენები 15 ათასის სანაცვლოდ არ გაათავისუფლეს?!

**დავით მხეიძე**

ქრონიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კრიტიკულ მომენტში ნატო და ამერიკა ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებასაც ისევე დატოვებენ რუსეთთან პირისპირ, როგორც ავანტიურისტი სააკაშვილი მიატოვეს. შეცდომებისა და დანაშაულისთვის კი ისევ ქართველი ხალხი ზღავს. ნატოსკენ სწრაფვა კი, რასაც ივანიშვილი ეშურება, რუსულ-ქართული ურთიერთობის უპირველესი შემაფერხებელი ფაქტორია.**

# იპოვეთ 5 განსხვავება...

**საზოგადოების ერთი ნაწილი უიმედოდ უყურებს „ქართულ ოცნებასა“ და მის ლიდერს — ბიძინა ივანიშვილს. ეს იმედგაცრუება ხელისუფლების მხოლოდ 4-თვიანი მმართველობის შედეგია. რაც ყველაზე დიდი უბედურებაა, მმართველობის პირველ ეტაპზე ივანიშვილის კოალიცია იმავე შეცდომებს უშვებს, რის გამოც ხალხიც და „ოცნების“ ლიდერებიც „ნაციონალურ მოძრაობას“ აკრიტიკებდნენ. ხშირად, „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ ზოგიერთი ქმედება არაფრით განსხვავდება ერთმანეთისგან.**

ბიძინა ივანიშვილისა და მისი კოალიციის წევრთა უმთავრესი სტრატეგიული შეცდომა საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ კურსთან დაკავშირებული განცხადებები და ქმედებებია. ისინი ხაზგასმით აცხადებენ, რომ ქვეყნის საგარეო კურსი არ შეიცვლება, შეუქცევადად გაგრძელდება ნატოსთან და ევროკავშირთან დაჩქარებული ინტეგრაციის პროცესი. **მიუნხენის კონფერენციაზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ „დაგვაიმედა“, ქართველი ჯარისკაცები ავღანეთში 2015 წლამდე იქნებიან, მანამდე მათ გამოყვანას არ ვაპირებთო.**

ქართული ბატალიონი ავღანეთს მაშინ დატოვებს, როცა უკანასკნელი ამერიკელი, ბრიტანელი, ფრანგი და გერმანელი ჯარისკაცი გამოვა ამ ცოდვილი მიწიდან? **რატომ ვედრებით ამ და კიდევ სხვა სახელმწიფოებს, რომელთაც ავღანეთის ომი აზიაში თავიანთი გეოსტრატეგიული და ფინანსური ინტერესების გამო წამოიწყეს?**

ჩვენ ხომ მსგავსი ინტერესები არ გაგვაჩნია? მიხეილ სააკაშვილმა ქართველი ბიჭები სასაკლაოზე წაასხა, ისინი სხვის ომში და სხვის ნაცვლად იბრძვიან. უკვე რამდენი ქართველი ჯარისკაცის დედამ ჩაიცვა ძაძა, რამდენი ჯარისკაცი დახეიბრდა... კონტრიბუციის საფასურს სააკაშვილი ნატოსგან და მისი წევრი ქვეყნებისგან სოლიდური ფულადი დახმარებით იღებდა, **ვინ იცის, თითო ქართველი ჯარისკაცის თავი იქნებ რამდენიმე ათას ამერიკულ დოლარადაც აქვთ ამერიკელებს შეფასებული და ამ „ნიხრით“ უხდიდნენ ანტიქართულ ხელისუფლებას ფულს!**

ასეთია ის მწარე რეალობა, ავღანეთის ანტიტერორისტულ კამპანიაში მონაწილეობისთვის რომ გვერგო.

წინამორბედის მსგავსად, არც ბიძინა ივანიშვილი აპირებს ქართული ჯარის ავღანეთიდან გამოყვანას. 2015 წლამდე, ღმერთმა იცის, კიდევ რამდენი საჯიშე ვაჟკაცი შეაკლავს თავს ავღანელ მებრძოლებს. **ძალიან მეეჭვება, რომ ქართველი ხალხის ოცნება ნარჩევი ქართველი ბიჭების სხვის ომში უაზრო და უმიზნო ჩახოცვა იყოს.**

ავღანეთში ქართული ბატალიონის 2015 წლამდე დატოვება თავისთავად ნიშნავს, რომ საქართველო გააგრძელებს ნატოსკენ „დაუკოებელ სწრაფვას“. და რა მოგვიტანა ნატოს სტრუქტურებთან დაახლოებამ? **ნატოსთვის და ამერიკისთვის საქართველო მხოლოდ საშუალებაა კავკასიაში თავიანთი სტრატეგიული ინტერესების გასაღრმავებლად. სწორედ საქართველოს ნატოსკენ სწრაფვა იყო მიზეზი 2008 წლის ომისა და მისი საშინელი შედეგებისა — აფხაზეთისა და ცხინვალის დაბრუნების შანსი ლამის ნულამდე დავიდა.**

ამ ომის დროს კი სტრატეგიულმა პარტნიორმა, ამერიკამ წყალი გამოუგზავნა ქართველ ხალხს, ნატომ კი ხელიც არ გაატოკა, რომ აგვისტოს დასაწყისში რუსეთის შესაძლო აგრესია შეეჩერებინა საქართველოს წინააღმდეგ. არადა, საამისო ბერკეტები მას ნამდვილად გააჩნდა. ჩვენი ნატოელი „მეგობრები“ მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდნენ, როცა რუსული ტანკები იგოეთთან იდგნენ და ახალგორი და კოდორიც დაიცალა ქართველებისგან და რუსეთის უმაღლეს ხელისუფლებას უკვე მიღებული ჰქონდა გადაწყვეტილება, აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების შესახებ.

**კრიტიკულ მომენტში ნატო და ამერიკა ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებასაც ისევე დატოვებენ რუსეთთან პირისპირ, როგორც ავანტიურისტი სააკაშვილი მიატოვეს. შეცდომებისა და დანაშაულისთვის კი ისევ ქართველი ხალხი ზღავს.**

**ნატოსკენ სწრაფვა კი, რასაც ივანიშვილი ეშურება, რუსულ-ქართული ურთიერთობის უპირველესი შემაფერხებელი ფაქტორია.**

შარშან, მიუნხენის კონფერენციის შემდეგ, გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა განაცხადა, რომ მულტიკულტურიზმმა, რომელიც ერთიანი ევროპული კულტურის საფუძველი უნდა გამხდარიყო, მის ქვეყანაში კრახი განიცადა. მერკელმა იქვე დასძინა, რომ ევროპული ქვეყნების კულტურათა გადარჩენის ერთადერთი და უალტერნატივო გამოსავალი მულტიკულტურიზმზე უარის თქმა და კონკრეტული ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის მათი ნაციონალურ ფესვებთან დაბრუნებაა. მერკელის შემდეგ, იგივე განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ და ეჭქვეშ დააყენა ევროკავშირის პერსპექტივა. ახლახან დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა დევიდ კემერონმა მკაფიოდ განაცხადა, რომ დელეგირებული ზოგიერთი უფლების დაბრუნება სურს ბრიტანეთისთვის და, თუ კემერონი დარჩება ხელისუფლებაში, 2017 წელს ის აუცილებლად ჩაატარებს რეფერენდუმს დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გამოსვლის თაობაზე.

**დიდი ხანია, ევროკავშირიდან გამოსვლას ითხოვენ საბერძნეთის, ესპანეთისა და პორტუგალიის სამთავრობო და არასამთავრობო წრეები. ევროკავშირის დაშლა დროის საქმეა და მეტი არაფერი. ლამის მთელ ევროპას მოდებული ფინანსური კრიზისი რომ საერთო ევროპული ვალუტის — ევროს და ევროკავშირის ფინანსური ინსტიტუტების არასწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის დამსახურებაა.** ევროკავშირმა ფინანსურ კრიზისში არამარტო წევრი ქვეყნები ჩაითრია, არამედ სხვა ევროპული სახელმწიფოებიც. „ქართული ოცნების“ ლიდერები კი, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე, ჰპირდებიან ქართველ ხალხს, რომ საქართველო ევროკავშირში აუცილებლად გაწევრიანდება. **ევროკავშირის იდეის ავტორი ქვეყანა** (ერთიანი ევროპის იდეა უინსტონ ჩერჩილს ეკუთვნის) **გარბის კავშირიდან, საქართველოზე ასგზის გავლენიანი და დიდი ქვეყნები მას უკან მიჰყვებიან და ჩვენ რა ევროკავშირი აგვიტყდა? რა მოგვცა ევროკავშირმა? გამარტივებული სავაჭრო ურთიერთობისა და ასოცირებული წევრობის ეფემერული დაპირებები?** თუ სესხს გვაძლევს, პროცენტით ვუბრუნებთ უკან, თუ გვეხმარებიან, საფასურად რაღაც აუცილებლად მიაქვთ ჩვენი ქვეყნიდან. ევროკავშირი არ არის საქველმოქმედო ორგანიზაცია, რომელშიც, თუ გაწევრიანდებით, მაშინვე ყველა ფინანსურ პრობლემას მოგვიგვარებენ — ევროპულ პენსია-ხელფასებს დაგვინიშნავენ, ჩვენს ნაცვლად ყველაფერზე იზრუნებენ და ჩვენ, მხართეძოზე წამოწოლის გარდა, სხვა საქმე აღარაფერი დაგვრჩება. **ამ ზღაპრებით აბოლებდა მიხეილ სააკაშვილი ხალხს 9 წლის მანძილზე, „ნაციონალ“ მეზღაპრეებს „მეოცნებენი“ ჩაენაცვლნენ და, როგორც ვატყობ, უფრო დამაჯერებლად უყვებიან ხალხს ამ ზღაპრებს. უბედურება კი ისაა, რომ ხალხს „ქართული ოცნების“ ლიდერებისა უფრო სჯერა (ჯერჯერობით) და უსმენს. მაშ, რა განსხვავებაა „ნაციონალურ მოძრაობასა“ და „ქართულ ოცნებას“ შორის? ამ შემთხვევაში, არც არაფერი!**

„ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებმა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაიწყეს თავიანთი ნათესავ-მეგობრების სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმება, მათ შორის, მაღალ, საკვანძო პოსტებზე. ვისაც პატრონი არ ჰყავდა, მათ შორის უბადლო და შეუცვლელი პროფესიონალებიც კი, სამსახურებიდან გაყარეს. **„ქართული ოცნება“ ხალხს ჰპირდებოდა, მოვალთ ხელისუფლებაში ამ მანკიერ ტრადიციას ბოლოს მოვუღებთ და სახელმწიფო სამსახურებში ხალხს კონკურსების საფუძველზე, ნიჭისა და შესაძლებლობების მიხედვით დავასაქმებთო. მოვიდნენ, ხელისუფლებაც ჩაიბარეს, მაგრამ ტრადიცია არ დარღვეულა — „ნაციონალები“ გაუშვეს სამსახურებიდან, შეპირებული კონკურსები არც გახსენებიათ და საკუთარი ნათესავ-მეგობრები დანიშნეს თანამდებობებზე.** ნეპოტიზმი განსაკუთრებით თვალში საცემი აჭარაშია. აჭარის ახალ თავკაცს, მედიით გავრცელებული ინფორმაციით, დაუსაქმებელი ნათესავი არ დარჩა. ახლა კი მეგობრების დასაქმებაზე გადასულა. **რა განსხვავებაა ლევან ვარშალომიძესა და არჩილ ხაბაძეს შორის? იმ აჭარელთათვის, რომლებიც არც ერთის ნათესავია და არც მეორის, — არც არაფერი!**

მმართველი გუნდის ერთი ნაკლი ნათესავ-მეგობრების სახელმწიფო პოსტებზე დანიშვნაა, მეორე კი ის არის, რომ, სადაც ხელი მიუწვდებათ, „ქართული ოცნების“ წევრებსა და აქტივისტებს ასაქმებენ — **„ნაციონალები“ „მეოცნებეებმა“ ჩაანაცვლეს.** მალე, ალბათ, ვისაც „ქართული ოცნების“ მიტინგებზე ყველაზე დიდტარიანი დროშა ეჭირა, ყველაზე მაღალ პოსტს მიიღებს, ხალხს კი იმ დროშის ტარი შერჩება. საქმე იქამდე მივიდა, რომ **„ოცნებისტები“ სპორტულ ფედერაციებსაც დაერივნენ და მათ თავკაცებადაც პარტიულ ლიდერებს ნიშნავენ.** ეს ტრადიცია ჩაუშესკუს რუმინეთიდან იღებს სათავეს — ყველა სპორტული ორგანიზაციის ხელმძღვანელი რუმინეთის კომპარტიის ლიდერი იყო. ტრადიცია წარმატებით გააგრძელეს „ნაციონალებმა“, ესტაფეტა კი „ქართულმა ოცნებამ“ ჩაიბარა. არადა, წინასაარჩევნოდ ივანიშვილის პარტიული ლიდერები აცხადებდნენ, „ნაციონალებმა“ სპორტული ფედერაციების გაპოლიტიკურებით საბოლოოდ გაუსვეს ხაზი ავტოკრატიულ მმართველობასო. **„ქართული ოცნების“ მიერ სპორტული ფედერაციების პოლიტიზირება რისი ნიშანია — უსაზღვრო დემოკრატიის?**

ხედავთ რაიმე განსხვავებას „ნაციონალურ მოძრაობასა“ და „ქართულ ოცნებას“ შორის? ვფიქრობ, ამ მხრივაც შეუძლებელია განსხვავების პოვნა.

რამდენიმე სიტყვა ამ „საყოველთაო დაჭერობანაზეც“ ვთქვათ, მთელ ქვეყანას რომ მოედო. გახსოვთ „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში მოსვლის აისი? **ისინიც, ძველი ხელისუფლების ჩინოვნიკებს იჭერდნენ, იჭერდნენ და საპროცესო გარიგებით უშვებდნენ — ბიუჯეტში სოლიდურ თანხებს ახდევინებდნენ თავისუფლების საფასურად. ახლა რაღა ხდება? ახალი ხელისუფლება ისევ ძველი ხელისუფლების ჩინოსნებს იჭერს და ისევ უშვებენ, თავისუფლების სანაცვლოდ კი კვლავ ფულს ახდევინებენ. განსხვავება? არის ერთი განსხვავება — ადრე ამ ფულის გადახდას საპროცესო გარიგება ერქვა, ახლა გირაო ჰქვია. არსებითი განსხვავება კი „ნაციონალთა“ და „ქართული ოცნების“ ამ პოლიტიკას შორის არ არის, ვინც ქვეყანას ანგრევდა წლების მანძილზე, ვინც ეს ქვეყანა გადაჭამა მაშინაც და ახლაც, ერთეულების გამოკლებით, ყველა თავისუფალია.**

ჯერ ნოდარ ხადურისა და მისი მოადგილეების წინასაახალწლო პრემიები არ გვქონდა მონელებული და სახელმწიფო კანცელარიის თანამშრომლებმა ფინანსთა მინისტრის მადა სანატრელი გაგვიხადეს. პრემიერ-მინისტრის კანცელარიის უფროსმა მაია ცქიტიშვილმა 1 თვეში, დეკემბერში სამჯერ აიღო პრემია — ერთიანად 12 ათას 390 ლარი. კანცელარიის სხვა თანამშრომლებმაც დეკემბერში ზოგმა ორჯერ, ზოგმაც სამჯერ მიიღო პრემია (ჯამში, 20 დღეში სახელმწიფო კანცელარიის თანამშრომლებმა 340 ათასი ლარი მიიღეს პრემიის სახით).

პრემიერის კანცელარიის პრესცენტრის უფროსმა ნონა ყანდიაშვილმა განგვიმარტა, — რთული გრაფიკით ვმუშაობთ, შაბათსაც კი არ ვისვენებთ და კანცელარია უწინდელივით 7 საათზე არ იკეტება, დღე და ღამ აქ ვართ, სახლში თითქმის არ მივდივართ და ჩვენთვის ეს პრემიები ალალიაო. **ნონა ყანდი-** ▶



**თუ საგამოძიებო ორგანოები 8 დეკემბერს ინტერნეტში გავრცელებულ კადრებს გაეცნობიან და უგულავას გარშემო მყოფი პიროვნებების იდენტიფიცირებას მოახდენენ, მათ ხელში შერჩებათ მერიის ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლები, მათ შორის, 26 მაისის ხოცვა-ჟლეტის უშუალო შემსრულებელნი.**

რეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀აშვილის წინამორბედ ალანა გაგლოევას რომ გრაფიკი და მრავალფეროვანი სამუშაო ჰქონდა, საქმე და დაღლა ეგ იყო სწორედ. თანაც ეს ჩვენი ტაშ-ფანდურა პრეზიდენტი წინ და უკან დაატარებდა, შაბათი რა სახსენებელია, კვირასაც კი არ ასვენებდა. თანაც ალანა, პიარის გარდა, შეთავსებით სხვა სამუშაოსაც ასრულებდა კანცელარიაში და ხშირად მის გარეთაც, მაგრამ თვეში სამჯერ პრემიას ალანასაც კი არ უწერდნენ, მხოლოდ ერთხელ აძლევდნენ და ამაზეც გიჟდებოდა ხალხი.

ლადო ვარძელაშვილი შიდა ქართლის გუბერნატორობისას ლამის ჯვარს ვაცვით — ყოველთვიურად პრემიას საკუთარ თავს უწერსო. არა, ვარძელაშვილს სხვა ცოდვებიც აქვს მოსაკითხი, მაგრამ ხალხმა ეს ბიჭი სწორედ ამ პრემიების სიყვარულით აითვალწუნა. **ხალხს იმედი ჰქონდა, ბიძინა ივანიშვილს მილიარდები აქვს, თავად არ დახარბდება ქვეყნის ბიუჯეტს და თანამდებობებზეც ისეთ ხალხს დანიშნავს, ბიუჯეტისკენ თვალი რომ არ გაექცეთო. ვაი, რომ ამაშიც მოტყუვდა ქართველი ხალხი, გაექცათ რომელია!** ცხადია, ივანიშვილს არ ვგულისხმობ, მისი კანცელარიის თანამშრომლებზე მოგახსენებთ, რომელთაც „გინესის წიგნში“ შესატანი საქმე გააკეთეს.

**ვეჭვობ, მოიძებნოს მეორე ქვეყანა, სადაც პრემიერ-მინისტრის კანცელარიის თანამშრომლები თვეში სამჯერ პრემიებს იღებდნენ. რა უბედურებაა?! პრემიერის კანცელარიაა თუ „ქართუ ბანკი“? ანდა, რატომ თვლიან სახელმწიფო კანცელარიის თანამშრომლები, რომ, თუ ერთგულად და თავდადებით ემსახურნენ ამ ქვეყანას, თვეში სამჯერ პრემიები უნდა დავურიგოთ და საყვედურიც კი არ უნდა ვაკადროთ?** უამრავი პროფესიონალია უმუშევარი, რომლებიც არც ერთ თქვენგანს არაფრით ჩამოუვარდება, სოლიდური ხელფასისა და დამატებით სამმაგი პრემიის გარეშე თუ ვერ აკეთებთ 1 თვის საქმეს, სხვას დაუთმეთ ადგილი. იმ მაღალ ხელფასს, თქვენ რომ გაქვთ, ეს ადამიანები იკმარებენ. ისე, **„ნაციონალებმაც“ ოფიციალურად, კანონიერად, მაღალ-მაღალი პრემიების გამოწერით დაიწყეს ბიუჯეტის ხრა, მერე და მერე მეტი მოუნდათ და კორუფციის ჭაობშიც ჩაეფლნენ.** სხვათა შორის, „ნაციონალთა“ საპრემიო პოლიტიკას „ქართული ოცნების“ ლიდერები „გაპრავებულ“ კორუფციას ეძახდნენ და ზოგიერთებზე ამბობდნენ — რატომ მოიპარავენ ბიუჯეტიდან ფულს, პრემიებს გამოიწერენ და ამგვარად აითვისებენ საბიუჯეტო თანხებსო. ეს სიტყვები ზუსტად მიესადაგება დღეს პრემიერის კანცელარიის თანამშრომლებს. **რა განსხვავებაა „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ქართული ოცნების“ ჩინოვნიკებს შორის? — არც არაფერი!**

**ლევან ჯავახიშვილი**

# ზონდერმერი

**8 თებერვალს თბილისის საჯარო ბიბლიოთეკასთან „ნაციონალურმა მოძრაობამ“ კიდევ ერთხელ მოახდინა სამოქალაქო დაპირისპირების პროვოცირება, რომელიც უკვე განწირული სააკაშვილისა და მისი გუნდის პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდა. საჯარო ბიბლიოთეკასთან პოლიტპატიმრები მშვიდობიანი პროტესტის გამოსახატავად მივიდნენ, მაგრამ ხილულ პროტესტს ყოფილი ხელისუფლების ლიდერები და მათივე ვადაგასული პრეზიდენტი ხომ ვერ იტანენ, ამიტომ ყველაფერი გააკეთეს საიმისოდ, რომ პროტესტანტი პოლიტპატიმრები და „ნაციონალი“ დეპუტატები, ასევე მიხეილ სააკაშვილის იდეური მომხრეები ერთმანეთს დატაკებოდნენ, სისხლიც დაღვრილიყო და ეს ყველაფერი ხელისუფლებას დაბრალებოდა. ნაწილობრივ ამას მიაღწიეს კიდეც. თუმცა 8 თებერვალს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს და იმედია, „ნაციონალთა“ მზაკვრული გეგმებიც ბოლომდე გამოაშკარავდება. „საქართველო და მსოფლიომ“ მოიპოვა იმის დამადასტურებელი ინფორმაცია, რომ „ნაციონალებმა“ პროვოკაცია წინა დღეს დაგეგმეს.**



კულუარული ინფორმაციით, თბილისის მერი გიგი უგულავა საჯარო ბიბლიოთეკასთან სიტუაციის ხელოვნურად დაძაბვისა და ჩხუბის ასატეხად მივიდა. საამისოდ უგულავა წინასწარ მოემზადა — მან საჯარო ბიბლიოთეკასთან მისვლის დანაშაულებრივი გეგმა წინა დღეს, 7 დეკემბერს შეიმუშავა. წყაროს ინფორმაციით, **უგულავა მერიაში პირადად შეხვდა მერიის ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლებს. ეს შეხვედრა საიდუმლო ვითარებაში შედგა და მას ზედამხედველობის ის თანამშრომლები ესწრებოდნენ, რომელთაც სააკაშვილის ხელისუფლება სხვადასხვა დროს მიტინგების დასაშლელად და ხალხის დასარბევად იყენებდა.** ეს არის მერიის „ზონდერთა“ 25-კაციანი ჯგუფი, რომელიც უშუალოდ უგულავას ემორჩილება. მათ შორის არიან ის პოლიციელები და შსს-ს სპეცრაზმის ყოფილი თანამშრომლები, რომლებიც 2011 წლის 26 მაისის დარბევაში მონაწილეობდნენ, ხალხი სასტიკად სცემეს და მერე ვითომ დასაჯეს — ხალხისთვის თვალის ასახვევად ვანო მერაბიშვილმა რამდენიმე პოლიციელი და სპეცრაზმელი დაითხოვა სამსახურიდან, აქაოდა, აქციის დარბევისას ძალის გამოყენებას გადაამეტესო. რეალურად კი **ეს „ზონდერები“ უმუშევრად 1 დღეც კი არ დარჩენილან — ყველა მათგანი მერიის სტრუქტურებში დაასაქმეს, მათ შორის ყველაზე სასტიკი პოლიციელები და სპეცრაზმელები, რომელთაც 26 მაისს ბავშვებიც და მოხუცებიც კი არ დაინდეს, ხელბორკილიან ხალხს ხელკეტებით თავები გადაუხსნეს, მერიის ზედამხედველობის სამსახურში დაასაქმეს. ამ სამსახურს თავად მერიის თანამშრომლები „ზონდერბრიგადას“ ეძახიან.**



**თბილისის მერიის ოფიციალური განცხადებით, ის ადამიანები, რომლებიც გიგი უგულავას ახლდნენ საჯარო ბიბლიოთეკასთან, მისი დაცვის წევრები არიან. ეს სრული სიცრუეა, რადგან თბილისის მერის, როგორც მაღალი თანამდებობის პირის, უსაფრთხოების დასაცავად, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან ოფიციალურად მხოლოდ 2 პირადი დაცვის თანამშრომელია გამოყოფილი**

გიგი უგულავამ „ზონდერბრიგადას“ მორიგი დავალება 7 თებერვალს, საღამოს მისცა. ისინი მერთან ერთად უნდა მისულიყვნენ საჯარო ბიბლიოთეკასთან და იქ შეკრებილი ხალხისთვის უნდა ეგინებინათ. თუ ამ პროვოკაციას არ წამოეგებოდა ხალხი, მაშინ მათთვის ფიზიკური შეურაცხყოფა უნდა მიეყენებინათ. მოკლედ, ყველაფერი უნდა ეღონათ, რომ იქ ჩხუბი ატეხილიყო, პოლიტპატიმრები და მითი მხარდამჭერები კი ამ ჩხუბში ჩაეთრიათ. მათ პარალელურად ევალებოდათ უგულავას უსაფრთხოების დაცვა.

**ამიტომაც იყო, თავისი „ზონდერბრიგადით“ გულ და ზურგ გამაგრებული გიგი უგულავა საჯარო ბიბლიოთეკასთან ხელების გაშლითა და ომახიანი, პროვოკაციული შეძახილებით რომ მივიდა.** თბილისის მერის გამოჩენისთანავე იქ მყოფმა ჟურნალისტებმა მთელი ყურადღება მისკენ გადაიტანეს, ვიდრე კამერები მერს დაჰყვებოდნენ, მის ზურგს უკან, ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლებმა თავიანთი ბინძური საქმე გააკეთეს — იქ მყოფი ადამიანები შეურაცხყვეს, ჩხუბის ინსპირირება მოახერხეს. მართალია, მათაც გვარიანად მოვდათ და ცემას ვერც უგულავა გადაურჩა, თუმცა ეს რა მოსატანია იმ „დიად მიზანთან“, რომელსაც გიგი უგულავამ მიაღწია თავისი „ზონდერებით“ — ატეხილი ჩხუბი დიდხანს გაგრძელდა, რამდენიმე „ნაციონალი“ დეპუტატიც გაილახა და სააკაშვილის გუნდის წევრებს ხელისუფლების კრიტიკის მორიგი საბაბი მიეცათ. **რაც მთავარია, მშიშარა მიხეილ სააკაშვილს „გაუპრავეს“ საჯარო ბიბლიოთეკაში არმისვლის მიზეზი — აბა, პრეზიდენტი გავეშებულ ხალხთან პირისპირ ხომ არ აღმოჩნდებოდა, პოლიციამ წესრიგის დამყარება ვერ უზრუნველყო და ჩვენს მიშიკოს საფრთხეში ხომ ვერ ჩავაგდებდითო.**

**თბილისის მერიის ოფიციალური განცხადებით, ის ადამიანები, რომლებიც გიგი უგულავას ახლდნენ საჯარო ბიბლიოთეკასთან, მისი დაცვის წევრები არიან. ეს სრული სიცრუეა, რადგან თბილისის მერის, როგორც მაღალი თანამდებობის პირის უსაფრთხოების დასაცავად, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან ოფიციალურად მხოლოდ 2 პირადი დაცვის თანამშრომელია გამოყოფილი.** ყველა ტელეკომპანიისა და ყველანაირი რაკურსით გადაღებულ კადრებში კარგად ჩანს, რომ გიგის ათამდე ბრგე ადამიანი მოჰყვება უკან, როცა ის ხალხმა „ხელში ჩაიგდო“ და ერთი-ორი უთაქა კიდეც, მის დახსნას ხალხის კლანჭებიდან აშკარად ამდენივე კაცი ცდილობდა. წყარო აცხადებს, რომ, **თუ საგამოძიებო ორგანოები 8 დეკემბერს ინტერნეტში გავრცელებულ კადრებს გაეცნობიან და უგულავას გარშემო მყოფი პიროვნებების იდენტიფიცირებას მოახდენენ, მათ ხელში შერჩებათ მერიის ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლები, მათ შორის — 26 მაისის ხოცვა-ჟლეტის უშუალო შემსრულებელნი.** ამის შემდეგ კი „ზონდერებს“ მოუწევთ სამართალდამცავებისთვის იმის ახსნა-განმარტება, თუ რისთვის იყვნენ 8 თებერვლის საღამოს საჯარო ბიბლიოთეკასთან და რატომ შეურაცხყოფდნენ ხალხს ფიზიკურად და სიტყვიერად. მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრაზე მიწვეულ სტუმართა შორის ეს „ზონდერები“ რომ არ ყოფილან, ცხადია.

კულუარული ინფორმაციით, **მერიის „ზონდერებს“ უგულავამ ღირსეულად დაუფასა ერთგულება და უკანონო დავალების უზადოდ შესრულება. მერიის ზედამხედველობის 25 თანამშრომელს, მერის სპეციალური ბრძანებით, მეორე დღესვე, 9 თებერვალს თითო თვის ხელფასი პრემიად გამოუწერეს.** ზედამხედველობის სამსახურში ამ 25 კაცის გარდა სხვებიც მუშაობენ, მათ შორის, ქალბატონებიც, მაგრამ ისინი არავის დაუჯილდოებია. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ დამატებითი გასამრჯელო „ზონდერებმა“ სწორედ 8 თებერვალს გამოჩენილი „ვაჟკაცობისთვის“ მიიღეს.

**ლევან ჯავახიშვილი**

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საპარლამენტო უმრავლესობა მოიქცა აბსოლუტურად რაციონალურად, როცა გადაწყვიტა, რომ მხოლოდ იმის შემდეგ მოესმინა სააკაშვილისთვის, რაც იგი მკაფიო პოზიციას ჩამოაყალიბებდა საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით. ამაზეც უარი თქვა ჩვენმა ე.წ. პრეზიდენტმა და, როგორც სჩვევია, მოულოდნელად მიიღო არაორდინალური გადაწყვეტილება — ანგარიში გაეკეთებინა ეროვნულ ბიბლიოთეკაში.“**

# დავით ლილუაშვილი: ერთადერთი ადგილი, სადაც სააკაშვილს შეეძლო მისულიყო და ანგარიში გაეკეთებინა, თბილისის დასუფთავების სამსახურია...

**გასულ კვირას ბიბლიოთეკის შენობასთან განვითარებულ მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება კოალიციის „ჩვენი უფლებებისთვის“ თავმჯდომარე დავით ლილუაშვილი.**

**— ბატონო დავით, 8 თებერვალს პრეზიდენტის ყოველწლიური ანგარიში, რომელიც სააკაშვილისთვის ბოლო უნდა ყოფილიყო, პოლიტპატიმრის სტატუსის მქონე მოქალაქეებმა (და არა მარტო მათ) დემონსტრაციულად ჩაშალეს. საპარლამენტო უმცირესობამ ეს შეაფასა, როგორც ხელისუფლების მხრიდან აგრესია ოპონენტებისადმი, უმრავლესობამ კი მომხდარს ოპოზიციის, კერძოდ „ნაცმოძრაობის“ მხრიდან მოწყობილი პროვოკაცია უწოდა. თქვენი აზრით, რა მოხდა სინამდვილეში?**

— უწინარესად, ვიტყვი იმას, რომ მიხეილ სააკაშვილს, მე პირადად, პრეზიდენტად არ მოვიხსენიებ, ვინაიდან უფლებამოსილების ვადა მას უკვე ამოეწურა. ამის მიუხედავად, საზოგადოების გარკვეული ნაწილი მაინც თვლის მას ჯერ კიდევ ქვეყნის პირველ პირად. აქედან გამომდინარე, ის ვალდებული იყო, 6 თებერვალს გაეკეთებინა წლიური ანგარიში პარლამენტში. მოგეხსენებათ, ამას კონსტიტუცია განსაზღვრავს. ამაზე მან განაცხადა: უარი და მოხსენების ვადა გადაიდო 8 თებერვლამდე. ჩემი აზრით, **საპარლამენტო უმრავლესობა მოიქცა აბსოლუტურად რაციონალურად, როცა გადაწყვიტა, რომ მხოლოდ იმის შემდეგ მოესმინა სააკაშვილისთვის, რაც იგი მკაფიო პოზიციას ჩამოაყალიბებდა საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით.** ამაზეც უარი თქვა ჩვენმა ე.წ. პრეზიდენტმა და, როგორც სჩვევია, მოულოდნელად მიიღო არაორდინალური გადაწყვეტილება — ანგარიში გაეკეთებინა ეროვნულ ბიბლიოთეკაში. ეს იყო პროვოკაციული ნაბიჯი, რასაც, იცოდნენ, დიდი ალბათობით, რა შედეგიც მოჰყვებოდა, მაგრამ მაინც გადადგეს. რაც შეეხება იმ მოვლენებს, რომლებიც შემდეგ განვითარდა, ვინაც რა უნდა თქვას და რა ძალადობაზეც გაამახვილოს ყურადღება, ერთი რამ არ დაგვავიწყდეს, იქ იმყოფებოდნენ ადამიანები, რომლებიც რეჟიმმა შეიწირა, გააუბედურა, და არამარტო ისინი — მათი დიდი უმრავლესობის ოჯახებიც დალუპა. ამიტომ, რაც იმ დღეს გააკეთა რეპრესირებულმა საზოგადოებამ (მე მიმაჩნია, რომ თითოეული ჩვენგანი ვიყავით რეპრესირებული), აბსოლუტურად ლოგიკური და გასაგებია ჩემთვის. წინა ხელისუფლების წარმომადგენლები უნდა მიეჩვიონ იმ აზრს, რომ ამიერიდან ისინი საქართველოს ვერც ერთ კუთხეში, ვერც ერთ ქალაქსა თუ სოფელში წელგამართული თავისუფლად ვერ გაივლიან. ყველგან, სადაც მივლენ, ხალხი მათ დახვდება უარყოფითი ემოციით და მაპატიონ, მაგრამ ხანდახან თუ ვილაც ამ ემოციების მოთოკვას ვერ შეძლებს, კეთილი ინებონ, ამასაც გაგებით მოეკიდონ. **სააკაშვილს რომ ნდომებოდა ბიბლიოთეკის შენობაში შესვლა, მას ეს შეეძლო. ამისთვის საკმაოდ ცივილიზებულად იქცეოდა იქ შეკრებილი საზოგადოება, მაგრამ მათ უნდოდათ პროვოკაცია, უნდოდათ ალიაქოთი და მიაღწიეს კიდეც...**

**— კი მაგრამ, დემონსტრანტები თავიდანვე აგრესიულები იყვნენ, როგორ შეძლებდა პრეზიდენტი შენობაში შესვლას?**

— სიტუაცია დაიძაბა მას შემდეგ, რაც იქ მიბრძანდა დედაქალაქის ხულიგანი მერი გიგი უგულავა. კადრებშიც კარგად ჩანს, თუ როგორ აგრესიულად, პროვოკაციულად და გამომწვევად იქცევა იგი დემონსტრანტების მიმართ. მისი თანმხლები პირები ბოლო ხმაზე გაჰყვიროდნენ, რუსეთის აგენტები ხართო. თვითონ უგულავა კიდევ რა სიტყვებს იძახდა, კარგად გაიგონა ყველამ. ყურადღება მიაქციეთ ერთ ფაქტსაც: ის შემოვიდა ფურცელაძის ქუჩით, სადაც მომიტინგეთა ყველაზე მრავალრიცხოვანი მასა იყო კონცენტრირებული. ამ დროს მეორე მხარეს სამართალდამცავებს გაკეთებული ჰქონდათ კორიდორი, სადაც გავლა შეიძლებოდა უპრობლემოდ. აი, ზუსტად ხულიგანი მერის ამგვარმა მოქმედებებმა უბიძგა საზოგადოებას აგრესიისკენ და მერე სიტუაციის კონტროლი იყო ბევრად ძნელი.



**სააკაშვილს რომ ნდომებოდა ბიბლიოთეკის შენობაში შესვლა, მას ეს შეეძლო. ამისთვის საკმაოდ ცივილიზებულად იქცეოდა იქ შეკრებილი საზოგადოება, მაგრამ მათ უნდოდათ პროვოკაცია, უნდოდათ ალიაქოთი და მიაღწიეს კიდეც...**

**— საინტერესოა, როგორ აღიქვეს ეს ყველაფერი ელჩებმა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა, რომლებიც უშუალოდ ესწრებოდნენ ამ მოვლენებს?**

— თქვენ ნახეთ, რომ **შენობიდან გამოსვლის დროს ელჩებს და იმავე დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს მომიტინგეები ხვდებოდნენ ტაშით. ეს იყო მათ მიმართ მხოლოდ კეთილგანწყობის გამოხატულება. ასე რომ, ჩვენმა უცხოელმა მეგობრებმა კარგად დაინახეს, თუ რა ტიპის ადამიანებთან ჰქონდათ საქმე, — იქ არ ყოფილა რაღაც აგრესიული, უკონტროლო მასა, რომელიც ერთნაირად იქცევა ყველასთან მიმართებაში, არამედ იქ იყვნენ ადამიანები, რომლებმაც ზუსტად იცოდნენ, რას აკეთებდნენ და როგორ.** რაც შეეხება შეფასებებს, ცხადია, საერთაშორისო საზოგადოება არ მიესალმება არც ერთ მსგავს ფაქტს და ჩვენთვის ეს გასაგები უნდა იყოს...

**— დასავლურმა პრესამ მწვავე შეფასება მისცა ამ ყველაფერს. რამდენიმე პუბლიკაციაში ხელისუფლებაც კი იყო გაკრიტიკებული.**

— ჩემი აზრით, დასავლურ პრესას არ ჰქონდა სრული და ამომწურავი ინფორმაცია იმაზე, რაც სინამდვილეში მოხდა. ამასთან, მოგეხსენებათ, „ნაციონალურ მოძრაობას“ დასავლეთში, განსაკუთრებით ამერიკაში, დღემდე ჰყავს საკუთარი ლობისტთა ჯგუფი და ისინი აწვდიან იმავე მედიას გარკვეულ, ცხადია, მათთვის სასურველ ინფორმაციებს. ეს არის ერთ-ერთი მთავარი ბერკეტი დღეს სააკაშვილისთვის, რითაც ის ებრძვის ხელისუფლებას, მაგრამ მერწმუნეთ, ძალიან მოკლე დროში მათ ეს ბერკეტი გამოეცლებათ და პოლიტიკურად გაკოტრებული „ნაციონალური მოძრაობა“ საბოლოოდ დარჩება ყველანაირი რესურსის გარეშე. ამას თვითონაც ძალიან კარგად ხვდებიან. ამიტომაა, რომ ყველაფერზე მიდიან — პროვოკაციაზე, დესტრუქციაზე, არეულობაზე... მოკლედ, გადარჩენისთვის რაც დასჭირდებათ.

**— ეს ლობისტების თემა თითქმის ლეგენდად იქცა. როგორ ფიქრობთ, „ნაციონალური მოძრაობა“ ფულს უხდის მათ თუ უბრალოდ თვითონ ლობისტებს აქვთ აქ რამე პოლიტიკური ინტერესი?**

— პირველ რიგში, რა თქმა უნდა, აქ საუბარია ფინანსურ დაინტერესებაზე. სააკაშვილი კოლოსალურ თანხებს იხდიდა იმისთვის, რომ სადმე — ევროპაში ან ამერიკაში მის ხელისუფლებაზე რამე კარგი თქვან, დაწერონ და ა. შ. ახლა რაში სჭირდებოდათ ეს? ყველაფერი ძალიან მარტივია: ამაზე იგებოდა მთელი მათი პიარი და პროპაგანდა. იქ ვიღაც რეფორმებს შეაქებდა, ვიღაც ბიზნესგარემოს შეაფასებდა კარგად, შემდეგ ესენი ამას ატრიალებდნენ კვირაობით, თვეობით და ასე ხდებოდა მოსახლეობაზე ზემოქმედება. იგივე კეთდება დღესაც. აი, თურმე როგორ გვაკრიტიკებს ევროპა, ვაშინგტონი, რა უბედურება გვჭირს, ხვდებით?! ასე უნდათ დააბრმაონ ხალხი და მერე ამ შოკირებული საზოგადოების მართვა, რომელსაც ანალიზის უნარი, ბუნებრივია, დაქვეითებული ექნება, ბევრად იოლია...

**— საბოლოო ჯამში, თქვენი აზრით, ვის სასარგებლოდ იმოქმედა 8 თებერვალს ბიბლიოთეკის შენობასთან მომხდარმა ფაქტმა საერთაშორისო საზოგადოების თვალში?**

— იხილავდა საერთაშორისო საზოგადოება იმ კადრებს, რომლებიც ჩვენ ყველამ ვიხილეთ და დარწმუნებული ვარ, მათ სწორი ანალიზი, შეფასების გაკეთება არ გაუჭირდებოდათ. რაც შეეხება „ნაციონალურ მოძრაობას“, ეს რომ იყოს პოლიტიკური ძალა, რომელსაც შეიძლება რამე შანსი ჰქონდეს დარჩენილი მომავალში, ცხადია, ლოგიკური იქნებოდა იმაზე საუბარი, რომ მომხდარმა გარკვეულწილად მის სასარგებლოდაც იმოქმედა, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რასთან გვაქვს საქმე. **ვერანაირი, მსგავსი კი არა, ბევრად უარესი მოვლენა „ნაცმოძრაობას“ მკვდრეთით ვერ აღადგენს, ვერ გააცოცხლებს, იმიტომ, რომ ქართველმა ხალხმა უკვე გამოხატა საკუთარი მკაფიო ნება და გამოუტანა მას საკმაოდ მკაცრი პოლიტიკური განაჩენი.**

**— საპარლამენტო უმცირესობამ ძალოვანების მოქმედება არაადეკვატურად შეაფასა. ისინი თვლიან, რომ სამართალდამცველებმა არ მიიღეს წესრიგის დასამყარებლად შესაბამისი ზომები.**

— რატომ გიკვირთ, რომ ეს ე.წ. უმცირესობა ასეთ განცხადებებს აკეთებს?! როცა ხელისუფლებაში იყვნენ და მათ ხელში იყო ყველაფერი, მაშინ დემაგოგობდნენ, რა გასაკვირია, დღეს ილაპარაკონ სიცრუე?! მოდი, საერთოდ დავანებოთ ყველაფერს თავი და ასე შევხედოთ საკითხს: **რა უნდოდა სააკაშვილს ეროვნულ ბიბლიოთეკაში?! მან თავისი მმართველობის ფორმით აჩვენა, რომ არანაირი შეხება არ აქვს განათლებასთან, ეროვნულობასთან, ეროვნულ ღირებულებებთან... განა იყო იქ მისი ადგილი?! ამათი სიმბოლოა ცოცხი, ამიტომ ერთადერთი ადგილი, სადაც შეეძლო მიხეილ სააკაშვილს მისვლა და ანგარიშის გაკეთება, ესაა თბილისის დასუფთავების სამსახური; მაგრამ მე ღრმად ვარ დარწმუნებული, ამ სამსახურის თანამშრომლები, რომლებიც მართლა ძალიან კეთილსინდისიერი ადამიანები არიან, მას იქაც არ მიუშვებდნენ.**

**— საუბარია სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხეზეც, რომელიც, ხელისუფლების წარმომადგენელთა აზრით, შესაძლოა, „ნაცმოძრაობის“ მხრიდან გადადგმულმა დესტრუქციულმა ნაბიჯებმა გამოიწვიოს. რას ფიქრობთ ამაზე?**

— ერთადერთი, რაც „ნაციონალურ მოძრაობას“ შეუძლია და აკეთებს კიდეც, არის სწორედ ეს. ამიტომ ხელისუფლების შიშები აბსოლუტურად გასაგებია. ახლა ესენი წავლენ ყველაფერზე, ვინაიდან კარგად იცის მიხეილ სააკაშვილმა, რომ პოლიტიკურად მათი მზე მალე საბოლოოდ ჩაესვენება. კარგად იცის ისიც, შემდეგ რაცაა მოსალოდნელი, ასე რომ, საფრთხეები, რასაკვირველია, არსებობს.

**— თქვენი აზრით, რამდენად დიდია ალბათობა, რომ სააკაშვილი საბრალდებო სკამზე ვიხილოთ?**

— მინიმუმ, ის უნდა დაბარებულ იქნეს პროკურატურაში და დაიკითხოს, როგორც მთავარი ეჭვმიტანილი იმ დანაშაულთა მოთავეობისა, რომლებიც წლების მანძილზე ხდებოდა. რაც შეეხება კითხვას, რა თქმა უნდა, მისი სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა შესაძლებელია და, თუ ამის საჭიროება გამოიკვეთება, ალბათ, ასეც მოხდება. არამარტო სააკაშვილი, მერაბიშვილი, ადეიშვილი და სხვა ძმანი მათნი, რომელთა სახელებსაც არაერთი ბურუსით მოცული საქმე უკავშირდება, გამოძიების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ უნდა იყვნენ მოქცეულნი. არ უნდა დარჩეს არც ერთი გაუხმაურებელი და გამოუმზეურებელი დეტალი. მერე კი, როცა რეჟიმს საბოლოოდ ფარდა აეხდება, დამოუკიდებელმა ქართულმა მართლმსაჯულებამ განსაჯოს, ვის რა ეკუთვნის...

## «ვერანაირი დესტრუქცია და პროვოკაცია «ნაციონალურ მოძრაობას» მკვდრეთით ვერ აღადგენს»

ესაუბრა **ჯაბა ჭვანია**

**„სააკაშვილის მიზანია საქართველოს დისკრედიტება, ვინაიდან მხოლოდ ამ გზით მიაჩნია მას შესაძლებლად დასავლეთის დარწმუნება იმაში, რომ მის ძალას, მის გუნდს ქვეყანაში ალტერნატივა არ ჰყავს. აქედან გამომდინარე, მსგავს პროვოკაციებს უმცირესობა, ცხადია, მომავალშიც გააგრძელებს, მაგრამ ჩვენ ამას ვუპასუხებთ კანონის პრინციპების დაცვით.“**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ირაკლი სესიაშვილი: ჩვენ არ მოვუსმენთ პრეზიდენტს, რომელსაც, არადემოკრატიული ცვლილებების წყალობით, აქვს დიქტატორული უფლებები

**გასულ კვირას (8 თებერვალს) ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაგეგმილი პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლა სააკაშვილსა და მის გარემოცვას „წმინდა მარტინის დღედ“ ექცათ. პოლიტპატიმრის სტატუსის მქონე ორასამდე მოქალაქემ, რომლებსაც მოგვიანებით სხვებიც შეუერთდნენ, წინა ხელისუფლების ყოფილ მაღალჩინოსნებს ქუჩაში ფეხდაფეხ სდიეს. ინციდენტს უსისხლოდ არ ჩაუვლია. „დანაკარგი“, მართალია, ბევრი არ ყოფილა, მაგრამ საპარლამენტო უმცირესობის დეპუტატმა ჩიორა თაქთაქიშვილმა „დინგში“, სავარაუდოდ, რამდენიმე დარტყმა მიიღო. ფიზიკური ანგარიშსწორების მცდელობა იყო მომიტინგეთა შორის მოულოდნელად შემოჭრილ გიგი უგულავაზეც, რისი საშუალებაც აგრესიულ დემონსტრანტებს არ მიეცათ. გამაყრუებელი სიტყვიერი შეურაცხყოფის, ცოცხებისა და ხელკეტების კორიდორი განვლო ბიბლიოთეკის ცენტრალურ შესასვლელამდე სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა თენგიზ გუნავამაც. დაახლოებით ორსაათიანი გაწევ-გამოწევის შემდეგ კი ოპოზიციის წარმომადგენლებმა პერიმეტრი ისე დატოვეს, რომ მათ ლიდერს იქ გამოჩენის საშუალება არ მიეცა. მოგვიანებით დაპირისპირება პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციასთან გაგრძელდა... შეიძლებოდა თუ არა ამ ყველაფრის თავიდან აცილება და რა გააკეთა ან ვერ გააკეთა ხელისუფლებამ წესრიგის დასაცავად, „საქართველო და მსოფლიო“ შეფასებისთვის პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს, ირაკლი სესიაშვილს, დაუკავშირდა.**





## «დიდი ხანია, ჩემთვის ის ვადაგასულია!»

**— ბატონო ირაკლი, რამდენიმე დღის წინ ეროვნულ ბიბლიოთეკასთან მომხდარი ფაქტი მიმდინარე, ისედაც უკიდურესად გამწვავებული პოლიტიკური პროცესების ფონზე ცეცხლზე ნავთის დასხმასავით იყო. საპარლამენტო უმცირესობამ, როგორც მოსალოდნელი იყო, უმძიმესი შეფასებები გააკეთა. თქვენ, როგორც უმრავლესობის წარმომადგენელი, როგორ უყურებთ ამ ყველაფერს?**

— არაერთხელ ვთქვი და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ჩვენთვის ნებისმიერი ძალადობა მიუღებელია. აქედან გამომდინარე, ცხადია, ნებისმიერ კანონდარღვევას პასუხი უნდა გაეცეს სამართლებრივი მოქმედებით. თქვენ იცით, რომ ინციდენტში მონაწილე რამდენიმე პირის მიმართ უკვე გატარდა შესაბამისი ღონისძიებები. რაც შეეხება ოპოზიციას, ვფიქრობ, მათი მხრიდანაც ადგილი ჰქონდა აშკარა პოლიტიკურ პროვოკაციას. რას ვგულისხმობ: „ნაციონალურმა მოძრაობამ“ (მისმა წარმომადგენლებმა, ლიდერებმა) ძალიან კარგად იცოდნენ, იქ რაც იყო მოსალოდნელი. ამის მიუხედავად, მათ არ ისარგებლეს დაძაბულობის თავიდან აცილების შესაძლებლობით და პირდაპირ შეიჭრნენ ადამიანთა იმ ჯგუფში, რომლებიც გამწარებულია მათზე. სამართალდამცავებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ წესრიგი დაეცვათ და სიტუაცია უფრო მეტად არ გართულებულიყო. ჩემი აზრით, ეს მოხერხდა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ამის გაკეთება უკეთესადაც შეიძლებოდა.

**— ომბუდსმენის განცხადებით, ბიბლიოთეკის შენობასთან მობილიზებულ სამართალდამცავთა რაოდენობა და არც მათ მიერ მიღებული ზომები არ აღმოჩნდა წესრიგის დასამყარებლად საკმარისი.**

— ჩვენ, ერთის მხრივ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ხელი უნდა შევუწყოთ ნებისმიერ პოლიტიკურ ღონისძიებას, მეორე მხრივ კი, არ უნდა ავკვეთოთ რაიმე ტიპის საპროტესტო აქცია. თუ ვინმეს საკუთარი უკმაყოფილების გამოთქმის სურვილი აქვს, ამის საშუალება უნდა მიეცეს, ამიტომ სამართალდამცავმა ორგანოებმა, თავად შინაგან საქმეთა მინისტრმაც საქმის კურსში ჩააყენა უშიშროების საბჭოს მდივანი და „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები, რომ მათ ექნებოდათ ალტერნატიული კორიდორი, რომლის საშუალებითაც ისინი უსაფრთხოდ, დაუბრკოლებლად შევიდოდნენ ბიბლიოთეკაში. ამის მიუხედავად, მათ ეს კორიდორი არ გამოიყენეს, მეტიც: ისინი წავიდნენ, ვიმეორებ, ზუსტად იმ ჯგუფისკენ, რომელიც იყო გამწარებული და აგრესიული. ამის შემდეგ სამართალდამცავებს, ბუნებრივია, აღარ შეეძლოთ სიტუაციის ბოლომდე გაკონტროლება და მოხდა ის, რაც ვიხილეთ. ჩემი აზრით, ეს ყველაფერი თავიდან აცილებული იქნებოდა, თუ ორივე მხარე, განსაკუთრებით კი „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები, დაიცავდნენ წესებს, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ ადამიანებს არ ეყოთ პოლიტიკური პასუხისმგებლობა და რეალურად ისინი წავიდნენ პროვოკაციაზე. **მე მესმის, რომ სამართალდამცავებს ყოველთვის მეტი უნდა მოსთხოვო, ამიტომ შენიშვნები, რაც მოვისმინეთ, თუნდაც იმასთან დაკავშირებით, რომ ძალოვანები ვერ მოქმედებდნენ მთლად ადეკვატურად, გასათვალისწინებელია; თუმცა, საბოლოო ჯამში, შინაგან საქმეთა მინისტრის ქმედება სწორი იყო.** ის მივიდა შემთხვევის ადგილზე და განაცხადა, რომ ჩატარდებოდა გამოძიება. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო სიტუაციის დაწყნარება...

**— თქვენ თქვით, რომ ინციდენტი „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ იყო პროვოცირებული. რა მიიღეს მათ ამით? ჩვენ ვნახეთ დასისხლიანებული ჩიორა თაქთაქიშვილი, ვნახეთ, როგორ მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა გიგი უგულავას, თენგიზ გუნავასა და სხვებს...**

— ჩემი აზრით, უმცირესობის მიზანს არ წარმოადგენს საზოგადოებაში რაიმე სიმპათიის მოპოვება, კარგად იციან, რომ ამის შანსი, ფაქტობრივად, არ აქვთ. ამიტომ ვფიქრობ, ამ ჯგუფის მთავარი ამოცანაა (და სააკაშვილი ამას თავის გამოსვლებში არც მალავს), რომ საქართველო წარმოაჩინონ, როგორც არასტაბილური ქვეყანა, რომელშიც ხდება პოლიტიკური ნიშნით ადამიანთა დაკავება, სადაც თურმე არ არსებობს ჯანსაღი ოპონირებისთვის შესაბამისი გარემო, სადაც ყველაფერს მართავს ერთი ადამიანი, ამ შემთხვევაში — ბიძინა ივანიშვილი და ა. შ. ყველაფერი მარტივია, ამით **ისინი ცდილობენ, დაარწმუნონ დასავლეთი, რომ ახალი ხელისუფლება არაა ტოლერანტული ოპონენტების მიმართ და ვერ იტანს განსხვავებულ აზრს, განსხვავებულ შეხედულებებს.** ის, რომ სააკაშვილი არ მიდის იმავე საკონსტიტუციო ცვლილებებზე, სწორედ ამაზე მიუთითებს. ასე რომ, მოქმედების არსია გასაგები. რაც შეეხება კითხვას, რა მიიღეს პროვოკაციით, ვფიქრობ, მათ ვერ მიიღეს ის, რისი მიღებაც სურდათ, იმიტომ, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, მოვლენებს თვალყურს ადევნებდა ხალხი, ადევნებდა მთელი დიპლომატიური კორპუსი და ყველამ ყველაფერი კარგად დაინახა.

**— დასავლეთი რადგან ახსენეთ, ამ ფაქტს დასავლური პრესა ნეგატიურად გამოეხმაურა. მაგალითად, „ნიუ იორკ თაიმსი“ წერდა, რომ კონფრონტაცია გამოიწვია ბიძინა ივანიშვილის კოალიციის გადაწყვეტილებამ, რომელმაც სააკაშვილს პარლამენტში მისვლის ნება არ დართო.**

— თქვენ ძალიან კარგად იცით, რომ ამ ძალადობის ავტორი არ ყოფილა ხელისუფლება. იქ იყვნენ ჩვეულებრივი, რიგითი მოქალაქეები, რომლებიც გაამწარა რეჟიმმა და ახლა, უბრალოდ, გამოჩნდა, რამხელა აგრესია დაგროვდა მათში. რაც შეეხება თქვენ მიერ ნახსენებ შეფასებას, იმის მიუხედავად, რომ ძალიან დიდ პატივს ვცემ დამოუკიდებელ მედიას, ვფიქრობ, რომ დასავლეთისთვის დღემდე არასწორად ხდება სიტუაციის ახსნა. **ბიძინა ივანიშვილმა კი არ აუკრძალა სააკაშვილს პარლამეტში მისვლა, არამედ პარლამენტის უმრავლესობამ გადაწყვიტა, რომ მანამ, სანამ ის არ აღიარებს საკანონმდებლო ორგანოს ლეგიტიმაციას და არ განახორციელებს სტაბილურობისთვის აუცილებელ ცვლილებებს, მის მოსმენას აზრი არ აქვს. მე მგონი, ყველაფერი გასაგებია. რა თქმა უნდა, ჩვენ არ მოვუსმენთ პრეზიდენტს, რომელსაც დღეს, წინა პერიოდში განხორციელებული არადემოკრატიული ცვლილებების წყალობით, აქვს დიქტატორული უფლებები. მით უმეტეს, ჩემთვის ის, დიდი ხანია, ვადაგასულიც არის და ზოგადად მისი პრეზიდენტობის საკითხი დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.**

**— ელჩები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები საკუთარი თვალით ხედავდნენ, რაც ხდებოდა. თქვენი აზრით, ეს არ არის საკმარისი დასავლეთის სრულად ინფორმირებისთვის? და რადგან პროვოკაციაზე ვსაუბრობდით, მომავალში რამდენად მოსალოდნელად მიგაჩნიათ უმცირესობის მხრიდან მსგავსი ქმედებები?**

— როგორც გითხარით, **სააკაშვილის მიზანია საქართველოს დისკრედიტება, ვინაიდან მხოლოდ ამ გზით მიაჩნია მას შესაძლებლად დასავლეთის დარწმუნება იმაში, რომ მის ძალას, მის გუნდს ქვეყანაში ალტერნატივა არ ჰყავს.** აქედან გამომდინარე, მსგავს პროვოკაციებს უმცირესობა, ცხადია, მომავალშიც გააგრძელებს, მაგრამ ჩვენ ამას ვუპასუხებთ კანონის პრინციპების დაცვით. რაც შეეხება დიპლომატიურ კორპუსს, მე არ მგონია, რომ ჩვენი და მათი შეფასება განსხვავდებოდეს. **ჩვენც და, ბუნებრივია, ისინიც ვგმობთ ძალადობრივ მოქმედებას და არა მარტო ვგმობთ, არამედ გატარდა შესაბამისი ღონისძიებებიც.** ახლა რამდენიც უნდა იძახოს „ნაციონალურმა მოძრაობამ“, რომ თურმე მოხდა კოალიციის ლუსტრირება და თურმე დამნაშავეები გამოგვიშვია ციხიდან, რათა ამით მათ დავპირისპირებოდით, არ გამოუვათ ეს ოინები. **ხელისუფლებამ აჩვენა, რომ მისთვის მთავარია კანონის უზენაესობა.** ამიტომაც ჩატარდა გამოძიება, ამიტომაც აღიძრა საქმე და მიეცნენ პასუხისგებაში ის მოქალაქეები, რომლებმაც დაარღვიეს კანონი, თუმცა, კიდევ ვიმეორებ, ოპოზიციის ზოგიერთი ლიდერის მხრიდან აშკარად ადგილი ჰქონდა მიზანმიმართულ პროვოკაციას, რაც ჩანდა კადრებში და ეს დაინახა ყველამ. **ჩემი აზრით, სააკაშვილმა დესტრუქციული ნაბიჯი გადადგა, როდესაც ჩათვალა, რომ შეიძლებოდა ანგარიში ბიბლიოთეკაში ჩაებარებინა, მაშინ, როცა იცოდა, რომ იქ უსაფრთხოების ზომების დაცვა არც თუ ისე იოლი იქნებოდა...**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

მოვლენის კვალზე
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ზოგი დააპატიმრეს ფიზიკურად, დილეგებში გამოამწყვდიეს ხალხი, ზოგი სულიერად დაგვასახიჩრეს. რომელი უფრო საშინელია — როცა დასახიჩრებული ხარ შიგნით თუ როცა დასახიჩრებული ხარ გარეგნულად? დღეს ყველანი დასახიჩრებული ვართ! ჩვენ სრულ განკურნებას, განსაკუთრებით, სულიერ განკურნებას, სამწუხაროდ, ძალიან დიდი დრო დასჭირდება.“**

მარინა ჯანაშია:

# კარგია ის, რაც ხდება, ახია, ღირსნი არიან. რაც დათესეს, იმას იმკიან!

**ეს იყო ერთი მსახიობის აკადემიური თეატრის სპექტაკლი: გულწრფელი, რეალისტური, გონიერებითა და ემოციურობით დატვირთული, ისეთი ზუსტი მიგნებებითა და ფორმულირებებით, რომ ტაშის დაკვრა მოგინდებოდა.**
**მაგრამ უხერხული იყო. მიუღებელი. რადგან ჯერ არავის უნახავს ინტერვიუს ჩამორთმევის დროს რეპორტიორის რეაქცია, ტაშისკვრით გამოხატული. ინტერვიუზე ვლაპარაკობ, რომელიც საქართველოს დამსახურებულ არტისტ მარინა ჯანაშიას ჩამოვართვი 8 თებერვლის მოვლენებთან დაკავშირებით.**
**სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, 8 თებერვალს რუსთაველის თეატრში სპექტაკლი ჰქონდა — „პრინცი ჰომბურგი“, და იმ დღეს განვითარებული მოვლენებისთვის განუწყვეტლივ ეკრანთან მჯდარს თვალი არ უდევნებია. თანაც არც ახსოვდა, რომ თვითმარქვია პრეზიდენტი („არ მიყვარს ასეთი გამოთქმები, მაგრამ სააკაშვილი დღეს ნამდვილად ასეთ მდგომარეობაშია“) საჯარო ბიბლიოთეკაში უნდა მისულიყო.**
**სპექტაკლის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე მსახიობი თავის როლშია და მისით ცხოვრობს.**



— ვაღიარებ, რომ ჩემი მხრიდან არაპროფესიული საქციელი იყო, თაბუკაშვილის ქუჩის მხრიდან სირენების ხმა და ჩოჩქოლი რომ მომესმა, ჩავრთე რადიო და სპექტაკლისთვის მზადების მთელი დროის განმავლობაში ვუსმენდი, რაც იმ აქციაზე ხდებოდა. შინ რომ დავბრუნდი, მაშინ შევავლე თვალი იმდღევანდელ ნაგლეჯ-ნაგლეჯ კადრებს. მაგრამ ესეც კი საკმარისი იყო სრული სურათის წარმოსადგენად.

იცით რა? ყოველთვის ვცდილობ, წონასწორობა და ობიექტურობა შევინარჩუნო, არ გავბოროტდე, დავამშვიდო ადამიანები, მაგრამ ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა **ჩემი თავი დავიჭირე საშინელ რაღაცაში: ვამბობდი, რომ კარგია ის, რაც ხდება, ახია, ღირსნი არიან! ერთხელ მაინც იწვნიონ თავის თავზე, რაც ცხრა წლის განმავლობაში ჩვენ გადავიტანეთ, ყველამ, სრულიად საქართველომ. იმიტომ, რომ, რაც მათ ჩაიდინეს, იმის პატიება არ შეიძლება!**

ესენი ახალ მთავრობაზე ამბობენ, რომ ცუდად იქცევა, სამაგიეროს გადახდას ცდილობსო. ხალხი კი პირიქით, ახალ ხელისუფლებას იმას საყვედურობს, რომ ნელა ირჯება, თუმცა მე ვეთანხმები, რომ სჯობს ნელა აკეთონ და სამართლიანად. მაგრამ, რაც გუშინ ხდებოდა იქ და იმ დროს, მე რომ მკითხოთ, სამართლიანობის შენარჩუნება ძნელად წარმომიდგენია.

მეტსაც გეტყვით, უფრო ცუდ რამეში დავიჭირე ჩემი თავი. აი, რომ გამოჩნდნენ ორგანიზაციები, რომლებიც ყოველთვის დემოკრატიულ პრინციპებს ქადაგებენ და გუშინაც ამბობდნენ, რომ დემოკრატია შეილახა, კი, ვეთანხმები, რომ ეს არადემოკრატიულია, მაგრამ გარდაუვალია.

გარდაუვალი!

**რაც დათესეს, იმას იმკიან. ხდება სწორედ ეს. აბსოლუტურად.**

ჩემთვის ყველაზე უარესი იყო ის სასიგნალო მოწოდებები, რომლებითაც თუნდაც ჩემთვის ყოვლად არასიმპათიური ტიპი, მიშა თავხელიძე გამოვიდა და პრეზიდენტმაც გაიმეორა: ესენი ხალხს ისეთ მესიჯებს უგზავნიან, თითქოს გარდუვალია სამოქალაქო ომი, რომ აუცილებლად უნდა დაიწყოს სამოქალაქო დაპირისპირება, რომ ახალი ხელისუფლება ხალხს დაღუპვამდე მიიყვანს.

**— თვითონ კი მშვიდობის მტრედები არიან, ხელს იბანენ და განზე დგებიან: ჩვენ გაფრთხილებთო. ალიბით წინასწარ უზრუნველყოფას ჰგავს მათი ასეთი ტაქტიკა. მარტივი საქმეა.**

— მაგრამ უბედურების მომტანია. მათ უკვე ისე დაგვღუპეს და გადაგვჩეხეს, რომ იმის იქით გადასაჩეხიც აღარაა.

ახლა, მე მგონი, დადგა ის ეტაპი, როცა ჩვენ, ღვთის წყალობით, ამოვდივართ იმ ჯურღმულებიდან, რომლებშიც ჩაგვყარეს.

იცით რა? **ზოგი დააპატიმრეს ფიზიკურად, დილეგებში გამოამწყვდიეს ხალხი, ზოგი სულიერად დაგვასახიჩრეს. რომელი უფრო საშინელია — როცა დასახიჩრებული ხარ შიგნით თუ როცა დასახიჩრებული ხარ გარეგნულად?**

დღეს ყველანი დასახიჩრებული ვართ! ჩვენ სრულ განკურნებას, განსაკუთრებით, სულიერ განკურნებას, სამწუხაროდ, ძალიან დიდი დრო დასჭირდება.

ხანდახან, და ამასაც გულახდილად გეუბნებით, ჩემთვის ძალიან სიმპათიური ჟურნალისტები კვლავ და კვლავ ტელევიზიის ეთერში და გაზეთებში იწვევენ „ნაციონალების“ მხარდამჭერებს და „ნაციონალების“ „მოლაპარაკე თავებს“. რატომ გვიშლიან ნერვებს? დაგვანებონ თავი, ცოტა ხანს მაინც დაგვასვენონ ამ სახეებისგან, ამ გამორეცხილი გონების ადამიანებისგან, სინდისგარეცხილებისგან.

**«ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები გადაიქცნენ რაღაც მომხვეჭელ რობოტებად, გაბოროტებულ მონსტრებად საშინელებათა ფილმებიდან»**

**— ამას დაბალანსებულ ჟურნალისტიკას უწოდებენ.**

— გუშინ, გვიან ღამით, ისევ ნაგლეჯ-ნაგლეჯ ვუყურე და ვუსმინე ჟიჟილაშვილის პროგრამას. მიწვეული ჰყავდათ ქეთა, არ მახსოვს, რა გვარია.

**— გაბიანი.**

— დიახ, ქეთა გაბიანი. იქ მყოფმა ერთმა ქალბატონმა გაიხსენა და თქვა, რომ, მართალია, ქეთამ ბოდიში მოიხადა თავისი როყიო გამონათქვამის გამო ერთი გამწარებული ლტოლვილი ქალის მისამართით — იმ ბენზინის საყიდელი ფული ხომ იშოვა, რომლითაც თავი დაიწვაო, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს, ჩვენი მეხსიერებიდან ამოიშალა და გაქრაო.

ასეთ მდგომარეობაში ვართ. **მიუხედავად ჩვენი რწმენისა, სარწმუნოებისა და ა.შ. ჩვენი მეხსიერებიდან ყველაფერს ვერ ამოვშლით, ყველაფერს ვერ აპატიებ. ეტყობა, პატიებასაც დრო სჭირდება. მე ჯერჯერობით ვერ ვაპატიებ. ძალიან ბევრი უბედურება დაატრიალეს.** ერთი-ორი აგებული შენობით თავბრუს როცა გვახვევენ, მე მგონი, თვითონ არიან ამით თავბრუდახვეულები.

რამდენიმე ათეული კაცი ბედნიერი რომ გახდა და გალაღებული ცხოვრობდა, კეთილი უნდა ენებათ და გადმოეხედათ თავიანთი „სიმაღლიდან“ ჩვენთვის — ჩვეულებრივი მოკვდავი ადამიანებისთვის. დაენახათ, რა დღეში ჩაგვყარეს. **ძალიან ძნელი საპატიებელია, როცა ხედავ, რომ ერს მეხსიერებას ურეცხავენ, უსპობენ წარსულს, უნგრევენ ყველაფერ საუკეთესოს, რითაც ვამაყობთ, და თავს გვახვევენ ყურითმოთრეულ უცხოსა და მიუღებელს. აი, ამის პატიებაც არ შემიძლია.**

ბოლოს გამომივიდა, რომ არაფრის პატიება არ შემიძლია (*ეცინება*).

**— თქვენ დღეს გუშინდელ ამბებზე ისე ემოციურად ლაპარაკობთ, რომ წარმოუდგენელია, ეს ემოცია სცენაზე არ გაგყოლოდათ.**

— დიახ. მინდა გითხრათ, რომ ჩვენმა რეჟისორმა (ძალიან კარგი ახალგაზრდა ყმაწვილია გოშა გორგოშაძე) თქვა, რომ ისეთი საოცარი რიტმით მიდიოდა სპექტაკლი, ისეთი მუხტით, რომ ათი წუთით ადრე დავამთავრეთ.

**— ამის გამო რაღაც აქცენტები განსაკუთრებით ხომ არ გამოიკვეთა სპექტაკლში?**

— სპექტაკლიც სწორედ ასეთია. გერმანელი კლასიკოსი დრამატურგის კლაისტის პიესაში „პრინცი ჰომბურგი“ ძველ და ახალ თაობებს შორის ბრძოლაა ასახული. მთავარი ამბობს, რომ ბრძანება აუცილებლად უნდა შესრულდეს, რადგან იგი პირველადია. მაგრამ არის ახალგაზრდა კაცი განსხვავებული პოზიციით, რომელიც ამბობს, რომ კი, ბრძანება უნდა შესრულდეს, მაგრამ, თუ შემიძლია, რომ ამ ბრძანების შეუსრულებლად ომი მოვიგო, რატომ არ უნდა დავარღვიო პირველადი ბრძანება?! პოზიციების ჭიდილია. პოლიტიკაზე, ფაქტობრივად, არ არის ლაპარაკი, მაგრამ გუშინ განსაკუთრებით შევიგრძენი ის, რაც ჩვენს სპექტაკლშია ჩადებული, რისი თქმაც სურდა პიესის ავტორს. ყოველთვის მეგონა, რომ მესმოდა, ვიცოდი, მაგრამ გუშინდელ დღეს ყველაფერი უფრო გამძაფრებული ტონებით წამოვიდა. და ყველაფერი კარგად გამოვიდა.

**— თქვენი დღევანდელი პოზიცია ემთხვევა თქვენი გმირის პოზიციას სპექტაკლში?**

— აბსოლუტურად. მე მთავრის მეუღლეს ვთამაშობ, დოროთეას. მას აქვს წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება მეუღლესთან. პრინც ჰომბურგს ადრე გარდაეცვალა დედა, და მთავარმა და მისმა ცოლმა გაზარდეს იგი. თაობათა დაპირისპირებაა.

საერთოდ ძალიან მნიშვნელოვანია, ჩემთვისაც ძალიან ბევრს ნიშნავს, როცა ადამიანი ასაკში შედიხარ, ინარჩუნებ ახალგაზრდულ აზროვნებას და შინაგანად ხარ ახალგაზრდა.

ბატონი მიშა თუმანიშვილი, ჩემი პედაგოგი, ჩემი ოსტატი და გზის გამკვალავი, ყოველთვის გვეუბნებოდა — არ დაბერდეთ, არ დაბერდეთო! მაშინ მე ეს არ მესმოდა, მაგრამ გავიდა ხანი და ახლა, როცა თავდაღმართს მივუყვები ნელ-ნელა, უფრო მძაფრად მესმის, არდაბერებაში რას გულისხმობდა ბატონი მიშა. დიდი ბედნიერებაა, როცა ახალგაზრდობასთან გაქვს ურთიერთობა. თეატრი ამის საშუალებას მაძლევს. ბევრ საზრდოს მაძლევს, ბევრი რამით მკვებავს.

ეს ბავშვები, ჩემი კოლეგები, მეხმარებიან, რომ ოდნავ მაინც შევძლო და ახალგაზრდული აზროვნება, ხედვა, დამოკიდებულება მოვლენების მიმართ შევინარჩუნო.

რასაკვირველია, გუშინდელ დღეში არ ვგულისხმობ მაინც და მაინც ახალგაზრდულ მომენტს, იმიტომ, რომ, თუკი ადამიანი ხარ ***(თუკი ადამიანი ხარ! — იმეორებს)***, შეიძლება ახლა მე ძალიან ცუდად ვიქცევი, ამას რომ ვამბობ, ისინი ადამიანები არ არიან — ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები. **ისინი გადაიქცნენ რაღაც მომხვეჭელ რობოტებად, გაბოროტებულ მონსტრებად საშინელებათა ფილმებიდან. ბოროტების რაღაც ქვაბად გადაიქცნენ, რომელშიც თვითონ იხარშებიან და უნდათ, რომ სხვებიც ჩაითრიონ, ჩაითრიონ და იმ ათუხთუხებული კუპრიდან არასოდეს არავინ ამოვიდეს.**

იცით, რა? დარჩნენ თვითონ ამ კუპრში და ჩვენ დაგვანებონ თავი!

სპექტაკლში არის ქალის, დედის პოზიცია, რომელმაც უნდა დაიცვას თავისი გაზრდილი და აღზრდილი პრინცი. მეც ახლა ქალის და, თუ გნებავთ, დედის პოზიციიდან გამოვდივარ. არ მემეტება არც ერთი ბავშვი, ამათი ხელწამოსაკრავი რომ გახდეს.

**ქუჩაში გამოსულ ხალხს ისინი ბრბოს უწოდებენ. ჩვენ მათთვის უწინაც და ახლაც ბრბო ვართ, მათ არ აინტერესებთ ჩვენი აზრი მათ შესახებ. მაგრამ, როცა ერთი ჩემნაირი ადამიანი ფიქრობს, რომ ისინი კუპრში იხარშებიან, ამაზე უფრო მძიმე განაჩენი სხვა რა უნდა იყოს?!**

**— დედის პოზიციიდან ვლაპარაკობო, თქვით** ▶

**„ყველამ ძალიან კარგად იცის, როგორც კი აღარ იქნება სააკაშვილი, ყველანი გაქრებიან, ვერც ერთ სახეს ვერ დავინახავთ. ვისაც მცირე დანაშაული აქვთ ჩადენილი, ისინი, ალბათ, უცხოეთში წავლენ, უცხოეთში დაგვეკარგებიან. მაგრამ ვინც დიდი დამნაშავეა, იმან პასუხი უნდა აგოს არა მარტო სამართლის წინაშე, არამედ, რაც ყველაზე მთავარია, ღმერთის წინაშე, და ეს ასეც იქნება!“**

მოვლენის კვალზე
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **თქვენ. ამიტომ გეკითხებით: გაუსამართლებლად ჩაცხრილული გენერლის, გია კრიალაშვილის, დედამ აღგზნებულ გიგი უგულავას მიაძახა — ჩემი შვილის მკვლელოო!**

**თავი უნდა შეეკავებინა გამწარებულ დედას, რომელიმე დასავლელ დიპლომატს დემოკრატიული ეთიკის (ასეთი თუ არსებობს) დარღვევაში რომ არ დაედანაშაულებინა?!**

**შეიძლება ვცდები, მაგრამ ესეც და**

**„იქნება, ვეფხვის დედაი**
**ჩემზე მწარედა სტირისა,**
**წავიდე, მეც იქ მივიდე,**
**სამძიმარ უთხრა შვილისა“.**

**ორივე ერთი მაღალი, ქართული მორალის გამჟღავნებაა.**

**თქვენ როგორ მიიჩნევთ?**

— თავისუფალ თეატრში — „ჯინსების თაობაში“ გეგა კობახიძის დედის როლს ვთამაშობ. ჩემამდე ამ როლს ასრულებდა ძალიან კარგი მსახიობი ნინო ხომასურიძე, რომელსაც ეს ტრაგედია თვითონ აქვს გადატანილი. სპექტაკლში არის შვილის დატირების სცენა. ეს ადამიანი ამ სპექტაკლიდან წავიდა იმიტომ, რომ მე ჩემს შვილს აღარ დავიტირებო. ყოველთვის, როცა ვიწყებ ამ სცენას...

**(საოცარი ამბავი ხდება: ქალბატონი მარინა თვალებზე ხელებს აიფარებს, აქვითინდება და ჩუმად, ძალიან ჩუმად, თითქოს ბოდიშს იხდისო, იტყვის: „ახლაც არ შემიძლია ამაზე მშვიდად ლაპარაკი“.**

**ცრემლიანი პაუზა. დაძაბული სიჩუმე. მოერევა ემოციას და თავს ხელში აიყვანს. მაგრამ მანამდე მეც ჩემი მემართება. არ ვმალავ).**

— ამ სცენას ვიწყებ ვედრებით: ღმერთო, კარგად მიმყოფე ჩემი შვილები, — **ამბობს აკანკალებული ხმით,** — შემდეგ ვთამაშობ ამ სცენას.

**პირჯვარს გადაიწერს და იტყვის:**

— არც ერთი სპექტაკლი არ ყოფილა ამ ლოცვისა და ამ ნატვრის გარეშე. ამიტომ არც მინდა წარმოვიდგინო არც ერთი დედის... **(თავს უყრის სიტყვებს)** გავაანალიზო, რა მდგომარეობაში არიან ისინი, რადგან ქვეცნობიერად ვგრძნობ ყველაფერს.

ირინა, ირინა ენუქიძე, რომელიც გადაიქცა ქართლის დედის სიმბოლოდ და განსახიერებად, დედისა, რომელიც თავის შვილს კი არ იცავდა, იმას რაღა ეშველებოდა, არამედ ჩვენს შვილებს, ყველა დანარჩენ შვილს.

**— შეგიძლიათ პარალელი გაავლოთ ამ ტრაგედიასა და დეპუტატ ჩიორა თაქთაქიშვილის ცხვირიდან წამსკდარ სისხლს შორის?**

**— ადამიანმა სისხლი არ მოიწმინდა, საგანგებოდ, შეგნებულად არ მოიწმინდა. სამაგიეროდ, იცით, რა გააკეთა? „იმედის“ ჟურნალისტს ჩაარტყა და თავის კამერიანად ძირს დააგდო.**

დღეს თეატრში მითხრეს, რა ტექსტს ყვიროდა ამ დროს.

**— მოღალატეებოო!**

— ამას გარდა, რაღაც საშინელებას ყვიროდა — მოდით, მოდით, თუ მირტყამთ, დამარტყითო.

**— პროვოკაციაზე იწვევდა?**

— ასე გამოდის. კიდევ უფრო საშინელი ინფორმაცია მომაწოდეს იმის შესახებ, რომ მათ მოყვანილი ჰყავდათ შეიარაღებული ჯავშანჟილეტიანი ხალხი. წარმოგიდგენიათ?! მარწმუნებდნენ, რომ ისინი კვლავ და კვლავ წავლენ პროვოკაციაზე, რათა სამოქალაქო დაპირისპირება გადაიზარდოს სამოქალაქო ომში.

**ძალიან ცუდ ზღვარზე ვდგავართ. ეს ადამიანები ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რათა შეინარჩუნონ, რაც მოიხვეჭეს. არ დათმობენ. უსისხლოდ ესენი არ წავლენ. ამას მიდასტურებს ის, რომ ისინი სისხლით მოვიდნენ: სადაც კი ჩადიოდა „ნაციონალური მოძრაობა“, დროშებს აფრიალებდნენ და დროშის ტარებს ხალხს ურტყამდნენ. დასისხლიანებულები იყვნენ თვითონაც და ხალხიც.**

ძალიან ცოტანი არიან დარჩენილები, მაგრამ უსისხლოდ არ წავლენ. 8 თებერვალი, ჩემი აზრით, ამის დასტური და წინაპირობა იყო.

**— სააკაშვილის გამოსვლაზე იტყვით რამეს?**

**«უსისხლოდ ესენი არ წავლენ. ამას მიდასტურებს ის, რომ ისინი სისხლით მოვიდნენ: სადაც კი ჩადიოდა «ნაციონალური მოძრაობა», დროშებს აფრიალებდნენ და დროშის ტარებს ხალხს ურტყამდნენ. დასისხლიანებულები იყვნენ თვითონაც და ხალხიც»**



**«მატყუარა პრეზიდენტი, ამორალური პრეზიდენტი! ყველა ქვეყანაში უპირველესი არის ოჯახი, ჩვენ კი ყველამ ვიცით, რომ ეს კაცი არის აღვირახსნილი, ამორალური ადამიანი. ამ ნიადაგზე დაავადებული»**

— ვუსმენდი და ვითვლიდი: ტყუილი ნომერი ერთი, ტყუილი ნომერი ორი, ტყუილი ნომერი სამი, ტყუილი ნომერი ოთხი... ამ სათვალავს არ უჩანს ბოლო. **მატყუარა პრეზიდენტი, ამორალური პრეზიდენტი! ყველა ქვეყანაში უპირველესი არის ოჯახი, ჩვენ კი ყველამ ვიცით, რომ ეს კაცი არის აღვირახსნილი, ამორალური ადამიანი. ამ ნიადაგზე დაავადებული.** თუნდაც არ ყოფილიყო მართალი ის, რასაც მასზე ამბობენ, რაც ჭორ-მართლად ვრცელდება, ხომ იყო ეს საკმარისი იმისთვის, რომ ჩვენ, ხალხს ამოგვეღო ხმა და მოგვეშორებინა პრეზიდენტობიდან?!

მაგრამ ჩვენი ხმა რჩებოდა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

ძალიან ცდილობდა მიხეილ სააკაშვილი რაღაც პოზიტიური სახით წარმდგარიყო ხალხის წინაშე, მაგრამ მე, როგორც მსახიობი, ვერ მომატყუა. ჩვენ, მსახიობებს, ხომ ამოცანები გვაქვს, მაგალითად, პარტნიორს ვათქმევინო ის, რაც მე მინდა, ან, რასაც ვეუბნები, ისე მოვახვიო თავს, რომ ჩემი სათქმელი კარგად შევნიღბო. **მან ვერც ერთი სათქმელი ვერ შენიღბა. ჩემთვის ყველა მისი სათქმელი იყო ცუდად, ძალიან უნიჭოდ ნათამაშები ტყუილი. და თუნდაც ის, რომ ამერიკის ელჩი ასეთი ნეიტრალური განცხადებით გამოვიდა, ჩემთვის იყო სიგნალი იმისა, რომ ისიც და დანარჩენი დიპკორპუსიც მიხვდა — მიშა უნიჭოდ თამაშობდა.**

უცბად რომ გაიბავშვებდა თავს და ენამოჩლექით გველაპარაკებოდა, ასე ჩემს შვილიშვილს არ ველაპარაკები. ცხრა წლის შემდეგ გველაპარაკები ენის მოჩლექით?!

იანვარში ხომ უნდა წასულიყავი? წადი, დაგვანებე თავი! ერთი პირობა იმის მომხრე ვიყავი, ოქტომბრამდე დარჩენილიყო, რადგან მისი ყოველი გამოსვლა თავისმომჭრელი იქნებოდა მისთვის. ლეგენდად სურს დარჩენა? მაგრამ ამისთვის ან ჭკუა უნდა გქონდეს, ან ჭკუის დამრიგებელი გყავდეს. მას არც ერთი აქვს, არც მეორე ჰყავს. იგივე მინდა ვთქვა სრულიად „ნაციონალურ მოძრაობაზე“.

**— ამ ვითარებაში ჩვენ რა ვქნათ, ხალხმა?**

— ბატონი რობერტ სტურუა, მოგეხსენებათ, დაბრუნდა რუსთაველის თეატრში. დღეს გვქონდა ძალიან კარგი კრება, რომლის მსგავსი ამ წლების განმავლობაში არ მახსოვს. ბატონმა რობიკომ ილაპარაკა რუსთაველის თეატრზე, იმაზე, თუ ვისი სულები, რა აურა ტრიალებს აქ. 90-იანი წლებიდან წამოსული ლექი, სამწუხაროდ, ზედაპირზე დარჩა. ზოგი სრულად ინარჩუნებს სისუფთავეს, ვიღაც — უფრო ნაკლებად. თეატრზე ეს პირდაპირ აისახება. თეატრი ტაძარია. მორწმუნენი ზოგჯერ მსაყვედურობენ, ამას რომ ვამბობ. მაგრამ სცენაზე რომ გამოდიხარ ყოველ საღამოს და შენ წინაშე 700 მაყურებელია, ან ნაკლები, და შენ მათ ეუბნები, სად არის სიკეთე, სად — ბოროტება, არწმუნებ, რომ სიკეთისკენ უნდა წავიდნენ და არა ბოროტებისკენ, მგონია, რომ ეკლესია და თეატრი ერთსა და იმავე ამოცანას ვემსახურებით.

სამწუხაროდ, შეგრძნებები მოგვიცვდა ადამიანებს იმიტომ, რომ ბევრმა სიცუდემ გადაიარა ჩვენს თავს. თვითონ უნდა შევძლოთ, რომ ეს შეგრძნებები კვლავ გავიღვივოთ და გავიცოცხლოთ.

ჩვენმა კრებამ, იმან, რაც გუშინ მოხდა, ბევრ რამეზე დამაფიქრა, რომელთა შორის მთავარია ერთი: უფლება არ გვაქვს, არ ვიყოთ საზოგადოებრივ სიმაღლეზე, არ მოვუწოდოთ ადამიანებს სიკეთისკენ. მე პლაკატურ მოწოდებებს არ ვგულისხმობ.

ასეთია ზეამოცანა.

**(და ამის შემდეგ ქალბატონი მარინა იხსენებს კრებას მოყოლილ ფაქტს, რომელიც კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ მრუდე სარკეების სივრცეში ვცხოვრობთ. რობიკო სტურუას განუცხადებია, რომ თეატრიდან არავის გაშვებას არ აპირებს, მაგრამ საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს „სენსაციური“ ცნობა, თითქოს მაესტრომ მსახიობები ქუჩაში გაყარა, რომ ისინი თეატრის წინ არიან შეკრებილები და არის ერთი ვაი-ვიში და წივილ-კივილი. პირველი არხის გადამღები ჯგუფისთვის დაუვალებია იქაურ ხელმძღვანელობას ადგილზე მისვლა და ამ ფაქტის გაშუქება).**

— 12 საათზე გვქონდა კრება და ეს ამბავი პირველ საათზე ხდება.

**— შესაშური ოპერატიულობაა.**

— გეკითხებით, 8 თებერვლის შემდეგ, როგორ არ რცხვენიათ სააგენტოებს, მთავარი ფაქტიდან ყურადღება ასეთ ტყუილზე რომ გადააქვთ?! დალოცვილო, შეამოწმე მაინც.

**— რა ვქნათ?**

— დიდი მოთმინება გვმართებს, რამენაირად უნდა ავიტანოთ ესენი ცოტა ხანი. **ყველამ ძალიან კარგად იცის, როგორც კი აღარ იქნება სააკაშვილი, ყველანი გაქრებიან, ვერც ერთ სახეს ვერ დავინახავთ. ვისაც მცირე დანაშაული აქვთ ჩადენილი, ისინი, ალბათ, უცხოეთში წავლენ, უცხოეთში დაგვეკარგებიან. მაგრამ ვინც დიდი დამნაშავეა, იმან პასუხი უნდა აგოს არა მარტო სამართლის წინაშე, არამედ, რაც ყველაზე მთავარია, ღმერთის წინაშე, და ეს ასეც იქნება!**

ესაუბრა

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. ინტერვიუ რომ დამთავრდა, ავდექი და ტაში დავუკარი.**

**«თუნდაც ის, რომ ამერიკის ელჩი ასეთი ნეიტრალური განცხადებით გამოვიდა, ჩემთვის იყო სიგნალი იმისა, რომ ისიც და დანარჩენი დიპკორპუსიც მიხვდა — მიშა უნიჭოდ თამაშობდა»**

## იმ პირის დასახმარებლად, რომელმაც ჩიორა და ნასარიძე სცემა, ბანკში ანგარიში გაიხსნა

**გელა მამალაძეს, რომელმაც 8 თებერვალს ბიბლიოთეკასთან ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა დეპუტატ ჩიორა თაქთაქიშვილს, მხარდამჭერებმა „ფეისბუქში“ სპეციალური გვერდი გაუხსნეს. გვერდზე კონკრეტული ანგარიშის ნომერიცაა მითითებული:**

**ბელა იმერლიშვილი**
**(მამალაძე)**
**GE86BG0000000296067900**
**საქართველოს ბანკი**

**„მეგობრებო, ჩვენს მოქალაქეს სასამართლომ შეუფარდა გირაო 2000 ლარის ოდენობით, რომელმაც ცემა თაქთაქიშვილი და ნასარიძე! მის სახელზე გაიხსნა ანგარიში და მსურველებს შეგიძლიათ სოლიდარობის ნიშნად გადარიცხოთ ნებისმიერი თანხა!“,** — ნათქვამია განცხადებაში.



## «ასე თუ გააგრძელებთ, ნახავთ, სადამდე მიხვალთ»

**საარჩევნო პოლიტიკური ტექნოლოგიების ცენტრის ხელმძღვანელი კახა კახიშვილი მიიჩნევს, რომ კოალიცია „ქართულ ოცნებას“ დისციპლინა და თანმიმდევრულობა აკლია.**

„განვლილი თვეების ანალიზი, ჩემი აზრით, ცხადყოფს, რომ „ქართული ოცნების“ კოალიციას და პარტიას პარტიული დისციპლინა, ორგანიზებულობა და თანმიმდევრულობა აკლია. უნდა ვაღიაროთ, რომ ამ საკითხში „ნაციონალურ მოძრაობას“ აშკარად უკეთესად აქვს საქმე. ექსპერტი კოალიციის მისამართით კითხვებსაც სვამს:

„იბადება ძალიან ბევრი კითხვა: 1. თუ ვერ აგროვებდით საკმარის ხმებს კონსტიტუციაში ცვლილებების შესატანად, პრემიერის ამაში დარწმუნებამდე გემუშავათ. 2. ხომ არ ჯობია, რომ მთავრობამ და უმრავლესობამ ერთიან განცხადებებზე იმუშაონ? 3. მახსენდება შევარდნაძის მმართველობის ბოლო წლები, როდესაც მინისტრები და მინისტრის მოადგილეები ერთმანეთის კრიტიკით და თამაშით იყვნენ დაკავებულნი.

კიდევ ძალიან ბევრი რამ შემიძლია ჩამოვთვალო, უბრალოდ, როგორც ჩანს, აზრი არ აქვს. ასე თუ გაარძელებთ, ნახავთ სადამდე მიხვალთ, ჩვენ ვართ ისევ ცოდოები ამდენი თამაშით“, — აცხადებს კახა კახიშვილი.

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

რეპლიკა

**ხალხს იმედი ჰქონდა, რომ თქვენ მის ამ პოლიტიკურ არჩევანს დაიცავდით, მაგრამ თქვენ, ნაცვლად იმისა, რომ ადამიანი-საშიშროება, ადამიანი-ბომბი, ადამიანი-ზომბი, ადამიანი-არაადეკვატურობა მოგვაცილოთ, გვაიძულებთ, მთელი წელიწადი დანაღმულ სახელმწიფოსა და დანაღმულ სახლებში ვიცხოვროთ.**

## ოლეგ იაძემ ირაკლი ალასანიას პარტია დატოვა

**კასპის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლემა ოლეგ იაძემ „თავისუფალი დემოკრატები“ დატოვა. იაძე კონკრეტულ მიზეზებზე არ საუბრობს და განმარტებებისგან თავს იკავებს.**

შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, ოლეგ იაძემ მაშინ დატოვა ირაკლი ალასანიას პარტია, როდესაც მან ალასანიას დეიდაშვილი გიორგი ბესტავაშვილი მის წინააღმდეგ აგორებულ კამპანიაში დაადანაშაულა. გიორგი ბესტავაშვილი აღიარებს, რომ იაძის დანიშვნამდე კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობაზე სწორედ ის განიხილებოდა. თუმცა მისი თქმით, იაძის დანიშვნის შემდეგ, მას თანამდებობის დასაკავებლად ან იაძის საწინააღმდეგოდ არაფერი უმოქმედია.

კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ოლეგ იაძე ამბობდა, რომ მის წინააღმდეგ კოალიცია „ქართული ოცნების“ აქტივისტებს სწორედ თანაპარტიელი ამხედრებდა. აქცენტი სწორედ გიორგი ბესტავაშვილზე კეთდებოდა.

## საქართველომ სამხრეთ ოსეთის აღიარებას ხმა მისცა

**რუსმა ჟურნალისტმა რადიოსადგურ „ეხო მასკვის“ ეთერში, საკუთარ გადაცემაში საქართველოსა და მის ახლანდელ ხელისუფლებაზე ისაუბრა. ლატინინა პირველ რიგში ბიძინა ივანიშვილის მთავრობის 100-დღიან მმართველობას აფასებს და ამბობს, რომ ახალ მთავრობას დაპირებები ჯერ ისევ არ შეუსრულებია. ჟურნალისტი ასევე ეხმაურება რუსი ჯაშუშების გათავისუფლების თემას და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნების საკითხს.**

„დღევანდელი მოცემულობით, საქართველომ სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას ხმა მისცა, იმიტომ, რომ მან ხმა მისცა გაეროში პალესტინის, ანუ ჰამასის აღიარებას, რომელმაც, თავის მხრივ, უკვე აღიარა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთს დამოუკიდებლობა. არავის არაფერი დაუბრუნებია“, — აცხადებს იულია ლატინინა.

ჟურნალისტი ასევე ელიტური კორუფციის თემასაც ეხება და თვლის, რომ ახალ ხელისუფლებას მსგავსი კორუფციის ფაქტები დღემდე ვერ უპოვია.

# ზომბი და ბომბი



**რა უნდა ვუყოთ ბომბს, ნაღმს, ჭურვს, სხვა რომელიმე ასაფეთქებელ საშუალებას, თუკი იგი ჩვენს სახლში — საძინებელში, მისაღებში, სამზარეულოში, ან სადმე სხვაგან აღმოჩნდება. ვფიქრობ, შეკითხვაც უმარტივესია და პასუხიც: მაშინვე უნდა გამოვიძახოთ სპეციალისტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ასაფეთქებელი საშუალების განმუხტვას. ეს არის ერთადერთი სწორი პასუხი ამ შეკითხვაზე. ყველა სხვა პასუხი იქნება არასწორი, მაგრამ იმ არასწორ პასუხთა შორის ყველაზე არასწორი ის იქნება, თუ ვინმე იტყვის, რომ ეს ასაფეთქებელი საშუალება სახლში უნდა შევინახოთ, რადგან შენახვა ფეთქებადი საშუალებისა საფრთხის მოხსნას კი არ ნიშნავს, საფრთხის შენახვას ნიშნავს, რაც აბსურდია, ნონსენსია, სისულელეა...**





არ მინდა ბიძინა ივანიშვილს და მის მთავრობას ვაკადრო, რომ სისულელეს აკეთებენ, მაგრამ შენახვა არაადეკვატური ადამიანისა, რომელსაც თავი პრეზიდენტი ჰგონია და არამარტო ჰგონია, არამედ საამისო გარკვეული ბერკეტებითაც არის აღჭურვილი, სწორედ რომ საცხოვრებელ სახლში ბომბის შენახვას ჰგავს. პრეზიდნტყოფილი მიხეილ სააკაშვილი წელზე ასაფეთქებელი ნივთიერებით დატენილ ქამარშემოკრულ იმ შაჰიდ ქალს ჰგავს, რომელიც იქამდეა ზომბირებული, რომ ერთადერთი და ისიც ქვეცნობიერი იმპულსის მიღება შეუძლია, — ააფეთქე! ზომბი და ბომბი ერთად რასაც ნიშნავს, ამის მაგალითი უამრავია დღევანდელ მსოფლიოში!

როგორც საჯარო ბიბლიოთეკასთან განვითარებულმა მოვლენებმა გვიჩვენა, **მიხეილ სააკაშვილი ძალიან ახლოსაა იმ ვითარებასთან, როდესაც შესაძლებელია, მას მისმა ქვეცნობიერმა იმპულსმა ან ვიღაცამ ქვეყნის გარედან უკარნახოს: ააფეთქე!** ასეთ შემთხვევაში, სააკაშვილი ააფეთქებს იმ ბომბს, რომელსაც სამოქალაქო დაპირისპირების ბომბი ჰქვია, რომელსაც ძმათამკვლელი ომი და უაზრო სისხლისღვრა ჰქვია.

მე მაქვს რამდენიმე შეკითხვა ბატონ ივანიშვილის მთავრობასთან და საპარლამენტო უმრავლესობასთან:

ბატონებო, რატომ ინახავთ ამ ადამიან-ბომბს (მიხეილ სააკშვილს) მას შემდეგ, რაც მას საპრეზიდენტო უფლებამოსილების ვადა გაუვიდა?

რისთვის ინახავთ ადამიანს, რომელიც დენთის საწყობთან დგას და ხელში ასანთის ანთებული ღერი უჭირავს?

რატომ არ შეუსრულეთ ქართველ ხალხს თქვენი უმთავრესი წინასაარჩევნო დაპირება, რომ ქვეყანას მოაშორებდით ფაშისტურ რეჟიმს?

## «მიხეილ სააკაშვილი ძალიან ახლოსაა იმ ვითარებასთან, როდესაც შესაძლებელია, მას მისმა ქვეცნობიერმა იმპულსმა ან ვიღაცამ ქვეყნის გარედან უკარნახოს: ააფეთქე!»

**სამართალდამცავი ორგანოები ფაშისტური რეჟიმის მხოლოდ ცალკეულ წარმომადგენლებს რატომ უყენებენ ბრალს მათ მიერ ჩადენილი ცალკეული დანაშაულებრივი ქმედებების გამო და რატომ არ უყენებენ ბრალს მთელ გუნდს იმ გუნდური დანაშაულის გამო, რასაც ქვეყანაში ფაშისტური რეჟიმის ჩამოყალიბება ჰქვია?**

კონკრეტული სამხილები გნებავთ? — ციხის კადრები; 190 პოლიტიკური პატიმარი; სამ ნაწილად დაშლილი საქართველო; ლუკმა-პურის საძებნელად საზღვარგარეთ გადახვეწილი ერთი მესამედი მოსახლეობისა და კიდევ უამრავი რამ, რაც ფაქტია და რასაც მტკიცება არ სჭირდება. ეს არის ის, რაც სცილდება ცალკეულ პირთა მიერ ჩადენილ ცალკეულ დანაშაულებს და გადადის ქვეყნის წინაშე გუნდურად ჩადენილ დანაშაულში.

თქვენს სამართალდამცავ ორგანოებს ასი დღე ჰქონდათ იმისათვის, რომ ეს ბრალდება იურიდიულად სწორად ყოფილიყო ფორმულირებული და საქართველო გათავისუფლებულიყო იმ ყოვლადგაუმართლებლად და მეტისმეტად სახიფათოდ შენახული ბომბისგან, რომელსაც არაადეკვატური პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ჰქვია და რომელიც უზარმაზარ საფრთხეს უქმნის ქვეყანასა და ხალხს.

ქვეყანაში ადამიანი-ბომბის შენახვა ამ ბომბის თითოეული ჩვენგანის ოჯახში შენახვას ნიშნავს. „დასავლეთს მოეწონება-არ მოეწონება“ არგუმენტი არ არის. არგუმენტი ისაა, რომ ქართველმა ხალხმა 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ხმა, პირველ რიგში, მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ მისცა. **ხალხს იმედი ჰქონდა, რომ თქვენ მის ამ პოლიტიკურ არჩევანს დაიცავდით, მაგრამ თქვენ, ნაცვლად იმისა, რომ ადამიანი-საშიშროება, ადამიანი-ბომბი, ადამიანი-ზომბი, ადამიანი-არაადეკვატურობა მოგვაცილოთ, გვაიძულებთ, მთელი წელიწადი დანაღმულ სახელმწიფოსა და დანაღმულ სახლებში ვიცხოვროთ აფეთქების ყოველწუთიერი და ყოველწამიერი მოლოდინით გულგახეთქილებმა და სისხლგათეთრებულებმა.**

**გაბერილ ტარიფებს ავიტანთ!**

**სოციალურ უსამართლობას ავიტანთ!**

**სოციალურ დაუცველობას ავიტანთ!**

**არსებობისთვის ბრძოლის ვითარებაში ცხოვრებას ავიტანთ!**

**კიდევ ბევრ რამეს ავიტანთ, მაგრამ ვერ ავიტანთ ადამიან-ბომბს, რომელიც არ ვიცით როდის აფეთქდება და ააფეთქებს ამ ქვეყანასაც!**

ვერ ავიტანთ, ამ რეჟიმის გაორმაგებული და გაათმაგებული შემოტევის საშიშროებას, ვინაიდან ვიცით, რასაც ნიშნავს მათი რევანში!

ჩვენ, ქართველი ხალხის უდიდესმა ნაწილმა, თქვენ გადმოგაბარეთ ქვეყნის მართვის სადავეები — საპარლამენტო უმრავლესობა და მთავრობა. **ახლა თქვენგან მოვითხოვთ: დაიცავით ჩვენი პოლიტიკური გადაწყვეტილება, ნუ ინახავთ ვადაგასულ პრეზიდენტს, გადააყენეთ იგი თანამდებობიდან, კანონიერ ვადებში დანიშნეთ საპრეზიდენტო არჩევნები და გპირდებით, რომ ჩვენ მიერ არჩეული ახალი პრეზიდენტი მთლად ბრძენი თუ ვერ გამოდგება, შერაცხადი მაინც იქნება!**

**ვალერი კვარაცხელია,**
2013 წლის 8 თებერვალი

## «კრიმინალები ყველას დააუთოებენ, შვილებს გააუპატიურებენ»

**„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, საპარლამენტო უმცირესობის წევრმა, ჩიორა თაქთაქიშვილმა, „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე ეროვნულ ბიბლიოთეკასთან 8 თებერვალს განვითარებულ მოვლენებზე განცხადება გაავრცელა. განცხადებას „თაიმერი“ უცვლელად გთავაზობთ:**

„ნანა კაკაბაძე არ ეშვება ჯაბა იოსელიანის “გამპრავებლობის“ მიზნით კაგებეში ნასწავლ უნიჭო მეთოდებს. უნდა, საზოგადოება დააჯეროს, რომ თურმე მე შემიგინებია ვიღაც არაკაცისთვის! ეს არის არაადამიანობა!

ამათ თუ ეს გაუვიდათ, ხვალ ყველას, ვისაც ძველი მხედრიონელები და ციხეებიდან გამოშვებული კრიმინალები სახლში შეეჭრებიან, დააუთოებენ, შვილებს გაუუპატიურებენ, სახლ-კარს გადაუწვავენ, დაგაბრალებენ, რომ თურმე თქვენი ბრალი ყოფილა, ხელგაშლილი რომ არ დახვდით ამ ავაზაკებს!

ეს არ უნდა გაუვიდეთ! ამის დაუსჯელად დატოვება ნიშნავს იმას, რომ არც ერთ მოქალაქეს აღარ უნდა ჰქონდეს პოლიციის იმედი და რომ მხედრიონი, ციხიდან გამოშვებული 5 000 კრიმინალი ჯერ ოპოზიციას გაუსწორდება და მერე თითოეულ პატიოსან ოჯახზე გადავა!“



„ბერდია კალანდიას ბრალდება უსაფუძვლოა, თითქოს მე ვმონაწილეობდი კონფერენციის ჩაშლაში. ეს არ შედიოდა ჩემს ინტერესებში, იყო გარკვეული ჯგუფი, რომელიც არ ეთანხმებოდა ბერდია კალანდიას დანიშვნას.“

რეგიონი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

მერაბ მორგოშია:

# ჩემი წინასწარმეტყველება ახდა — სამარცხვინოდ წავაგეთ არჩევნები წალენჯიხაში

**„ქართული ოცნების“ პარტიული კონფერენცია წალენჯიხაში თანაპარტიელებს შორის დაპირისპირებისა და წინააღმდეგობის ვითარებაში ჩატარდა, ამიტომაც საჭირო გახდა კონფერენციის ორჯერ ჩატარება. ახლადარჩეული თავმჯდომარე ბერდია კალანდია მომხდარში ადანაშაულებს მერაბ მორგოშიას, რომელიც მის კონკურენტად მოიაზრებოდა. შპს „ენგურჰესის“ შიდა აუდიტი, „ქართული ოცნების“ აქტივისტი მერაბ მორგოშია დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია და ის თავის მოსაზრებებს გვიზიარებს.**

**— ბატონო მერაბ, ბერდია კალანდიამ თქვენ მოქალაქეთა კავშირისა და „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლად მოგიხსენიათ. ასევე მან ბრალი დაგდოთ კონფერენციის ჩაშლაში. რას გვეტყვით ამის თაობაზე?**

— დავიწყებ იმით, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მოვიაზრებოდი წალენჯიხის მაჟორიტარ დეპუტატობის კანდიდატად კოალიცია „ქართული ოცნებიდან“. ამის თაობაზე თბილისში შევხვდი გელა ხვედელიძეს. გავიარე გასაუბრება. შეიქმნა საარჩევო შტაბი. რადგან მე საჯარო პირი ვიყავი, მირჩიეს, თავდაპირველად აქტიურობა არ გამომეჩინა „ნაციონალების“ მხრიდან მოსალოდნელი ზეწოლის თავიდან აცილების მიზნით. მაგრამ შემდეგ ჩემთვისაც და შტაბისთვისაც სრულიად მოულოდნელად მაჟორიტარობის კანდიდატად წამოაყენეს **გიორგი ნაჭყებია**, რომელიც ბოლო 30 წელი საერთოდ არ იყო ნამყოფი წალენჯიხაში. როგორც ამბობენ, რომელიღაც გავლენიანი პიროვნების ჩარევით მოხდა ყოველივე. ნაჭყებიას მოსვლის შემდეგ მთლიანად შეიცვალა სიტუაცია — შეიცვალა შტაბიც და წყალში ჩაგვეყარა ყველაფერი. მეც და ჩემი მხარდამჭერებიც მივხვდით, რომ ეს ბრძოლა „ქართულ ოცნებას“ წაგებული ჰქონდა. გიორგი ნაჭყებია მე საერთოდ არ დამკავშირებია და ამიტომაც ჩავერთე „ქართული ოცნების“ ზუგდიდის შტაბში, რომელსაც მერაბ ქვარაია ხელმძღვანელობდა. ახდა ჩემი წინასწარმეტყველება – სამარცხვინოდ წავაგეთ არჩევნები წალენჯიხაში.

ამის შემდეგ სრულიად მოულოდნელად დამირეკეს თბილისიდან, რომ „ქართული ოცნების“ წალენჯიხის პარტიულ ორგანიზაციას ჩავდგომოდი სათავეში. შევხვდი თბილისში გივი ჭიჭინაძეს, მაგრამ მოხდა ისევ ისეთი რამ, რაც მაჟორიტარობის დროს მოხდა. **ისევ გავლენიანი პირის ჩარევით მე ამომაგდეს და ბერდია კალანდიას დაავალეს პარტიის თავმჯდომარეობა.** საგულისხმოა, რომ ამის თაობაზე ჩემთვის თბილისიდან არავის უცნობებია, სხვებისგან გავიგე. ბერდია კალანდიასთან მე არანაირი გართულება არ მქონია. კონფერენციისათვის ვემზადებოდი. თბილისში არაერთგზის დარეკვის შემდეგ, როგორც იქნა, კეთილი ინებეს და გამაგებინეს, რომ თურმე ბერდია კალანდიაზე შეუჩერებიათ არჩევანი. **ბერდია კალანდიას ბრალდება უსაფუძვლოა, თითქოს მე ვმონაწილეობდი კონფერენციის ჩაშლაში. ეს არ შედიოდა ჩემს ინტერესებში, იყო გარკვეული ჯგუფი, რომელიც არ ეთანხმებოდა ბერდია კალანდიას დანიშვნას.** მე არასოდეს არ ვყოფილვარ არც „მოქკავშირის“ და არს „ნაცმოძრაობის“ წევრი. სამწუხაროდ, ბერდია კალანდია, რომელიც ღირსეული ოჯახის შვილია, თვითონ მოექცა „ნაციონალების“ გავლენის ქვეშ. მისთვის მიზნის მისაღწევად ყოველნაირი საშუალება მართებული აღმოჩნდა.

**— ბატონო მერაბ, ბერდია კალანდიამ თქვენ ასევე ბრალი დაგდოთ სოლიდური თანხის სანაცვლოდ 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში კანდიდატურის მოხსნაში. ასეთ კაცს პრეტენზია არ უნდა ჰქონოდა, „ქართული ოცნების“ ლიდერი ყოფილიყოო, განაცხადა მან. რა მოხდა სინამდვილეში?**

— ძალიან კარგია, რომ ამ საკითხს შეეხეთ. ეს ყველაზე მტკივნეული თემაა ჩემს ცხოვრებაში. 2008 წელს „მრეწველებიდან“ კენჭს ვიყრიდი წალენჯიხიდან მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად. „კარდაკარის“ გამოკითხვით, თითქმის მთელი წალენჯიხა მე მიჭერდა მხარს, რაც, რა თქმა უნდა, არ მოსწონდა „ნაციონალებს“. ზეწოლები მაშინ იყო თუ იყო. საარჩევნო კამპანიის გამო ჩემი განცხადებით წამოსული ვიყავი საგადასახადო ინსპექციიდან. ოღონდ კანდიდატურა მომეხსნა და შემოთავაზებები მქონდა ასარჩევად: სამეგრელო-ზემო სვანეთის საგადასახადო ინსპექციის უფროსის მოადგილეობა, გუბერნატორის მოადგილეობა და ა. შ. თუმცა მე არც ერთი თანამდებობა არ მაინტერესებდა და ყველა შემოთავაზებაზე უარი განვაცხადე. ამის შემდეგ **ჩემ წინააღმდეგ ჩაერთო კუდის სამსახური, რომელმაც დაუწყო დევნა ჩემს მხარდამჭერებს. პარალელურად ზეწოლა მიმდინარეობდა ჩემს ძმაზე. იმჟამად ის წალენჯიხის პოლიკლინიკის მთავარი ექიმი იყო. ვერაფერს რომ ვერ გახდნენ, შემომითვალეს, ვიცით, შენი შვილი აგრარულ უნივერსიტეტში, რომელი ავტობუსითაც დადის და მას წამალს ჩავუდებთო. ვერც ამით გამტეხეს. ამ მუქარასა და ზეწოლას ისიც ემატებოდა, რომ მე არანაირი სახსრები არ გამაჩნდა, საარჩევნო კამპანია მეწარმოებინა. ნისიად ვასხამდი ბენზინს მანქანაში. იმასაც მიაღწიეს, რომ გააფრთხილეს ყველა ბენზინგასამართი სადგური, არ ჩაესხათ ჩემთვის ნისიად. მასიურად აშანტაჟებდნენ და იჭერდნენ ყველა ჩემს მხარდამჭერს, ყველა ნათესავს, ამიტომაც მე მორალური უფლება არ მქონდა, ბრძოლა გამეგრძელებინა, იძულებული გამხადეს, მოგებული ბრძოლა დამეთმო, თანაც გაწეული ხარჯების დასაფარად მომიწია ბინის გაყიდვა.** არა მგონია, ეს არ სცოდნოდა წალენჯიხელ ბერდია კალანდიას, მაგრამ მან მაინც ტალახის სროლა არჩია, რათა საკუთარი მიზნები განეხორციელებინა. უფალმა განსაჯოს, ვინ არის მტყუანი და ვინ — მართალი. თანაც ბერდია კალანდიამ არამარტო მე მომაყენა შეურაცხყოფა, არამედ იმ პიროვნებებსაც, რომლებმაც მთელი თავიანთი ცხოვრება ქვეყნის კეთილდღეობისთვის ბრძოლას შეალიეს. ესეც მის სინდისზე იყოს.

**— ბატონო მერაბ, რატომ წააგო არჩევნები „ქართულმა ოცნებამ“ წალენჯიხაში და რა ვითარებაა ამჟამად რაიონში?**

— ამ კითხვაზე პასუხი ნაწილობრივ უკვე გაგეცით. პირველ რიგში, იმან, რომ **მე და ჩემი შტაბი, რომელსაც ყველა გვენდობოდა წალენჯიხაში და დიდი მხარდაჭერა გვქონდა, ივლისის ბოლოს საერთოდ ჩამოგვაშორეს საარჩევნო კამპანიას და არჩევანი გაკეთდა ისეთ პიროვნებაზე, რომელსაც არავინ იცნობდა წალენჯიხაში; შტაბში იყვნენ ისეთი ადამიანები, რომელთაც არ გააჩნდათ არანაირი ავტორიტეტი მოსახლეობაში. ამან ამომრჩევლებზეც იმოქმედა, ისინი დაბნეულნი იყვნენ, რამაც გამოიწვია სამარცხვინო შედეგი — 28% აიღო კოალიციამ და 26% — მაჟორიტარმა.**

რაც შეეხება დღევანდელ ვითარებას წალენჯიხაში, – უგულებელყოფილია, იგნორირებულია ადგილობრივი მოსახლეობის მოსაზრებები და შეხედულებები, ყველაფერი თბილისიდან იმართება გარკვეული ადამიანების მიერ. ისინი, ვინც აქტიურობდნენ „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ, უყურადღებოდ არიან მიტოვებულნი, მათ ანგარიშს არავინ უწევს, ხოლო ისინი, ვინც დაგვცინოდნენ, ვინც წააგეს არჩევნები, ვინც „ნაცებს“ ედგნენ გვერდით, ახლა ავანგარდში არიან და უფრო პატივსაცემი და საყურადღებონი გახდნენ, ვიდრე ჩვენ.

**ლადო ქირია**, ზუგდიდი

«მე და ჩემი შტაბი, რომელსაც ყველა გვენდობოდა წალენჯიხაში და დიდი მხარდაჭერა გვქონდა, ივლისის ბოლოს საერთოდ ჩამოგვაშორეს საარჩევნო კამპანიას და არჩევანი გაკეთდა ისეთ პიროვნებაზე, რომელსაც არავინ იცნობდა წალენჯიხაში; შტაბში იყვნენ ისეთი ადამიანები, რომელთაც არ გააჩნდათ არანაირი ავტორიტეტი მოსახლეობაში. ამან ამომრჩევლებზეც იმოქმედა, ისინი დაბნეულნი იყვნენ, რამაც გამოიწვია სამარცხვინო შედეგი — 28% აიღო კოალიციამ და 26% — მაჟორიტარმა»

## კრედიტები უახლოეს მომავალში გაიაფდება

**ეროვნული ბანკის ვარაუდით, კრედიტების საპროცენტო განაკვეთები, შესაძლოა, საშუალოდ 12,5%-მდე შემცირდეს.**

„სასესხო განაკვეთების შემცირების ერთ-ერთი ინსტრუმენტი ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის კრედიტია, რომელსაც კომერციული ბანკი გასცემს. აღნიშნული კრედიტი კი ეროვნული ბანკიდან აღებული ერთკვირიანი რეფინანსირების სესხით ფინანსდება.

როგორც ანალიტიკოსები განმარტავენ, ეროვნული ბანკის რესურსს კომერციული ბანკი დღემდე მხოლოდ ლიკვიდობის მართვისთვის იყენებდა. სესხებისკენ აღნიშნული თანხების მიმართვა კი გირაოს ბაზის გაფართოებით გახდა შესაძლებელი.

ბანკი რეფინანსირების სესხს თავისი სასესხო პორტფელის უზრუნველყოფით აიღებს. აქამდე კი რეფინანსირების სესხის გირაოში მხოლოდ ფასიანი ქაღალდები იდებოდა.

როდიდან დაიწყება კრედიტების გაიაფების პროცესი, ამ დროისთვის ეროვნულ ბანკში ვერ აკონკრეტებენ.



## ნატოს პირველი ტრანზიტული ტვირთი — ულიანოვსკიდან ავღანეთის მიმართულებით

**ნატოს ძალებისთვის განკუთვნილმა პირველმა ტრანზიტულმა ტვირთმა ავღანეთის მიმართულებით უკვე გაიარა ულიანოვსკი.**

ამ ინფორმაციას „ინტერფაქსი“ ავრცელებს, რომელიც ნატოში რუსეთის მუდმივ წარმომადგენელს, ალექსანდრ გრუშკოს, ეყრდნობა.

„კომბინირებული სატრანზიტო მარშრუტი ულიანოვსკის გავლით უკვე შემადგენელი ელემენტია ე. წ. ჩრდილოეთის სატრანსპორტო ქსელისა“, — განაცხადა დიპლომატმა.

გრუშკომ ხაზი გაუსვა იმასაც, რომ 2014 წლიდან, როდესაც განსაზღვრულია ნატოს კონტინგენტის შემცირება ავღანეთში, ამ სატრანზიტო გზის გამოყენების შესაძლებლობა კომერციულ კომპანიებს ექნებათ.

მოკლედ

## «ოქრუაშვილმა საკუთარი დანაშაულის სხვაზე გადაბრალება ცხოვრების წესად გაიხადა»



**მიხეილ ქარელი შს ყოფილ მინისტრს, ირაკლი ოქრუაშვილს უპირისპირდება და აცხადებს, რომ ოქრუაშვილმა საკუთარი შეცდომების თუ დანაშაულის სხვაზე გადაბრალება და ხელის შეწმენდა ცხოვრების წესად გაიხადა.**

„რეჟიმის ავტორად რომ ვასახელებ, თვითონ რა, უარყოფს?! ოთხი წელია, რაც მე საფრანგეთში ვიმყოფები და აქედან 3 წელია, რაც მასთან ურთიერთობა აღარ მაქვს. დღესაც ჩემს აღშფოთებას იწვევს და საწყენია, რომ ოქრუაშვილმა საკუთარი შეცდომების თუ დანაშაულის სხვაზე გადაბრალება და ხელის შეწმენდა ცხოვრების წესად გაიხადა. როდესაც ხედავ, რომ ამ ადამიანისთვის პოლიტიკა ჩვეულებრივი ბიზნესია, ხოლო მეგობრები პირადი მიზნის მისაღწევად გამოსაყენებელი საშუალებები, რასაკვირველია, ეს შენთვის უდიდესი იმედგაცრუება და გულგატეხილობაა. ბუნებრივია, ისმის კითხვა: რატომ არ ჩანან მის გვერდით ის ადამიანები, ვისთან ერთადაც გადაწყდა სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა? პასუხი მარტივია, უამრავი ადამიანი მის გვერდით ვიდექით გულწრფელად, სამართლიანი იდეებისა და პრინციპების ბრძოლისათვის და, სამწუხაროდ, ეს ღირებულებები მისგანვე იქნა უგულვებელყოფილი და შეურაცხყოფილი“, — აცხადებს მიხეილ ქარელი გაზეთთან „მთელი კვირა“ საუბრისას.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მღელვარების საერთო ტალღა ავსტრიამდეც ჩაგორდა და საკითხი იმის შესახებ, თუ სად ინახება ამ ქვეყნის ოქროს რეზერვი, პარლამენტში დაისვა. გაირკვა, რომ ოქროს რეზერვის დაახლოებით 80%, ანუ 224,4 ტონა ოქრო ავსტრიის ოქროს რეზერვიდან ინგლისშია. მაგრამ აქაც დიდი პრობლემების წამოჭრაა სავარაუდო, რადგან, როგორც ჩანს, ინგლისმა ოქრო ლიზინგში გასცა.**

# «ისტორიული ნაბიჯი ჰიპერინფლაციისკენ»: აშშ-ში სახელმწიფო ვალის ზედა ზღვარს სპობენ



**ფედერალური სარეზერვო სისტემა დიდხანს ახერხებდა დოლარის კურსის შენარჩუნებას „ქაღალდის ოქროს“ ოპციონებზე თამაშით. კრიზისმა მრავალი დასავლური ქვეყანა აიძულა, ფედერალური სარეზერვო სისტემის საცავებიდან თავისი ოქროს რეზერვები ამოეღო. სახელმწიფო ვალის ზედა ზღვარის გაუქმებით ერთის მხრივ განადგურდა ის, რაც ბოლო დრომდე თუნდაც ცოტათი ამუხრუჭებდა ხელისუფლების ალვირახსნილ მხარჯველობას, ხოლო მეორე მხრივ გადაიდგა უკანასკნელი ნაბიჯი ჰიპერინფლაციისკენ.**




მაშ ასე, როგორც ცნობილია, 31 იანვარს აშშ-ის სენატის მიერ მიღებული კანონპროექტის თანახმად, თეთრ სახლს ნება ეძლევა, კონგრესთან შეთანხმების გარეშე გადააჭარბოს საგარეო ვალის ზედა ნიშნულს. დოკუმენტის მიღებას მხარი დაუჭირა 64 სენატორმა, 34 კი წინააღმდეგი იყო. ახალი კანონპროექტის შესაბამისად, სესხების ლიმიტის კონგრესთან შეთანხმების აუცილებლობას მორატორიუმი 19 მაისამდე დაედება. **ამჟამად ლიმიტი დადგენილია 16.39 ტრილიონ დოლარზე და ამ ზედა ზღვარს ვალმა შეიძლება თებერვლის შუა რიცხვებშივე გადააჭარბოს.** წარმომადგენელთა პალატამ ჯერ კიდევ 23 იანვარს მოიწონა კანონპროექტი სახელმწიფო ვალის ზედა ზღვარის გაზრდის კონგრესთან შეთანხმების თაობაზე. კანონი ძალაში შევა, როგორც კი პრეზიდენტი ობამა მოაწერს მას ხელს, ამ უკანასკნელმა კი უკვე განაცხადა მზადყოფნა დოკუმენტის დამტკიცებისთვის.

ფინანსური ანალიტიკოსი ჯეიმს ტურკი ყურადღებას აქცევს იმას, რომ ქვეყნის ძირითადი მასმედია არაზუსტ ინფორმაციას ავრცელებს ამ სიტუაციასთან დაკავშირებით: „დარწმუნებული ვარ, რომ დოლარი ჰიპერინფლაციისკენ მიექანება“. ამასთან, აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა და „პაპუასების“ ცენტრალური ბანკები მიზანმიმართულად ყიდიან მოკლევადიან ქაღალდის ვალდებულებებს, რათა თვის ბოლოს, ოპციონების მოქმედების ვადის ამოწურვისას, ფასები დააგდონ. ეს მანევრი ნდობით აღჭურვილი ბანკი-აგენტებისთვის ოქროს წინააღმდეგ მოთამაშე ძვირფასი ლითონების ოპერაციების მხრივ მაქსიმალურად ზრდის მოგებას. ამავე დროს სქემა ოქროს ოპციონების მყიდველთა საწინააღმდეგოდ მოქმედებს. ეს უკანასკნელნი ფულს კარგავენ, რაც ეხმარებათ ბაზრის მანიპულატორებს, შეინარჩუნონ ნეგატიური დამოკიდებულება ძვირფასი ლითონების მიმართ. და ეს ხრიკი არაერთხელ განმეორდა.

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ დრომდე დასავლური ქვეყნები დიდად არ ღელავდნენ თავიანთი ოქროს რეზერვების გამო, რომლებიც აშშ-ის ფედერალურ სარეზერვო სისტემაში იყვნენ დამწყვდეულნი. მაგრამ კრიზისის დადგომის შემდეგ ფედერალური სარეზერვო სისტემის საქმიანობა ყურადღების ცენტრში მოექცა. ფართოვდება იმ ქვეყნების წრე, რომლებიც ოქროს მარაგების გატანას აპირებენ.

ბუნდესბანკმა გადაწყვიტა, ყველაფერი ფედერალური სარეზერვო სისტემის სარდაფებში თავისი ოქროს ინსპექციიდან დაეწყო, მაგრამ ფედრეზერვმა გერმანელებს საცავებთან დაშვებაზე უარი გამოუცხადეს. ამ ყველაფერმა მხოლოდ ცეცხლზე ნავთი დაასხა.

მღელვარების საერთო ტალღა ავსტრიამდეც ჩაგორდა და საკითხი იმის შესახებ, თუ სად ინახება ამ ქვეყნის ოქროს რეზერვი, პარლამენტში დაისვა. **გაირკვა, რომ ოქროს რეზერვის დაახლოებით 80%, ანუ 224,4 ტონა ოქრო ავსტრიის ოქროს რეზერვიდან ინგლისშია.** მაგრამ აქაც დიდი პრობლემების წამოჭრაა სავარაუდო, რადგან, როგორც ჩანს, ინგლისმა ოქრო ლიზინგში გასცა.

> **თუ ობლიგაციების ბაზარი ჩამოიშლება და ჰიპერინფლაცია დაიწყება, ობლიგაციები, რომლებიც ბანკებმა ძვირფასი ლითონების გარიგებებით შეიძინეს, გაუფასურდება**

სხვა ქვეყნისთვის ოქროს ლიზინგში მიცემა არის პრაქტიკა, რომელიც ფედერალური სარეზერვო სისტემის მმართველთა საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ ალან გრინსპენმა მოიწონა თავის დროზე. ოქრო ლიზინგში მიეცემა ბანკს ძვირფასი მეტალების ოპერაციით, ბანკი კი, როგორც წესი, ფედერალურ სარეზერვო სისტემას უხდის 1%-ს განსაზღვრული ვადისთვის დაბრუნების ვალდებულებით. ამის შემდეგ ბანკი ძვირფასი მეტალების ოპერაციებით ყიდის ოქროს ღია ბაზარზე და დახსნილი ფულით ყიდულობს სახაზინო ობლიგაციებს, რომლებსაც 2-4% მოგების მოტანა შეუძლია. როგორც იგივე ჯონ კრნი ირწმუნება, **„არ აქვს მნიშვნელობა, ნიუ იორკის ფედერალურ სარეზერვო სისტემაში ოქრო დევს თუ ვოლფრამი ან საერთოდ დევს თუ არა იქ რამე. ერთადერთი, რასაც მნიშვნელობა აქვს, არის ფედერალური სარეზერვო სისტემის საბუღალტრო ჩანაწერები, რომლებშიც წერია, რომ ოქრო იქ დევს“.**

მაგრამ ოქრო იჯარით გამცემის ბალანსზე ირიცხება მას შემდეგაც, რაც მსესხებელი მესამე პირის მიერ იქნა გაყიდული. ამრიგად, ბაზარზე შეიძლება იმ ოქროს ზოდის ყიდვა, რომელიც ბუნდესბანკმა რამდენიმე ათეული წლის წინ ფედერალური სარეზერვო სისტემის საცავში მიიტანა და ახლაც მის ბალანსზე ირიცხება. პრობლემა ისაა, რომ ნამდვილი ზოდი კვლავაც მხოლოდ ერთია. მეორე მხოლოდ ქაღალდზე არსებობს (მით უფრო, რომ ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ, უკვე დიდი ხანია, ოფიციალურად აღიარა: მას არანაირი ოქრო არ გააჩნია), ანუ **მსოფლიოში უფრო ნაკლები ოქროა, ვიდრე დოკუმენტების მიხედვით შეიძლება დათვლა. რამდენად ნაკლები?**




ნიუ იორკში გაგზავნეს, მის უკან დაბრუნებას მოითხოვენ, ბანკი-საცავები ამის გაკეთებას მხოლოდ ოქროს მიმდინარე ფასად გამოსყიდვის გზით შეძლებენ. მაგრამ ეს ფასები იმაზე მნიშვნელოვნად მეტი იქნება, რა ფასშიც ლიზინგში მიეცათ ბანკებს. ამიტომ ბანკი-საცავები უდიდეს ზარალს ნახავენ, უფრო სწორად კი ყველას მშრალზე დატოვებენ ნებისმიერ ფასად, თუნდაც მსოფლიო ბირთვული ომის დაწყებით...

**„ქაღალდის ოქროს“ ფასებით მანიპულირებას ხელი შეუწყო ფედერალური სარეზერვო სისტემის წარმომადგენელთა ახლახან გამართულმა კრებამ, რომლის დროსაც დამგეგმავმა პირებმა გადაწყვიტეს, ოქროსა და ვერცხლის ფასები შეეზღუდათ ფულის ბეჭდვის საკუთარი სქემის გამოცხადებით. ეს ყველაფერი ახალი არაა, მაგრამ რაღაც ახალი და ძალიან საინტერესო ხდება ვაშინგტონში, კოლუმბიის ოლქში...**

როდესაც კონგრესმა მიიღო კანონი ვალის ზედა ზღვრის შესახებ, რაც ზემოთ ვახსენეთ, **უკვე დანამდვილებით შეიძლება იმაზე საუბარი, რომ დოლარი ჰიპერინფლაციისკენ მიჰყავთ.** საქმე ისაა, რომ ძირითადმა მედიასაშუალებებმა გამოაცხადეს, წარმომადგენელთა პალატამ გაახანგრძლივა ვალის ზედა ზღვარი 19 მაისამდე. მაგრამ ეს არასწორი ფორმულირება. ზემოხსენებული ჯეიმს ტურკი განსაკუთრებულად აღნიშნავს, რომ წამომადგენელთა პალატამ შეაჩერა ეს საკითხი. „Bloomberg“-I იტყობინება, რომ კონგრესის ქვედა პალატამ მიიღო ზომები ვალის ზედა ზღვარის დროებითი შეჩერებისთვის.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, წარმომადგენელთა პალატა აუქმებს ვალის ზედა ზღვარს, რაც იმას ნიშნავს, რომ 19 მაისამდე ფედერალური ხელისუფლების ხარჯები არაფრით შეიზღუდება, შემდეგ კი კვლავ განიხილავენ საკითხს ვალის ზედა ზღვარის შესახებ. მაგრამ ეს ნამდვილად მნიშვნელოვანი საკითხია და **გამოთქმა „დროებითი შეჩერება“ სახიფათოდ ჟღერს. ზუსტად ანალოგიურ ფორმულირებას იყენებდა რიჩარდ ნიქსონი 1971 წლის 15 აგვისტოს, როდესაც აცხადებდა, რომ აუქმებს დოლარის ოქროზე მიბმულობას. ეს დროებითი შეჩერება, უკვე 42 წელია, გრძელდება.**

როდესაც ნიქსონმა გაწყვიტა ოქროზე დოლარის ფორმალური მიბმა, ამით გაანადგურა კონსტიტუციური კონტროლი ხელისუფლების შესაძლებლობაზე, გამოიწვიოს ინფლაცია და აშშ-ის ხელისუფლება საბიუჯეტო გარღვევისკენ გაამწესა. კაპიტალიზმის ჩავარდნა სოცსისტემასთან შეჯიბრში და 1971 წელს აშშ-ის დეფოლტი, ნიქსონის შემდგომი მცდელობები, გამოსულიყო მდგომარეობიდან, „რეიგანომიკა“ — ეს არის მიზეზები, რამაც განაპირობა ფინანსური ქაოსი, რომელშიც აშშ და მთელი მსოფლიო ეკონომიკა ახლაც იმყოფება. მაგრამ სახელმწიფო ვალის ზედა ზღვარი სხვას თუ არაფერს აკეთებდა, საყოველთაო ყურადღებას მაინც მიაპყრობდა აშშ-ის მძიმე ფინანსურ მდგომარეობაზე. ამ ქვეყანამ ხომ უკვე დაკარგა თავისი საკრედიტო რეიტინგი „AAA“.

**ახლა წარმომადგენელთა პალატა აცხადებს, რომ ეს მცირე დაბრკოლებებიც უნდა გაუქმდეს და ამით ხელისუფლებას კარტ-ბლანში მიეცეს. სახელმწიფო ვალის ზედა ზღვარი არის ერთადერთი საშუალება, რომელიც წინ ეღობებოდა ჰაერიდან ფულის შექმნის შეუჩერებელ პროცესს და, როდესაც მასაც მოსპობენ, ჰიპერინფლაცია გარდაუვალია, რადგან ფედერალური ხელისუფლების ხარჯები უმართავ სპირალში ჩაეხვევა.**

**ერიკ ჰოლდერი:**

**„ჩვენი მთავარი ამოცანა ამერიკის მოქალაქეების უსაფრთხოების უზრუნველყოფაა და ჩვენ უნდა გავაკეთოთ ეს ჩვენი კანონების დაცვისა და ჩვენი ღირებულებების შესაბამისად, საფუძვლად ვიღებთ კონგრესის მიერ მიღებულ კანონს, რომელიც უფლებას გვაძლევს, განვახორციელოთ ოპერაციები „ალ ქაიდასა“ და მასთან დაკავშირებული დაჯგუფებების წინააღმდეგ არა მხოლოდ პაკისტანსა და ავღანეთში, არამედ მსოფლიოს სხვა ქვეყნებში“.**

მსოფლიო
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როტშილდების სახლის ოქროს ხრიკი

**ოქროს მომპოვებელი კომპანია „Spanish Mountain Gold“-ის დირექტორთა საბჭომ ახლახან თავის „ფინანსურ კონსულტანტად“ როტშილდი დანიშნა. ეს ფაქტი საშუალებას იძლევა, დანამდვილებით ვიცოდეთ, რომ უძველესი მოდგმა მსოფლიო ოქროს მარაგების „განვითარებად ბაზრებზე“ და მთელი მსოფლიოს ცენტრალურ ბანკებზე გადანაწილებას აპირებს. მიზანი ოჯახის მონოპოლიური მდგომარეობის განმტკიცებაა მაშინ, როდესაც დასავლეთის არაუზრუნველყოფილი ვალუტების ქაღალდის სახლები იშლება.**

Spanish Mountain Gold Ltd.

**„British Columbia“-ს დირექტორთა საბჭომ, დააფუძნა რა ოქროს მოპოვების კამპანია, როტშილდს დაავალა „სტრატეგიული შესაძლებლობების გადახედვა აქციონერული ღირებულების მაქსიმალიზაციის მიზნით“. 2012 წლის ივლისში კომპანია „Spanish Mountain Gold“-ის დირექტორი ბრაიან გროვსი უკვე იკვეხნიდა, რომ ბრიტანულ კოლუმბიაში სამუშაოები არის პროექტი, რომელიც „რამდენიმე მილიონი უნცია ოქრო“ ღირს და უზრუნველყოფილია კავშირებით მთელ მსოფლიოში.**

მართლაც, დანიშნეს რა ხსენებულ თანამდებობაზე როტშილდი, ამ ოქროსმომპოვებული კომპანიის ღირებულება გაიზარდა და კვლავაც განაგრძობს სწრაფვას ახალი სიმაღლეების ან სიღრმეებისკენ — გააჩნია, ოქროს ზოდს რომელი მხრიდან შევხედავთ. სწორედ ესაა იმის უტყუარი ნიშანი, რომ ოჯახი ოქროზე კონტროლს ამკაცრებს როგორც მოპოვებასა და წარმოებაში, ასევე ვაჭრობაში.

ამ საუკუნის პირველ წლებში ისე ჩანდა, თითქოს როტშილდი უარს ამბობდა ოქროზე. ჯერ კიდევ 2004 წელს ლორდმა ჯეიმს როტშილდმა გასაგებად მიანიშნა, რომ ოჯახს თავისი ოქროს აქტივები გაჰქონდა ბაზრიდან. „The Telegraph“-მა დაწერა, რომ „საინვესტიციო ბანკი, რომელიც თავმჯდომარეობდა ლონდონის საბჭოს და ადგენდა ოქროზე მსოფლიო ფასს 1919 წლიდან, ტოვებდა ბაზარს“.

მაგრამ ეს მხოლოდ კარგი ილუზიონისტის კარგად მოფიქრებული ფოკუსი იყო — ოქრო ამ ოჯახისთვის კვლავაც პირველ ადგილზეა, როგორც მრავალი წლის მანძილზე იყო. როტშილდის ამ ხრიკის მიზანი ოქროს ფასის დაგდება, შემდეგ კი იაფად მისი რაც შეიძლება მეტი რაოდენობით შეძენა იყო.

**საქმე ისაა, რომ ევროსა და დოლარის ვარდნის შემდეგ მრავალი ეკონომიკური პროექტი დაუბრუნდა ოქროთი უზრუნველყოფილ ვალუტებს. ეს მსოფლიო ტენდენცია გახდება, რაც სავსებით ბუნებრივია, რადგან არსებული სავალუტო კონცეფცია სინამდვილეში მხოლოდ ფარსი იყო. ამიტომ ოქროს დაგროვება მიმდინარეობს იმ მიზნით, რომ მოხდეს მისი შემდგომი გადანაწილება გარკვეულ ქვეყნებს შორის, მომავალში ელიტა გლობალური მსოფლიო ძრავი უნდა გახდეს.**

სავსებით შესაძლებელია, რომ ყველა ვალუტა გადაიხედოს და ამის შემდეგ ოქროთი უზრუნველყოფილი ვალუტების მსოფლიო სისტემა განვითარებას დაიწყებს. ამ დროს ქვეყნები, რომლებსაც ყველაზე მეტი ოქროს მარაგი ექნებათ, ყველაზე მომგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდებიან.

ედმონ დე როტშილდის დოკუმენტებში გაანალიზებულია ოქროთი გლობალური ვაჭრობა, მყიდველები, გამყიდველები, გამარჯვებულები და დამარცხებულები. მსოფლიო ელიტის ერთ-ერთ შეფასებაში იგი აღიარებს, რომ **ევროპის ქვეყნებს არ სურთ ოქროს მარაგების გაყიდვა და მიმდინარე ტენდენციები გაუხრელად მიექანება აღმოსავლეთისკენ: „ევროპის ქვეყნები არ ჩქარობენ საკუთარი ოქროს მარაგების გაყიდვას, რადგან ეს მარაგები მცირეა მათ სავალე ვალდებულებებთან შედარებით, ოქროს გარკვეული რაოდენობა კი, შესაძლოა, უკვე ჩადებულია კრედიტებში“.**

მაშინ, როდესაც აშშ-ში მსოფლიო ელიტის მრავალი ციტადელი მიტოვებულ იქნა, ჩინეთში ახალი ციტადელები იქმნება. დასკვნით ნაწილში როტშილდი აცხადებს, რომ ოქროსმომპოვებელი კომპანიები და შახტიორები არასაკმარისი რაოდენობითაა.

**ეს ყველაფერი იმის დადასტურებაა, რომ როტშილდების სახლმა მოჩვენებით თქვა უარი ოქროზე საუკუნის დასაწყისში მხოლოდ იმისათვის, რომ შემდეგ ხელსაყრელ ფასად ეყიდა ის და აღმოსავლეთში — მსოფლიოს მომავალ ძრავში გადაესროლა.**

იმის პარალელურად, რომ დასავლეთში ელიტის მაკონტროლებელი როლი სუსტდება, მსოფლიო ოქრო ნელ-ნელა გადადის აღმოსავლეთის — მსოფლიოს ახალი ძრავისკენ.

# აშშ «წერტილოვანი ლიკვიდაციის» გამართლებას ცდილობს

**ობამას ადმინისტრაცია ცდილობს, როგორმე გაამართლოს ეგრეთ წოდებული წერტილოვანი ლიკვიდაციის საკუთარი პოლიტიკა, რომელიც ტერორიზმში ეჭვმიტანილი და უცხოეთში მყოფი ამერიკის მოქალაქეების მიმართ გამოიყენება. იუსტიციის სამინისტროს ახლხან გამოქვეყნებულ მემორანდუმში მოყვანილია მთელი რიგი არგუმენტებისა, რომლებიც ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში ამგვარი ზომების მიზანშეწონილობას „ასაბუთებენ“.**



სამინისტროს მემორანდუმი, რომელიც ვითომდა საიდუმლო უნდა ყოფილიყო, მაგრამ მაინც გაცხადდა, შეიცავს საკმაოდ არაერთმნიშვნელოვანი პოლიტიკის მიზანშეწონილობის დეტალურ დასაბუთებას. ეს პოლიტიკა ითვალისწინებს იმ ამერიკელების ლიკვიდაციას, რომლებიც, როგორც პრეზიდენტ ობამას ადმინისტრაცია მიიჩნევს, საზღვარგარეთიდან აპირებენ ამერიკის შეერთებულ შტატებზე თავდასხმის განხორციელებას.

**ცოტა ხნის წინ ადმინისტრაცია ანალოგიურ ზომებს აუცილებლად მიიჩნევდა იმ შემთხვევებში, როდესაც ამგვარი თავდასხმები გარდაუვალი იყო. მაგრამ ამ მემორანდუმში მოცემულია უფრო ფართო დასაბუთება იმ პირების წერტილოვანი ლიკვიდაციისა, რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან აშშ-ის წინააღმდეგ მიმართული ტერორისტული აქტების მზადებაში.**

რამდენიმე დღის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე იუსტიციის მინისტრმა **ერიკ ჰოლდერმა** ამგვარ პოლიტიკას აუცილებელი უწოდა:

**„ჩვენი მთავარი ამოცანა ამერიკის მოქალაქეების უსაფრთხოების უზრუნველყოფაა და ჩვენ უნდა გავაკეთოთ ეს ჩვენი კანონების დაცვისა და ჩვენი ღირებულებების შესაბამისად, — განაცხადა მან. — საფუძვლად ვიღებთ კონგრესის მიერ მიღებულ კანონს, რომელიც უფლებას გვაძლევს, განვახორციელოთ ოპერაციები „ალ ქაიდასა“ და მასთან დაკავშირებული დაჯგუფებების წინააღმდეგ არა მხოლოდ პაკისტანსა და ავღანეთში, არამედ მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც“.**

მაგრამ მემორანდუმის გამოქვეყნებამ კონგრესმენებს შორის მღელვარება განაპირობა. 11 სენატორისგან შემდგარმა ჯგუფმა, რომელშიც ორივე პალატის წარმომადგენლები გაერთიანდნენ, პრეზიდენტ ობამასგან მოითხოვეს, წარედგინა ადმინისტრაციის ყველა იურიდიული დადგენილება, რომელიც ტერორიზმში ეჭვმიტანილი ამერიკის მოქალაქეების დევნის საფუძველს წარმოადგენდა.

ვირჯინიის შტატის დემოკრატმა სენატორმა ჯიმ მორეინმა, ერთ-ერთია იმ კანონმდებელთაგან, რომელთაც არ აკმაყოფილებთ ხელისუფლების მიერ უცხოური ტერორისტული დაჯგუფებების წევრებად მიჩნეული აშშ-ის მოქალაქეების ლიკვიდაციის შესახებ ადმინისტრაციის მოსაზრებები.

„ვფიქრობ, ამერიკის მოქალაქეების სამოქალაქო თავისუფლებების მხრივ სერიოზული საფრთხის პირისპირ აღმოვჩნდით, — ამბობს მორეინი. — მე ის მაღელვებს, რომ სასამართლო ხელისუფლების მხრიდან კონტროლსა და თვალყურის დევნებას არ აქვს ადგილი“.

**იურისტები იუსტიციის სამინისტროს მემორანდუმს ძალზე მნიშვნელოვან საკითხად მიიჩნევენ, რადგან ის გაცილებით უფრო ფართო განსაზღვრებას შეიცავს უშუალოდ ტერორისტული საფრთხისა, რომელიც შეიძლება გამოდგეს ეჭვმიტანილის წერტილოვანი ლიკვიდაციის საფუძვლად.**

ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტში სამართლის პროფესორი და ჟურნალ „New Repubic“-ის იურიდიული განყოფილების რედაქტორი ჯეფრი როზენი ამბობს:

„ობამას ადმინისტრაციის მხრიდან საკუთარი ქმედებების შეფასებაში ერთერთი ყველაზე საგანგაშო ასპექტი იურიდიული თვალსაზრისით არის ამავე ადმინისტრაციის მიერ იმის საკმაოდ ფართო განსაზღვრება, რაც უშუალო საფრთხეს წარმოადგენს და რის დროსაც წერილოვანი ლიკვიდაცია სამართლებრივად ითვლება“.

ამ მეთოდების ირგვლის აზრთა სხვადასხვაობა გამწვავდა 2011 წლის იმ მოვლენების შემდეგ, რომელთა დროსაც იემენში უპილოტო საფრენმა აპარატმა ორი ამერიკელი გაანადგურა. ამ ამერიკელებს პრეზიდენტის ადმინისტრაცია ტერორიზმში ეჭვმიტანილებად მიიჩნევდა.

**თეთრი სახლის პრესმდივანმა ჯეი კარნიმ განაცხადა, რომ უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენება ტერორიზმში ეჭვმიტანილთა გასანადგურებლად კანონიერი და მიზანშეწონილი ქმედებაა, რომელიც არ ეწინააღმდეგება მორალურ ნორმებს.**

მისი განცხადებით, „ალ-ქაედას“ ხელმძღვანელობა მუდმივად რაღაცას გეგმავს ამერიკის შეერტებული შტატების წინააღმდეგ და ამერიკის მოქალაქეების წინააღმდეგ, რაშიც, საეჭვოა, ვინმეს ეჭვი ეპარებოდეს.

ამის შემდეგ კარნიმ დასძინა, რომ კონგრესმა დაამტკიცა ადმინისტრაციის გადაწყვეტილება, დაიწყოს ომი „ალ-ქაედას“ წინააღმდეგ და ეს ომი აშშ-ის კონსტიტუციის შესაბამისად მიმდინარეობს.

სამინისტროს მემორანდუმში ასევე აღნიშნულია, რომ ლიკვიდაცია გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დადგენილია, რომ ეჭვმიტანილის დაკავება შეუძლებელია.

მაგრამ ექსპერტი ჯეფრი როზენი იმაზე მიანიშნებს, რომ ამ წესეს ძალზე ფართო შინაარსები აქვს და არაა გათვალისწინებული საკმაოდ ეფექტური ზომები, რომლებიც გამორიცხავდნენ წერტილოვანი დარტყმების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას.

**„მრავალი მიზეზია იმისათვის, რომ ამ დაშვების პოტენციურად ბოროტად გამოყენების გამო ვიდარდოთ,** — მიიჩნევს იგი. — **ამ მიზეზებიდან ყველაზე უბრალო ისაა, რომ აშშ-ის ხელისუფლება შეიძლება უბრალოდ შეცდეს. მან შესაძლოა შეცდომით ჩათვალოს ადამიანი „ალ-ქაიდას“ ერთერთ აქტიურ წევრად და გაანადგუროს ყოველგვარი სასამართლოსა და გამოძიების გარეშე. ამ გადაწყვეტილების სისწორეს კი არავინ შეამოწმებს“.**

ამასობაში კი სენატორებმა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორის თანამდებობაზე ჯონ ბრენანის კანდიდატურა დაამტკიცეს, ბრენანისა, რომელიც ერთ-ერთია მათ შორის, ვინც ზემოხსენებული პროგრამა მოიგონა და მათ შორისაც, ვინც ამ პროგრამას ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტად მიიჩნევს.

golos-ameriki.ru

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2012 წელს აშშ-ის ძალოვანი სტრუქტურების სამხედრო მოსამსახურეებს ოფიციალურად დართეს ცხოველებთან სექსის ნება, რისთვისაც სამხედრო იუსტიციის ერთიან კოდექსში სათანადო ცვლილებები შეიტანეს.**

# რატომ გარბიან თეთრკანიანები ქალაქებიდან

**2011 წლის აღწერის შედეგებმა აჩვენა, რომ თეთრკანიანი ადამიანები მასობრივად ტოვებენ ინგლისის ქალაქების ცენტრალურ უბნებს. საფრანგეთში ასევე მიმდინარეობს ფენებად დაყოფის პროცესი, რაშიც აქტიურ მონაწილეობას იღებს ქვეყნის ძირძველი მოსახლეობა.**



ლონდონში თეთრკანიანები, შესაძლოა, იმაზე უფრო სწრაფად აღმოჩნდნენ უმცირესობაში, ვიდრე ვარაუდობდნენ. ყველაფრის მიზეზი მათი მასობრივი გადასახლებაა მჭიდროდ დასახლებული ქალაქური უბნებიდან გარეუბნებსა და სოფლებში. როგორც ჩანს, საუბარია, უპირველეს ყოვლისა, უზრუნველყოფილ ოჯახებზე. ეს გადასახლებები მხოლოდ აძლიერებს საზოგადოების ფენებად დაყოფას. 2011 წლის აღწერის შედეგების გამოქვეყნების შემდეგ ბრიტანელებმა, როგორც იქნა, გაიგეს იმ ყველაფრის შესახებ, რაც მანამდე განსაკუთრებულ ყურადღებას არ იპყრობდა.

საფრანგეთში ასევე შეინიშნება დაყოფის პროცესი, რომელშიც აქტიურად მონაწილეობენ სახალხო ფენები და ძირძველი მოსახლეობა. ამ ადამიანებს უჩინმაჩინებს უწოდებენ, მაგრამ რატომ და ვისთვის არიან უხილავნი?

საფრანგეთის მოსახლეობის უმეტესობა ჯერ კიდევ სახალხო ფენებზე მოდის და მის 80%-ს ადგილობრივი მოსახლეობა შეადგენს, ამიტომ ისინი ვერ იქნებიან შეუმჩნევენი.

სინამდვილეში ისინი უხილავნი არიან მხოლოდ საზოგადოების უმაღლესი ფენებისთვის, რომლებიც ქმნიან ელიტებს და ცხოვრობენ დიდი ქალაქების ცენტრებში. პარიზში მუშათა კლასი უბრალოდ გაქრა. საფრანგეთის დედაქალაქში უკანასკნელ 40 წელიწადში (1968-დან 2009 წლამდე) აქტიურ მოსახლეობაში მუშათა რაოდენობა 26%-დან 8%-მდე დაეცა, საკადრო მუშაკთა რაოდენობა კი 14%-დან 45%-მდე გაიზარდა. გარდა ამისა, ახლა პარიზში მცხოვრები მუშების უმეტესობას უცხოური წარმომავლობა აქვს. 2008 წელს დედაქალაქში ადგილობრივი მოსახლეობიდან მხოლოდ 6% შეადგენდა მუშებს. მათი ასაკი 18-დან 50-წლამდე განისაზღვრა. იმავე კატეგორიისა და ასაკის მოსახლეობა უცხოეთიდან ჩამოსახლებულთა შორის 37%-ს შეადგენდა.

**ახლა ძირძველი მოსახლეობის მუშები დიდი ქალაქების ცენტრებიდან მოშორებით ცხოვრობენ, ძირითადად, მომცრო ზომის დასახლებულ პუნქტებში. საკადრო მუშაკები კი, მათ შორის უმაღლესი ინტელექტუალური პროფესიების წარმომადგენლებიც, უპირატესობას ანიჭებენ დიდი ქალაქების ცენტრებს, სადაც ასევე ცხოვრობს მომსახურე პერსონალის მთელი არმია და უცხოური წარმომავლობის მქონე მუშებიც.**

ეს ყველაფერი ხელს აძლევს მემარცხენეების ახალ თაობას, რომელმაც გადაწყვიტა, უარი თქვას ადგილობრივი მოსახლეობისგან შემდგარ ელექტორატზე. მათი წინასაარჩევნო მიზნები საყიდლების სიას ჰგავს და ამ სიის სათავეში ღატაკი რაიონების უმცირესობები დგანან.

სახალხო ფენების ძირძველი მოსახლეობა სარგებლობს შესაძლებლობით, იცხოვროს შედარებით უკეთეს საზოგადოებრივ გარე- ▶

# გეილესბიონები და პოლიტიკა

**აშშ-ში 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ „The New Work Times" იტყობინებოდა, რომ ამერიკის ჰომოსექსუალებს შორის გამარჯვებულმა თავისი მოწინააღმდეგე თანაფარდობით 3:1 დაამარცხა. „და ეს სავსებით საკმარისი აღმოჩნდა მთელი ნაციის მასშტაბით გამარჯვებისთვის". ეს, ალბათ, არცაა გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რა ტემპებით მატულობს აშშ-ში გეების რაოდენობა: 65 წელს ზემოთ ასაკოვან ჯგუფში ჰომოსექსუალიზმის შესახებ აცხადებს ამერიკელთა 1,9%, 30-დან 40-მდე ასაკობრივ ჯგუფში — 3,2%, 18-დან 24-წლამდე ახალგაზრდებში კი — 6,4%.**




**ორგანიზაციის წარწერა-ლოზუნგი:
„ავირჩიოთ ლგბტ ლიდერი, რათა შევცვალოთ ამერიკის პოლიტიკა"**

„The Gay & Lesbian Victory Fund" (გეებისა და ლესბოსელების გამარჯვების ფონდი) არჩევნებზე მხარს უჭერს კანდიდატებს, რომლებიც ღიად აცხადებენ საკუთარი არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის შესახებ. ამ ფონდმა ჯერ კიდევ 2006 წელს განაცხადა, რომ ფედერალურ და ადგილობრივ დონეებზე ამერიკაში გაიმარჯვა მათ მიერ მხარდაჭერილი კანდიდატების უპრეცედენტო რაოდენობამ. მათ შორის იყო პირველი ქალი-სპიკერი წარმომადგენლობით პალატაში — ნენსი პელოსი. საერთო ჯამში კონგრესის ადგილები და გუბერნატორთა სავარძლები ჯერ კიდევ მაშინ დაიკავა 200-ზე მეტმა პოლიტიკოსმა, რომლებიც „მხარს უჭერდნენ გეებისა და ლესბოსელების უფლებებს".

2012 წლის შემოდგომის დასასრულს აშშ-ის ისტორიაში პირველად სენატში აირჩიეს გაცხადებული ლესბოსელი, 50 წლის ტამი ბალდვინი, რომელიც მანამდე წარმომადგენელთა პალატაში ვისკონსინის შტატს წარმოადგენდა.

ამჟამად აშშ-ის საკანონმდებლო ორგანოები აპირებენ „სექსუალური ორიენტაციის" 30 სახეობის ლეგალიზებას, სახეობებისა, რომლებიც ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაციის ფსიქიური აშლილობების სიაში ფიგურირებენ. **მოემზადე, ამერიკა! 2012 წლის უკანასკნელ დღეებში ამერიკის კონგრესი შეუდგა იურიდიული და ფედერალური დაცულობის სტატუსის მინიჭებას ისეთი „სექსუალური ორიენტაციებისთვის", როგორიცაა ინცესტი, ნეკროფილია, ზოოფილია და პედოფილია.**

**პედოფილიამ ფედერალური ხელისუფლებისგან პრაქტიკულად უკვე მიიღო დაცვის სტატუსი.** 2009 წელს მიღებული „ჰომოფობიის წინააღმდეგ კანონის" მიხედვით, სიტყვათა შეთანხმება „სექსუალური ორიენტაცია" ამ ტერმინის არსის განსაზღვრის გარეშე გადაეცა იურიდიულად დაცულ კატეგორიებს. თეთრმა სახლმა პირდაპირ წაახალისა ეს აქტი და განაცხადა, რომ „მთლიანობაში საუბარია არა მხოლოდ კანონებზე, არამედ იმაზე, თუ ვინ ვართ". ახლა ზოგიერთი ორგანიზაცია ირწმუნება, რომ პედოფილების თანასწორუფლებიანობის პროპაგანდა სულ უფრო აგრესიული გახდება, რადგან „ეს არის იმ გეგმის ნაწილი, რომლის მიხედვით რაც შეიძლება მცირე ასაკის ბავშვებთან სექსი უნდა დაინერგოს".

ამერიკაში ეს პროცესი დიდი ხანია მიმდინარეობს. ჯერ მომზადდა „სამეცნიერო ბაზა" და პედოფილია გადაიხედა ისევე, როგორც 1073 წელს ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაციამ გადახედა ჰომოსექსუალიზმს და ამოშალა ფსიქიური აშლილობების საკუთარი სიიდან. **ფსიქიატრთა ასოციაციამ, რომელიც 150 ათასზე მეტ წევრს ითვლის, დეგენერატებისკენ მორიგი ნაბიჯი 1998 წელს გადადგა და განაცხადა, რომ უფროსების ბავშვებთან სექსის „ნეგატიური პოტენციალი გადამეტებულია, რადგან მამაკაცებისა და ქალების უდიდესი უმრავლესობა აცხადებს, რომ ბავშვობაში გადატანილი სექსუალური ძალადობის გამო უარყოფით სექსუალურ ეფექტებს ადგილი არ აქვს".**

ამ ყველაფრის პარალელურად მასობრივ გაყიდვაში გამოვიდა თოჯინა „ბარბის მეგობარი ბიჭი" — პლასტმასის ჰომოსექსუალი ბილი, აშშ-ის კათოლიკე ეპისკოპოსებმა კი მოითხოვეს, მოხსნილიყო ყველა აკრძალვა ჰომოსექსუალებისთვის. სხვათა შორის, 2000-იანი წლების შუა პერიოდამდე კათოლიკურ ეპისკოპატში აშშ-ში ბავშვებზე სექსუალური ძალადობის გამო ბრალდებული იყო 3 ათასზე მეტი საეკლესიო მსახური. იმავე პერიოდში **ამერიკის რეფორმისტული სინაგოგების რაბინების ცენტრალურმა კონფერენციამ გამოიტანა ოფიციალური გადაწყვეტილება, რომელსაც სავალდებულო ხასიათი ჰქონდა და რომელმაც გაამართლა სოდომიტების ქორწინებები. სოდომიას მხარი დაუჭირა პროტესტანტული სექტების მნიშვნელოვანმა ნაწილმაც...**

2012 წელს ამერიკელი ფსიქიატრების ჯგუფმა პედოფილების ინტერესების ლობირების ორგანიზაცია „ქ4უ-Oct"-მა (რომელიც აცხადებს, რომ მისი მიზანია, დაეხმაროს ფსიქიატრებს, მეტი გაიგონ არასრულწლოვანთა მიმართ ლტოლვის შესახებ) ამერიკის ფსიქიატრიის ასოციაციის ფსიქიატრიული აშლილობების დიაგნოსტიკურ ცნობარს შესთავაზა პედოფილიის ახალი განმარტება. ამ განმარტების მიხედვით, **პედოფილები ეწოდებათ „ადამიანებს, რომლებიც მიდრეკილნი არიან არსრულწლოვანთა მიმართ". ამის პარალელურად კანადელმა ფსიქოლოგებმა გამოაცხადეს, რომ პედოფილია ისეთივე სექსუალური ორიენტაციაა, როგორც სხვა ნებისმიერი.**

2012 წლის სექტემბერში კალიფორნიის შტატის კანონმდებლებმა მიიღეს კანონპროექტი, რომელიც ფსიქოთერაპევტებს ლიცენზიის ჩამორთმევის პერსპექტივით უკრძალავს ბავშვებისა და მოზარდების მკურნალობას ჰომოსექსუალიზმისგან. ახალი კანონი ვრცელდება ყველა ფსიქოლოგზე, ოჯახისა და ქორწინების საკითხთა ყველა კონსულტანტზე, ასევე სამედიცინო დაწესებულებების სოციალურ მუშაკებზე. გარდა ამისა, კალიფორნიაში საკამათო გახდა კანონები, რომლებიც ბავშვებს მოძალადეებისგან იცავს, რადგან ადგილობრივმა სექსუალურმა მოძალადეებმა კანონის უსამართლობის შესახებ განაცხადეს. მათ არ მოსწონდათ სკოლებისა და პარკების სიახლოვეს ცხოვრების აკრძალვა. ▶

**ცსს-ს ანგარიშში პროგნოზირებულია სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების რაოდენობის შემცირება და მსოფლიოში სამოქალაქო ომების რაოდენობის კლება. მეორე მხრივ კი, მოსალოდნელია ახალი კონფლიქტების გაღვივება ქვეყნებში, რომელთაც არასაკმარისი ბუნებრივი რესურსები აქვთ, განსაკუთრებით ისეთი რესურსები, როგორიც მიწა და წყალია. ამასთან დაკავშირებით ნახსენებია სამი რეგიონი — ახლო აღმოსავლეთი, საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკული ქვეყნები და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია.**

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ მოცვაში, რომელსაც სთავაზობენ მათ მომცრო დასახლებული პუნქტები სოფლებში ან ქალაქების გარეუბნებში. უმაღლესი კატეგორიისთვის სიტუაცია სხვაგვარადაა: ისინი მაქსიმალურად ამაღლებენ თავიანთი საარსებო გარემოს ხარისხს მსხვილ საქალაქო ცენტრებში. ამ მომცრო ქალაქებში მცხოვრები ძირძველი მოსახლეობა ამით მინიმუმამდე ამცირებს უცხოური წარმომავლობის ადამიანებთან ურთიერთობას და კერძოდ მუსლიმანებთან. უფრო უზრუნველყოფილი ადამიანები კი, მიუხედავად საცხოვრებელი ადგილისა, პრაქტიკულად თავისუფალნი არიან ამ მეზობლობისგან. თუმცა სწორედ ისინი იღებენ გადაწყვეტილებას, თუ რა რეაქცია უნდა ჰქონდეთ ნაკლებად უზრუნველყოფილ ფენებს ამგვარ თანაარსებობაზე: გამოხატონ ღიაობა და ტოლერანტულობა.

მსხვილი ქალაქების პერიფერიებში ცხოვრება ძირძველ მოსახლეობას საშუალებას აძლევს, თავი დააღწიოს წარუმატებელ და რასიზმში გახვეულ რაიონებს. გარდა ამისა, ამგვარად ისინი გადაურჩებიან უმცირესობად ქცევას.

**Atlantico**

◀ ჰავაის უნივერსიტეტისა და ადამიანის სექსუალობის სპეციალური კვლევების ინსტიტუტის პროფესორის მილტონ დიამონდის განცხადებით კი, ბავშვთა პორნოგრაფია შეიძლება სასარგებლო იყოს საზოგადოებისთვის, რადგან პოტენციური მოძალადეები ბავშვთა პორნოგრაფიას ბავშვებთან სექსის შემცვლელად გამოიყენებენ.

**2012 წელს აშშ-ის ძალოვანი სტრუქტურების სამხედრო მოსამსახურეებს ოფიციალურად დართეს ცხოველებთან სექსის ნება, რისთვისაც სამხედრო იუსტიციის ერთიან კოდექსში სათანადო ცვლილებები შეიტანეს**. პენტაგონმა განაცხადა, რომ აპირებს საზეიმო გეიაღლუმის ჩატარებას არმიაში ჰომოსექსუალების მსახურების აკრძალვის გაუქმების წლისთავთან დაკავშირებით. **პრეზიდენტმა ობამამ კი არა მხოლოდ მხარი დაუჭირა ერთსქესიანი ქორწინებების ლეგალიზაციას, არამედ სპეციალური დირექტივით სექსუმცირესობების უფლებების დაცვა საზღვარგარეთ აშშ-ის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტადაც გამოაცხადა...**

ობამას საინაუგურაციო სიტყვიდან ზოგიერთი მონაკვეთის გახსენებით შეიძლება დავასკვნათ, რომ **ამერიკის მთავარი მისია მსოფლიოში ჰომოსექსუალების უფლებების დაცვაა**. თუ ვინ და როგორ აწარმოებს ბრძოლას დემოკრატიის იდეის ამგვარად გაგებისთვის მთელ მსოფლიოში, მაშინ გამოჩნდა, როდესაც გენერალ ჯეფრი სინკლერის საქმე გასკდა. ამ კაცმა აშშ-ის არმიაში 27 წელზე მეტ ხანს იმსახურა, ახლა კი სექსუალური ხასიათის დანაშაულებებშია ბრალდებული.

**fondsk.ru**

# 2030 წელი ცსს-ს თვალით

**როგორი იქნება მსოფლიო 2030 წელს? ცსს მთელი მსოფლიოს მასშტაბით აგროვებდა მონაცემებს, რათა შემდეგ მომავალი და ამასთან დაკავშირებული გეოპოლიტიკური რისკები ეწინასწარმეტყველა. საერთაშორისო ტენდენციებისადმი მიძღვნილ ანგარიშს ამერიკის სადაზვერვო სამმართველო ყოველ 4 წელიწადში ერთხელ აქვეყნებს. ამჟამინდელ ანგარიშში კი უწყება ირწმუნება, რომ ეპოქა, რომლის დროსაც დედამიწის მოსახლეობის რაოდენობა წელიწადში მილიარდი ადამიანით იზრდებოდა, დასრულდა.**



ცსს-ს შტაბ-ბინა

ცსს-ს ახალი ანგარიშის თანახმად, **თუ 2010 წელს მსოფლიოს მოსახლეობის რაოდენობა 6,8 მილიარდს შეადგენდა, 2030-ში ეს რიცხვი მხოლოდ 8,5 მილიარდამდე გაიზრდება.**

დემოგრაფიული პროგნოზების მიხედვით, მთელ მსოფლიოს მოსახლეობის საერთო დაბერება და მიგრაციის არნახული განვითარება ელის.

**ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ქვეყნების სიას 2030 წელს სათავეში ინდოეთი და ჩინეთი ედგება. ცსს-ს პროგნოზების მიხედვით, აშშ ამ სიაში მესამე ადგილზე იქნება, რუსეთი კი პირველ ათეულს დახურავს.**

2030 წლისთვის მსოფლიო მეგაპოლისების სამყაროდ იქცევა. გაჩნდება დაახლოებით 30 საქალაქო მეგა-რეგიონი, რომელიც ზოგჯერ ორი-სამი ქვეყნის ტერიტორიასაც კი მოიცავს. დღევანდელთან შედარებით, მთელი მსოფლიოს ქალაქების საერთო ფართობი სამჯერ გაიზრდება.

**2012 წელს ქალაქებში მსოფლიოს მთელი მოსახლეობის ნახევარი ცხოვრობდა, 2030 წელს კი ქალაქელი იქნება დედამიწის მოსახლეობის 60%, ანუ 5 მილიარდი ადამიანი.**

**ცსს-ს ანგარიშში პროგნოზირებულია სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების რაოდენობის შემცირება და მსოფლიოში სამოქალაქო ომების რაოდენობის კლება. მეორე მხრივ კი, მოსალოდნელია ახალი კონფლიქტების გაღვივება ქვეყნებში, რომელთაც არასაკმარისი ბუნებრივი რესურსები აქვთ, განსაკუთრებით ისეთი რესურსები, როგორიც მიწა და წყალია. ამასთან დაკავშირებით ნახსენებია სამი რეგიონი — ახლო აღმოსავლეთი, საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკული ქვეყნები და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია.**

ცსს ადასტურებს, რომ 2030 წელს ჩინეთი აყვავებული ქვეყანა იქნება და მთელს აზიასაც ააყვავებს. ჩინეთი აშშ-სა და ევროპას, ერთად აღებულთ, გაუსწრებს როგორც მოსახლეობის რაოდენობით, ასევე საერთო შიდა პროდუქტის მოცულობით, სამხედრო ხარჯებითა და ახალ ტექნოლოგიებში ინვესტიციებით.

თუმცა ანგარიშის ავტორებს აშშ მთლად არ გაუწირავთ და მისთვის მსოფლიოში მნიშვნელოვანი ადგილი მაინც გამონახეს — აშშ მიაღწევს ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას ფიქლის ნავთობისა და გაზის წყალობით. ამ რესურსს შეუძლია ამერიკა ნედლეულის მოპოვების მხრივ მსოფლიოში პირველ ადგილზე გაიყვანოს უკვე 2020 წლისთვის.

ამან შესაძლოა შეცვალოს მსოფლიოში ძალთა გადანაწილება და სერიოზული შედეგები განაპირობოს ისეთი მსხვილი ნავთობმომპოვებელი ქვეყნებისთვის, როგორიცაა საუდის არაბეთი.

საერთო ჯამში ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან არსებული ნაციონალური სადაზვერვო საბჭოს მიერ შედგენილმა ანგარიშმა წელს დიდი ხმაური განაპირობა. ეს ანგარიში შეიცავს უმთავრეს კითხვას: **რა მოუვა 2030 წლამდე ამერიკის ძლევამოსილებასა და გავლენას?** კითხვაზე პასუხი კი მთლად ერთგვაროვანი არაა.

**ის, რაც ამერიკელებმა დანამდვილებით უკვე იციან, ისაა, რომ 2030 წელს ისინი აღარ იქნებიან იმ ზესახელმწიფოს შვილები, რომლისაც 1945 წლიდან იყვნენ. მაგრამ იმავე ამერიკელებმა ზუსტად არ იციან, როგორი მსოფლიო წესრიგი ჩაანაცვლებს მათ ჰეგემონიას. ამიტომაა, რომ ისინი განიხილავენ როგორც ოპტიმისტურ, ასევე ძალზე პესიმისტურ სცენარებს სამომავლოდ.**

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამერიკელების წარმოსახვაში შესაძლო სამომავლო სცენარი ორია: ერთი თანამშრომლობას გულისხმობს, მეორე კი — დეზინტეგრაციას. ანგარიშის ავტორები მეორე ვარიანტისკენ იხრებიან. მეორე ვარიანტი კი არსებული მსოფლიო წესრიგის დარღვევა და სახელმწიფოებს შორის კონფლიქტების მზარდი რისკებია. თუმცა, რამდენად რეალურია ეს სცენარი, ჯერ კიდევ საკითხავია.

როგორც ჩანს, ამერიკის, ისევე, როგორც მთელი დანარჩენი მსოფლიოს, ყურადღება მიპყრობილი იქნება აზიისკენ.

**ის, რაც ამერიკელებმა დანამდვილებით უკვე იციან, ისაა, რომ 2030 წელს ისინი აღარ იქნებიან იმ ზესახელმწიფოს შვილები, რომლისაც 1945 წლიდან იყვნენ. მაგრამ იმავე ამერიკელებმა ზუსტად არ იციან, როგორი მსოფლიო წესრიგი ჩაანაცვლებს მათ ჰეგემონიას**

**აზია ასრულებს მძლავრ ეკონომიკურ ზონად ჩამოყალიბებას. მაგრამ იქნება კი ეს პროცესი ბოლომდე მშვიდობიანი? გადამწყვეტ როლს ჩინეთი შეასრულებს. თუ ჩინეთი თავს იგრძნობს სტაბილურ და თავდაჯერებულ ქვეყნად, იგი პოზიტიურად ითამაშებს. მაგრამ თუ მის ეკონომიკურ განვითარებას საფრთხე დაემუქრება, თუ იგი ვერ შეძლებს მოსახლეობის დაბერების პრობლემასთან გამკლავებას, თუ ვერ მოახერხებს, შექმნას ნორმალური სოციალური სისტემა და თუ იქ შიდა არასტაბილურობა დაისადგურებს, აზია საფრთხეში აღმოჩნდება და მაშინ მთელი დანარჩენი მსოფლიოც 2030 წლისათვის მძიმე მდგომარეობაში ამოყოფს თავს.**

უნდა გავითვალისწინოთ, რომ ყველაზე მძლავრი ეკონომიკა ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ თავად სახელმწიფო ხდება მძლავრი. მაგალითად, სამხედრო თვალსაზრისით ჩინეთი ძალიან მნიშვნელოვნად ჩამორჩება აშშ-ის არმიის საბრძოლო ძლევამოსილებას. ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის მიხედვით ის რუმინეთის დონეზეა. ამიტომაც, ჯერ კიდევ დიდი დრო გავა, ვიდრე ჩინეთი იმ მძლავრ სახელმწიფოდ იქცევა, რომელიც აშშ-თან კონკურენციას შეძლებს.

ცსს-ს ანგარიშში, ერთის მხრივ, წარმოდგენილია ამერიკული შეხედულება მსოფლიოზე, მეორეს მხრივ კი, საუბარია იმაზე, რომ აშშ კარგავს თავის გავლენას, მაგრამ ამგვარი ანგარიშები მკითხველისთვის მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ მათში სტრიქონებს შორის შეიძლება წაკითხვა. სტრიქონებს შორის ამ ანგარიშში ამერიკელების გარკვეული მღელვარება იკითხება. მათ იციან, რომ ეკონომიკურად შეავიწროებენ და არ იციან, როგორ შეინარჩუნონ მართვის სადავეები ამ სიტუაციაში.

ანგარიშში ასევე საუბარია ევროზონის დაშლაზე ან იქიდან სუსტი წევრების გაძევებაზე. მაგრამ ამ ანგარიშში ყველაზე საინტერესო ისაა, რაზეც ყველაზე ცოტაა ნათქვამი. ყველაზე ცოტა კი ანგარიშში აფრიკასა და ევროპაზეა ნათქვამი. როგორც ჩანს, ამერიკელებისთვის, და ბოლო პერიოდში ობამას ადმინისტრაციის ქმედებები ამის დემონსტრირებაა, ევროპა მნიშვნელოვან ზონას აღარ წარმოადგენს. მათი დიაგნოზი ისაა, რომ გეოპოლიტიკურ ანგარიშებში ევროპის გათვალისწინება საჭირო აღარაა. ამასთან, ეკონომიკურ ჭრილში მისი ერთიანობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. რაც შეეხება ევროზონას, მისი დაშლის თაობაზე ჰიპოთეზა ანგარიშში არაერთხელაა ნახსენები.

**ru.euronews.com**

## «საბრალო ხარ... მალე შევხვდებით!..»

**საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი წინასაარჩევნო პერიოდში „ფეისბუქის“ საკუთარი პროფილიდან არასამთავრობო ორგანიზაციის „საქართველო არ იყიდება“ ლიდერ გიგა ნასარიძეს ემუქრებოდა.** ამის დამადასტურებელი სქრინ-ფოტო სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ გავრცელდა. 2012 წლის 23 აგვისტოს ირაკლი ღარიბაშვილს კედელზე გიგა ნასარიძის ფოტო აქვს ატვირთული, ფოტოს მინაწერში კი შეურაცხყოფას აყენებს ნასარიძეს, „უზნეო კაცს“, „ნაზი-ნასარიძეს“ უწოდებს და მინაწერს ამთავრებს ფრაზით: „მალე შევხვდებით“. სქრინ-ფოტო ირაკლი ღარიბაშვილის თაიმლაინიდან თავდაპირველად „ტაბულას“ რედაქტორმა თამარ ჩერგოლეიშვილმა გამოაქვეყნა, ხოლო გამოქვეყნებისთანავე იგი „ფეისბუქის“ უამრავმა მომხმარებელმა გაიზიარა.



ეკონომიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მოკლევადიან ეკონომიკურ ღონისძიებათა სისტემა, რომელიც ხორციელდება ჩვენს ქვეყანაში, ეკონომიკური შინაარსით არის დეფორმირებული საბაზრო სტრუქტურების გაჯანსაღების მცდელობა და ადგილობრივი შიდა ბაზრის ფორმირებისთვის ძლიერი მხარდაჭერა, რასაც შედეგად მოჰყვება მოსახლეობის სამეწარმეო სულისკვეთების ზრდა და შემოქმედებითი აქტივობის ამაღლება.**



# ყოფილმა ხელისუფლებამ ქვეყნის ისტორიულ წარსულს ხაზი გადაუსვა და... შექმნა სიღარიბე



**დღევანდელობის მთავარ, განმსაზღვრელ მომენტად მიმაჩნია ის, რომ, ვიწრო ჯგუფური დოქტრინიორობით, ნაუცბათევი, იმპულსური იმპროვიზაციებით ქვეყნის მართვის ადგილს იკავებს გააზრებული, სხვებისა და საკუთარი გამოცდილების კრიტიკული განხილვის საფუძველზე გამოვლენილ მიზანდასახულობათა რეალიზაციის ინსტიტუციონალური მშენებლობა. ის, რაც თავიდან მოვიცილეთ და რისი ნაშთებიც თავს გვახსენებს ტკივილიანი ეპიზოდებით (თუნდაც 8 თებერვლას პროვოცირებული აურზაური), გაუსაძლისობამდე ძნელად ასატანი იყო. მის ადგილს იკავებს მრავალგანზომილებიანი, სისხლსავსე ცხოვრება, რომელიც პირადი ყოფიერების სიძნელეთა ნაცვლად გვთავაზობს საერთო აღმშენებლობის რთულ გზას. სიძნელეს (ერთგანზომილებიანი, უალტერნატივო) ჩაენაცვლა სირთულე (მრავალგანზომილებიანი, ალტერნატიული), ნერვული და ფიზიკური ენერგიის ხარჯვის რუტინულ ყოველდღიურობას შემოქმედებითი, აქტიური, სიხლსავსე თანამედროვეობა ჩაენაცვლა.**



## ყოველდღიურობის რუტინით გაჯერებულ სივრცეში ვალდებული ხდები, არც წინ გაუსწრო წუთისოფლის მდორე დინებას და არც ჩამორჩე მას, იპოვო სასიცოცხლო ენერგიის ის მუხტი, რომელიც აზრს მიანიჭებს შენს არსებობას «აქ» და «ახლა»

## დღევანდელობიდან თანამედროვეობისკენ

სირთულე არ განთავისუფლებს ვალდებულებისგან, იყო ისტორიის მონაწილე, მით უფრო, თუ ისტორიული გარდაქმნები შენს თვალწინ მიმდინარეობს. ამ თვალსაზრისით, ფეხი ავუწყოთ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნებს, ყველა ჩვენგანის სამოქალაქო ვალდებულებაა. „დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია“, — მოგვიწოდა პოეტმა, მაგრამ მანვე გაგვაფრთხილა: „ჯერ გრძნობა, სიტყვა, უცხო ფანტაზია, მერე — საბირჟო პრეისკურანტი“. ამიტომ, იმის გაცნობიერება, რომ სულ რაღაც 100-150 დღის წინ შენს აზრს, ძალისხმევას, აქტივობას თუ უმოქმედობას არავითარი აზრი არ ჰქონდა, მტკივნეულია, მაგრამ უკვე წარსულია. იმის განცდა, რომ საქართველოში საქვეყნო საკითხებზე მსჯელობა და საუბარი ვიწრო, კლანური გარემოდან საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოვიდა და შენც შეგიძლია საქვეყნოდ განაცხადო შენი ნაფიქრალი, ახალი თვალსაწიერიდან დაგანახებს იმ გზას, რომელზეც დგახარ, სასიხარულოა. არის ამ სიხარულში რაღაც ჰეროიკული. მაგრამ **ყოველდღიურობის რუტინით გაჯერებულ სივრცეში ვალდებული ხდები, არც წინ გაუსწრო წუთისოფლის მდორე დინებას და არც ჩამორჩე მას, იპოვო სასიცოცხლო ენერგიის ის მუხტი, რომელიც აზრს მიანიჭებს შენს არსებობას „აქ“ და „ახლა“.**

დადგა დრო, როდესაც ჩვენი ქვეყნის განვითარებაზე და მოქალაქეთა საერთო სატკივარზე განსჯა-საუბარმა აზრი შეიძინა.

მინდა, მკითხველი დავარწმუნო, რომ ჩემი მიზანი სრულიადაც არ არის კომპლიმენტური საგაზეთო სტატიის გამოქვეყნება. მიჯობს, „ფეხი მიწაზე დამიცურდეს, ვიდრე ენაზე“ (სიბრძნე ზირაქისა.), ამიტომ მხოლოდ იმას ვიტყვი, რისიც გულწრფელად მჯერა და მეიმედება, რაშიც ძალიან ბევრი ჩვენი მოქალაქე მიჭერს მხარს. ხოლო ჩემ მიერ დანახული სინამდვილე ვინმეს თუ არ ეპიტნავა, ე. ი. მას ასეთი ბედი ჰქონია.

მიმაჩნია, რომ ცვლილებები ჩვენს საზოგადოებაში იმ ტემპით და იმ თანმიმდევრობით ხორციელდება, როგორიც შესაძლებელია აქ და ახლა. გასაგებია, რომ მინისტრთა კაბინეტის სხვა შემადგენლობა სხვა რიტმით იმუშავებდა. ისინი კი, ვინც პასუხისმგებლობა აიღეს მიმდინარე პროცესებზე, სხვაგვარად საქმიანობას ვერ შეძლებდნენ. **ისინი აკეთებენ იმის მაქსიმუმს, რაც შეუძლიათ. მინიმაქსის კანონი (მინიმუმ — არსებობა, მაქსიმუმ — არსი) კი ნებისმიერ საზოგადოებაში ოპტიმუმს ავლენს, ამიტომაც ამბობენ: „ხალხი იმ მთავრობას იმსახურებს, რომელიც ჰყავსო“.**

ჩვენი მთავრობა კი დამაიმედებელ პროგნოზებს გვაწვდის. ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური ვარაუდობს, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა გაიზრდება 6 პროცენტით, ხოლო ინფლაცია 3 პროცენტზე მაღალი არ იქნება. შესანიშნავი მაჩვენებლებია, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ევროპის არც ერთ ქვეყანაში მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა 4 პროცენტზე მეტად არ იგეგმება. დღეს საოცნებოდ აქვთ განვითარებულ სამყაროში 7-8 პროცენტზე დაბალი ინფლაცია.

მჯერა ამ პროგნოზებისა, **ჯერ ერთი,** იმის გამო, რომ უკვე ჩანს ჩვენს ყოველდღიურობაში მისი რეალურობა: **პური გაიაფდა დაახლოებით 7-8 თეთრით (ცოტაა? გეთანხმებით, წელიწადში 5-7 ლარია, მაგრამ ტენდენციის დასაწყისია, ეს ხომ კარტელური ფასების ლიკვიდაციის შედეგად განხორციელდა, ანუ საბაზრო გარემოს გაუმჯობესებით და არა შრომის ნაყოფიერების ზრდით ან დანახარჯების ეკონომიით), შემცირდა ბენზინისა და დიზელის ფასები 10-15 თეთრით (ეს უკვე არსებითია, რადგან წელიწადში ზოგიერთისთვის, მაგალითად, ტაქსისტებისთვის, ეკონომია 500 ლარზე მეტია), ასევე იგრძნეს თბილისელებმა გაზის, ელექტრო ენერგიისა და ნაგვის (ეს ქართული სიტყვა მირჩევნია სიტყვათა შეთანხმებას „საყოფაცხოვრებო ნარჩენი“) ტარიფების შემცირებით გამოწვეული სიკეთე, შემცირდა ფასები ცალკეული სახის ფართო მოხმარების მედიკამენტებზე და ა. შ.** ასე რომ, ფასების შემცირების ხარჯზე, შეიძლება ვთქვათ, რომ ერთი ოჯახი დაახლოებით 120-130 ლარის ეკონომიას იღებს. დამერწმუნეთ, ეს არც ისე ცოტაა — ერთი თვის პენსიის ტოლფასია. ამიტომ, **ფასების შემცირებით მიღებულ ეკონომიკურ ეფექტს, პირობითად, შეიძლება „მეცამეტე პენსიაც“ ვუწოდოთ.**

**მეორე,** იმიტომ მჯერა ნოდარ ხადურის პროგნოზებისა, რომ საქართველო ერთადერთი ქვეყანაა მთელ ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის, რომელიც ვერ დაეწია 1988 წლის მაჩვენებლებს, ე. ი. ჩამორჩება საკუთარ თავს. ჩვენ დღეს ყველა შესაძლებლობა გვაქვს, ავამოქმედოთ ჩვენს განკარგულებაში არსებული რესურსები (მოვხნათ მიტოვებული სავარგულები, გადავამუშაოთ მოწეული მოსავალი, გავზარდოთ მწარმოებლურობა მოქმედ საწარმოებში) და მივაღწიოთ საპროგნოზო შედეგებს. ასეთი ეკონომიკური ზრდა შიდა ბაზრის მსყიდველობითუნარიანობას არსებითად აამაღლებს. ამ თემით დაინტერესებული პირებისთვის კი ვიტყვი, რომ **ასეთი ეკონომიკური აქტივობა გამოიწვევს ერთობლივი მოთხოვნის ზრდის პაროპორციულად სამომხმარებლო კალათით განსაზღვრულ რიგ მნიშვნელოვან საქონელზე ფასების სტაბილიზაციას.** აბა, გაიხსენეთ, როგორ იზრდებოდა ფასები წლიდან წლამდე კარტოფილზე, ხახვზე, ნიორზე, სტაფილოზე, კომბოსტოსა და სხვა პროდუქტებზე. ჩვენი მთავრობა გვპირდება, რომ შექმნის ისეთ საბაზრო გარემოს, ისეთ საბაზრო სიტუაციას, რომელიც დადებითად იმოქმედებს ღარიბი მოსახლეობის გადახდისუნარიანობაზე, ე.ი. იზრუნებს შიდა ბაზრის განვითარებაზე, რაც გამოვლინდება ტრანსაქციული დანახარჯების შემცირებასა და საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარებაში. ამ ყველაფერს გვპირდებიან მსოფლიოში მიმდინარე აგფლაციის პირობებში! ამიტომ **თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოსახლეობა უმოკლეს ვადაში, მოსალოდნელ საბაზრო წონასწორობის პირობებში დამატებით დაზოგავს 120-130 ლარს.**

ეკონომიკის მოკლევადიანი პერსპექტივის თვალსაზრისით, ვხედავთ და ვგრძნობთ არსებული, დეფორმირებული საბაზრო ინსტიტუტების რეაბილიტაციით გამოწვეულ შედეგებს, რაც იმედის მომცემია. მაგრამ, თუ ბაზარზე სამართლიანობის აღდგენით მიღებულ შედეგს დავუმატებთ სახელმწიფოს მიერ გაწეულ პირდაპირ და ირიბ საბიუჯეტო ტრანსფერებს, რომელთა შესახებაც კარგად ვართ ინფორმირებული ბატონ სერგეენკოს მიერ (დაუბეგრავი მინიმუმის შემოღებით მოსალოდნელ შემოსავლებს, პენსიებისა და სოციალური დახმარების ზრდას, საყოველთაო სამედიცინო დაზღვევის საბაზო პაკეტის გაფართოებას და სხვ.), მივიღებთ სოციალურად დაუცველი და დაბალანაზღაურებადი ჯგუფების შემოსავლების არსებით ზრდას.

## შანსი, რომელიც მოგვეცა

ეკონომიკა არის მეცნიერება არჩევანის შესახებ. რესურსების ეფექტიანი შეერთების პროცესი ყოველთვის გულისხმობს მათი (ამ რესურსების) გამოყენების ალტერნატიული ვარიანტების არსებობას. ამიტომ არაა გასაკვირი, როდესაც მედიაში ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შესახებ განსხვავებული მოსაზრებები ჩნდება. ამჟამად არ ვერთვები ამ საკითხებზე კამათში, მაგრამ ყველა კრიტიკოსს, როგორც ძველი რეჟიმის ეკონომიკური დოქტრინის დამცველებს (ვგულისხმობ **თავხელიძესა** და **ბენდუქიძეს**. პირველი წაკითხული ლიტერატურის გაუაზრებლობის, უკანასკნელი კი კონიუნქტურული მოსაზრებების გამო გავიხსენე), ასევე, ლიბერალების (ვგულისხმობ **ჯაფარიძესა** და **შეშელიძეს**, რომლებიც დოქტრინიორობის, ავსტრიული სკოლის თეორიების უკრიტიკოდ, ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინების გარეშე გააზრების მცდელობის გამო იქცევენ ყურადღებას) მინდა შევახსენო, რომ ეკონომიკა საზოგადოებაში სხვა, სოციალურ ურთიერთობათა შეფასების მეთოდიც არის. ამიტომ, როგორც ჯონ მაინარდ კეინსი ამბობდა, „გრძელვადიან პერიოდ- ▶

# ლომივით იბრძოდა სააკაშვილის ვესტალკებიდან უპირველესი, ახალგაზრდა დეპუტატი ჩიორა თაქთაქიშვილი, მაინც და მაინც ტელეკამერისკენ შემობრუნებული განწირულის ხმით უყვიროდა ხალხს: — მოღალატეებო!

ჩევლიკა
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ში ყველანი დავიხოცებითო", **ახალმა ხელისუფლებამ მიზანშეწონილად ჩათვალა, მოკლევადიან პერიოდშივე, ე. ი. ახლავე დაემარცხებინა ნოსტალგია, რომელიც გაუჩინა ნათელ მომავალზე ნაფიქრალ და ათასგვარ ცხოვრებისეულ ორომტრიალში გამოვლილ ხალხს წინა ხელისუფლების მიერ ქვეყნის ისტორიული წარსულისადმი ანგარიშსწორების გამო შექმნილმა სიღარიბემ.** ამიტომ გამოუცდელ თვალს რჩება შთაბეჭდილება, რომ ბიძინა ივანიშვილის რეფორმები ვერ თავსდება ლიბერალურ საბაზრო სივრცეში. მაშინ, როდესაც **მოკლევადიან ეკონომიკურ ღონისძიებათა სისტემა, რომელიც ხორციელდება ჩვენს ქვეყანაში, ეკონომიკური შინაარსით არის დეფორმირებული საბაზრო სტრუქტურების გაჯანსაღების მცდელობა და ადგილობრივი შიდა ბაზრის ფორმირებისთვის ძლიერი მხარდაჭერა, რასაც შედეგად მოჰყვება მოსახლეობის სამეწარმეო სულისკვეთების ზრდა და შემოქმედებითი აქტივობის ამაღლება.**

ჩვენ მიერ გამოთქმული მოსაზრებების სისწორეში ისიც გვარწმუნებს, რომ მინისტრთა კაბინეტის ზრუნვა მხოლოდ მოკლე ვადაზე გათვლილი ეკონომიკური ღონისძიებების განხორციელებით არ შემოიფარგლა. თუ მათ დავაკავშირებთ ხანგრძლივ პერიოდზე გათვლილ ინსტიტუციურ წამოწყებებთან, მაშინ დავინახავთ, რომ ხელისუფლება განახორციელებს ეკონომიკაში სისტემურ გარდაქმნებს. ამას გვაფიქრებინებს ის ფაქტი, რომ, როგორც პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, **შეიქმნა სამი ძლიერი ფონდი ეკონომიკის სხვადასხვა მიმართულების მხარდაჭერის მიზნით.** ერთი, სადაც თავმოყრილი იქნება ჩვენი ქვეყნის მთავრობის განკარგულებაში არსებული აქტივები, ითანამშრომლებს მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს და უმნიშვნელოვანეს ფინანსურ კორპორაციასთან — J.P.Morgan Chas-თან. **ამ ფონდის საპროექტო სიმძლავრე იქნება ორი მილიარდი. ასევე ორმილიარდიანი იქნება ორი სხვა ფონდიც,** რომელთა მიზანდასახულობები და მოქმედების არეალი ამჟამად ზუსტდება. გარდა ამისა, როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრ **დავით კირვალიძის** გამოსვლებიდან ვიცით, წლეულს ჩვენს აგრარულ სექტორში დაბანდდება 700 მილიონი ლარი. ამასთან, ნიშანდობლივია ისიც, რომ ბატონი კირვალიძე ფართოდ თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და უცხოელ პარტნიორებთან. ყოველივე ეს კი მოწმობს, **რომ ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა მკვეთრად შემოაბრუნა ჩვენი ქვეყნის მსოფლიო ბაზარზე ინტეგრირების ვექტორი. მან მტკიცე და არსებითი ნაბიჯები გადადგა მსოფლიო ეკონომიკურ ცენტრებთან ინტეგრაციის მიმართულებით.** ეს უდიდესი მნიშვნელობის საკითხია, რადგან ჩვენი ეკონომიკის თავისთავადობის შენარჩუნების ერთადერთი გზაა მსოფლიო ბაზართან ადაპტირება. ეს გლობალური ეკონომიკური კანონზომიერებებით ნაკარნახევი აუცილებლობაა. საქართველო თავისი უნიათო ეკონომიკური პოლიტიკის გამო ინტეგრირებული იყო მსოფლიო ბაზრის პერიფერიულ სეგმენტში. ამას ყველა ჩვენგანი გრძნობდა, ბაზარზე კონტრაფაქტული და უხარისხო პროდუქციის სიუხვითა და ეკონომიკის რეალური სექტორის დამბლით. და აი, **დღეს ვხედავთ, რომ ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკური რესურსების შეერთების ეფექტიანობის კრიტერიუმები განისაზღვრა არა მსოფლიო ბაზრის პერიფერიებში, არამედ მისი ცენტრების მოქმედების არეალში განხორციელდება.**

ჩვენს განკარგულებაში არსებული ემპირიული მასალა იმ სამი საინვესტიციო ფონდის შესახებ, რომელთა ამოქმედებასაც მთავრობა უახლოეს პერიოდში აპირებს, არასაკმარისია იმისათვის, რათა შევძლოთ მათი საქმიანობის შესახებ დეტალური წარმოდგენა შევქმნათ, მაგრამ **ის ფაქტიური მონაცემები, რომლებიც გვაქვს, საკმარისია წინასწარი დასკვნებისთვის, იმისთვის, დავრწმუნდეთ, თუ როგორი ეკონომიკური პარადიგმის საფუძველზე ცდილობს ბატონი ბიძინა ივანიშვილი შეარჩიოს ჩვენი ეკონომიკისთვის შესაფერი ეკონომიკური მოდელი. სწორედ ამგვარი მოქმედება განასხვავებს მას იმ დოქტრინიორებისგან, რომლებსაც საბაზრო ეკონომიკაზე სხვა ხალხის მიერ, სხვა ეკონომიკური პირობებისთვის შექმნილი თეორიებით სურდათ იოლად გასულიყვნენ ფონს.** ასეთი დოგმატური მიდგომებით, როდესაც საზოგადოებას თავს ახვევდნენ ეკონომიკური პროცესების გაუაზრებელ მცდარ წარმოდგენებს, **ჩამოყალიბდა ეკონომიკის ისეთი მოდელი, რომელშიც ბუნებრივი უმუშევრობა 13 პროცენტს შეადგენდა, ფულის მასის ზრდის ტემპი საგრძნობლად უსწრებდა საქონლისა და მომსახურების ზრდას, ღრმავდებოდა მოსახლეობის ქონებრივი დიფერენციაცია და დაიწყო ერის არსებობის, მისი კულტურულ-ისტორიული პირობების დეგრადაცია.** ვერც ერთი საზოგადოება ვერ მოითმენდა ასეთ პოლიტიკურ რეჟიმს და ვერც საქართველომ აიტანა.

ახლა, როდესაც ჩვენი ქვეყანის ეკონომიკაში მიმდინარეობს აშკარად პოზიტიური გარდაქმნები, **აქტუალურია ქვეყანაში ფინანსური ბაზრის სრულყოფის ამოცანა.** ვვარაუდობთ, რომ ჩვენი ეკონომიკის მსოფლიო ბაზარზე ინტეგრირების ახალი ვექტორი გამოიწვევს შიდა ბაზარზე არსებით ცვლილებებს. კერძოდ, ეკონომიკურ პროცესებზე უფრო არსებით ზეგავლენას იქონიებს დოლარიზაციის ზრდის ტენდენცია, გაღრმავდება ფასების დიფერენციაცია, დინამიური გახდება საქონლისა და მომსახურების ბაზრის სპეციალიზაცია. **ამ ობიექტური პროცესით გამოწვეული საბაზრო „ჩავარდნების" ნეიტრალიზაციის მიზნით, საჭიროა შევიმუშაოთ ადგილობრივი საინვესტიციო რესურსების მობილიზაციისა და მათი ეფექტიანი გამოყენების მექანიზმები. ამ თვალსაზრისით, საჭიროა, მტკიცე ნაბიჯები გადაიდგას სადაზღვევო სისტემისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის გასააქტიურებლად, ბაზრის ამ მნიშვნელოვანი სეგმენტის ინსტიტუციონალური სრულყოფისთვის. სხვა შემთხვევაში განვითარების ის ცალმხრივობა, რომელიც ახასიათებს ჩვენს ფინანსურ ბაზარს, კიდევ უფრო გაღრმავდება, რასაც ცუდი, რომ არ ვთქვათ გამანადგურებელი ზეგავლენა ექნება ქვეყნის ტრადიციულ, ისტორიულად ჩამოყალიბებულ ეკონომიკურ სტრუქტურაზე.**

დაბოლოს, მინდა ყურადღება მივაქციო პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის მთავარ დაპირებას: **„წლევანდელი წელი შარშანდელზე უკეთესი იქნება, მომავალი წელი — კარგი, ხოლო შემდგომი — ძალიან კარგი".** რა განცხადებაა ეს, რას ეყრდნობა იგი, როდესაც ამას ამბობს? ეს ჩვეულებრივი პოლიტიკური დაპირებაა, რასაც ძალიან შეგვაჩვია სააკაშვილის ხელისუფლებამ, თუ რეალური პროცესების ანალიზზე დამყარებული, ჯანსაღი პროგნოზებია? ჩემი აზრით, პრემიერ ბიძინა ივანიშვილის ეს გამონათქვამი ორ, ფუნდამენტური მნიშვნელობის გარემოებას ეხება: **1. მას სჯერა იმ საქმის, რომელსაც აკეთებს და მიაჩნია, რომ 2013 წელს მტკიცე საფუძველი ეყრება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას; 2. დღევანდელი მსოფლიო დარწმუნებულია, რომ ეკონომიკის ვარდნის გრძელვადიანი პერიოდი სრულდება 2014 წელს და იწყება საყოველთაო სამეურნეო აღმავლობის ახალი, გრძელვადიანი ციკლი. ეს ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი განაპირობებს, რომ პრემიერ-მინისტრის დაპირებას რეალური, მტკიცე და მეცნიერულად დასაბუთებული საფუძველი აქვს.** ეს კი თითოეული ჩვენგანისგან მოითხოვს, მეტი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ საკუთარ საკეთებელ საქმეს და მუდმივად განვიხილოთ იგი საერთო ეროვნული განვითარების კონტექსტში. ეს შესაძლებელია დღეს, რადგან თითოეულ ჩვენგანს მიეცა შანსი, დატოვოს გაუსაძლისი ყოველდღიურობა და გახდეს რთული, სისხლსავსე და მჩქეფარე თანამედროვეობის ბინადარი.

**დავით იაკობიძე,**
**პროფესორი**

**დღეს ვხედავთ, რომ ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკური რესურსების შეერთების ეფექტიანობის კრიტერიუმები განისაზღვრა არა მსოფლიო ბაზრის პერიფერიებში, არამედ მისი ცენტრების მოქმედების არეალში განხორციელდება**

# ЦРУპრეზიდენტის ვნებანი

**ერთი დღე დააკლდა 8 თებერვალს, 9 რომ გამხდარიყო, ანუ მიეღწია საქართველოს ისტორიის საკრალური რიცხვისთვის: 9 მარტი, 9 აპრილი... ერთი დღე და ერთი ნაბიჯი დააკლდა სამოქალაქო დაპირისპირებას. ვერ მოახერხეს გუშინდელებმა...**



8 თებერვალს გუდიაშვილის ქუჩაზე ყოფილი პოლიტპატიმრების მიერ მოწყობილ აქციაზე დემონსტრანტებმა ქალაქის მერს თავში წაუთაქეს, პალიკო კუბლაშვილს ქუდი თვალებზე ჩამოაფხატეს, სერგო რატიანსაც მოხვდა, გიგა ნასარიძესაც. გიორგი ბარამიძე საიდანღაც შეიპარა საჯარო ბიბლიოთეკის დარბაზში, სადაც სააკაშვილი აპირებდა მოხსენებით გამოსვლას; უდაბნოს ხომალდივით რწევით მავალმა (ცოლთან ერთად) გიგა ბოკერიამ კი დანაღმულ ველზე შესვლას თავი აარიდა და ჟურნალისტებს განუცხადა: ქუჩა გადაკეტილი იყო და სად უნდა მივსულიყავიო?!

გაეცალა გმირობის ასპარეზს, სადაც უგულავა ვაჟკაცურად შევიდა და პროვოკაციის ხელთათმანი გადაუგდო წკიპზე შემდგარ ხალხს:

— აბა, მიდით, დაიწყეთ შოუ!

— ჩემი შვილის მკვლელო! — მიაძახა პასუხად ჩაცხრილული გია კრიალაშვილის დედამ და გიგიმ მიიღო ის, რაც მის დირიჟორობას მოჰყვა — აბა, მიდითო!

მივიდნენ... მისწვდნენ.

ლომივით იბრძოდა სააკაშვილის ვესტალკებიდან უპირველესი, ახალგაზრდა დეპუტატი ჩიორა თაქთაქიშვილი, მაინც და მაინც ტელეკამერისკენ შემობრუნებული განწირულის ხმით უყვიროდა ხალხს — მოღალატეებო! და არც ცდილობდა ცხვირიდან წამოსული სისხლის მოწმენდას, რომელიც ორივე ლოყაზე ჰქონდა წათხაპნილი. თვალშისაცემად მოცხებული.

იწევდა ხალხისკენ გაავებით. მის გარშემო კი ხან კობა სუბელიანი ეცემოდა ასფალტზე, ხან „იმედის" ოპერატორი თავისი ტელეკამერითურთ.

„ჰკა მაგას!"

საღამოს სააკაშვილი შესაბამისად შეუქებს თავგანწირვას, მაგრამ უშველის თუ არა ასეთი მორალური ჯილდო გატეხილ ცხვირს, საეჭვოა.

თუმცა რა ვიცი, სააკაშვილის „სასახლის სიტყვის" დროს ეკრანზე მსხვილი პლანით გამოჩენილ მის სახეს არაფერი ეტყობოდა.

მაინც მამაკაცების სირცხვილია ამ გოგოზე ხელის აღმართვა.

ვისი ბრალი იყო დაპირისპირება? ორივე მხარე ერთმანეთისკენ იშვერს ხელს. თუმცა ნაცბოლებს სცენარი წინასწარ რომ ჰქონდათ შედგენილი, აშკარა და თვალშისაცემია.

დეტალებში გაიყიდნენ. თუნდაც „პრაიმ ტაიმის" კორესპონდენტის ქეთი ხატიაშვილის „მწვავე" შეკითხვაში, რომლითაც მან სააკაშვილს მიმართა:

— ბატონო პრეზიდენტო, რომ თქვით, დავბრუნდებითო, და იგივე რომ გაიმეორა ვანო მერაბიშვილმა, მართლა აპირებთო.

გაიხარა სააკაშვილმა და აშკარა სიამოვნებით, ლაღად და ვრცლად, წინასწარ დამუშავებული ტექსტის სიუხვით და საკუთარი ცხვირის შეუწუხებლად უპასუხა, — არაო. აზრი ეს იყო. ზეამოცანა კი საკუთარი დემოკრატიზმისა და პატრიოტიზმის დემონსტრაცია.

შეკითხვები ლაკმუსის ქაღალდივით იყო, რომელმაც ჟურნალისტიკის იქ დამსწრე ნორჩი ამონაყარის უმწიფარიძეობა (და არა მარტო ეს) ხელის გულზე დაგვიდო.

შეხვედრაზე წარგზავნილმა „მეცხრე არხის" ჟურნალისტმა გოგონამ სხვა ვერაფერი მოიფიქრა, გარდა იმისა, რომ თაფლაკვერი მიართვა სააკაშვილს: — პარლამენტმა რომ მიგიწვიოთ, ჩახვალთ ქუთაისშიო?

— რა თქმა უნდა, მზად ვარ! — და ამას მოყოლებულ ნაპრეზიდენტალის სიტყვათა ნაკადს ისეთი მწყაზარი სახით უსმენდა, რომ ლეონარდო და ვინჩის ჯოკონდას, ანუ მონა ლიზას ღიმილი იმასთან ფერმკრთალდებოდა...

დაფრთხი, ბარაშკაჯან?

ასე აორთქლდა მიხეილ სააკაშვილის განცხადება: „აქ მოვიწვიეთ კრიტიკულად განწყობილი ჟურნალისტები", რომლებიც დუმდნენ, რადგან არ ესწრებოდნენ.

„ხოლო მან მიუგო პასუხად: „თქვენ გეუბნებით, ესენი რომ დადუმდნენ, ქვები იღაღადებენ" (*ლუკ. 19,40*).

ქვებმა არა, მაგრამ ხმა ამოიღო უძარღვო შუბლიანმა, ბოცომკალს თუ მხოლოდ ბოცოს რომ ეძახიან, ფერდაკარგულმა და სახეწაშლილმა დეპუტატმა, რომელმაც ინციდენტი ბიძინა ივანიშვილის მოწყობილ პროვოკაციად გაასაღა და, ჯერ კიდევ კოლმეურნეობის მოედანზე მყოფმა „დააანონსა" დებულება, რომელიც იმავე საღამოს გაიმეორა მიხეილ სააკაშვილმა, ციტირების დიდოსტატმა და „ვეფხისტყაოსნის" საზეპიროების უბადლო მცონემ: ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ჯაბა იოსელიანის მხედრიონის პერიოდში ხდებოდაო.

ფანტაზიის სიმწირე თუ ავტორის ნაცნობი ხელწერა!

დეჟავიუ!

ნაცბოლების მეორე ინტელექტუალი, დავით დარჩიაშვილი კი ჟიჟილაშვილის „პოლიტმეტრიდან" ისე გაიძურწება, რომ თავს მოიკლავს და არ უპასუხებს ვიცეპრემიერ მარგველაშვილის შეკითხვას: კონსტიტუციაში შესატან ცვლილებას პრეზიდენტის დიქტატორული უფლებების შეკვეცის შესახებ მხარს უჭერ თუ არაო.

ან ჰო უნდა ეთქვა, ან არა.

არ თქვა.

ციოდა ქუჩაში და ამ ორ სიტყვას ხომ არ შეეწირებოდა ან მიხეილ სააკაშვილს?!

რომელსაც ამ დროისთვის საკუთარი სიმართლისა და გულწრფელობის დასამტკიცებლად პრეზიდენტის სასახლეში შეკრებილი მაღალი აუდიტორიისთვის უკვე გამოყენებული ჰქონდა კონგენიალური მეტაფორა, რომ იგიც და მისი საქმენიც ისეთივე გამჭვირვალეა, როგორიც ეს შუშის სასახლე, რომელიც არაფერს მალავს და რომელსაც არ აქვს ბუნკერი (!), რომ ქარზე მონანავე „კირით ნაგები" შენობა ჩიტის ბუდესავითაა, რომლის ჩამოგდება ნიავის ფრთების შეხებასაც შეუძლია.

ბუდეა.

რომლიდანაც სანაპირომდე გათხრილია გვირაბი, ექსტრემალურ სიტუაციაში ოთხივ კუთხით პრეზიდენტის გასაქცევად გამზადებული.

ბუდეა,

რომელშიც სააკაშვილი თავისი ამბიურობის გამოსაჩეკად გუგულის კვერცხს აზის.

ბუნკერი რა სათქმელია!

**ბენჟამენ იგარკა**

**P.S. მოხსენებიდან ერთი ლირიკული გადახვევის დროს სააკაშვილმა რიტორიკულად იკითხა: ჩვენ ხომ ადამიანები ვართ, თვალები და ყურები მიხატული ხომ არ გვაქვსო? მოისინჯა, დარწმუნდა, რომ ეხატა და თავისი გაუტია.**

**კი მოისინჯა, კი დარწმუნდა, მიხატული რომ არ აქვს, მაგრამ ვერ ხედავს ხალხის პროტესტს და არ ესმის მისი, თორემ აქამდეც კონსტიტუციის შესაბამისად დამთავრდებოდა ЦРУპრეზიდენტი... დამშვიდდებოდა საქართველო.**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დღევანდელ ყოფაში, როცა „ნაციონალ“ უბედურებასთან ბრძოლა უფრო დაძაბულ ფაზაში შევიდა, გასაკვირია კოალიციაში მყოფი ზოგიერთი პარტიის წევრის ამბიციების აფუება და კუნთების ათამაშება, რამეთუ ეს აფუება ძალა ჰგონიათ და დაავიწყდათ, რომ მათ ნულზე დაბალ რეიტინგს ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტმა მაშველი რგოლის გადაგდებასავით უშველა. ფრთხილად იყავით, ბიძიკოებო, ეგ რგოლი ხავსად არ გექცეთ!**

# კურდღლადქცეული პრეზიდენტი მოქნაცა

**„ნაციონალურმა“ ჭირმა ძლიერი დარტყმა მიიღო და ნაკერში გაირღვა. მისი აღდგენა ძველებური ურჩხულის დონეზე შეუძლებელია. უფრო საშიშია შხამიანი ნარჩენების გაფანტვა და ქვეყნის მაცოცხლებელ ორგანოებში უცოდველის ნიღბით შეღწევა, რასაც აქტიურად უწყობენ ხელს მისი ამერიკელი და ევროპელი მწვრთნელები.**

განუმეორებელი ღალატითა და ძარცვა-რბევით შეწუხებულ ქართველ ხალხს ხსნის იმედად გამოუჩნდა ბიძინა ივანიშვილი და კიდეც მოსტეხა გრძელი კიდურები საძულველ „ნაციონალურ“ უბედურებას, მაგრამ ურჩხული არ ისვენებს და კვლავ წამლავს სასიკეთოდ ამოძრავებულ მომავალს. ახლა აყაყანდნენ მათი საზღვარგარეთელი ძიძები და გაშმაგებით იცავენ მათ მიერვე ანგელოზად მოპირკეთებულ სატანას, თან „ქართულ ოცნებასთან“ შერიგებას თუ შერწყმას გეგმავენ. „ქართული ოცნების“ ძლიერება კი ხალხის მიერ გამოცხადებულ ნდობაშია და, თუ ამ საერთო სახალხო ბრძოლას ბოლომდე არ მიიყვანს, რასაც ქვეყნის დამაქცევარი „ნაციონალური მოძრაობის“ განადგურება და ნარჩენების ქარს გატანება არ მოჰყვა, ხალხის იმედის გაცრუება და ოცნების გახუნება „ნაციონალების“ მსგავსი სატანისტების აღორძინებას მოემსახურება მხოლოდ.

მტერმაც და მოყვარემაც ძალიან კარგად იციან, რომ ხალხი ენდობა ბიძინა ივანიშვილს და ამ ბრძოლის ბრწყინვალე გამარჯვებამდე მიყვანაში, ღმერთმა ნუ ქნას, რომ ეჭვი შეეპაროს.

ქართველი ხალხის დაშინებას და დაბეჩავებას ველარავითარი ძალა ვერ შეძლებს, რადგან იგი ისეთი შიმშილის, უმუშევრობის და გაუსაძლის ყოფაშია, რომ თავისუფლებისთვის ბრძოლას არაფრისთვის არ დათმობს.

ბიძინა ივანიშვილი კი ამ საშინელი ჭირის განადგურებით, ყველა უცხოელი სტრატეგიული დამრიგებლის მითითების გაუთვალისწინებლად, საქართველოს გამთლიანებით და ქართველი ხალხისთვის თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების მოპოვებით ეროვნული გმირის კვარცხლბეკზე შედგება, რომელსაც შინაური და გარეული მყეფარების ღავღავი მხოლოდ სიყვარულსა და პატივისცემას გაუმრავლებს.

**დღევანდელ ყოფაში, როცა „ნაციონალ“ უბედურებასთან ბრძოლა უფრო დაძაბულ ფაზაში შევიდა, გასაკვირია კოალიციაში მყოფი ზოგიერთი პარტიის წევრის ამბიციების აფუება და კუნთების ათამაშება, რამეთუ ეს აფუება ძალა ჰგონიათ და დაავიწყდათ, რომ მათ ნულზე დაბალ რეიტინგს ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტმა მაშველი რგოლის გადაგდებასავით უშველა. ფრთხილად იყავით, ბიძიკოებო, ეგ რგოლი ხავსად არ გექცეთ!**

მრავალი ჯურის, ფერისა და შიგთავსის მქონე პოლიტიკოსებმა რამდენიც უნდა იღავღავონ, ქართველმა ხალხმა ძალიან კარგად გაარკვია თავისი მტერ-მოყვარე. სწორედ ამერიკელთა ფარისევლობის ნაყოფია საქართველოს ჩამორჩენილ ქვეყნად გადაქცევა, რომელსაც მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მეცნიერება, განათლება, მთლიანად სახალხო მეურნეობა ჩანასახის დონეზეც აღარ დაუტოვეს. გონებაშეზღუდულ პაპუასებად გვთვლიან და „ნაციონალთა“ ინგლისური ენის შესწავლაზე გადარევა გაუნათლებელი ერის სიბნელიდან ამოთრევა ჰგონიათ.

ახლა, როცა მათი ლაქია ქვეყნის მოღალატე „ნაციონალებს“ აღშფოთებული ხალხის რისხვა დაემუქრა, მოიგონეს რაღაც კოაბიტაცია (მშვიდობიანი თანაარსებობა გინდა გახრწნილ პედერასტებთან იყოს და გინდა ქვეყნის დამაქცევარ მოღალატეთა ხროვასთან!).

რომელი კეთილმოსურნე ადამიანი ურჩევს თავის მეზობელს, დამპალი ვაშლი საღში შეურიე და ისე შეინახეო; ვინ არ იცის, რომ დამპალის ადგილი სანაგვეზეა. ჩვენ კი სტრატეგიული პატრნიორები ამას გვირჩევენ, შეუსრულებლობის შემთხვევაში კი კბილებს აღრჭენენ. ავიწყდებათ, რომ ქართველმა ხალხმა თავისი ბრწყინვალე არსებობა შეუპოვარი ბრძოლითა და შრომით, მათი ფარისევლური ჩარევა-დარიგების გარეშე, დღევანდლამდე მოიყვანა. არამკითხეთა ჩარევას კი მრავალტანჯული ერის დაკნინება, დაბეჩავება და საბოლოოდ მოსპობა ახლავს.

ვითომ ფხიზლად დგანან დემოკრატიის სადარაჯოზე და ნაციონალ დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემის ნაცვლად, მათთან თანაარსებობას გვთავაზობენ. **სად იყო მათი დემოკრატია, ეს კრიმინალური ბანდა მთელ ქართველ ხალხს მგლების ხროვასავით რომ ჯიჯგნიდა?** ამათ საპატიმროებში ჩადენილი მხეცობით ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკების კაცთმოძულება გაახუნეს. ერთხელაც არ ამოუკნავლიათ, ამას რად შვრებითო. სამაგიეროდ თავიანთ **მოქნაცა** პრეზიდენტს დახმარებას არ აკლებენ.

დროულად მიაშველეს პამპერსები, თორემ რამდენ ხანს ირბენდა ჩასვრილი ჯარების მთავარსარდალი! ახლა იმდენი პამპერსი აქვს მომარაგებული, ბარე ათ ცხინვალის მსგავსი ავანტიურისთვის ეყოფა. ოღონდ დიდი-დიდი სამი ასეთი ავანტიურა და ფაფუ საქართველო. სამაგიეროდ მოქნაცას პამპერსების ეკონომიურად ხარჯვის პრობლემა მოხსნილი აქვს; არჩევნებშიც ჩაისვარა, მაგრამ თავს მშვენივრად გრძნობს, რადგან ამერიკელმა და ევროპელმა ლობისტებმა კარგად შეითვისეს მექისის პროფესია და ენერგიულად ხეხავენ თავიანთ უძლებ ლაქიას.

მოთმინებადაკარგულმა ხალხმა კიდევ აღარ დააცადა მისებურად გაუკუღმართებული ძეგლების მშენებლობა: ბაგრატის ტაძარი ხომ ოცდამეერთე საუკუნეში აშენებულს დაამსგავსა და იუნესკოს გაოცებისგან თვალები დააჭყეტინა. ხომ ეკუთვნოდა მაკკეინის ჟანგიან პისტოლეტს ძეგლი, ვიეტნამში მკვახე საზამთროსავით მიწაზე დახეთქებულმა სტერვიატნიკმა რომ დაკარგა და დაუჟანგდა. გაჭყლეტილ ბოთლს, შლოპანცებს, კამოს ველოსიპედს და რეიგანს საქართველოზე წარმოდგენაც რომ არ ჰქონდა, თუ ეკუთვნოდათ ძეგლი, ამერიკულ პამპერსს ხომ უფრო დიდი დამსახურება ჰქონდა?! უმადურმა ხალხმა კიდევ მოქნაცას ისე შეაკვეცა ამბიციები, რომ, ჟანგიანი პისტოლეტის ძეგლი კი არა, პრეზიდენტის რეზიდენცია და ხალხის მიერ დაწყევლილი პარლამენტის შენობა რჩება ოხრად. რას ვიზამთ, საქართველოს საბოლოო ამოგდებაც ჰქონდა გეგმაში, მაგრამ ახლა ჯვაროსნების ხუთჯვრიანი დროშა და საკუთარი ამოგდება აქვს თავში საცემი.



გივი სომხიშვილი

**აფთრად იყო და**
**ძალადობა სწორად ჩათვალა;**
**კურდღლადქცეული**
**ველარ უგებს წყრომას**
**სათვალავს.**

ერთხანს დაიბნა, ძალადობის ყველა მეთოდი ხალხმა გაუქარბუქა და ისიც მალე გაქარბუქდებოდა, მაგრამ შეშფოთდნენ მექოთნეები, ჩვენს მოქნაცა ქოთანს და მასავით დამნაშავე მთავრობის ყოფილ წევრებს ხელი არ ახლოთ, თორემ დემოკრატიის მოხრჩობად ჩაგეთვლებათო. არადა, ამერიკულად დემოკრატიის დაცვისთვის ბრძოლამ დაამხობინათ ირანის მუჰამედ მასადექის დემოკრატიული მთავრობა და შაჰის მონარქია აღადგენინა. რის გამოც შეურაცხყოფილ ირანელ ხალხს ამერიკელთა გახსენებაზე დღესაც ალერგია ემართება.

მოქალაქეთა კავშირში სიყალბის ლაქლაქით „ნაციონალური მოძრაობის“ თავკაცის გამოძერწვას ამერიკელებმა დიდი ენერგია მოახმარეს, მაგრამ ჭუჭყი ვერ მოაშორეს და დარჩა მოქნაცად. ახლა „ნაციონალურ მოძრაობაში“ მაგრად გაისვარა და ცდილობენ, კოაბიტაციით (დამპლის საღში შერევით) **ოცნაცად** გადააკეთონ. თუ მოქალაქეთა კავშირიდან გამოძრომა მოახერხა, ეს არ გაუჭირდებაო. ცდილობენ, დაარწმუნონ გულუბრყვილო ქართველები, რომ მოქნაცას ეშვები აღარ აქვს კურდღლად გადაკეთებულ ოცნაცობის კანდიდატს.

მაგრამ ახლა ისეა გასვრილი, რომ გლდანის მრავალწლიანი „დიეტა“ დასჭირდება, ჩადენილი ცოდვებისგან რომ გამოძვრეს. ხალხისგან ისეთი პანღური მიიღო, სხვა მის ადგილას მაშინვე გადადგებოდა და საკუთარი სინდისის ძარღვის სამკურნალოდ სადმე კუთხეში მიჯდებოდა. ისეთი რა აჭამეს მისმა სტრატეგიულმა პარტნიორებმა, რომ თავში ერთი საღი უჯრედი აღარ დაუტოვეს?! რომელი ნორმალური ქვეყანა მოითმენდა იმას, რაც საქართველოში ხდება?! შინაგან საქმეთა მინისტრად გადაკარუსელებულმა თავდაცვის მინისტრმა სკამზე გასწორება ვერ მოასწრო, ისე დააპატიმრეს. განათლების მინისტრად ნამყოფი, ახლადდანიშნული თავდაცვის მინისტრი საზღვარგარეთ გაიქცა. მოქნაცა პრეზიდენტის სიამაყე იუსტიციის მინისტრი მოულოდნელად დაემალა თავის მრავალცოდვიან პოსტს. სოფლის მეურნეობის მინისტრმა, მთელი მსოფლიოს ჰიბრიდული სიმინდით უზრუნველყოფით რომ გვაბითურებდა, ძროხის სქესი ვერ გაარკვია და ექიმით შეცვალეს, იქნებ ამან ამოხსნას ეს რებუსიო. კუდებისა და სოდების მაღალჩინოსნებიც ისე გაფრთხნენ საზღვარგარეთ, როგორც მტვერი შებერვისას. მოქნაცას დანაშაულთა კასკადიდან თუნდაც ერთი რომ ჰქონოდა ჩადენილი, ევროპელები მოითმენდნენ ამგვარ პრეზიდენტს?! ხალხის სამართალი ამ ნაგვის გლდანში შეგროვებას გეგმავს და მთავარი დამნაგვიანებელი მოქნაცა ისეთი ინტენსივობით ველარ, მაგრამ ჯერ კიდევ ცდილობს ნაგვის გლდანში შეგროვებას და მთავარი დამნაგვიანებელი მოქნაცა კი ისეთი ინტენსიობით ველარ, მაგრამ ჯერ კიდევ ცდილობს ნაგვის გაშლას. რაც ამ არსებამ საქართველოს დამართა, ისეთი დონის მუხთლობაა, რომ მისთვის ღალატის დარქმევა ძალიან რბილად ნათქვამი იქნებოდა. ეს კიდევ ოინბაზობას არ იშლის, სიცრუის ყბედობით ღლაბუცობს და ვერ გრძნობს, რომ შეიძლება კონსტიტუციით ჟონგლიორობა მოთმინებადაკარგულმა ხალხმა თავში ქვისხლად უქციოს.

პარლამენტის შენობის ვანდალურად დამრბევი გამოდის და თბილისში სასტუმროს მშენებლობის ზღაპრული სიცრუით მოლანდებული რაოდენობის ადამიანთა დასაქმებაზე ყვარყვარეს ბოდვებს აგრძელებს. ჩადენილი დანაშაულის შეგნებით გვერდზე მიდგომის მაგიერ, შხამის თესვას არ იშლის, დანგრეულს და მოოხრებულს დიდ წარმატებად ყბედობს და ვერ შეუგნია, რომ ის დაშინებული ხალხი აღარ არის, იძულებით თავს რომ აქნევინებდნენ.

საქართველოს ტერიტორიების გამნიავებლები ავლანეთში ღვრიან ქართველი ვაჟკაცების სისხლს მფარველთა საამებლად. მერე რა, ირანის შაჰის საამებლადაც ხომ ომობდნენ; საბჭოთა კავშირის დროსაც ინტერნაციონალური მოვალეობის ხათრით იღვრებოდა ქართველთა სისხლი. თეთრი მელა — შევარდნაძე კიდევ ქართველებს მთელ რუსეთის ბაზრებში დასდევდა, თქვენი დაწიოკება და სახელის გატეხა მჭირდება კარიერის კიბეზე ასაბიჯებლადო.

ანეკდოტი რომ არის: მეთაურმა შეტევა ბრძანა და ერთი ჯარისკაცი უკან გაიქცა. სად გარბიხარ, მტერი წინ არისო, — სტაცა ხელი ქეჩოში. გამიგონია, დედამიწა მრგვალია და მტერს ზურგში უნდა მოვექცეო, მიიღო პასუხი. დღეს ავღანეთიდან ვიცავთ სამშობლოს. ხვალ შეიძლება ამერიკას ჩრდილოეთ კორეა არ მოეწონოს და ჩვენც იქიდან „მივუახლოვდებით“ საქართველოს საზღვრების დაცვას. ზოგიერთი ჩვენსავით პატარა ქვეყნის ბეცი მთავრობა კი თავისი საზღვრების იქით ცხვირს არ ყოფს; მოკითხე ახლა იმათ ჭკუა. ამერიკა კი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სულ ომობს და ჩვენც გვაქვს უზარმაზარი პერსპექტივები სერბიაში, ერაყში, სირიაში იქნებ ვენესუელაში ან იამაიკაზე დავიცავთ საქართველოს საზღვრები.

მოქნაცა პრეზიდენტი ქართველი ვაჟკაცების ავღანეთში დასახიჩრება-დაღუპვაში თავის დანაშაულს გრძნობდა და ცდილობდა მის დაფარვას. ახლა ფრთები გაშალა და ლაქლაქი გაახვავრიელა. ძალიან კი განაწყენებულია, ახალმა თავდაცვის მინისტრმა ჩემეული საგარეო პოლიტიკა მომპარაო. მოპარვა კი არა, ზოგიერთი ეჭვიანი ქმრის ცოლივით შარაგზაზე რომ დააგდო, ზედ არავინ მიაფურთხებს.

როგორც ძეგლების ნგრევასა და ახლის მშენებლობაში უაღრესად დამზრალი ტვინის შესაძლებლობა გამოავლინეს, ასევე გასაოცარი იყო მათი სამხედრო სტრატეგია თუ ტაქტიკა. მოქნაცას სამხედრო მინისტრმა ხუთმაგ ფასში რატომ შეიძინა დანჯღრეული ავტომატები, ვერავინ ამოხსნა. თურმე ამგვარ ავტომატებს იყენებს სავარაუდო მოწინააღმდეგე და, ტყვია-წამალი რომ გამოელევა, მოწინააღმდეგისას გამოიყენებენ. ის მოწინააღმდეგეც ვაზნებს ისე დაურიგებს ჯარისკაცებს, რომ ზოგი ამათაც გაუნაწილოს. რომელი ნიჭიერი მთავარსარდალი შეძლებდა თავისი ჯარის ასე საიმედოდ უზრუნველყოფას? ნუთუ მარტო საქართველოს საუბედუროდ გამოიჩეკა ამდენი ნაციონალი მიუნჰაუზენი?

**ქართველი ხალხის ბრძოლა კი გრძელდება ნაკერებში გარღვეულ, ვირთხასავით კუთხეში მიმწყვდეულ ნაციონალურ უბედურებასთან, რომელმაც იმდენი მუხთლობის კვალი დატოვა და ტოვებს, რომლის გამოსწორებას და ნორმალური ცხოვრების რელსებზე ქვეყნის შეყენებას დიდი მონდომება და ძალისხმევა დასჭირდება.**

განა ღალატი არ არის მიწების უცხოელებზე გაყიდვა?! ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ტიბერიუს და გაიუს გრაკხუსებმა სცადეს აგრიკოლას მიწებით უზრუნველყოფა და სოფლად დამაგრება, რასაც შეეწირა მათი სიცოცხლე. რომის მსოფლიო იმპერია კი აღიგავა პირისაგან მიწისა. ალბათ, ეს მიზანი ჰქონდათ ნაცისტებს, როცა ქართულ მიწებს ასე ხელაღებით ანიავებდნენ, რათა უმიწოდ დარჩენილ გლეხს სოფელი მიეტოვებინა. ამათი გაგებით თურქი, ბური, არაბი თუ ინდოელი ქართველზე მაგარი მშრომელია. ჰოდა, ინდოელებმაც იყნოსეს თაფლის სუნი და მოფრინდნენ. ტელევიზია კიდევ მოსვენებას არ გვაძლევს, ყოველ ოც წუთში ერთ ძალად გაუპატიურებას ელოდებიანო. ეგრე რომ ჰქონდეთ კანონიერი გაუპატიურების სტატისტიკა, ცოტათი მაინც ამოასუნთქებდნენ ბუზებივით გამრავლებულ დემოგრაფიას. მოქნაცა პრეზიდენტმა კი დაურიგათ მიწები, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, დედამიწაზე ფეხის დასადგმელ ადგილს აღარ დატოვებენ.

ვირი ხრამში გადავარდა და აქლემმა ყროყინი დაიწყო, მე ამომაყვანინებენო. ახლა რასმუსენი რომ მოგვადგეს, ინდოელებს უშველეთ რამეო, რა წყალში გადავვარდეთ, როცა, აგერ, ავღანეთი გაგვხდომია თავში საცემად.

**ახალმა ხელისუფლებამ კი გადაწყვიტა, სოფლის მეურნეობისთვის მილიარდი ლარის გამოყოფა, მაგრამ მანამდე თუ გრაკხუსების მსგავსი მიწის რეფორმა არ გაატარა, ის გამოყოფილი თანხა ლატიფუნდისტებს გაასუქებს ისევ. გლეხის გარეშე დარჩენილი სოფელი კი ქვეყანას ძველი რომაელების ბედთან მიიყვანს.**

დღევანდელი ყოფა ახალ-ახალი სიურპრიზებით არის გაჯერებული. სანამ პრეზიდენტადწოდებული მოქნაცა თავის სავარძელს ასე გავეშებით ებღაუჭება, გართობა არ მოგვაკლდება.

ახლა მაინც ვერ ხვდება, რომ ყვითელი ავტობუსებით ხალხის ძალათი მორეკვის უნარდაკარგული, ცარიელ ოთახში სკამზე შემდგარი გებელსივით სიცრუის ტრაბახით „მიშა, მიშას“ ველარ აღრიალებს იმას, ვისაც მისი არ ესმის. ამგვარად, ტუჩს მაინც აცმაცუნებს პრეზიდენტი მოქნაცა:

**ღალატზე გადამიცვლია**
**პატივიც და კოცნაცა,**
**ოცნებაში შემაძვრინეთ,**
**დამიძახეთ ოცნაცა.**
**თვითმფრინავი**
**ჩამომართვეს,**
**მაინც ვფრინავ მორცხვად**
**ცად;**
**საქართველო დახლზე მედო**
**ათ ვერცხლად და ოც ვაცად.**
**ხალხის ურცხვად**
**მოტყუებით**
**აღზევება ვიწამე,**
**მან ოცნებაში გამცვალა,**
**მე ჭიტლაყი ვიმწარე.**
**ქართველების შიშით**
**დამფრთხალს**
**მასულდგმულებს**
**მარტო ეს —**
**ამერიკელთა ძაღლიშვილს**
**ნატო არ მიმატოვებს.**

**გივი სომხიშვილი**

**თქვენ ქართველი ხალხი და საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა, რომელმაც ხმა მისცა დღევანდელ ხელისუფლებას, სულელი ხომ არ გგონიათ?**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ძალიან ღია წერილი ქ. თბილისის მერს — გ. უგულავას!

**ბატონო მერო!**

იქნებ დასდოთ პატივი ქ. თბილისს და მის მოსახლეობას, გადმოხვიდეთ დაბურულმინებიანი მანქანიდან და დაცვის (თუ გეყოფათ გამბედაობა) გარეშე გაიაროთ თბილისის ქუჩებში, რათა უკეთ დაინახოთ ის პრობლემები, რომლებიც მრავლად დაუგროვდა ქალაქს თქვენი და თქვენი გუნდის მმართველობის პერიოდში! მარტო ის არ კმარა, ტელევიზიით აჩვენოთ თქვენი, დღე და ღამ ხალხზე „მზრუნველი" სახე, ის, თუ როგორ გადასცემთ მართლა გაჭირვებულ მოსახლეობას იმ ოცლარიან ვაუჩერებს, რომლებიც ისევ ხალხის ჯიბიდან არის ამოღებული! აბა, თქვენ ხომ საკუთარ ჯიბეს არ მიაყენებთ ზარალს?! პრობლემებს რა გამოლევს. მათ აღმოფხვრას მუხლჩაუხრელი შრომა სჭირდება, რაც თქვენ არ ხელგეწიფებათ! ყველა სახის შრომა საამაყოა, თუკი იგი მიმართულია ხალხის კეთილდღეობისკენ! **ისმის კითხვა: რა გააკეთეთ ისეთი, რამაც ხალხს ოდნავი შვება მაინც მოუტანა?** ის ხომ არა, რომ ქალაქში დაამოკლეთ საავტობუსო მარშრუტები და მგზავრობის ღირებულება გააორმაგეთ?! სამარშრუტო ტაქსებზე მგზავრობის ღირებულება კატასტროფულად გაზარდეთ! ასევე კატასტროფულად გაზარდეთ კომუნალური გადასახადები! ზოგიერთი მარშრუტი საერთოდ გააუქმეთ! ავიღოთ საბურთალოს სასაფლაო. თქვენ მიერ ჩატარებული რეორგანიზაციის შემდეგ საბურთალოს სასაფლაოზე არ დადის არც ერთი ავტობუსი! ადრე იმ მიმართულებით მოძრაობდა ხუთი(!) მარშრუტი! **გეკითხებით თქვენ, ქალაქის ხელმძღვანელს (ДО ПАРИ ДО ВРЕМЕНИ!), რა დავაშავეთ იქ დაკრძალული მიცვალებულების ჭირისუფლებმა ისეთი, რომ იმის საშუალება არ გვაქვს, კვირაში ერთხელ მაინც მივიდეთ მათ საფლავებთან? იქნებ მიპასუხოთ: რა სახსრებით შევძლოთ მე და ჩემმა მეუღლემ ჩვენი მათხოვრული პენსიით ვჭამოთ და ვაჭამოთ უმამოდ დარჩენილ ჩვენს შვილიშვილებს, გადავიხადოთ კომუნალური გადასახადები და შვილების საფლავებზეც ვიაროთ?!** ორჯერ თქვენ და ერთხელ საკრებულოს მივმართე თხოვნით აღნიშნული მარშრუტის აღდგენის თაობაზე, მაგრამ რა? თქვენზეა ნათქვამი: „სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირი". ამასთან დაკავშირებით ერთი ანდაზა გამახსენდა: „სიკვდილი ისეთი აქლემია, ვის სახლთან როდის ჩაიჩოქებს, არავინ იცის"! ასე რომ, სიკვდილისგან არავინაა დაზღვეული!

სასაფლაოსთან დაკავშირებით მინდა გითხრათ: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში დაღუპულების სახელების უკვდავსაყოფად გმირთა მოედანზე გაკეთდა შესანიშნავი მემორიალი, სადაც ჩემი ორი შვილიც არის მოხსენიებული! საინტერესოა, რაღა საჭირო იყო იმ სიმახინჯის, მემორიალად წოდებული „სტოლბის" წამოყუდება, რითაც თქვენ და თქვენმა „ნაცმოძრაობამ" დიდი შეურაცხყოფა მიაყენეთ მათ ხსოვნას! სააკაშვილის ნათქვამი გამახსენდა, — აქ კიდევ ბევრი ადგილიაო(?)! ღმერთს შევთხოვ, მომიტევოს, მაგრამ დიდი სიამოვნებით მივაწერდი იმათ გვარ-სახელებს, ვისაც ჩვენი შვილების ხსოვნა არაფრად უღირთ!

ადრე პრესაში გაჩნდა ინფორმაცია, თითქოს ქალაქში ტრამვაის ხაზის აღდგენას აპირებთ! ისე საოცარი ხალხი ხართ ეს „ნაცები"! ეს ეკოლოგიურად სუფთა, ტევადი და ეკონომიური ტრანსპორტი (ტრამვაი, ტროლეიბუსიც) რომ აღგავეთ პირისაგან მიწისა, რათა ჯართად გაგეტანათ თურქეთსა და ირანში და დიდი მოგება გენახათ! ამას ჰქვია „ჯერ თავო და თავო, მერე ცოლო და შვილო"! ევროპის ბევრ ქალაქში დღესაც მოძრაობს ტრამვაი, მაგრამ ამით რამე შავდება? ბოლოს მარტო გადასასვლელი ხიდიდან ავჭალამდე მოძრაობდა ეს დალოცვილი ტრანსპორტი. უწინ ქალაქში მთელი ღამის განმავლობაში იყო მორიგე ტრამვაი. ცნობისათვის მინდა გითხრათ, რომ ის ტრამვაის ხაზი, ზემოთ რომ ვახსენე, გააკეთა ქ. თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების (რომელსაც ხელმძღვანელობდნენ შესანიშნავი პიროვნებები, ბატონები: ნოდარ ბერიძე და ჯემალ პაჭკორია!) სარემონტო-სამშენებლო სამმართველომ, რომელშიც, მეც მქონდა ბედნიერება, მემუშავა! ახლა რამ გაგახსენათ ტრამვაის აუცილებლობა? თუ აქაც რაღაც არის ჩადებული?

კიდევ ერთი. საქართველოში არსებობდა საბაგირო გზების მონტაჟის საკმაოდ ძლიერი სკოლა. ჩვენი მემონტაჟეები მთელი კავშირის მასშტაბით მუშაობდნენ ამ დარგში. დღეს ესეც ჩამკვდარია. თქვენ ქართველი მშენებლები უვიცები გგონიათ. მოგყავთ ყველა ქვეყნიდან უვიცი, ვაიარქიტექტორები და მშენებლები! ალბათ, მათთან ადვილია გარიგება! თქვენზეა ნათქვამი: „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო".

ერთი ვაიუშველებელი გქონდათ აეტხილი, — არიქა, ასი ახალი საავადმყოფო უნდა ავაშენოთო. მოგეცეს ლხენა, კარგია ახლის აშენება, მაგრამ ის, რაც გქონდათ, იმისთვის მოგევლოთ! ეს რომ გაგეკეთებინათ, შენობების გაყიდვით ფული ვიღას უნდა ეშოვა? ერთ მაგალითს დაგისახელებთ: იყო დიდი ტრადიციების მქონე სამშობიარო სახლი თარხნიშვილის ქუჩაზე, მე-3 სამშობიაროდ წოდებული. 1999 წელს, შევარდნაძის განკარგულებით, ხსენებული სამშობიარო გადაეცა საპატრიარქოს მართვისა და განკარგვის უფლებით. მქონდა ბედნიერება, იმ პერიოდში იქ მემუშავა დირექტორის მოადგილედ ტექნიკურ საკითხებში. ბევრი ვიარე საპატრიარქოში, რათა ამ განკარგულებისთვის კანონის დასრულებული სახე მიგვეცა, მაგრამ საპატრიარქოს იურიდიულმა სამსახურმა იქამდე ითრია ფეხი(?), ვიდრე ეკონომიკის სამინისტრომ(?), იმ პერიოდში (დაახლოებით, 2007 წელს, ზუსტად არ მახსოვს) სამშობიაროს ხელმძღვანელების, ვახტანგ ახალაძის (მამა ადამის) და ვეფხია ოდიშარიას, ხელშეწყობით არ მოახდინა მისი გასხვისება, კოლექტივის გვერდის ავლით! სამშობიარო იყო (უკვე დაწყებული ყოფილა მისი ნგრევა!) კაპიტალურად მყარი შენობა, მას სჭირდებოდა მხოლოდ სადრენაჟო სამუშაოების ჩატარება, ოდნავ ხელის შევლება და შენობა კიდევ დიდხანს იქნებოდა ხალხის სამსახურში, მიუხედავად იმისა, რომ იგი ექსპლუატაციაში შევიდა 1938 წელს. ჯერ ფუნქციონირებდა როგორც ტუბსაავადმყოფო. დიდი სამამულო ომის დროს გადაკეთდა სამხედრო ჰოსპიტლად, ხოლო 1948 წლიდან იყო სამშობიარო სახლი.

**ის, რომ ყველა სახელმწიფო ობიექტი „უპრაგონოდ გააპარადლეთ" და დიდი მაყუთიც იშოვეთ, ეს ხომ დღესავით ნათელია!** ავიღოთ წყალკანალი! როგორც ცნობილია, ფირმას, რომელმაც ის შეიძინა, სასწრაფოდ უნდა გამოეცვალა ქსელები! კვირა არ გავა ისე, რომ რამდენიმე საათით ან დღით არ შეუწყვიტოთ მოსახლეობას წყლის მიწოდება, მაგრამ საფასურს ახდევინებთ, როგორც 100%-ით მოწოდებისას. რატომ?

ზემოთ დაღუპულ მეომართა მემორიალი ვახსენე! გახსოვთ, ალბათ, მემორიალთან მოშიმშილე ვეტერანები რომ დაარბია თქვენმა ხელისუფლებამ! დაუმსახურებელს თხოულობდნენ რამეს? იმ დაღუპულებს, რომ დარჩათ ოჯახები, რომლებიც თქვენი გამზრდელი იუდა შევარდნაძის დროსაც კი სარგებლობდნენ სახელმწიფოს დახმარებით! უფასო იყო ტელეფონი, წყლის გადასახადი. გაზსა და ელექტროენერგიაზე გვქონდა შესამჩნევი შეღავათები! მაგალითად, მარჩენალდაკარგულ პენსიონერს თვეში ეძლეოდა 250 კვტ ელექტრო ენერგია ზამთარში, ხოლო 150 კვტ — ზაფხულში უფასოდ! გამოუყენებელი ელენერგია გადადიოდა შემდეგ თვეში! თქვენ კი რა ქენით?! მოსვლისთანავე პირწმინდად გაგვიუქმეთ ყველა შეღავათი, თითქოს საკუთარი ჯიბიდან გვაძლევდით რამეს! ღმერთი ყველაფერს ხედავს და შესაფერისადაც განგსჯით!

**რასაც შეეხეთ, ყველაფერი გააცამტვერეთ! ავიღოთ განათლება. საქართველო თქვენს გამოჩენამდე მსოფლიოში ერთ-ერთი განათლებული, წიგნიერი ქვეყანა იყო! თქვენი ძალისხმევით დღეს ის არის აფრიკის ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყნის დონეზე დასული!** ახალგაზრდებს შეაძულეთ წიგნი! საქართველოს ყველა „პადიეზდში" გახსენით ეგრეთ წოდებული უნივერსიტეტები, რომლებიც ფულის საკეთებელ „ცეხად" აქციეთ. თქვენზეა ნათქვამი: „ძაღლი შინ არ ვარგოდაო, სანადიროდ გარბოდაო". ქართული არ იცით წესიერად და ინგლისურს ეპოტინებით! სულგანათლებული, ცხონებული მუხრან მაჭავარიანის ლექსი გამახსენდა: „რა ვუთხრა ისეთ მეგობარს, რა ვუთხრა ისეთ ამხანაგს, ვინც ვერ ახერხებს ქართულად წერას, კითხვას და ლაპარაკს"! (თითქოს თქვენზე დაეწეროს). ახლა ახალი იდეა დაგებადათ: ქალაქის ყველაზე გამწვანებულ ადგილებში დაიწყეთ მწვანე ნარგავების უმოწყალო ჩეხვა და მათ ადგილას, ეგრეთ წოდებული ელექტრონული ბიბლიოთეკების მშენებლობები! საინტერესოა, ასე რამ შეგაძულათ მწვანე ფერი? თუმცა თქვენ ხომ ცისფერი მოგწონთ და ამიტომაც იცავთ ასე თავგამოდებით(!) ცისფერებს!

განათლებასთან დაკავშირებით ერთი კურიოზი გამახსენდა. პროფესორად წოდებულმა, ისტორიკოსობაზე პრეტენზიის მქონე ქ-ნმა გ. ალასანიამ იმდენი ვერ ასწავლა თავის შვილს, მ. სააკაშვილს, რომ აბსურდული განცხადება არ გაეკეთებინა, — „თურქეთი ოდითგან საქართველოს მეგობარი(???) ქვეყანა იყოო". მის მიერ ქართულ პოეზიაზე გაკეთებული განცხადებები ხომ აბსურდულობის აპოგეაა! ამ განცხადებების ავტორი ამბობს, რომ სკოლა ოქროს(?) მედალზე დავამთავრეო. თუმცა კაცმა რა უნდა გელაპარაკოთ, როცა განათლების მინისტრად კადრები ძალოვანი სტრუქტურებიდან გყავდათ (შაშკინი, გვარამია), გარდა ლომაიასი, თუმცა არც ერთი არ უქნია ღმერთს!

ის, რაც თქვენმა „ნაცმოძრაობამ" გააკეთა, იქნება ეს კერძო საკუთრების ხალხისთვის წართმევა ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით, სახელმწიფო ქონების მითვისება-მიტაცება, ხომ დღესავით ნათელია საზოგადოებისთვის! ახლა გამოდის სააკაშვილი და ითხოვს ახალი ხელისუფლებისგან ეკონომიკურ(?!) ამნისტიას! **თქვენ ქართველი ხალხი და საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა, რომელმაც ხმა მისცა დღევანდელ ხელისუფლებას, სულელი ხომ არ გგონიათ?** ქართველმა ხალხმა 2012 წლის 1 ოქტომბერს ხმა მისცა საქართველოში კანონიერების აღდგენას და სამართლიანობის დამკვიდრებას! ოღონდ არა შერჩევითის, ჩვენი, ანუ ხალხის უპირობო მოთხოვნაა(!!!) ყოველგვარი კრიმინალის მოსპობა საქართველოში და მიტაცებული ქონების ხალხისთვის, ანუ პირვანდელი მფლობელისთვის დაბრუნება! წინააღმდეგ შემთხვევაში, ხალხის რისხვას ეს მთავრობაც ვერ გადაურჩება!

ბატონო მერო! გეყოთ, რაც იპარპაშეთ ხალხის ნაშრომ-ნაამაგარით! აწი საქართველოში ამშობიარეთ(!) თქვენი მეუღლეები. აქვე ჩაუტარეთ სხეულის კორექტირება და სტრიპტიზბარებში საკუთარი ჯიბიდან იხადეთ ფულები! მინდა გკითხოთ, როგორ გესახებათ თქვენი მომავალი ცხოვრება საქართველოში, როცა აღარ გეყოლებათ პერსონალური დაცვა? მაგრამ წლების შემდეგ იძულებული იქნებით, თქვენც და ბევრმა თქვენმა თანაგუნდელმაც, ისე იცხოვროთ, როგორც ცხოვრობს ბევრი ჩვეულებრივი მოქალაქე! ასე რომ, ყველაფრისთვის იყავით მზად!

ახლა წამოტივტივდა ახალი თემა, რამაც ხალხში დიდი გამოცოცხლება გამოიწვია. კერძოდ, დასუფთავების სისტემაში(!) არსებული ფინანსური მაქინაციების შესახებ! ის, რომ ნაგვის ბუნკერები გააუქმეთ, ნამდვილად მისასალმებელია! გაქრა მღრღნელები, ბუზები და ბევრი სხვა სიბინძურე, მაგრამ, მადლი რომ ჰქენით, მარილიც მოგეყარათ და დაგეშალათ ნაგავგამტარი მილები, ამით ხომ საშვილიშვილო საქმეს გააკეთებდით! სადარბაზოებში, კიბის საფეხურები გათავისუფლდებოდა ზედმეტი კონსტრუქციისგან!

ხომ არ დაგავიწყდათ, 2003 წლის 26 ნოემბერს ციმციმ რომ გაატარეთ რეგისტრაციაში იეღოველები? ღმერთის არ გეშინიათ? კიდევ „რა გითხრათ, რით გაგახაროთ"!

**ძალიან გამწარებული და უბედური მამა**

**ანზორ დანელია**

**P.S. არ იფიქროთ, რომ 2012 წლის 1 ოქტომბრის მერე ავლაპარაკდი! თქვენს „საგმირო" საქმეებზე 2005 წლიდან ვლაღადებ, მაგრამ რა, „შეაყარე კედელს ცერცვი"!**

ქ. თბილისი, 27.01.13



## საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრს ბატონ დავით სერგიენკოს!

მოქ. ანზორ დანელიას
პირადი: 01013005960
მცხ. ქ. თბილისი, ვარკეთილი–3,
1 მ/რ, კორპ 32, ბინა 8.
მობ. 571–22–66–34

**განცხადება**

ბატონო დავით!

მოგახსენებთ, რომ ვარ ორი დაღუპული მებრძოლის მამა. დღემდე მე და ჩემი მეუღლე ვღებულობთ ასაკით პენსიას და დაღუპულ შვილებზე დახმარებას. რატომღაც წარსულში ვერ მოვხვდით 15 ლარდამატებულ პენსიონერთა სიაში! როცა სამინისტროს ცხელ ხაზზე ვიკითხე მიზეზი, მიპასუხეს, რომ ჩვენ ვიღებთ ნორმაზე(?!) მეტს! ვინაიდან დღეისათვის ბუნდოვანია ჩვენი მომავალი მდგომარეობა პენსიასთან და სხვა შემოსავლებთან დაკავშირებით, გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს, მოგვცეს წერილობითი განმარტება ყველა ზემოთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით!

ბოდიშს გიხდით შეწუხებისთვის.

გფარავდეთ მამაზეციერი და დედაღვთისმშობელი!

წინასწარ გიხდით მადლობას, პატივისცემით და კეთილი სურვილებით,

ანზორ დანელია,
1 თებერვალი, 2013 წელი.
ქ.თბილისი

# ეს საინტერესოა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ყველაზე დიდი ტალღა

**ვეტერანმა სერფინგისტმა გარეტ მაკნამარამ მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მან 10-სართულიანი სახლის სიმაღლის ტალღაზე წარმატებით გადაიარა.** მსოფლიო რეკორდი პორტუგალიაში დამყარდა. გარეტი სერფინგის დახმარებით 30-მეტრიან ტალღას წარმატებით შეერკინა. **„ყველაფერი მოულოდნელად მოხდა. ვიცოდი, რომ ჩემ წინ უზარმაზარი ტალღა აღიმართებოდა, მაგრამ არ მეგონა, ასეთი გიგანტური თუ იქნებოდა. როდესაც გამარჯვებულთა სიის ლიდერად ჩემი სახელი გამოაცხადეს, იმ ტალღებზე უფრო მეტად ავმაღლდი სულიერად, რომლებიც კი ოდესმე დამიპყრია“,** — განაცხადა მან.



## ვუნდერკინდი კულინარი



**13 წლის ტაკერ ფიში ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა და წარმატებული მეწარმე-კულინარია. ჯერ კიდევ 2011 წელს პატარა გენიოსი ორიგინალური საკვები პროდუქტის შექმნაზე მუშაობდა და პირველი რეცეპტი — College Bound შექმნა.**

ამ სიახლით არა მხოლოდ მოყვარული კულინარები, არამედ გამოცდილი და პროფესიონალი გურმანები დაინტერესდნენ. მისი კულინარული ნაშრომი მოიცავს შოკოლადს, მარმელადს, კრეკერს, ზღვის მარილს და ფქვილს.

**„ამ რეცეპტს College Bound დავარქვი, ვინაიდან სკოლის დასრულების შემდეგ ეკონომიკურ კოლეჯში ვაპირებ სწავლის გაგრძელებას“,** — განაცხადა ფიშმა მისი პროდუქტის ვიდეოპრეზენტაციისას. მოგება, რომელსაც ახალგაზრდა მზარეულს მისი კერძი მოუტანს, მისსავე განათლებას მოხმარდება.

## გრიპის სამკურნალო ნაყინი



**ამერიკულმა კომპანია Jenis Splendid Ice Creams-მა, რომელიც ნაყინს აწარმოებს, ორიგინალური დესერტი შექმნა. ახალი ნაყინი თაფლს, პექტინს, ნაღებს, ასევე ფორთოხლისა და ლიმნის წვენს შეიცავს. მის შემადგენლობაში ასევე შედის ბურბონი და წიწაკა.**

თაფლი სიმწარეს ანეიტრალებს. დესერტი შეიცავს გრიპის სამკურნალოდ შეუცვლელ ვიტამინ C-ს, ხოლო წიწაკა სუნთქვას გიადვილებთ. მწარმოებელთა თქმით, ნაყინი ცხარე არ არის, ის მხოლოდ ოდნავ წვავს. გემრიელი წამლის გაყიდვა თებერვალ-მარტის პერიოდში 12 დოლარად იგეგმება.

ალსანიშნავია, რომ ჩეხეთში არსებობს კაფე, სადაც კლიენტებს კამისა და შებოლილი ხორცის არომატის ნაყინებს სთავაზობენ, არსებობს ასევე ნივრის, ლუდისა და ქონდრის არომატის მქონე ნაყინიც.

# რალი «დაკარი»

სამხრეთ ამერიკაში ჩატარდა რალი „დაკარი 2013“ — მსოფლიოში ყველაზე ცნობილი რალი-მარათონი.

„დაკარი 2013“ 34-ე კონტინენტური რალი-მარათონია. ის, ტრადიციულად, იანვარში ტარდება. რალი 5 იანვარს პერუს დედაქალაქ ლიმაში დაიწყო. ის 14 ეტაპისაგან შედგებოდა და 3 ქვეყნის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა – პერუ, არგენტინა, ჩილე. დასრულდა 19 იანვარს ჩილეს ქალაქ სანტიაგოში. 20 იანვარს კი ჩატარდა მსოფლიოში ყველაზე პოპულალური რალი „დაკარი“-ის დაჯილდოების ცერემონიალი.













## სკოლა ხიდის ქვეშ



**ინდოეთში, ნიუ-დელიში, 40 წლის რაჯეშ კუმარ შარმა ხელმოკლე ბავშვებს განათლების მიღებაში ეხმარება.**

მამაკაცმა გაჭირვებული ოჯახის შვილებისთვის განათლების მიღების საინტერესო გეგმა შეიმუშავა. ყველა პატარას, რომელსაც სკოლაში სიარულის საშუალება არ აქვს, შეუძლია ყოველდღე მეტროს ხიდის ქვეშ მივიდეს და განათლება მიიღოს. შარმა პროფესიით მასწავლებელი არაა, ის მაღაზიას ფლობს, თუმცა კარგი განათლება აქვს მიღებული და თვლის, რომ ბავშვის განვითარებისთვის სწავლა უმთავრესია.

4-დან 12 წლამდე ასაკის ბავშვები ყოველ დილით ხიდის ქვეშ იკრიბებიან, წერენ, კითხულობენ და მასწავლებელს საშინაო დავალებას აბარებენ. მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში მისი წყალობით 140-მა ბავშვმა წერა-კითხვა ისწავლა, ხოლო 70-მა პატარამ სახელმწიფო სკოლაში სწავლის გაგრძელება შეძლო.




## მპოვნელი დასაჩუქრდება

**სამწუხაროდ, გალერეებს ხალხი იშვიათად სტუმრობს. ამ პრობლემით გაღიზიანებულმა ინგლისელმა ხელოვანმა ტომას გეორგესონმა ხალხის მოსაზიდად საინტერესო პროექტი მოიფიქრა.** მან ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთებისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ გალერეაში Milton Keynes Gallery იღბლიან ადამიანს ფულადი ჯილდო ელის. ტომასმა გალერეაში 12 600 დოლარზე გამოწერილი ქვითარი დამალა. ადამიანმა გალერეაში გამოფენილ ნახატებს ზიანი რომ არ მიაყენოს, გალერეაში დაგხვდებათ განცხადება, რომ ქვითარი ნამუშევრებთან არაა დამალული. ამ ინფორმაციის გავრცელებისთანავე გალერეას ათასობით ადამიანი მიაწყდა. შენობასთან მთელი დღე გრძელი რიგი დგას.

ეს საინტერესოა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მსოფლიოში ყველაზე განიერი თეძოები

მსოფლიოში ყველაზე განიერი თეძოსა და დიდი საჯდომის პატრონი 39 წლის მიკელ ბრუკსი თავს კომფორტულად გრძნობს.

ლოს-ანჯელესში მცხოვრები ქალბატონი 190 კგ-ს იწონის, მაგრამ, როგორც ამბობს, ზედმეტი წონა ყოველდღიურ ცხოვრებაში ხელს არ უშლის და არ აკომპლექსებს. ქალბატონი რესტორნებშიც ერთობა, თანამედროვე სტილის კაბებსაც იცვამს, შოპინგზეც დადის და სალონებსაც სტუმრობს, მაგრამ ჭარბი წონა თავს ყოველ წამს ახსენებს. მაგალითად, სახლში გვერდულად დადის, რადგან კარში მისი მასიური თეძოები ვერ ეტევა, სპეციალურად მისთვის აწყობილ ლოგინზე სძინავს და ავტომობილის ნაცვლად, სატვირთო მანქანით გადაადგილდება. მიკელის ყველაზე დიდი გულშემატკივარი მისი მეუღლე რეჯია. რეჯის თქმით, ცოლი ისეთი უყვარს, როგორიც არის და მისთვის მნიშვნელობა არ აქვს მსუქანია იგი თუ გამხდარი.



მიკელი ამბობს, რომ ახალგაზრდობაში გამხდარი იყო, მაგრამ, სხეულის გარშემოწერილობასთან შედარებით, თეძოები ყოველთვის განიერი ჰქონდა. მისი ფართო თეძოები გენეტიკურია და 4 შვილზე მშობიარობის შემდეგ წონაში უფრო მოიმატა.

**„4-ჯერ ვიმშობიარე და ყოველი ბავშვის გაჩენის შემდეგ წონაში ვიმატებდი. მსგავსი თეძოები ჩემს ოჯახში ბევრ ქალს აქვს, ალბათ, გენეტიკურია. თანაც, გულწრფელად გეტყვით, ჭამა ძალიან მიყვარს. კარგი კულინარიც გახლავართ. ადრე დიეტებს ვიცავდი, მაგრამ ამას არაფერი ეშველება. ყველაზე ბევრს სადილზე ვჭამ. ძალიან მიყვარს შემწვარი ქათამი“,** — ამბობს მიკელი.



იგი ძალიან წარმატებული ქალბატონია. მიკელი ჭარბწონიანი ქალბატონებისთვის სამოსს რეკლამას უკეთებს. დიდი ზომის სამოსის რეკლამის ერთ ფოტოსესიაში მას 1 000 დოლარს უხდიან.

# პენსიონერმა ბავშვები ზვიგენისგან იხსნა

**ავსტრალიაში 62 წლის ბრიტანელი ტურისტი პოლ მარშალსი უშიშრად ეკვეთა ორმეტრიან ზვიგენს, რომელიც საზოგადოებრივ პლაჟზე წყალმარჩხ ადგილზე გამოჩნდა.** დამსვენებლების ყვირილის გაგონებისთანავე პენსიონერი ტურისტი წყალში ორ მოხალისესთან ერთად შევიდა. მშობლებმა ბავშვების წყლიდან ამოყვანა დაიწყეს, მარშალსი კი ზვიგენს კუდში სწვდა და მის სიღრმეში შეცურებას შეუდგა. პოლის თქმით, მტაცებელი უკან მობრუნებას და მის კბენას ცდილობდა.

**„მესმოდა, რომ ეს ძალიან სახიფათო იყო, მაგრამ იმასაც ვხვდებოდი, რომ ზვიგენის მოკვლა არ შემეძლო, მასაც დახმარება სჭირდებოდა“,** — იხსენებს მარშალსი.

ზვიგენის გამოჩენა ავსტრალიის პლაჟებზე იშვიათი მოვლენა არ არის. სამაშველო სამსახურის წარმომადგენლები ტურისტებს გმირობისგან თავის შეკავებასა და საფრთხილის გამოჩენას ურჩევენ, თუმცა, პოლის წყალობით, რამდენიმე ბავშვი სიკვდილს გადარჩა.



# ყინულით შემოსილები

**ზღვის წყალი და სიცივე – სწორედ ეს ორი რამაა ყინულის სამოსში გამოწყობილი ქალაქის მთავარი დიზაინერიცა და სტილისტიც. ცხადია, ყველა მსურველი ვერ შეძლებს, ეს მოვლენა რეალობაში იხილოს, თუმცა არსებობენ ფოტოგრაფები, რომლებიც ამ სიამოვნებას ადგილზე ჩაუსვლელადაც მოგანიჭებენ.**









# დალაგება დისტანციურად

**ცუდი არ არის, როდესაც შეგიძლია დამლაგებელი დაიქირავო, თუმცა ამის შესაძლებლობა მხოლოდ შეძლებულ ადამიანებს აქვთ.**

რაც შეეხება საშუალო და დაბალ კლასს, მათთვის სახლის დალაგების პრობლემა Kyosho R/C mop and trash-მა გადაწყვიტა. ხელსაწყოს ქართულად „დისტანციური მართვის ნაგვის ურნა და ჩვარი“ ჰქვია.

ამ უნიკალურ ხელსაწყოებში ჩამონტაჟებულია გადამცემი, რომელიც ჯოისტიკს უკავშირდება. მისი საშუალებით შეგიძლიათ სახლი ისე დაალაგოთ, რომ სავარძლიდან წამოდგომაც არ დაგჭირდეთ. ურნა ინტერნეტ მაღაზიებში 21 დოლარი ღირს.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ყინულის სასახლე

**ერთი შეხედვით ჩვეულებრივი შენობა შიგნიდან ნამდვილი ყინულის სასახლეა.** ეს ცივი საწყობი ჩიკაგოში მდებარეობს. გარედან ის ყურადღებას არაფრით იქცევს, მაგრამ, თუ შეხვიდოდით შენობაში რამდენიმე თვის წინ, გაგაოცებდათ, რასაც იქ დაინახავდით. 9 ათწლეულის განმავლობაში ის სავსე იყო ყინულის სტალაგმიტებით და სტალაქტიდებით, როგორც ნამდვილი მღვიმე. 9 თვის წინ კი შენობის მფლობელმა გადაწყვიტა, მიეყიდა ის ველოსიპედის ნაწილების მწარმოებელ კომპანია SRAM-ისთვის. ამ კომპანიამ კი, პირველ რიგში, ყინულის დადნობით დაიწყეს საქმიანობა.





## ირლანდიაში სიმთვრალეში ავტომანქანის მართვის უფლებას ითხოვენ




**ირლანდიაში საგრაფო კერის საბჭომ პეტიცია შეადგინა, რომ ადგილობრივ მცხოვრებლებს ავტომობილის ნასვამ მდგომარეობაში მართვის უფლება მიეცეთ. პეტიცია იუსტიციის სამინისტროში გაიგზავნება, ის კი ბოლო სიტყვას იტყვის.**

საბჭო დოკუმენტით ითხოვს, რომ პროვინციის მცხოვრებლებს პაბიდან სახლამდე ავტომანქანით დაბრუნების უფლება მიეცეთ. ამასთან, ჩინოსნები შემდეგი შეზღუდვების ინიციატივით გამოდიან: მძღოლმა ბარში ალკოჰოლური სასმელი სამ ბოკალზე მეტი არ უნდა დალიოს და გზებზე დაბალი სიჩქარით უნდა იაროს.

მართვის წესების შემსუბუქებას ხმა საგრაფოს საბჭოს ხუთმა წევრმა მისცა, სამი — წინააღმდეგი წავიდა, უმრავლესობამ კი თავი შეიკავა.

სიახლის მხარდამჭერები პაბების მფლობელები არიან. ამასთან, თავად ისინი უარყოფენ, რომ მათმა საქმიანობამ გადაწყვეტილების მიღებაზე რაიმე გავლენა იქონია.

## საავადმყოფოში ერთდროულად 4 წყვილი ტყუპი გაჩნდა

**ჩრდილოეთ ისრაელში ერთ-ერთი ადგილობრივი კლინიკის პერსონალი ოთხი წყვილი ტყუპის დაბადების მოწმე გახდა. მშობლები სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის არიან.**

დედები და ჩვილები თავს შესანიშნავად გრძნობენ, ხოლო საავადმყოფოს პერსონალი ოთხი ჯანმრთელი ტყუპის ერთ დღეს დაბადებას ბედნიერ ნიშანს უკავშირებს.

**„ეს ძალიან სიმბოლური დღეა! ჩვენს საავადმყოფოში ნამდვილი სასწაული მოხდა. ოთხმა ქალმა — ქრისტიანმა, მუსლიმანმა, დრუზმა (მუსლიმანური რელიგიური სექტის მიმდევარი არაბები) და იუდეველმა — ლამაზი და ჯანმრთელი ტყუპები გააჩინეს. მათ რამდენიმე წუთიანი ინტერვალით იმშობიარეს, ამიტომ პერსონალი რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა“,** — ყვება სასიხარულო ამბავს სამშობიაროს დირექტორი ბასელ ბარხუმი.

კმაყოფილმა მედპერსონალმა დაუჯერებელი მოვლენა „მულტიკულტურულ ბეიბი-ბუმად“ მონათლა.





## მძიმე მეტალის ჯგუფი რობოტებისგან

**გერმანულ ჯგუფ Compressorhead-ის წევრები არ არიგებენ ავტოგრაფებს და არასდროს ეხვევიან სკანდალებში. ჯგუფი, რომელიც მსმენელს მძიმე მეტალს სთავაზობს, მხოლოდ რობოტებისგან შედგება.**

რობოტი მუსიკოსები არ ქმნიან ახალ კომპოზიციებს. მათ მხოლოდ ისეთი ლეგენდარული როკ-კოლექტივების მუსიკის დაკვრა შეუძლიათ, როგორიცაა Motჯrhead, AC/DC და სხვ.

**COMPRESSORHEAD-ში სულ სამი რობოტია და მათ საზოგადოებას საკუთარი მექანიკური მუსიკალური შემოქმედება BIG DAY OUT FESTIVAL-ის ფესტივალზე, ავსტრალიაში წარუდგინეს.**

რობოტებს სახელებიც აქვთ — ფინგერსი, ბოუნსი და სტიკბოი. ისინი ისე არიან დაპროგრამებული, თავისუფლად შეუძლიათ ნებისმიერი როკ-კომპოზიციის შესრულება.

## კურდღლების კუნძული



**იაპონიის კუნძული ოკუნოშიმა სავსეა პატარა კურდღლებით. ეს კუნძული ყოველ წელს ცხოველების მოყვარულ ათასობით ტურისტს მასპინძლობს. მხოლოდ ოკუნოშიმაზეა შესაძლებელი საკუთარი ხელით ასობით ფუმფულა ბაჭიის გამოკვება. კურდღლები იმდენად მიჩვეულნი არიან ადამიანებს, რომ მათი უკვე აღარ ეშინიათ.**

ოკუნოშიმას საკმაოდ ცუდი წარსული აქვს: 1929-1945 წლებში აქ 5 სახეობის ქიმიურ იარაღს ქმნიდნენ. რაიონი გასაიდუმლოებული იყო და მეორე მსოფლიო ომის დასრულებამდე არც ერთ რუკაზე არ აღინიშნებოდა. რაც შეეხება აქ კურდღლების გაჩენას, რამდენიმე ვერსია არსებობს: ერთ-ერთი ვერსიით, სხვადასხვა ქიმიურ იარაღს სწორედ უწყინარ ცხოველებზე ცდიდნენ, ხოლო ომის შემდეგ კურდღლები გაათავისუფლეს. მეორე ვერსიით, ბავშვებით დაკომპლექტებულმა ტურისტულმა ჯგუფმა აქ 1971 წელს 8 სახეობის კურდღლის ჯიში ჩამოიყვანა და დატოვა.

ახლა ოკუნოშიმაზე ასობით კურდღელი ბინადრობს. კუნძულის ფართობი სულ 2.5 კვადრატული კილომეტრია.

## მოცეკვავე ტყე

**უნიკალური ადგილი, რომელსაც „მოცეკვავე ტყე“ ეწოდება კალინინგრადში, ეროვნულ პარკში მდებარეობს. ადგილობრივებს სჯეროდათ, რომ ეს ხეები განასახიერებდნენ სულებს, რომლებსაც შეეძლოთ ხალხს დამხარებოდნენ.**

ხალხში გავრცელებული ცრურწმენის მიხედვით, ვინც ამ ხეების ტყეს ბოლომდე გაივლიდა, განიკურნებოდა ყოველგვარი ავადმყოფობისგან, მაგრამ ხშირად ეს მოგზაურობები სიკვდილით მთავრდებოდა.

ხეების ამ ფენომენს ბევრი მეცნიერი სწავლობს, ადგილობრივებს კი დღესაც სჯერათ, რომ ტყეს მაგიური თვისებები აქვს და საკმაოდ ძლიერიც. ამ ტყის საიდუმლო დღემდე ამოუხსნელია.









## ყველაზე ჭკვიანი

**სამი წლის ბრიტანელი შერვინ შარაბი, რომელიც ქალაქ ბარნსლიში ცხოვრობს, საერთაშორისო გენიოსთა საზოგადოება Mensa-ს სიაში მოხვდა. ეს საზოგადოება მსოფლიოს ყველაზე ჭკვიან ადამიანებს აერთიანებს.** ამ პატარა ბიჭმა IQ-ს ტესტში 136 ქულა აიღო. საშუალო სტატისტიკური ადამიანის IQ-ს მაჩვენებელი — 100, ხოლო ჭკვიანი ადამიანის IQ-ს მაჩვენებელი 136 ქულაა. შერვინმა ლაპარაკი 10 თვის ასაკში დაიწყო. წლინახევრისა უკვე თავისუფლად საუბრობდა რთული წინადადებებით. ახლა კი, სამი წლის ასაკში, 200-მდე დათვლა იცის, რუკაზე ყველა ქვეყანას და დროშას ცნობს. უყურებს მულტფილმებს და ხშირად ადევნებს თვალს ახალ ამბებს. მე არასდროს ვაძალებდი რაიმეს სწავლას, თვითონ ითვისებს ყველაფერს", — განაცხადა პატარა ვუნდერკინდის დედამ, 26 წლის ამანდა შარაბიმ.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მსოფლიოში ყველაზე დიდი შადრევანი-ხიდი

**სამხრეთ კორეაში, ქალაქ სეულის ცენტრალურ ნაწილში, მსოფლიოში ყველაზე დიდი შადრევანი-ხიდია. ხიდს Banpo Bridge Moonlight Rainbow Fountain-ი ჰქვია. მასზე დამონტაჟებულია 10 000 თხევადკრისტალური ნათურა, რომლებიც ხიდიდან გადმოსული წყლის განათებას ემსახურება. შადრევანს წუთში 190 ტონა წყალი სჭირდება.** გარდა ამისა, ხიდის განათების სისტემაში ჩატვირთული პროგრამა შადრევნიდან გადმოსულ წყალს ყოველ ჯერზე სხვადასხვა ფერად ანათებს და განსხვავებულ ეფექტებს აძლევს, რაც გასაოცარ სანახაობას ქმნის. შადრევანი-ხიდის შოუ ყოველ საღამოს 8 საათიდან იწყება და მას თვალს ათასობით ადამიანი ადევნებს.





## ყველაზე ცნობადი ფოტო



**მსოფლიოში ყველაზე ცნობადი ფოტო Windows XP-ის სამუშაო მაგიდის შპალერია. ყოველთვის, როდესაც კომპიუტერში „ვინდოუსს" ვტვირთავთ, ეკრანზე მწვანე მინდორს, ცისფერ ცასა და ღრუბლებს ვხედავთ. მას მსოფლიოს ყველაზე მეტი ადამიანი იყენებს კომპიუტერის სამუშაო მაგიდის ფონად.** მაგრამ, ალბათ, სულ რამდენიმე ადამიანმა იცის, რომ ეს ფოტო **ჩარლზ ო'რეარს** ეკუთვნის. ჩარლზი 1941 წელს დაიბადა. იგი 25 წლის განმავლობაში ცნობილ ჟურნალ National Geographic-თან თანამშრომლობდა. ყველაზე ცნობილ ფოტოს **Bliss**-ი ეწოდება. ის 1996 წელს კალიფორნიაშია გადაღებული. ფოტოგრაფის თქმით, მას სურათი არც ერთ პროგრამაში არ დაუმუშავებია. 2002 წლიდან Bliss-ი Windows XP-ის სამუშაო მაგიდის ავტომატურ ფონად იქცა. 2006 წელს ენთუზიასტებმა მასზე აღბეჭდილი ადგილი კვლავ მოძებნეს და ფოტო თავიდან გადაიღეს.

# ერთადერთი მამაკაცი-გეიშა

**გეიშები იაპონური კულტურის განუყოფელი ნაწილი და ნამდვილი იაპონური სულის მცველნი არიან. სამწუხაროდ, ეს რიტუალური პროფესია სულ უფრო ნაკლებად პოპულარული ხდება.**

თუ 100 წლის წინ გეიშების რაოდენობა 80 ათასს აღწევდა, ახლა ქვეყანაში ათასზე ოდნავ მეტნი არიან. მათი ნახვა შეიძლება მხოლოდ მსხვილი ქალაქების ყველაზე მდიდრულ კვარტლებში ან პრესტიჟულ კურორტებზე.



26 წლის ეიტარო ერთადერთი მამაკაცია, რომელიც გეიშად მუშაობს. აღსანიშნავია, რომ ეს პროფესია ახალგაზრდას შემთხვევით არ აურჩევია, იგი თავისი გარდაცვლილი დედის კვალს გაჰყვა.

დედის გარდაცვალების შემდეგ ეიტარო და მისი და — მაიკა „ოკიას" (გეიშების სახლის) ხელმძღვანელები გახდნენ ტოკიოს რაიონ ომორიში. ამჟამად ბიჭი და მისი გუნდი, რომელშიც ექვსი ქალია გაერთიანებული, ძალიან ძვირად ფასობენ კლიენტებს შორის.

გეიშების ხელოვნებას იაპონელი თითქმის მთელ ცხოვრებას უთმობს. ასევეა ეიტარო. ის 10 წლის ასაკში უკვე სხვა გეიშებთან ერთად ცეკვავდა, 11 წლისას კი დებიუტი ჰქონდა იაპონური თეატრის სცენაზე.

ბევრმა არ იცის, რომ თავდაპირველად გეიშას როლს იაპონიაში სწორედ მამაკაცები ასრულებდნენ, რომლებიც მასხარებად მუშაობდნენ ბანკეტებზე გასართობ კვარტალში. ისინი მეძავების კლიენტებს უხამსი ხუმრობებითა და ხალხური სიმღერებით „ახურებდნენ".

პირველი ქალი გეიშა — „სიყვარულის ქურუმი" სახელად კასენი 1761 წელს გამოჩნდა. დღესდღეობით გეიშების ძირითადი სამუშაო ბანკეტების გამართვაა სასტუმროებში, რესტორნებში, კლუბებში, სადაც წვეულების დიასახლისებად გამოდიან და სტუმრებს ართობენ. გეიშამ საუბარი უნდა წარმართოს და სტუმრების მხიარული ნადიმი უზრუნველყოს, იფლირტაოს მათთან, ოღონდ თავისი ღირსება შეინარჩუნოს.

ბევრს ჰგონია, რომ გეიშები იაპონელი მეძავები არიან, თუმცა, სინამდვილეში ფიზიკურ სიახლოვესთან ეს საქმე ნაკლებად არის დაკავშირებული. გეიშებს ძველთაგანვე ძირითადად ინტელექტუალური საუბრებისთვის, მაღალი წრის ადამიანების სამასპინძლოდ, გასართობად ამზადებდნენ.

# მილიონერი მეეზოვე

**ჩინეთის ქალაქ უხანში ცხოვრობს ქალი სახელად იუ იუჟენი, რომელსაც საბანკო ანგარიშზე მილიონი იუანი აქვს, თუმცა მაინც მეეზოვედ მუშაობს.**

როგორც ამბობენ, მდიდრებს უცნაური ჩვევები ახასიათებთ, მაგალითად, მილიონების გადახდა უსარგებლო ნივთებში, როგორიცაა ოქროს ველოსიპედი ან მტვერსასრუტი, მაგრამ ქალბატონი იუჟენი აშკარად გამონაკლისია. ამ ფაქტს უფრო საინტერესოს ხდის ის, რომ მან მილიონი თავისი შრომის შედეგად შექმნა და არ მოუგია ლატარიაში ან მსგავს გათამაშებაში. ყველაფერი დაიწყო 80-იანი წლების დასაწყისში, როცა მომავალი მილიონერი მხოლოდ ფერმერი იყო. ის ქმართან ერთად მუხლჩაუხრელად მუშაობდა და სოფელში მათი ოჯახი გახდა პირველი, რომელმაც აიშენა სამსართულიანი სახლი. სწორედ ამ პერიოდში უხანში ბევრი ხალხი ჩადიოდა სამუშაოს საძებნელად და ქალმაც დაიწყო ოთახების გაქირავება.

ცოტა ხანში მან მოახერხა, აეშენებინა სამი ხუთსართულიანი შენობა, რომლებშიც პრაქტიკულად ყველა ოთახი გაქირავებული ქონდა. აღსანიშნავია, რომ ის არ იყო ერთადერთი, ვინც დაკავებული იყო მსგავსი ბიზნესით. უბრალოდ, მისი მეზობლები ფულის ხელახლა დაბანდების მაგივრად ყიდულობდნენ სასმელს ან ნარკოტიკებს, ან კაზინოში აგებდნენ.

ერთხელაც ქალი მიხვდა, რომ არ სურდა, მის შვილებს უპრობლემო გზა გაევლოთ. მან გადაწყვიტა, საკუთარ მაგალითზე ეჩვენებინა შვილებისთვის, რომ საჭიროა დარჩე მუდამ ადამიანად და რაც არ უნდა ქონება გქონდეს, მუშაობა მაინც აუცილებელი და საჭიროა. 1998 წელს მან განცხადებით მიმართა ადგილობრივ სანიტარულ სამსახურს და მუშაობა დაიწყო მეეზოვედ. და აი, უკვე მე-15 წელია, ის მეეზოვედ მუშაობს, ღამის სამ საათზე დგება და ალაგებს ერთ-ერთი ქუჩის სამკილომეტრიან მონაკვეთს.









# შეერთებული შტატების ელჩმა ვერ შეძლო სააკაშვილის მიმართვის მოსმენა

**ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში, რამდენიმე ამერიკელ დიპლომატთან ერთად, იძულებული გახდა, დაეტოვებინა ეროვნული ბიბლიოთეკის შენობა საქართველოს დედაქალაქ თბილისში მას შემდეგ, რაც საპროტესტო აქციაში მონაწილე განრისხებული ხალხის მასა შეეცადა, ხელი შეეშალა საქართველოს პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლისთვის.**



ამერიკის ელჩმა საქართველოში რიჩარდ ნორლანდმა კომენტარი გააკეთა თბილისში შექმნილ სიტუაციაზე მას შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილი იძულებული გახდა, დაგეგმილი სიტყვით გამოსვლა გადაედო, რადგან ხალხის განრისხებულმა მასამ ხელი შეუშალა მისი, მისი მთავარი მრჩევლებისა და საქართველოს პარლამენტის რამდენიმე დეპუტატის შენობაში შესვლას და მათზე ფიზიკურ თავდასხმასაც კი შეეცადა.

**„არსებობს დემოკრატიის გარკვეული პრინციპები, ამიტომ მნიშვნელობა არ აქვს, თუ როგორი დამოკიდებულება გაქვთ თქვენ ამა თუ იმ საკითხის მიმართ ან რამდენად მოტყუებულად გრძნობთ თავს, თქვენ არ გაქვთ უფლება მიმართოთ ძალადობას და ცემოთ პარლამენტარები, როდესაც ისინი შენობაში შედიან, რათა მოუსმინონ პრეზიდენტის სიტყვას“**, — განაცხადა ნორლანდმა ინციდენტის შემდეგ.

სააკაშვილის უფროსმა მრჩეველმა რაფაელ გლუქსმანმა, The Cable-ის რეპორტიორებს უამბო, რომ ხალხის მასა ფიზიკურად დაესხა თავს თბილისის მერ გიგი უგულავას, რომელიც ასევე არის ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ბევრ ოპოზიციონერ წევრს, ჟურნალისტს და უფლებადამცველს. ქსელში ამ ინციდენტის ამსახველი რამდენიმე ვიდეორგოლი გავრცელდა.

საპროტესტო აქციები არ შეწყდა არც პარასკევს საღამოს, 8 თებერვალს, ამიტომ სააკაშვილმა თავისი მიმართვა პრეზიდენტის სასახლიდან წაიკითხა. ბოლოს და ბოლოს, აქციის გამართვის ადგილას საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მივიდა და დაემუქრა მათ, რომ, ვინც ძალადობას მიმართავდა, დააპატიმრებდა.

რეპორტიორებთან საუბრისას ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ პოლიციამ მოამზადა უსაფრთხო მარშრუტი, რომლითაც სააკაშვილი შეძლებდა ბიბლიოთეკის შენობაში შესვლას, მაგრამ საქართველოს პრეზიდენტმა გადაწყვიტა მთავარი შესასვლელის გამოყენება, სადაც საპროტესტო აქციის მონაწილეებმა მოიყარეს თავი.

**„ჩვენი პოლიტიკური ოპონენტები იქ იმ ადგილიდან მივიდნენ, სადაც აქციის მონაწილეები იყვნენ შეკრებილები, და არ ისარგებლეს იმ დერეფნით, რომელიც მათთვის პოლიციამ მოამზადა. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ მათ შეგნებულად მოაწყვეს პროვოკაცია“**, — დასძინა ღარიბაშვილმა.

ნორლანდს მიაჩნია, რომ მთავრობა უნდა შეეცადოს შეინარჩუნოს მშვიდობა.

**„ჩვენ ვგმობთ ძალადობას და მიგვაჩნია, რომ გამოძიება უნდა ჩატარდეს და დამნაშავეები ჩადენილი დანაშაულისთვის უნდა დაისაჯონ,... რა თქმა უნდა, ქვეყანაში მართლწესრიგის შენარჩუნებაზე მთავრობაა პასუხისმგებელი“**, — განაცხადა ნორლანდმა.

სააკაშვილი პრეზიდენტის თანამდებობაზე 2013 წლის ოქტომბრამდე დარჩება, მხარეებმა პირობა დადეს, რომ მანამდე „თანაცხოვრების“ პოლიტიკას დაიცავენ, თუმცა დღემდე თბილისში პოლიტიკური განწყობები ძალიან მწვავეა.

2012 წლის ნოემბერში, ვაშინგტონში ვიზიტის დროს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ The Cable-ის ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რომ ჩინოვნიკები, რომელთა წინააღმდეგ სამართლებრივი დევნაა დაწყებული, **„კრიმინალები არიან და ყველა დამნაშავეა“.** ზოგიერთი ამერიკელი ჩინოვნიკი მსგავსი კომენტარების გამო იმდენად შეშფოთდა, რომ მას წერილი მისწერეს და საქართველოს ახალ მთავრობას მოუწოდეს, თავი აარიდონ შერჩევით დევნას და დაიცვან კანონის უზენაესობა.

**ჯოშ როგინი**




## გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციას

2012 წლის 23 ნოემბერს, გიორგობა დღეს დიდი უბედურება დაგვატყდა თავს. ღუდუშაურის საავადმყოფოში პატიმრების „დებოშს“ შეეწირა ჩემი ერთადერთი ძმა, ბადრაგი ჯამბულ ხოშურაული. პრესაში უამრავი წერილი დაიწერა, თითქმის ყველა სატელევიზიო არხმა გადმოსცა, მაგრამ **განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციას. „საქართველო და მსოფლიოს“ 47-ე ნომერში დაიბეჭდა წერილი ჩვენი დიდი ტრაგედიის შესახებ. სწორედ ამის შემდეგ მოგვაქციეს ყურადღება შესაბამისი უწყების წარმომადგენლებმა და გადაგვიხადეს კომპენსაცია, რაც საშუალებას მომცემს, გარკვეული პერიოდის შემდეგ ჩემი ძმისშვილები გამოვიყვანო სარდაფის ტიპის ბინიდან.**

ამით ჩემი ძმის დიდი პრობლემა ნაწილობრივ მაინც მოგვარდება. დიდ მადლობას ვუხდი გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციას დიდი გულისხმიერებისა და ჩვენდამი გულთბილი დამოკიდებულებისათვის.

პატივისცემით,

**მარინა ქლენტი**

# «ჩვენ აღარ გვეშინია»

**საქართველოს პრეზიდენტი ვანო მერაბიშვილისა და ზურაბ ჭიაბერაშვილის დაკითხვაზე დაბარებას წმინდა პოლიტიკურ პროცესად მიიჩნევს. ამის შესახებ მიხეილ სააკაშვილმა ჟურნალისტებს შტეფან ფულესთან შეხვედრის შემდეგ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განუცხადა. მისი თქმით, ამ ყველაფერს აქვს შიდა ასპექტი.**

**„ჩვენ ამის აღარ გვეშინია, რადგან ეს პაროდიაც აღარ არის და არანაირ ჩარჩოში არ ჯდება. ეს არის წმინდა პოლიტიკური პროცესი. დღეს ამბობენ, სააკაშვილმა და მისმა გუნდმა ასობით მილიონი მოიპარა და ბენზინის ფასიდან 1 ლარი მათ ჯიბეში მიდიოდა. ვინც ეს სრული იდიოტიზმი დაიჯერა, რატომ არ კითხულობენ, რატომ არ გაიაფდა ბენზინი. მუდამ იყო ჩიჩინი იმაზე, რომ საქართველოს მთავრობა კორუმპირებულია, თუმცა ჩვენ ევროპაში კორუფციასთან ნომერ პირველ მებრძოლებად გამოვცხადდით და ეს იმიტომ, რომ, არათუ ჩვენ არ ვიპარავდით, სხვებსაც არ ვაპარვინებდით“**, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა და აღნიშნა, რომ კორუფციის კუთხით საქართველოს ყოფილ ხელისუფლებას დასაყვედრებელი არაფერი აქვს.

პრეზიდენტის თქმით, შესაძლოა, სხვა საკითხებში იყო შეცდომები, თუმცა რაც სწორად გაკეთდა და რა არასწორად, ამას დროთა განმავლობაში ხალხი და ისტორია შეაფასებს.

**„თუმცა კორუფციაში ჩათრევასთან დაკავშირებით ბრალდებებს არ მივიღებ. ამას აქვს პოლიტიკური ასპექტი და როცა ასე ვიქცევით და ქვეყანაში ასეთ რეჟიმს ვაყალიბებთ, საგარეო კუთხით პრობლემები შეგვექმნება. გაგვიგრძელდება იმ გზით სვლა, რასაც ევროპული გეზი ჰქვია. ბნელ ოთახში ბნელი კატის ძებნას აზრი არა აქვს, რადგან კატა იქ არ არის და ამგვარი საქციელით რეალურად ქვეყანა ზიანდება. მე ეს მაშინებს და ყველას უნდა ეშინოდეს ამის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში იქნება ის, იმ მთაზე, თუ პარლამენტში“**, — აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

# რა უფრო მაღლა დგას: ევროპული არჩევანი თუ კანონის უზენაესობა?!

**მზად ვარ, პრემიერ-მინისტრს შევხდე დიდი რეგულარულობით, — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გაფართოების საკითხებში ევროკომისარ შტეფან ფულესთან ერთობლივად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. მისივე განმარტებით, რაც ქვეყანაში დღეს ხდება, საფრთხის შემცველია.**

**„ის, რაც ხდება დღეს ჩვენს ქუჩებში, საპარლამენტო დისკუსიებში, კამერების მიღმა ხდება, არის გარკვეული საფრთხის შემცველი. ახლა უნდა დავდგეთ პირად ამბიციებზე მაღლა. ჩვენც და მთავრობამაც უნდა ვიმუშაოთ ერთად, ამიტომაც ვთქვი, რომ მზად ვარ პრემიერ-მინისტრს შევხვდე დიდი რეგულარულობით, გაფუჭებული ტელეფონი კი არ ვითამაშო და შუამავლის მეშვეობით ველაპარაკო, პირდაპირ ველაპარაკო საქართველოზე, მის ევროპულ მომავალზე, საზოგადოების დემოკრატიულ განვითარებაზე“**, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.



ამასთან, ქვეყნის პირველი პირის თქმით, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, პოლიტიკოსებმა ქვეყნის ინტერესები და ევროპული მომავალი მათ ამბიციებზე მაღლა უნდა დააყენონ.

**„ჩვენი ევროპული მომავალი ბევრად მაღლა დგას, ვიდრე ცალკეული პოლიტიკოსის ამბიციები. ცალკეულ პოლიტიკოსებში მეც შევდივარ, პრემიერიც და ბევრი სხვაც“**, — აღნიშნა სააკაშვილმა.

გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობს თემურ თოდუას დედის

**დუნა თოდუას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გამოსვენება შაბათს, 16 თებერვალს, 16 საათზე.
მისამართი: ზუგდიდის რაიონი, სოფელი ნარაზენი.

მედიანიუსი
საინფორმაციო სააგენტო
http://www.medianews.ge

საქართველო და მსოფლიო
ყოველკვირეული გამოცემა
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894